

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი



ქუჩისი

სტუდენტთა სამეცნიერო შრომები

თბილისი  
2020





ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## მ ა ს ა ლ ე ბ ი

**XI სტუდენტური საერთაშორისო კონფერენცია**

## **ურთიერთობათა და კონფლიქტების დარეგულირებისათვის**

ჰუმანიტარული და კულტურულ-საგანმანათლებლო  
მიმართულების პროექტი



უნივერსიტეტის  
გამომცემლობა

## რედკოლეგია:

**თამარ პაიჭაძე** (მთავარი რედაქტორი)

კონფერენციის ხელმძღვანელი, ორგანიზატორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, პროექტის ხელმძღვანელი

**კახაბერ ლორია** (რედაქტორი)

კონფერენციის ორგანიზატორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი

**ნინო მინდიაშვილი** (კოორდინატორი) პროფესორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**სოფიკო ძნელაძე** (კოორდინატორი)

პროფესორები: **ირმა ხარშილაძე, ირინა ქურდაძე, დავით მაცაბერიძე, ვასილ გონაშვილი, თამარ შარაბიძე, ლაშა ლორია, ნინო ჩიხლაძე, ეფემია ხარაძე, ინესა გაგნიძე, პეტრე ბაბილუა, ნინო წერეთელი, ნინო ჭალაგანიძე, მარინა ლომიძე, ნანი გელოვანი, ნათელა მოსიაშვილი, ინგა სანიკიძე, ქეთევან სიხარულიძე**  
(ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

ავტორთა სტილი დაცულია

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2020

## წინასიტყვაობა

წინამდებარე კრებულში თავმოყრილია გასულ 2019 წელს სტუდენტთა XI საერთაშორისო კონფერენციაზე წარმოდგენილ მოხსენებათა შორის შერჩეული მასალები.

მოხსენებათა შერჩევის პრინციპი და ფორმატი კვლავ უცვლელია: შემოსული 191 განაცხადიდან კონფერენციაზე წარსადგენად შეირჩა 14 სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში მომზადებული 88 მოხსენება. კონფერენციაზე შემოსული და შერჩეული მასალების მრავალფეროვანი და მრავალმიმართულებრივი პრობლემატიკის კვალობაზე ჩამოყალიბდა 9 სხვადასხვა თემატიკის სამუშაო სექცია. კონფერენციის მუშაობის დროს თითოეულ სექციაზე წარმოდგენილი მოხსენებების შეფასების შედეგად სექციის ხელმძღვანელების მიერ გამოქვეყნებისათვის რეკომენდაცია გაენია ნაშრომთა ნაწილს.

შედგომ ეტაპზე სარედაქციო კოლეგიამ იმუშავა წარმოდგენილ და რეკომენდირებულ მასალებზე, ნაშრომებში წარმოჩენილი კვლევისა და ანალიზის კომპონენტების, ინდივიდუალიზმის, აკადემიური უნარების, მეცნიერული, მორალური პოზიციისა და ხარისხის გათვალისწინებით წარმოდგენილ მასალათა შორის შერჩეულ იქნა მოხსენებები, რომლებიც მომზადდა „მერმისის“ ახალი კრებულისათვის.

ამ შერჩევისა და შესრულებული სამუშაოს შედეგები აისახა „მერმისის“ წინამდებარე კრებულში, რომელშიც წარმოდგენილია 28 მოხსენება სხვადასხვა სპეციალობებიდან.

ჩვენი საორგანიზაციო ჯგუფი და ჩვენი პროექტი – „ურთიერთობათა და კონფლიქტების დარეგულირებისათვის“ წინამდებარე კრებულით კვლავ ერთგული რჩება იმ მთავარი სამუშაო იდეისა და პრინციპებისა, რასაც აკადემიურობა, ინტერგრირება და სხვადასხვა სასწავლო და სამეცნიერო ინსტიტუტების მკვლევართან და სტუდენტებთან თანაშრომლობა ჰქვია.

ამ პრიციპთა და ტრადიციათა კვალობაზე „მერმისის“ წინამდებარე კრებულიც ამ ღირებულებათა წარმომჩენია.

*თამარ პაიჭაძე*  
*მთავარი რედაქტორი, კონფერენციის ხელმძღვანელი*  
*5.03.2020*



# სარჩევი

|  |    |
|--|----|
| წინასიტყვაობა .....  | 5  |
| <i>სამართალმცოდნეობა, კონფლიქტოლოგია, პოლიტიკის მეცნიერებანი</i>   |    |
| ირაკლი ლეონიძე, თამარ შავგულიძე .....  | 9  |
| ვაჟიერის თანამედროვე სამართლებრივი გაგება და მისი ადგილი სამოქალაქო კოდექსში .....   | 9  |
| შორენა სიგუა, გორდა ღიბრაძე .....  | 14 |
| რელიგიათაშორისი პოლიტიკური პრობლემები და ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი .....   | 14 |
| მირანდა მიქაძე, ეკატერინე ლომია .....  | 19 |
| ევროკავშირის ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის რეალური<br>გეოპოლიტიკური კონტურები: კრიზისების მართვის და<br>სამხედრო მონიტორინგის ოპერაციები ..... | 19 |
| თორნიკე ზედელაშვილი .....  | 25 |
| XXI საუკუნის გამოწვევა – კიბერუსაფრთხოება და საინფორმაციო ომი .....  | 25 |
| <i>ჰუმანიტარული მეცნიერებანი: ლიტერატურათმცოდნეობა</i>   |    |
| მარიამ რაზმაძე .....   | 29 |
| მაგიური რეალიზმი სალმან რუშდის რომანში „ემმაკეული აიები“ .....   | 29 |
| სალომე დავითულიანი .....   | 35 |
| რეალობა და ირეალობა ჰაროლდ პინტერის პიესაში „ლალატი“ (The Betrayal) .....  | 35 |
| ანი დათუნაშვილი .....  | 39 |
| სიყვარულის კონცეფცია შიო არაგვისპირელის შემოქმედებაში .....  | 39 |
| მაია კვიციანი .....  | 45 |
| ფოლკლორული მოტივები და ხატ-სიმბოლოები ლია სტურუას შემოქმედებაში .....  | 45 |
| ნინო ოქროპირიძე, ნონა სრესელი .....  | 51 |
| გიორგი სააკაძის ფენომენი იოსებ თბილელის „დიდმოურავიანში“ .....   | 51 |
| ნინო დანელია .....   | 56 |
| რეჟიმი, როგორც ინსპირაცია, ანუ „ზღაპარში მოხვედრილი ბიჭის ამბავი“ .....  | 56 |
| <i>ჰუმანიტარული მეცნიერებანი: ენათმეცნიერება</i>   |    |
| ნინო გიორგაძე .....  | 60 |
| გათიშული მსაზღვრელ-საზღვრული ვაჟა-ფშაველას პოეტურ ენაში .....  | 60 |
| თეონა ჯალაღონია .....  | 66 |
| ფრაზეოლოგიური გამონათქვამები აჭარულში (მარეთის ხეობის მასალების მიხედვით) .....  | 66 |
| ირაკლი სალია .....   | 70 |
| პერფორმატივები ქართულ სამეცნიერო ენაში .....   | 70 |
| <i>ჰუმანიტარული მეცნიერებანი: ისტორია</i>  |    |
| რეზო მარნაძე .....   | 82 |
| დავით V-ის ამბოხებანი დემეტრე პირველის წინააღმდეგ .....  | 82 |

**ჰუმანიტარული მეცნიერებანი: ეთნოლოგია, ფოლკლორი**

**ტატა ჩრდილელი** ..... 86  
კეჭნაობის ტრადიცია და ტრეპანაციის მნიშვნელობა თანამედროვე ხევისურეთის  
საზოგადოებრივ დისკურსში ..... 86

**გაბრიელ თაგაური** ..... 90  
ქართული ზღაპრის შესწავლის სამომავლო პერსპექტივები ..... 90

**ირაკლი სალია** ..... 95  
სკლადობა ..... 95

**მედიცინის მეცნიერებანი**

**ანა ქობალია, მეგი მაჭარაშვილი** ..... 98  
ნიკოტინის უარყოფითი ზეგავლენა ადამიანის ორგანიზმზე ..... 98

**ნუცა ნინუა** ..... 103  
თავის ტვინის ტრავმული დაზიანების ცხოველური მოდელები და  
მკურნალობის სტრატეგიები ..... 103

**სოფიკო წიკლაური, ნინო ონიაშვილი** ..... 107  
ლვიძლის მწვავე უკმარისობის თავისებურებები ..... 107

**მონიკა წონერია, ანა ბანეთიშვილი** ..... 109  
ფარისებრი ჯირკვლის დაავადების თავისებურებები ..... 109

**ნინო ხაჭიპერაძე, მერი ბუიძე** ..... 111  
ყაბზობის თავისებურებები ..... 111

**მარიამ ასპანიძე, მარიამ ივანაური** ..... 113  
დიზოკლუზიის თავისებურებები ..... 113

**გიორგი ბაზერაშვილი, ეკატერინე დოლენჯაშვილი** ..... 115  
კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების თავისებურებები ..... 115

**თამარ გველესიანი** ..... 118  
კარდიოქირურგიული ოპერაციების შემდგომი ნევროლოგიური გართულებების  
პათოფიზიოლოგიური მექანიზმები ..... 118

**სოციალური მეცნიერებანი: ფსიქოლოგია**

**მარინე ბეგაშვილი** ..... 122  
ფსიქოტრავმა და პოსტტრავმული მდგომარეობა, როგორც წამალთდამოკიდებულების  
განვითარების მიზეზი ..... 122

**ზუსტი მეცნიერებანი**

**ნიკოლოზ სახვაძე** ..... 130  
გეომეტრიული აგებები ფარგლისა და სახაზავის საშუალებით ..... 130



**ირაკლი ლეონიძე, თამარ შავგულიძე**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი  
ხელმძღვანელი: პროფესორი მათე ხვედელიძე*

**ვაუჩერის თანამედროვე სამართლებრივი გაგება და  
მისი ადგილი სამოქალაქო კოდექსში**

თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის სწრაფმავალი პროცესი და ფულად-საკრედიტო ურთიერთობების გამომწვევები სავაჭრო ეკონომიკურ ბაზარზე ნაღდი ფულის ელექტრონული და ნომინალური ფასიანი ქალაქდებით ჩანაცვლებას ცდილობს. კრიპტოვალუტის პრობლემებმა კი კიდევ ერთხელ დაგვაფიქრა თანამედროვე სამყაროს სავაჭრო-ეკონომიკური ბაზრის რეალურ სპეციფიკასა და გამომწვევებზე. ჩნდება ახალი მსყიდველობაუნარიანი ქალაქდები, რომელთა სტატუსი ხშირად კითხვის ნიშნებს ბადებს. საინტერესოა ფასიანი ქალაქდებთან შედარებით რა სტატუსის მატარებელია სასაჩუქრე ვაუჩერი, არის თუ არა ის ფასიანი ქალაქდი. ფორმის, ფერის, ფასის სახესხვაობები მომხიბვლელ და სანდო ხასიათს სძენს მას.

ქართულ სავაჭრო ბაზარზე ხშირია ასეთი დოკუმენტების ემისია, როგორც შიდა მარკეტინგული სვლა, ნაწარმის რეალიზაციის გამარტივების კუთხით. სასაჩუქრე ბარათებისა და ვაუჩერების მიმოქცევა კერძო სამართლის ძირითად პრინციპებს ეყრდნობა. სავაჭრო კომპანიები დამოუკიდებლად თავად ადგენენ მისი მიმოქცევისა და ბრუნვის წესებს. სწორედ ამიტომ საინტერესოა როგორ ხდება მისგან წარმოშობილი დავების გადაწყვეტა. რთულია ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიღება თუმცა შესაძლებელია კონკრეტული მიმართულებების გამოყოფა.

**1. თანამედროვე სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების  
განვითარების პერსპექტივა ვაუჩერთან მიმართებაში**

თანამედროვე ეპოქაში ნაღდ ფულს საკრედიტო ბარათები და ფასიანი ქალაქდები ანაცვლებს. პირადობის მონომობისა და პირადი საკრედიტო ბარათის ქონა ადამიანს მსოფლიოს მოქალაქედ აქცევს. სავაჭრო ორგანიზაციებისთვის კი ელექტრონული მომსახურების განწევა უფრო მეტად კომფორტული და მოქნილია.

ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში ევროპელი ვაჭრებისათვის დიდ სირთულეს წარმოადგენდა ვერცხლის მონეტებით დიდ მანძილზე გადაადგილება. ამისთვის ისინი ყიდულობდნენ ძვირადღირებულ ნივთებს რომელთა ტარება უფრო მარტივი და უსაფრთხო იყო. ისეთ საზოგადოებაში კი სადაც არ არსებობდა ევროპული სავაჭრო კულტურა, ვაჭრები უბრალო მძივების საშუალებით ყიდულობდნენ მონებსა თუ სპილოს ძვალს. კათოლიკურ სამყაროში ვაჭრობდნენ ინდულიგენციებით, რომელიც წარმოადგენდა ცოდვის გამოსყიდვის ფასიან დოკუმენტს. თანამედროვე სამყაროში კი, ადამიანმა შეძლო ნაღდი ფულის სხვადასხვა ტრანსფიგურაციის შექმნა და ვაჭრობაში მისი თავისუფალი მიმოქცევა.

ეკონომიკურ ბაზარზე თავს იყრის ნაღდი ფულის დიდი მასა. ფაქტია რომ ნაღდი ფულის ეკვივალენტი და მისი ნაწარმი სამართლებრივი შედეგებით ერთმანეთისგან განსხვავდება. სამოქალაქო კოდექსი აწესრიგებს ფასიანი ქაღალდების ინსტიტუტს, შესამაბისად დაცვისა და პრევენციის მექანიზმები ამავე კოდექსითაა გამყარებული. კერძოსამართლებრივი ურთიერთობების ძირითადი პრინციპები ხელს უწყობს მრავალმხრივი სავაჭროსამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობას. (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 26/06/1997, მუხლი 8.)

ბუნებრივია რომ სავაჭრო ორგანიზაციები გასცემენ მსყიდველობაუნარიან დოკუმენტებს, ისეთებს, როგორცაა სასაჩუქრე ვაუჩერები. სავაჭრო კომპანია დამოუკიდებლად უშვებს ვაუჩერს სხვადასხვა ნომინალის ოდენობით. დიზაინისა და ფორმის სახესხვაობა ვაუჩერს მომხმარებელს და გამოყენებად ხასიათს სძენს. შესაბამისად აუცილებელია გაემიჯნოთ იგი ფასიანი ქაღალდის რეგულირების სფეროსგან. საინტერესოა ხომ არ ესწრაფვის ვაუჩერის კერძოსამართლებრივი მიმოქცევა ფასიან ქაღალდებთან იგივეობას, ანდაც დამოუკიდებლობას.

ვაუჩერის ერთ-ერთი სახეა „სასაჩუქრე ვაუჩერი“, რომელიც კონკრეტულ სადღესასწაულო დღეებში მიზნობრივი დანიშნულებით გაიცემა, მისი შექმნისა და განაღდების წესებიც სადღესასწაული დღიდან აითვლება (მაგ. საახალწლო სასაჩუქრე ვაუჩერები). მიზნობრივი დანიშნულება და განაღდება სასაჩუქრე ვაუჩერის სიცოცხლისუნარიანობის გარანტი და სავიზიტო ბარათია. სასაჩუქრე ვაუჩერის გამოყენების საკითხი დაკავშირებულია სტანდარტული პირობების გამოყენებასთან. სავაჭრო კომპანიის მიერ დამოუკიდებლად შედგენილი ხელშეკრულების პირობები, ამ შემთხვევაში შემძენს, როგორც მომხმარებელს შესაძლოა არასახარბიელო მდგომარეობაში აყენებდეს. შესაბამისად სამომხმარებლო სამართლის დაცვის საგანი შესაძლოა გახდეს ვაუჩერის მიმოქცევისასთან დაკავშირებული გამოწვევები.

განხვიზილავთ რა ვაუჩერის თანამედროვე სამართლებრივ გაგებას და მის მიმართებას სამოქალაქო კოდექსის ნორმებთან, განსაკუთრებით შევხებით მიზნობრივი დანიშნულებისა და განაღდების საკითხებს. კონკრეტულად, არის თუ არა სასაჩუქრე ვაუჩერი ფასიანი ქაღალდი, იცავს თუ არა შემძენს, როგორც მომხმარებელს მომხმარებელთა სამართალი და წარმოადგენს თუ არა სახელშეკრულებო ურთიერთობის ნაწარმს ვაუჩერი, როგორც ნასყიდობის ობიექტი.

## 2. ვაუჩერის სავაჭრო მიმოქცევის ცალკეული მარკეტინგული ასპექტი

სადღესასწაულო დღეების მოახლოებასთან ერთად სავაჭრო მაღაზიები გვთავაზობენ სხვადასხვა სასაჩუქრე ვაუჩერებს, რომელთა ფორმა, ფასი და დანიშნულება ერთმანეთისგან განსხვავებულია. ელექტროტექნიკის მაღაზიები თუ სხვა სამომხმარებლო ქსელები იწყებენ რეკლამირების უწყვეტ პროცესს. ამ ყველაფრის ფონზე კი მით უფრო აქტუალურია, თუ რა სტატუსი ენიჭება ვაუჩერს, ხომ არ არის ეს მომხმარებლის დაინტერესების ერთგვარი ილუზია. ვაუჩერთან დაკავშირებით მით უფრო საინტერესოა, სასაჩუქრე ვაუჩერის საკითხი იმ კუთხით, რომ მას როგორც ქაღალდს გააჩნია მსყიდველობითი ღირებულება. აქედან გამომდინარე უპირიანი არ იქნება დავსვათ კითხვა-არის თუ არა სასაჩუქრე ვაუჩერი ფასიანი ქაღალდი?

ხშირია შემთხვევები როცა მაღაზიები ელექტრონულ პლატფორმაზე განათავსებენ სასაჩუქრე ბარათებსა და ვაუჩერებს. მათი შევსება მარტივია, გადახდა კი დაცული გვერდიდან ხორციელდება. („<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=17565>“ [7.14.2019]) ფასიანი ქაღალდი არის ნიმუშის ფორმით დადგენილი საფინანსო დოკუმენტი, რომელშიც აისახება მისი მფლობელის გარკვეული ქონებრივი უფლებები და რომლის რეალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ ამ დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში. ფასიან ქაღალდებს დიდი მნიშვნელობა

ენიჭება თანამედროვე საბაზრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში. სავაჭრო ობიექტებისთვის კლიენტის მისაზიდად მოსახერხებელია ვაუჩერის გაცემა, ვიდრე ნაღდი ფულის გადაცემა ან მასიური ფასდაკლება. 1998 წელს მიღებულ იქნა კანონი „ფასიანი ქალაქების ბაზრის შესახებ“ – სადაც ტერმინოლოგიურად განმარტებულია ამ კანონის მიზნებისთვის ფასიანი ქალაქების ბაზრის მონაწილეები, მათი ქმედებები და ფასიანი ქალაქით ვაჭრობის წესი. (საქართველოს კანონი „ფასიანი ქალაქების ბაზრის შესახებ“, 24/12/1998, მუხლი 2.)

საერთოსამართლებრივი კომპონენტების სახით შეგვიძლია ვისაუბროთ შემდეგზე: სანივთო და ვალდებულებით სამართლის გავლენა და ზღვარი მათ შორის, ვინდიკაციის შეზღუდვის პრინციპი, შესაგებლის შეზღუდვის პრინციპი, მოთხოვნის უფლება, მოთხოვნის უფლების ფარგლები, მოთხოვნის უფლების მქონე პირის მიერ დოკუმენტით გათვალისწინებული შესრულების მიღება, მიზნობრივი გამოყენება. ნაღდი ფულის მიღების შეუძლებლობა. როგორც ვხედავთ ვაუჩერის გადაცემა და თავისუფალი ბრუნვა უფრო მეტად სამომხმარებლოსამართლებრივი ხასიათისაა ვიდრე ფინანსურსამართლებრივი.

სასაჩურო ვაუჩერის მიმოქცევის რეგულირების საკითხი, ასევე დაკავშირებულია სტანდარტული პირობების გამოყენების მართლზომიერებასთან. საუბარია მომხმარებელთა უფლებების საკითხზე თუ რამდენად დაცულია მომხმარებელი, ამ შემთხვევაში მყიდველი სტანდარტული პირობების შემზღუდველი ხასიათისგან.

### 3. ვაუჩერის მფლობელი როგორც საბუთის ხელთმქონე

დაინტერესებულ პირს შეუძლია შეიძინოს სასაჩუქრე ვაუჩერი თავისთვის ან მესამე პირისთვის გადასაცემად. დაინტერესებული პირი თავად ავსებს ვაუჩერს კონკრეტული პირის ან თავის სახელზე, ანდაც გადასცემს მესამე პირს ბლანკეტური ფორმით. შემძენის მიერ სავაჭრო კომპანიის ვაუჩერით დაინტერესება უფრო და უფრო ემსგავსება პასუხს მოწვევა ოფერტზე. სამართლებრივი ურთიერთობა და მონაწილე სუბიექტების სტატუსი ქმნის ფარგლებს ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობებისთვის. აღნიშნულს ამყარებს ურთიერთობის ფორმა, სპეციფიკა და შესრულების მიზნობრივი დანიშნულება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში მფლობელობა გამიჯნულია საკუთრებისგან. საკუთრება ესაა ნივთზე ბატონობის უფლება, ხოლო მფლობელობა თვით ეს ბატონობაა. მფლობელი შეიძლება იყოს როგორც მესაკუთრე, ისე არამესაკუთრეც. მფლობელობა ფაქტია და ამ ფაქტის უკან შეიძლება იდგეს როგორც სანივთო, ისე სხვა უფლებები. მაშასადამე, მფლობელობა ფაქტია და არა უფლება! ფასიანი ქალაქების ბაზრის კანონი იცნობს ბენეფიციარი და რეგისტრირებული მესაკუთრის ცნებას, რომელიც გამიჯნულია ნომინალური მფლობელისგან.

ფასიანი ქალაქების ე.წ ჩანაწერით არაპირდაპირ, ფასიანი ქალაქების ბაზრის შუამავლის მეშვეობით, ფლობის სისტემა და მასთან უშუალოდ დაკავშირებული არამატერიალური ფასიანი ქალაქის ინსტიტუტი საქართველოში 1998 წლის ფასიანი ქალაქების ბაზრის შესახებ საქართველოს კანონის ამოქმედებით დამკვიდრდა.

ფასიანი ქალაქების ბაზრის შესახებ კანონი ადგენს ნომინალური მფლობელის სამართლებრივ სტატუსს. ნომინალური მფლობელი ბაზრის რეგულირებადი მონაწილეა, კონკრეტულად შუამავალი. იურიდიული პირი, ბანკი, ცენტრალური დეპოზიტარი, რომელსაც რეგისტრირებული მესაკუთრე წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე ანიჭებს უფლებას ფასიანი ქალაქები ამ ნომინალური მფლობელის ანგარიშზე შეიტანოს რეესტრში და რეგისტრირებული მესაკუთრის ან ნომინალური მფლობელის ინტერესებისათვის ჩაებას ამ ფასიან ქალაქებთან დაკავშირებულ სხვა ოპერაციებში. როგორც ვხედავთ ფასიანი ქალაქების არაპირდაპირ-

რი მფლობელობა პირდაპირ, კანონით გათვალისწინებული შემთხვევებითაა დადგენილი. (ზარნაძე ე. ფასიანი ქალაქების ნომინალური მფლობელობის ინსტიტუტის ნორმათა უნიფიცირება და უენევის კონვენცია ფასიანი ქალაქების შესახებ).

სასაჩუქრე ვაუჩერის შემთხვევაში კი მისი არაპირდაპირი მფლობელობა დამოკიდებულია სავაჭრო ორგანიზაციის სამომხმარებლო პირობებზე. რა მიზნით, ვისზე და რა ვადით გაიცა ბარათი. სავაჭრო კომპანიის რეესტრს არ ენიჭება ერთიანობისა და უტყუარობის პრეზუმცია სხვა სავაჭრო კომპანიათა რეესტრების მიმართ მიმართ. (შეად. ჩხაიძე ი., კაპიტალიზაცია-საქართველოს ეკონომიკური ზრდის პრობლემა და მისი დაძლევის გზები, თბ., 2015, 74)

#### **4. ვაუჩერის მოხმარების კონკრეტული მიზანი**

სასაჩუქრე ვაუჩერს აქვს კონკრეტული მიზანი. მაგალითად მაღაზიათა ქსელ ლუტეციას სასაჩუქრე ვაუჩერი გაიცემა ყოველ 200 ლარიან შენაძენზე 50 ლარის ოდენობის სახით. მიზანი გამოიხატება მისი გამცემი კომპანიის მარკეტინგულ გათვლაში: ფოკუსირებს კლიენტზე, მარტივად ანაწილებს ხარჯებს, მარკეტინგულს სვლას აკეთებს-იზიდავს კლიენტებს, მოსახერხებელია, სწრაფი და დახვეწილი, გადაცემის მარტივი მექანიზმი.

მომხმარებლისთვის სასაჩუქრე ვაუჩერი მეტად სუბიექტურ/პირად ხასიათს ატარებს და გამოიხატება მისი მფლობელის მიერ კონკრეტულ დროს განაღდების სურვილში. საფონდო ბირჟაზე ფასიანი ქალაქების სავაჭრო შეთავაზებას ახორციელებს ემიტენტი(ფასიანი ქალაქების გამომშვები). ამ უფლების მოსაპოვებლად ის გადის ერთიან ჯაჭვურ პროცესს: ემისიის პროსპექტის წარდგენიდან ფასიანი ქალაქის დემატერიალიზებამდე. საქართველოს კანონი: „ფასიანი ქალაქების ბაზრის შესახებ“ არეგულირებს ფასიანი ქალაქების ბაზრის მონაწილეთა სამართლებრივ ქმედებებს, განხორციელებულს ამავე კანონის მიზნებისა და ტერმინთა განმარტების შესაბამისად. სასაჩუქრე ბარათებისა და ვაუჩერებით ვაჭრობას კი არ სჭირდება მსგავსი ტიპის საკანონმდებლო რეგულაცია. უფლებამოსილი სავაჭრო ორგანიზაცია თავის ელექტრონულ ვებ-გვერდზე განათავსებს გაყიდვად სასაჩუქრე ბარათებს. შესაძლებელია სასაჩუქრე ვაუჩერის განთავსება დაცულ ელექტრონულ პოსტალზე, რომელზეც წვდომა აქვს მომხმარებელს.

სასაჩუქრე ვაუჩერის გამომშვებს არ ეკისრება მისი კლასის, რაოდენობის, თუ სხვა ინფორმაციის წარდგენა ზედამხედველობის ორგანოსთვის. ფასიანი ქალაქების სავაჭრო ბრუნვის შემთხვევაში კი ზედამხედველობის უფლებამოსილ ორგანოს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკი.

#### **5. ვაუჩერის განაღდების სამართლებრივი პერსპექტივები**

განაღდება ფასიანი ქალაქების შემთხვევაში დამოკიდებულია მის სახესა და ფორმაზე. დოკუმენტში გამოხატული უფლების განხორციელებით პირს შეუძლია ფასიანი ქალაქის წარდგენის შემთხვევაში მიიღოს დოკუმენტში გამოხატული თანხა. სასაჩუქრე ვაუჩერის განაღდება კი არა თანხის მიღება არამედ სავაჭრო კომპანიის ნაწარმის მიღებაა (შესყიდვა მსყიდველობაუნარიანი დოკუმენტით).

სალეგიტიმაციო დოკუმენტები როგორცაა თეატრის ბილეთი, სამგზავრო ბილეთი და სხვა. შინაარსობრივად უახლოვდება სასაჩუქრე ბარათებსა და ვაუჩერებს, თუმცა მისი დაბალღირებულებითი უნარი განსაზღვრავს დროის მოკლე მონაკვეთში გამოხატულ პროცესს. სალეგიტიმაციო დოკუმენტი არ წარმოადგენს ფასიან ქალაქს. სალეგიტიმაციო დოკუმენტები პირის მიერ განეული ხარჯის დამადასტურებელი ფურცელი. სასაჩუქრე ვაუჩერები კი ანმყოში შეძენილი მსყიდველობაუნარიანი დოკუმენტები მომავალში გადაღდების პერსპექტივით.

მათი განაღდება ხშირ შემთხვევაში არ ხდება წარდგენისთანავე. წარმდგენმა უნდა წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და დოკუმენტი. კონკრეტულ შემთხვევაში მსგავსი მოთხოვნა შეიძლება არ გვექონდეს. განაღდება ამ შემთხვევაში გულისხმობს ვაუჩერში გამოხატული მიზნობრივი შესრულების და არა თანხის მიღებას. სასაჩუქრე ვაუჩერის განაღდება გულისხმობს სავაჭრო შენაძენის რეალიზაცია/მიღებას. აქედან გამომდინარე ის ვერ იქნება ფასიანი ქალაქი. ვაუჩერის გამცემი ორგანიზაციების სიმრავლე და განსხვავებული რეგულაცია კიდევ უფრო აშორებს ბარათებს ფასიანი ქალაქებისგან. ვაუჩერის დაკარგვის შემთხვევაში მისი აღდგენა არ ხდება. ის ერთჯერადია და როგორც შენაძენი ისე გაიცემა. ასეთი ვაუჩერი გარიგების შენაძენის ექვივალენტს უფრო წარმოადგენს ვიდრე ფასიანი ქალაქს.

განაღდების ნაწილში ცალსახაა რომ სასაჩუქრე ბარათსა და ვაუჩერს აქვს მსყიდველობაუნარიანობა და ის წარმოადგენს კომპანიის შიდა სავაჭრო ბრუნვად დოკუმენტს. ამ დოკუმენტის სხვა კომპანიებთან ურთიერთობაში გამოყენება არ ხდება, თუ არ არსებობს კომპანიათა შორის ორმხრივი ხელშეკრულება ან/და შეთანხმება.

ამრიგად, ნაშრომში განხილული საკითხების საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ სასაჩუქრე ვაუჩერი გარიგების საგნის ექვივალენტი და მისი ნაწარმია, ვიდრე ფასიანი ქალაქი. აღნიშნული პროცესი, ცხადყოფს ამ უკანასკნელის მიზნობრიობასა და განაღდებაში განმასხვავებელ ნიშნებს. ქართულ ბაზარზე ხშირია ასეთი დოკუმენტების გამოშვება, როგორც შიდა მარკეტინგული სვლა, ნაწარმის რეალიზაციის გამარტივების კუთხით.

მიუხედავად მისი მსყიდველობაუნარიანი ხასიათისა ის ვერ ჩაითვლება ფასიან ქალაქად. მისი შეძენის შემთხვევაში განაღდება მხოლოდ მასში გამოხატული შესრულების მიღებით შეიძლება და ისიც ლიმიტირებულ დროში. თანხის გაცემა სასაჩუქრე ვაუჩერის განაღდების დროს არ ხდება. სასაჩუქრე ვაუჩერი ჰგავს ფულად რაოდენობაში გამოხატული ნივთის შეძენის პროცესს, ამ ნივთის სამომავლო მიღების პერსპექტივით.

სასაჩუქრე ვაუჩერის მიმოქცევა კერძო სამართლის ძირითად პრინციპებს ეყრდნობა. სავაჭრო კომპანიები დამოუკიდებლად თავად ადგენენ მისი მიმოქცევისა და ბრუნვის წესებს. განაღდებისა და გაცემის წესებიც შიდა ორგანიზაციული ხასიათისაა და არ ავალდებულებს სხვა კომპანიას აღიაროს ესა თუ ის სასაჩუქრე ვაუჩერი. ვაუჩერის მფლობელი ითვლება მომხმარებლად, რომელიც დაცულია სამომხმარებლოსამართლებრივი ნორმებითა და ხელშეკრულების კონკრეტულ სახესთან მიმართებით.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 26/06/1997.
2. საქართველოს კანონი ფასიანი ქალაქების ბაზრის შესახებ, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 24/12/1998.
3. ზარნაძე ე., ფასიანი ქალაქების ნომინალური მფლობელობის ინსტიტუტის ნორმათა უნიფიცირება და ჟენევის კონვენცია ფასიანი ქალაქების შესახებ
4. ჩხაიძე ი., კაპიტალიზაცია-საქართველოს ეკონომიკური ზრდის პრობლემა და მისი დაძლევის გზები, თბ., 2015, 74.
5. <<http://umurgulia82.blogspot.com/2018/06/1763-1833.html>>[7.14.2019].
6. <<http://www.iciparis.ge/gifts.php>>[7.14.2019].
7. <<https://buyers.ge/category/gift-cards/848>>[7.14.2019].
8. <<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=17565>>[7.14.2019].
9. <<http://giftarea.ge/giftcard/all>>[7.14.2019].

## რელიგიათაშორისი პოლიტიკური პრობლემები და ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი

საზოგადოების უმეტესი ნაწილი მსოფლიოში განვითარებული მოვლენების სერიოზული გავლენის ქვეშ იმყოფება. აქედან გამომდინარე აუცილებელია იმის ცოდნა, თუ რატომ ხდება მსოფლიოში ესა თუ ის მოვლენა, შეიძლება თუ არა მისი პროგნოზირება და კონტროლი. ამიტომ, კონფლიქტები უნდა იქცნენ თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერების მუდმივი კვლევის საგნად. საერთაშორისო სისტემაზე კონფლიქტების, კრიზისებისა და ომების გავლენის ცოდნა აუცილებელია, რათა უკეთ მოხდეს ურთიერთობების დარეგულირება, როგორც სახელმწიფოს შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთაც.

თემის აქტუალობაც თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე სამხედრო-პოლიტიკური პროცესების მიმართ მზარდი ინტერესით არის განპირობებული. ამ ტიპის კონფლიქტს შესწევს უნარი უმაღლეს დონეზე მოახდინოს საზოგადოების ცალკეული სეგმენტების მობილიზება, რომელიც თავის მხრივ მნიშვნელოვნად განსხვავდება „ცივი ომის“ პერიოდის დაპირისპირებისაგან. თუმცა ამან დღის წესრიგში დააყენა კონფლიქტების დარეგულირების კუთხით ახალი მიდგომების ჩამოყალიბების აუცილებლობა. თანამედროვე ლიბარალურ-დემოკრატიულ საზოგადოებაში უმაღლეს დონეზე მიღებული გადაწყვეტილებების არალეგიტიმურობა წარმოადგენს პოლიტიკური კრიზისის ერთ-ერთ წინაპირობას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, კონფლიქტების პრობლემატიკა საერთაშორისო ურთიერთობათა თანამედროვე სისტემაში სულ უფრო მზარდი ინტერესის საგანი ხდება.

ჩვენი თემის განხილვის თემა ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტების წარმოშობის და განვითარების ეტაპებია. აქვე გვსურს კონკრეტულად განვიხილოთ ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი რელიგიურ ქრილში.

როგორც ვიცით, რელიგია ახლო აღმოსავლეთში ძალიან დიდ როლს თამაშობს საზოგადოების ცხოვრებაში. პოლიტიკა საკუთარ იარაღად იყენებს რელიგიას და ორივე მათგანი თავისებურ ზემოქმედებას ახდენს გეოგრაფიულ სივრცეზე.

ამის კარგი მაჩვენებელია წმინდა ადგილების როლი იერუსალიმის მაგალითზე. ის არის საკმაოდ საინტერესო და ამავე დროს ამ კონფლიქტში მნიშვნელოვანი საკითხი, რომლის მოკლე მიმოხილვაც აუცილებელად მივიჩნიეთ, რადგან ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტი როგორც ვიცით არის დავა – წმინდა ადგილებისათვის.

პალესტინასა და ისრაელს შორის დღემდე გადაუჭრელი კონფლიქტი ოფიციალურად ისრაელის სახელმწიფოს გამოცხადებიდან მეორე დღესვე (1948 წლის 15 მაისი) დაიწყო. თუმცა, აღნიშნულ კონფლიქტს უფრო დიდი ისტორია აქვს და ის უშუალოდ სიონიზმის წარმოშობისთანავე გამოიკვეთა. აღსანიშნავია, რომ პალესტინელები და ებრაელები – ერთი სემიტური წარმოშობის ხალხები არიან. მათ საერთო მამამთავარი – აბრაამი ჰყავთ. შესაბამისად „ამ ორ ხალხს აქვს საერთო რელიგიური სინამდვილეებიც, რომლებსაც ორივე თავიანთ საკუთრებად თვლის, თუმცა კარგად იციან, რომ ის ეკუთვნის როგორც ებრაელებს, ისე პალესტინელ არაბებს (და ზოგადად არაბებს)“ (რ. გაჩეჩილაძე, 2019, 35).

მართალია, პალესტინელებსა და ებრაელებს შორის კონფლიქტი ტერიტორიულ ნიადაგზე დაიწყო და განვითარდა, მაგრამ რელიგიურ და პოლიტიკურ ფაქტორს, ამ კონფლიქტში ასევე დიდი როლი და მნიშვნელობა აქვს. შესაძლოა, ამ ფაქტორმა, აღნიშნული უთანხმოების განვითარებაზე და მის ესკალაციაზე, როგორც უარყოფითი, ისე დადებითი გავლენაც მოახდინოს. უარყოფით გავლენაში იგულისხმება ის, რომ იერუსალიმს ორივე მათგანი თავიანთ წმინდა და ამავე დროს დედაქალაქადაც მიიჩნევენ და ასევე იქ არსებულ საერთო რელიგიურ სინამდვილესაც თავიანთ საკუთრებად აღიქვამენ. ამის ნათელი მაგალითია ბოლო დროს იერუსალიმთან დაკავშირებით განვითარებული მოვლენები. კერძოდ, ეს გამოჩნდა ამ ბოლოს დროს, მას შემდეგ რაც აშშ-ს ამჟამინდელმა პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა იერუსალიმი ისრაელის დედაქალაქად გამოაცხადა, ამას პალესტინელებსა და ებრაელებს შორის კონფლიქტის უფრო მეტად გაღრმავება მოჰყვა. მეტიც, აღნიშნული ფაქტი უარყოფითად აღიქვეს, როგორც არაბულმა სამყარომ, ისე მთლიანად მუსლიმმა მოსახლეობამ.

თუმცა, აქვე გვინდა აღვნიშნოთ ის ფაქტიც, რომ საერთო სემიტურმა წარმომავლობამ მათ შორის არსებულ კონფლიქტზე შესაძლოა დადებითი ასახვაც ჰქოვოს, მაგრამ ამას მოვლენების შემდგომი განვითარება გვიჩვენებს. აქვე დავძენთ, რომ ხშირ შემთხვევაში გარე ძალები მათ საერთო სინამდვილეს მათ შორის კონფლიქტის გასაღრმავებლად ბოროტად იყენებენ.

1948 წელს ისრაელის პრემიერ მინისტრი – მენაჰიმ ბეგინი, ისრაელის სახელმწიფოს შექმნამდე იყო სიონისტური სამხედრო დაჯგუფების რევოლუციონერი ლიდერი, რომელიც აცხადებდა, რომ „სამშობლოს გაყოფა უკანონოა“ (სამშობლოში გულისხმობდა პალესტინის ტერიტორიას მთლიანად). ის არასოდეს იქნება აღიარებული... ეს არ შეკრავს ებრაელ ხალხს. იერუსალიმი იყო და სამუდამოდ იქნება ჩვენი დედაქალაქი. ერეც – იქნება აღდგენილი ისრაელის ხალხისთვის მთლიანად და სამუდამოდ.

იმ ფაქტმა, რომ არაბი მოსახლეობა რიცხვობრივად ებრაელებს აღემატებოდნენ და ნაკლებ ტერიტორიას ფლობდნენ, პალესტინელ ხალხში უსამართლობის გრძნობა გააღვივა და ინტერსეთა კონფლიქტი საომარ მოქმედებებში გადაზარდა. ომების სერია არაბებსა და ებრაელებს შორის 1948 წლის 15 მაისს დაიწყო. მათ შორის წარმოებული ომები პალესტინელი არაბებისათვის არცთუ სახარბიელოდ დამთავრდა, რადგან გამარჯვება ისრაელს ხვდა წილად. პალესტინა-ისრაელის 1948 წლის ომის შედეგებით, ამ უკანასკნელის „გავლენა გავრცელდა იერუსალიმის დასავლეთ ნაწილზეც, აღმოსავლეთი იერუსალიმი კი იორდანის დაქვემდებარა. 1950 წელს კი, ისრაელის მთავრობა იერუსალიმში გადავიდა და იგი დედაქალაქად გამოაცხადა. (სანიკიძე, გელოვანი, ალასანია... 2011)

იუდეველთათვის წმინდაა ისრაელი, განსაკუთრებული სინამდვილე აქვს ტაძრის მთას (ჰარ-ჰა-ბაითი) და მის დასავლეთ კედელს სადაც ლოცულობენ. გარდა ამისა ებრაელები თავყვანს სცემენ პატრიარქთა სამარეს ქალაქ ჰებრონში, ასევე მატრიარქ რაქელის საფლავს ქალაქ ბეთლემის ახლოს, იერუსალიმში სიონის მთაზე მდებარე საფლავს, რომელსაც მეფე დავითის მიაწერენ. იუდეველთათვის წმინდა ადგილად – „დასავლეთის კედელია“, რომელიც ცნობილია როგორც „გოდების კედელი“. ებრაელთათვის „იერუსალიმი“ და „სიონი“ სინონიმებია, ორივე სიტყვა აღნიშნავს ისრაელის მთელ მიწას (ერეც-ისრაელ).

მუსლიმთათვის კი მექასა და მედინას შემდეგ სინამდვილედ მესამე ქალაქია-იერუსალიმი, რომელსაც არაბულად ალ-კუდს ეძახიან – სადაც მდებარეობს „წმინდა ნაკრძალი“. ასევე წმინდა ადგილია ალ-აკსას მიზგითი „კლდის გუმბათი“. რაც ებრაელთათვის ჰარ-ჰა-ბაითს – ტაძრის მთაა, ხოლო არაბებისათვის კი ალ-ჰარამ აშ-შარიფი („წმინდა ნაკრძალი“), მუსლიმებისათვის წმინდაა ასევე ალ-ხალილში-იგივე ქალაქ ჰებრონი -/პატრიარქთა სამარხი/ სადაც დაკრძალულია

არაბთა მამამთავარი იბრაჰიმი, ხოლო იუდეველთათვის კი ის პატრიარქი აბრაჰამი. ამ ადგილზე მეშვიდე საუკუნეში აშენდა მიზგიითი ალ-ჰარამ ალხალილი. (Evron, Boas. 1995.)

მუსლიმი მიიჩნევს რომ ეს ადგილი მისი სამყაროს პოლიტიკური სივრცეა. რელიგიური არ-გუმენტები და სიმბოლოები გამოიყენება სეკულარული მოძრაობების მიერ საკუთარი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, რაც რელიგიურ დაპირისპირებას აღვივებს.

2017 წლის ივნისში, იუნესკომ იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე მდებარე ქალაქ ჰებრონის ისტორიული ნაწილი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ნუსხაში, როგორც პალესტინის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, ისე შეიტანა, რამაც ისრაელში ვნებათაღელვა გამოიწვია.

ისრაელისგან განსხვავებით, პალესტინის წარმომადგენლებმა მოიწონეს გადაწყვეტილება და აღნიშნეს რომ ჰებრონი, მისი ისტორიული მეჩეთით, პალესტინელ ხალხს ეკუთვნის.

აშშ-ის ამჟამინდელმა პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა უარი თქვა პალესტინა-ისრაელის კონფლიქტთან დაკავშირებით ვაშინგტონის პოზიციის გაგრძელებაზე, რომელიც „ორი ხალხისთვის ორი სახელმწიფო“ შექმნას გულისხმობს. ამის შესახებ მან ვაშინგტონში ისრაელის პრემიერთან ბინიამინ ნეთანიაჰუსთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

პრინციპი „ორი სახელმწიფო ორი ხალხისთვის“ საფუძვლად დაედო ახლო აღმოსავლეთში კონფლიქტის დარეგულირების პროცესს, რომლის ირგვლივ მოლაპარაკებები მრავალი წელია მიმდინარეობს. ამ პრინციპს ემხრობოდა ისრაელი (გარკვეული პირობებით), პალესტინა, აშშ, ასევე გაერო, არაბული ქვეყნების ლიგა, ევროკავშირი და რუსეთი.

ამგვარი მიდგომის არსი ისაა, რომ სამშვიდობო პროცესის საბოლოო შედეგი პალესტინის დამუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა უნდა გახდეს – დასავლეთ სანაპიროზე, ლაზას სექტორსა და აღმოსავლეთ იერუსალიმში 1967 წელს ცეცხლის შეწყვეტის ხაზის საზღვრებში, რომელიც ისრაელთან მშვიდობიან თანაარსებობას გააგრძელებს. თუმცა, მრავალი წლის განმავლობაში სამშვიდობო მოლაპარაკებები მუდამ იშლებოდა იმ ტერაქტებისა და თავდასხმების ნიადაგზე, რომლებშიც ისრაელი პალესტინის ადმინისტრაციას ადანაშაულებდა, ასევე ისრაელის მხრიდან პალესტინის ყოფილ ტერიტორიებზე ახალი დასახლებების მშენებლობის გამო.

ტრამპმა პირობა დადო, რომ „დიდი“ სამშვიდობო შეთანხმების დადებას მიაღწევს, თუმცა აღნიშნა, რომ ამისთვის კონფლიქტის ორივე მხარეს მოუწევს კომპრომისზე წასვლა. აშშ-ის პრეზიდენტმა ნეთანიაჰუს ისიც კი სთხოვა, რომ ახალი დასახლებების მშენებლობა „ცოტა დამუხრუჭოს“.

აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ობამას ადმინისტრაცია ძალიან კრიტიკულად ეკიდებოდა ისრაელის მიერ ახალი დასახლებების მშენებლობას. ტრამპის ინაუგურაციის შემდეგ კი – ისრაელში დასავლეთ სანაპიროზე რამდენიმე ათასი ერთეული საცხოვრებლის აგებას დაუჭირეს მხარი.

„ორი სახელმწიფოს შესახებ“ კითხვის პასუხად ბენიამინ ნეთანიაჰუმ თქვა, რომ „ისურვებდა საქმის არსს მეტი ყურადღება დათმობოდა, ვიდრე სახელწოდებებს“. „მშვიდობისთვის ორი წინაპირობაა საჭირო, – აღნიშნა ისრაელის პრემიერ-მინისტრმა, – პირველი ის, რომ პალესტინელებმა უნდა აღიარონ ისრაელის სახელმწიფო და მეორეც, ნებისმიერი სამშვიდობო შეთანხმების პირობებში, ისრაელმა უნდა შეინარჩუნოს მდინარე იორდანის დასავლეთით მთელ ტერიტორიაზე უსაფრთხოების კონტროლი.“

2016 წლის არჩევნებში ტრამპის გამარჯვების შემდეგ ეს იყო პირველი პირადი შეხვედრა აშშ-ის პრეზიდენტსა და ისრაელის პრემიერ-მინისტრს შორის.

დონალდ ტრამპის მიერ თეთრი სახლის მრავალწლიანი პოლიტიკური კურსიდან გადახვევამ, რომელსაც რესპუბლიკელებიც იზიარებდნენ და დემოკრატებიც, პალესტინელების ძლიერი შეშფოთება გამოიწვია.



მათ ახალ ადმინისტრაციას მოუწოდეს, უარი არ თქვან პალესტინის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის ამოცანაზე: „თუ კი ტრამპის ადმინისტრაცია ამ პოლიტიკაზე უარს განაცხადებს, ეს მშვიდობის ყველანაირ შანსს მოსპობს და შეარყევს ამერიკის ინტერესებს, პოზიციებსა და მისდამი ნდობას“ – განაცხადა პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციის თავმჯდომარემ ჰანანა შრაჟიმ.

იუდეველებსა და მუსლიმებს ერთსა და იმავე წმინდა ადგილზე აქვთ პრეტენზია, რაც თითქმის უიმედოს ხდის მათი მორიგების ყველა მცდელობას. ორი რელიგიისთვის წმინდა ადგილის გეოგრაფიული თანხვედრა, რასაკვირველია იდეოლოგიურ და პოლიტიკურ დაპირისპირებას ქმნის და ვერავითარი ეკონომიკური გარიგება ვერ შეძლებს მის გადაჭრას.

რელიგიური დავა ერთი და იმავე ადგილისთვის – პოლიტიკურ და სამხედრო დაპირისპირებაში არაერთხელ გადაიზარდა.

მოლაპარაკების დროს, რომელიც პალესტინა-ისრაელის კონფლიქტის მოსაგვარებლად აშშ-ს პრეზიდენტის შუამავლობით მიმდინარეობდა კემპ-დევიდში 2000 წელს, ერთ-ერთი დაუძლეველი ბარიერი აღმოჩნდა იმაზე შეთანხმება, თუ ვინ უნდა ფლობდეს „დე იურე“ ( *de-jure*) „ტაძრის მთას“. პრობლემა იყო ის, თუ ვინ უნდა განაგებდეს „ტაძრის მთის“ მინისტრეშეთს და მსჯელობდნენ ე.წ. „ვერტიკალური სუვერენიტეტის“ შესახებაც კი: „ტაძრის მთის“ ქვედა ფენა, ჰეროდეს დროინდელი კედლის ნაშთებამდე – ებრაელებს უნდა დაქვემდებარებოდათ, ზედა ფენა კი – არაბების, მამლუქების და ოსმალების დროს ნაგები – პალესტინელებს!

სამწუხაროდ ეს დავა სულაც არ იყო აზრთა გაცვლა-გამოცვლა რელიგიურ-ფილოსოფიურ თემებზე. როდესაც ზემოთხსენებული მოლაპარაკება ჩაიშალა, იგივე ადგილი იქცა პალესტინელთა მეორე აჯანყების სიმბოლოდ.

იერუსალიმის მაგალითზე ჩანს რომ წმინდა ადგილის მნიშვნელობა პოლიტიკაში ხანდახან არანაკლებია, ვიდრე ტერიტორიისა, რომელსაც ძირითადად ეკონომიკური ან სამხედრო-სტრატეგიული დატვირთვა ეძლევა.

უფრო მეტიც, წმინდა ადგილის შემთხვევაში, კომპრომისის მიღწევა თითქმის შეუძლებელია, რადგან მიუხედავად უამრავი შეთანხმებისა, ისრაელი და პალესტინა ვერ მივიდნენ გონივრულ შეთანხმებამდე. (Felton, John. 2008)

ჩვენი მოსაზრებით, აღნიშნული კონფლიქტი ხასიათდება რთული, პოლიტიკური, გეოგრაფიული თუ რელიგიური კუთხით, რომლის დიაგნოსტიკა ცაკლე კვლევის საგანია და მასზე არაერთი მკვლევარი თუ მეცნიერი წლების მანძილზე მუშაობს და კვლავაც გრძელდება აღნიშნულ საკითხზე პრობლემის გადაჭრის გასაღების ძიება. თუმცა, მიმდინარე კონფლიქტის მოგვარების არაერთი გზა იქნა დასახული, რომლის ნაწილმაც თავისი როლი დადებითად შეასრულა, ნაწილი კი უშედეგო აღმოჩნდა. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ შესაძლოა საერთო რელიგიური სინამდინდეების არსებობამ მხარეები შეთანხმებამდე მიიყვანოს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, იმედისმომცემია, რომ რელიგიურმა ფაქტორმა ხელი შეუწყოს კონფლიქტის მოგვარებას და შესაბამისად დადებითად აისახოს მასზე.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. გაჩეჩილაძე რ., „ახლო აღმოსავლეთი, გეოპოლიტიკა“, თბილისი, 2019.
2. სანიკიძე გ., გელოვანი ნ., ალასანია გ., ახლო აღმოსავლეთის ისტორია. თბილისი, 2011.
3. Chomsky, N. *Fateful Triangle: The united states, Israel and the Palestinians* (updated edition). London: Pluto Press, 1999
4. Cleveland, William L. *A History of the Modern Middle East* 3rd ed. Boulder: Westview Press, 2004, 2009.

5. Evron, Boas. Jewish state or Israeli Nation? Bloomington and Indianapolis: Indiana University Press, 1995.
6. Felton, John. The Contemporary Middle East: a Documentary History. New York: SQ Press, 2008
7. Fromkin, D., 1989
8. Israeli-Occupied Territories and Emerging Palestinian Autonomous Areas. – The Middle East and North Africa (Europa Publications Limited) Forty-fifth Edition, 1999.
9. Laqueur, Walter and Rubin, Barry (eds .). The Israeli-Arab Reader: A Documentary History of the Middle East Conflict. New York: Penguin Books, 1995
10. Lilienthal, Alfred M. Israel is Created Smith Gary V. (ed ). Zionism, the Dream and the Reality: A Jewish Critique. New York: Barnes and Noble, 1974.
11. Morris, Benny. Righteous Victims. A History of the Zionist-Arab Conflict, 1881-1999. NewYork: Alfred Knopf, 1999

**ინტერნეტ რესურსი:**

1. <https://www.nytimes.com/2019/01/16/opinion/israeli-palestinian-conflict-matti-friedman.html>
2. <https://www.independent.co.uk/topic/israel-palestine-conflict>
3. <https://www.jewishvirtuallibrary.org/donald-trump-administration>

**მირანდა მიქაძე, ეკატერინე ლომია**

*კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, დოქტორანტურა  
ხელმძღვანელი: პროფესორი ვახტანგ მაისაია*

## **ევროკავშირის ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის რეალური გეოპოლიტიკური კონტურები: კრიზისების მართვის და სამხედრო მონიტორინგის ოპერაციები**

საქართველოს ევროპული ინტეგრაცია ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს და ამოცანას წარმოადგენს. აღნიშნული მოვლენა სრულად არის მხარდაჭერილი ქართული საზოგადოების უმრავლესობის მიერ. ევროპული ინტეგრაციის პოლიტიკური და ეკონომიკური ე.წ. „შიგთავსი“ საკმაოდ კარგად არის წარმოჩენილი, თუმცა ნაკლებად არის განხილული და აღქმული თუ როგორია ევროკავშირის სამხედრო-პოლიტიკური „შიგთავსი“. სწორედ ევროკავშირი საქართველოში წარმოდგენილია მისი სამხედრო-პოლიტიკური კომპონენტით, ანუ სამხედრო მონიტორინგის მისიით, რომელიც შეიქმნა 2008 წლის 12 აგვისტოს დადებული სამმხრივი – რუსულ-ქართულ-ფრანგული ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების საფუძველზე. დღესდღეობით, ევროპის ერთიანი საგარეო უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავება, ევროკავშირის მიერ დასახული სამი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტიდან, ერთ-ერთი უმთავრესია, რომლის ფარგლებში ევროკავშირის ქვეყნებმა საერთო თავდაცვის შემუშავებაზეც იზრუნეს და 2003 წლიდან თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში ევროკავშირის ეგიდით სხვადასხვა სამხედრო თუ სამოქალაქო ოპერაციების განხორციელებაც დაიწყეს. შედეგად, ევროკავშირი გვევლინება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს აქტორად საერთაშორისო არენაზე, რომლის მიმართაც საერთაშორისო საზოგადოების მოლოდინი დღითიდღე იზრდება.

საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა (CSDP) ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის (CFSP) შემადგენელი ნაწილია. თუ მხედველობაში არ მივიღებთ რამდენიმე გამონაკლისს რომელიც ეხება ევროპის თავდაცვის სააგენტოს (ევროსაბჭოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მე-5 მუხლი) და ე.წ. მუდმივი სტრუქტურული თანამშრომლობის ორგანოს, საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები ერთხმად მიიღება ევროპის საბჭოს მიერ, ევროკავშირის ხელშეუკრულების 42-ე მუხლის თანახმად, სადაც ხმის მიცემის წესით უპირატესობა ხმათა უმრავლესობას ენიჭება. მნიშვნელოვანი შეთავაზებები და გადაწყვეტილებები, როგორც წესი, ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის მიერ მიიღება, რომლის წარმომადგენელი ასევე ევროკავშირის ვიცე-პრეზიდენტის მოვალეობას ითავსებს.

მაშინ, როდესაც 2016 წლის ევროკავშირის გლობალური სტრატეგია ევროკავშირის საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის დეტერმინანტებს აყალიბებს, ლისაბონის ხელშეკრულება განმარტავს ინსტიტუციონალურ ასპექტებს და აძლიერებს ევროპარლამენტის როლს. ამასთანავე, აღნიშნულმა პოლიტიკამ ბოლო წლების განმავლობაში ძირითადი ცვლილებები განიცადა უსაფრთხოების სფეროში არსებული მზარდი გამოწვევების საპასუხოდ (Legrand, 2018).

ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა ევროკავშირის ხელშეკრულების საფუძველზე შეიქმნა, 1993 წელს და მიზნად ისახავს მშვიდობის შენარჩუნებას, საერთაშორისო

უსაფრთხოების გაძლიერებას, საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობასა და დემოკრატიული პრინციპების განვითარების. მისი ფუნდამენტური ღირებულებებია დაფუძნებულია კანონის უზენაესობასა და ადამიანის უფლებების პატივისცემაზე.

ამსტერდამის 1997 წლის ხელშეკრულება უფრო ეფექტიანი აღმოჩნდა გადაწყვეტილებების მიღების თვალსაზრისით, თუმცა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სწორედ ლისაბონის 2009 წლის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ევროკავშირის სამართალსუბიექტურობა მიენიჭა. აღნიშნული ხელშეკრულება უპირველეს ყოვლისა მიზნად ისახავდა ისეთი უნივერსალური სისტემის ჩამოყალიბებას ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის, რომელიც გადაწყვეტილებების მიღების კუთხით, შედარებით მარტივ სისტემას დაეფუძნებოდა (Turunen and Legrand, 2018).

ლისაბონის შეთანხმების მიხედვით, შეიქმნა ევროკავშირის საბჭოს პრეზიდენტის, ასევე, ევროკავშირის საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენლის თანამდებობები მათ მიზნად დაისახეს ევროკავშირის დონეზე გადაწყვეტილებების მიღების გაადვილება, რაც მისი წევრი ქვეყნების სიმრავლესთან ერთად, დროთა განმავლობაში, სულ უფრო გართულდა. ასევე, ცვლილებები შევიდა ხმის მიცემის პროცედურებში: 45-ზე მეტ სფეროში ერთსულოვნების პრინციპი შეიცვალა კვალიფიციური უმრავლესობის პრინციპით. (<http://infocenter.gov.ge/45-struqtura.html>)

2016 წლის 8 იანვარს, ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის საგარეო საქმეთა და უშიშროების პოლიტიკის სფეროში, ფედერიკა მოგერინის მიერ წარმოდგენილ იქნა ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის გლობალური სტრატეგია, რომლის მიხედვითაც ევროკავშირმა განსაზღვრა ხუთი ძირითადი პრიორიტეტი, ესენი:

- კავშირის უსაფრთხოება;
- სახელმწიფო და სოციალური მდგრადობა ევროკავშირის სამხრეთითა და აღმოსავლეთით;
- კონფლიქტებისადმი ინტეგრირებული მიდგომა;
- თანამშრომლობითი რეგიონული განკარგულებები;
- გლობალური მმართველობა 21-ე საუკუნეში.

ახალი სტრატეგიის განხორციელების მიზნით, ევროკავშირმა განიხილა და შეიმუშავა ახალი გეოგრაფიული სტრატეგიები; აღნიშნული ასევე ითვალისწინებს დარგობრივ სტრატეგიას, რომელიც განსაზღვრავს ევროკავშირის სამოქალაქო ინტეგრაციის დონის ამაღლებას, ამოცანებს, მოთხოვნებსა და შესაძლებლობებს. 2016 წლის 14 ნოემბერს საგარეო საქმეთა საბჭომ წარადგინა ევროკავშირის ერთიანი და საგარეო უსაფრთხოების პოლიტიკის განხორციელების გეგმა, ევროკავშირის თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებული პოზიციის გადახედვის მიზნით. აღნიშნულის შედეგად კი სამი კომპონენტი გამოიკვეთა.

- გარე კონფლიქტებსა და კრიზისებზე შესაბამისი რეაგირება;
- პარტნიორების ზრდის შესაძლებლობა;
- ევროკავშირისა და მასში განწევრიანებული ქვეყნების მოქალაქეების დაცვა (Turunen and Legrand, 2018; Haine, 2004).

შავი ზღვის რეგიონი, რომელიც ევროპასა და აზიას შორის დამაკავშირებელ უდიდეს სატრანზიტო დერეფანს ქმნის, მდიდარია ბუნებრივი რესურსებითა და კულტურული მრავალფეროვნებით. ამასთანავე, რეგიონი ხასიათდება მუდმივი სახელმწიფო სისუსტით, დესტრუქციული ქმედებებითა და გადაუჭრელი კონფლიქტებით, რომელიც განსაკუთრებით გამწვავდა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომ პერიოდში. საყურადღებოა, ევროკავშირის პოლიტიკა შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოების კუთხით (გოგოლაშვილი, 2018).

ბოლო რამდენი წლის განმავლობაში შავი ზღვის რეგიონი ევროკავშირისთვის განსაკუთრებულად მიმზიდველი გახდა. ევროკავშირის 2004 და 2007 წლის გაფართოების ტალღებმა ორგანიზაცია შავი ზღვის საზღვრებს დაახლოვა. აღმოსავლეთის ახალ წევრ სახემლნიფოებს, შავი ზღვის რეგიონის ჩათვლით, ევროკავშირთან აქტიურად თანამშრომლობის მზარდი ინტერესი გაუჩნდა, რამაც მათ ეკონომიკურ პოლიტიკაში ჰპოვა გამოძახილი. ამასთანავე, რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომმა დაძაბულობამ პოსტ საბჭოთა სივრცეში, მკვეთრად გააუარესა რუსეთ-ევროკავშირის ურთიერთობები, რომელიც თავის მხრივ აიძულებს ევროკავშირს ახალი გზებისა და სტრატეგიების ძიებას მის აღმოსავლეთ პარტნიორებთან მიმართებაში. ევროკომისიის მიერ 2007 წლის აპრილში გამოქვეყნებული დოკუმენტი შემდეგნაირად განსაზღვრავს შავი ზღვის რეგიონს:

„მკაფიოდ გამოკვეთილი გეოგრაფიული ტერიტორია, რომელიც მდიდარია ბუნებრივი რესურსებით და წარმოადგენს ევროპის, ცენტრალური აზიისა და ახლო აღმოსავლეთის მთავარ მაკავშირებელ სახსარს. მზარდი მოსახლეობით, რეგიონი არა ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემისა თუ გამოწვევის წინაშე დგას. იგი განვითარების დიდი პოტენციალითა და სატრანსპორტო ნაკადების მნიშვნელოვანი კერებით ხასიათდება. თუმცა, ეს არის აგრეთვე გადაუჭრელი კონფლიქტების რეგიონი, გარემოსდაცვითი პრობლემითა და საზღვრების არასათანადო კონტროლით, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობს უკანონო მიგრაციასა და ორგანიზებულ დანაშაულს“ (European Commission, 2007: 2).

აღნიშნული განსაზღვრება ცხადყოფს ევროკავშირის მოტივებს, ღრმად ჩაერთოს შავი ზღვის რეგიონთან დაკავშირებულ საკითხებში და იმ გამოწვევებში რომლის წინაშეც რეგიონი დგას. თუმცა, აღნიშნული პრობლემის გათვალისწინებისა თუ ცივი ომის განმავლობაში გაბატონებული რეალობის ფონზე, მკვლევართა დიდი ნაწილი დღესაც დავობს, რამდენად მართებულია შავი ზღვის რეგიონს ეწოდოს ე.წ. „შემაკავშირებელი რეგიონი“.

რუსეთ-საქართველოს ომმა კიდევ ერთხელ დაანახა მსოფლიოს შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები, რომელიც რეგიონში არსებულ გადაუჭრელ კონფლიქტებთან არის დაკავშირებული. ძალადობის წარმოშობამ დააფიქრა მსოფლიო პოლიტიკის მთავარი აქტორები, როგორც რეგიონს შიგნით, ასევე მის გარეთ თუ რამდენად მყიფეა ე.წ. „გაყინული კონფლიქტების“ ბალანსი რეგიონში და რამდენად მცირე კონტროლი აქვს საერთაშორისო საზოგადოებას მასზე. მეორე მხრივ, აღსანიშნავია, რომ დნეპრისპირეთის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და მთაწინი-ყარაბაღის კონფლიქტების ბუნება მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან და დამოკიდებულია მთელ რიგ ფაქტორებზე, როგორცაა, აღნიშნული ქვეყნების პოლიტიკური კურსი, მათი ეთნოპოლიტიკური რეალობა, რუსეთისა და სხვა გარე პოლიტიკური მოთამაშეების როლი კონფლიქტების გაღვივების კუთხით და სხვა. ვარაუდობენ, რომ 2008 წლის აგვისტოში საქართველოში განვითარებული მოვლენები არ არის პრეცედენტი რეგიონში სხვა გადაუჭრელი კონფლიქტებისათვის.

დნეპრისპირეთის რუსულენოვან მოსახლეობასა და მოლდოვას შორის დაძაბულობა 1980-იანი წლების მეორე ნახევრიდან იწყება, მიუხედავად იმისა რომ მათ შორის მნიშვნელოვნად მზარდი სოციალური და ეკონომიკური კავშირებია, დნეპრისპირეთის მხრიდან ევროკავშირთან ურთიერთობის დათბობის პარალელურად, მოლდოვის რესპუბლიკა ცდილობს დნეპრისპირეთის რეინტეგრაციას, ახორციელებს რა შედარებით პრაგმატულ პოლიტიკას და ადგილობრივ მოსახლეობას სთავაზობს მოლდოვის მოქალაქეობას (Schorkowitz, 2008, 170). მაშინ როდესაც კიშინიოვი აქტიურად ცდილობს ევროკავშირთან სავაჭრო ურთიერთობების დამყარებასა და პოლიტიკური კლიმატის დათბობას რუსეთთან, ევროპის უსაფრთხოებისა და თა-

ნამშრომლობის ორგანიზაციის (OSCE) წევრი სახელმწიფო, რუსეთი, ერთი მხრივ თანამშრომლობს მოდოვასთან, მეორე მხრივ კი პოლიტიკურ და ეკონომიკურ ზეწოლას ახორციელებს მასზე.

სამხრეთ ოსეთმა შეინარჩუნა ე.წ. „შერეული წყობის“ სისტემა 1992-1993 წლების სამოქალაქო ომის შემდგომ პერიოდშიც, რომელიც გაგრძელდა რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომამდე. თუმცა, სამხრეთ ოსეთის ეთნოპოლიტიკური კონფლიქტი მისი ხასიათით განსხვავდება ქართულ-აფხაზური კონფლიქტისაგან, რომელმაც ასევე სამხრეთ ოსეთის ომის პარალელურად იფეთქა საქართველოში (Coppieters, 2004). ვარდების რევოლუციამ მნიშვნელოვნად შეცვალა ქართული პოლიტიკა კონფლიქტების გადაჭრის კუთხით. პრეზიდენტ სააკაშვილმა მთავარ პრიორიტეტად ქვეყნის რეინტეგრაცია აქცია და მიზნის განსახორციელებლად გაცილებით აქტიურ და ნაციონალისტურ პოლიტიკას მიჰყვა. საქართველოს პრო-დასავლურმა ორიენტაციამ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გაუარესება გამოიწვია. მოსკოვი, თავის მხრივ, გაცილებით მეტად ჩაერია სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის რეგიონების საშინაო პოლიტიკაში. გამომდინარე იქიდან, რომ სამხრეთ ოსეთისა და რუსეთის ხელისუფლებას მჭიდრო კავშირი აქვს ჩრდილოეთ ოსეთთან, რუსეთი მიზანმიმართულად შეეცადა ორი რეგიონის ერთმანეთთან შეკავშირებას (Phkhaladze and Silayev, 2011; Sharashenidze and Sukhov, 2011). ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ქმედება რუსეთის მხრიდან ე.წ. „პასპორტიზაციის“ პოლიტიკა იყო სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში, რომელიც 2002 წლიდან დაიწყო. 2008 წლისთვის კი ორივე რეგიონის მოსახლეობის 80-90%-ს უკვე ჰქონდა რუსეთის მოქალაქეობა, რომელმაც აღნიშნულ რეგიონებში არა მარტო რუსეთის პოლიტიკური გავლენის არეალის ზრდა გამოიწვია, არამედ უზრუნველყო კრემლი დაეცვა საკუთარი მოქალაქეების „იურიდიული უფლებები“ ქართული აგრესიისგან (Fischer, 2009).

ენერგეტიკული ექსპორტისთვის სატრანზიტო ქვეყნის პოზიციის გამო საქართველოში განვითარებული მოვლენები დასავლური პოლიტიკისა და დებატების ცენტრალურ პუნქტად იქცა. დასავლელმა პოლიტიკურმა აქტორებმა თანდათანობით გააძლიერეს თავიანთი ჩართულობა საქართველოში არსებული კონფლიქტების მოგვარების საკითხში. აშშ-მ საქართველოს სამხედრო რეფორმებში მხარდაჭერა გამოუცხადა, ხელი შეუწყო ქართული არმიის ჩამოყალიბებას და ქვეყანას ნატო-ში ინტეგრაციისკენ მოუწოდა. ევროკავშირი გააქტიურდა ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმით, ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის მეშვეობით სამხრეთ კავკასიაში. თუმცა, აღნიშნულმა ფაქტებმა ვერ უზრუნველყო ომის თავიდან აცილება. პირიქით, დასავლეთთან საქართველოს დაახლოებამ კიდევ უფრო დაძაბა პოლიტიკური ვითარება კონფლიქტის ზონაში და გააღვივებინა საქართველოს ჩრდილოელი მეზობელი, რუსეთი. რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებით ოფიციალური მოსკოვი, ცხინვალი და სოხუმი მიიჩნევენ რომ კონფლიქტი დარეგულირებულია, რომელსაც რა თქმა უნდა არ იზიარებს საქართველოს მთავრობა. დაძაბულობა და დესტაბილიზაცია ადმინისტრაციულ საზღვრებს მიღმა უკონტროლო ხდება, რაც თავის მხრივ ქმნის მომდევნო ესკალაციის საშიშროებას (Fischer, 2009)

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტსა და აფხაზეთის კონფლიქტს შორის პარალელის გავლება შეიძლება, ამასთანავე აღსანიშნავია როგორც სომხეთის ისე აზერბაიჯანის საშინაო პოლიტიკის დეტერმინანტები, რაც მათ ერთობ ნაციონალისტურ რიტორიკაში ვლინდება. ამ ყველაფერზე დიდი გავლენა მოახდინა აღნიშნული ქვეყნების სამხედრო აყვავებამ, რამაც 2008 წლის აგვისტომდეც კონფლიქტის ესკალაციის საშიშროება შექმნა. ამასთანავე, სომხეთი და აზერბაიჯანი ცდილობენ რუსეთისა და დასავლეთის გავლენის დაბალანსებას. საქართველოსგან გან-

სხვაგვებით, ისინი არ ესწრაფვიან დასავლეთის საერთაშორისო სტრუქტურებთან მყისიერ ინტეგრაციას. სომხეთი, როგორც „ჩაკეტილი“ ქვეყანა, რომელსაც არ აქვს გასასვლელი ზღვაზე, დამოკიდებულია რუსულ მხარდაჭერაზე. მას მჭიდრო კავშირები აქვს აშშ და საფრანგეთთან და ცდილობს თანამშრომლობას ევროკავშირთან. აზერბაიჯანი, როგორც ენერგომომმარაგებელი და სატრანზიტო ქვეყანა, განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობით სარგებლობს სამხრეთ კავკასიის რეგიონში. რუსულ-სომხური ურთიერთობებისგან განსხვავებით, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში აზერბაიჯანის პოლიტიკა შედარებით დისტანციურია და ცდილობს სტრატეგიული მოკავშირეობის შენარჩუნებას თურქეთთან.

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი სახიფათო რეგიონალური განზომილებით ხასიათდება. კონფლიქტი მოიცავს არა მარტო ორ სამხრეთ კავკასიურ სახელმწიფოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს, არამედ ასევე ორ მნიშვნელოვან რეგიონალურ აქტორს რუსეთსა და თურქეთს, კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციასთან ერთად (GSTO), რომლის წევრი სახელმწიფოც სომხეთია. უფრო მეტიც, სამხედრო ესკალაციამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს ირანზეც, თუ გავითვალისწინებთ აზერბაიჯან-ირანის სამხრეთ საზღვარზე მცხოვრებ აზერბაიჯანულ უმცირესობას. ეს და სხვა ფაქტორები, გავლენას ახდენენ რუსეთის დამოკიდებულებაზეც.

რუსეთის მიერ საქართველოში კონფლიქტის შემდეგ ყირიმის ნახევარკუნძული აღმოჩნდა მომდევნო ცხელი წერტილი რეგიონში. რუსეთის ფედერაციის მიერ ყირიმის ნახევარკუნძულის ანექსიამ აღმოსავლეთ უკრაინაში მიმდინარე სისხლიანი დაპირისპირების შემდეგ ძალიან დაძაბა ურთიერთობა ყირიმისა და კიევს შორის, რომელიც აღვივებს პოტენციურ კონფლიქტს რუსეთ-უკრაინას შორის.

ამდენად, შავი ზღვის რეგიონის ყველა პოსტ-საბჭოთა სახელმწიფო ხასიათდება საერთო ნიშნით, რაც გამოიხატება რეგიონებში არსებული პოლიტიკური არასტაბილურობითა და კორუფციის მაღალი დონით. უკრაინასა და საქართველოს ფერადი რევოლუციების შემდეგ მართალია ქვეყნები დაადგინეს შიდა რეფორმებისა და დემოკრატიული პრინციპების განვითარების გზას, რომელიც მიზნად ისახავს შედარებით აქტიური სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას, თუმცა, პოლიტიკური არასტაბილურობა, დაპირისპირება ელიტებს შორის და კორუფციული ქმედებები მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება პოსტ-საბჭოთა სივცეში. აღნიშნული კიდევ უფრო მწვავედება საქართველოსა და უკრაინაში რუსეთის ოკუპაციის შემდეგ შექმნილი ეკონომიკური და ფინანსური კრიზისის ფონზე. ცალკე აღნიშვნის ღირსია ბოლო წლებში პოლიტიკური დემონტრაციები სომხეთის რესპუბლიკაში. აზერბაიჯანის ენერგორესურსების ზრდა კი მიმდინარეობს განსაკუთრებული კორუფციული პოლიტიკური რეჟიმების წარმოქმნით ქვეყანაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შავი ზღვის რეგიონში მუდმივი სახელმწიფო სისუსტე ქმნის ავტორიტარულ ტენდენციებს, არასტაბილურობასა და კორუფციას. დესტრუქციული ქმედებები და მკვეთრი ნაციონალიზმი, დაძაბული პოლიტიკური კლიმატი და გადაუჭრელი კონფლიქტები კიდევ უფრო ართულებს შიდა რეფორმების განხორციელებას, პოლიტიკურ ელიტას ორ ნაწილად ყოფს და აფერხებს საშინაო და საგარეო სტაბილურობას. აღნიშნული საფრთხეს უქმნის არა მარტო შავი ზღვის რეგიონის, არამედ ევროპის უსაფრთხოებასაც.

ამრიგად, რეგიონში არსებული დაძაბული პოლიტიკური კლიმატის ფონზე, ევროკავშირის კრიზისების მართვისა და სამხედრო მონიტორინგის პოლიტიკა დიდ როლს თამაშობს აღნიშნულ რეგიონში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის შენარჩუნების კუთხით. ევროკავშირი გვევლინება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს აქტორად საერთაშორისო არენაზე, რომლის მიმართაც, როგორც საერთაშორისო საზოგადოების, ასევე საქართველოს მოლოდინი დღითიდღე იზრდება.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. გოგოლაშვილი კ., „ევროკავშირის შავი ზღვის პოლიტიკა და გაფართოება, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევუს ფონდი“, თბილისი 2018
2. Bebler Antony: “The Russian-Ukrainian conflict over Crimea“. Teorija in Praksa, 52(1/2), p.196, 2015
3. Coppiers Bruno: “The Georgian–Abkhaz conflict. In Europeanization and conflict resolution: Case studies from the European periphery, journal on Ethno-Politics and Minority Issues in Europe 1, 2004
4. “Communication from the Commission to the Council and the European Parliament, Black Sea Synergy: A new regional cooperation initiative, 160 final. Brussels: EU Commission“, 2007
5. Fischer Sabine: “The European Union and security in the Black Sea region after the Georgia crisis“, Southeast European and Black Sea Studies, 9(3), pp.333-349, 2009
6. Legrand Jerome: “Does the New EU Global Strategy Deliver on Security and Defence. European Parliament, September“, 2018
7. Haine Jean-Yves: “The EU's Soft Power-Not Hard Enough. Geo. J. Int'l Aff., 5, p.69“, 2004
8. Pkhaladze Tengiz and Silayev Nikolay: “Russian-Georgian relations in context of European security“. Russia and Georgia: in search of way out. Documents of social policy developed by Russian and Georgian experts. Tbilisi: Georgian foundation for strategic and international studies, 2011
9. Schorkowitz Dittmar: “Postkommunismus und verordneter Nationalismus: Gedächtnis, Gewalt und Geschichtspolitik im nördlichen Schwarzmeergebiet [Post-communism and imposed nationalism: memory, violence and the politics of history in the northern Black Sea region]“. Frankfurt am Main: Peter Lang Verlag, 2008
10. Sharashenidze Tornike, Sukhov Ivan: “North Caucasus from the standpoint of Russian-Georgian relations“, in search of way out, Documents of social policy developed by Russian and Georgian experts. Tbilisi: Georgian foundation for strategic and international studies, 2011
11. Turunen Tuula, Legrand Jerome: “Foreign policy: aims, instruments and achievements“, 2018

### ინტერნეტ რესურსი:

1. <http://infocenter.gov.ge/45-struqtura.html> (საქართველო და ევროკავშირი, საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ)



## XXI საუკუნის გამოწვევა – კიბერუსაფრთხოება და საინფორმაციო ომი

საქართველოს უსაფრთხოების სამსახურის 2018 წლის ანგარიშში ნათქვამია, რომ დღეს ქვეყნის უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვან რისკს წარმოადგენს უცხო ქვეყნების სპეცსამსახურებისა და მათ მიერ კონტროლირებადი ჰაკერული ჯგუფების მიერ სამთავრობო და კრიტიკული ინფრასტრუქტურის ობიექტებზე კიბერშეტევებისა და კიბერსადაზვერვო ოპერაციების განხორციელება.

რასაკვირველია, მსგავსი საფრთხეების თავიდან აცილება შეუძლებელია თანამედროვე ტექნოლოგიების, პროფესიონალი კადრებისა და წამყვან სახელმწიფოებთან თანამშრომლობის გარეშე. ამ შემთხვევაში მთელი დანოლა მოდის კონტრდაზვერვაზე.

საქართველო რომ მუდმივი საფრთხის წინაშე დგას და ყოველდღიურად პროვოკაციის მოლოდინში ვართ, ეს არაერთხელ დადასტურდა არა მხოლოდ პოლიტიკური თვალსაზრისით, არამედ სოციალური თუ კულტურული კუთხითაც. 2019 წლის დასაწყისიდან, რაც რუსულმა ფარულმა ძალებმა საპრეზიდენტო არჩევნებში წარმატებას ვერ მიაღწიეს, ვლადიმერ პუტინის „პიარშიკებმა“ საქართველოში ყოფილი საბჭოთა დიპლომატი ვერ გააპრეზიდენტეს, ტაქტიკა შეცვალეს და აშკარად დაიწყეს ამიერკავკასიაში სიტუაციის არევა, ანუ დაპირისპირების პროვოცირება მეზობელ აზერბაიჯანთან. საამისოდ ძალიან მსუყე ნიადაგია დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი, სადაც საზღვარი წარმოადგენს სადავო თემას კომუნისტების დროიდან მოყოლებული. როგორც კი პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი ჩავიდა აზერბაიჯანში და ერთ-ერთ საკითხად საზღვრის დემარკაცია დააყენა, მეორე დღესვე იწყება თავდასხმები სოციალური ქსელების მეშვეობით და მედიასაშუალებებით – თურმე ზურაბიშვილმა დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი უპირობოდ გაყიდა. თუმცა უპირობოდ გაყიდვა რას ნიშნავს, ეს გაუგებარია, თუ რალაცას ჰყიდი, მაშინ სანაცვლოდ რალაცა უნდა მიიღო. ამ შემთხვევაში, როცა საქმე გვაქვს მტრულ პროპაგანდასთან, ამ პროპაგანდის მწარმოებლები ცდილობენ, გაუთვით-ცნობიერებელ ადამიანებს თავზე მოახვიონ მარტივი სქემა – გაყიდა, გაასხვისა, გააჩუქა. დავით გარეჯის თემას რომ პროვოკაციის სუნი უდის და გარე ძალები შიდა ძალების ხელით ცდილობენ აზერბაიჯანთან სიტუაციის დაძაბვას, ამას მოწმობს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის განცხადებაც: „ბოლო დროს გარეჯის მრავალმთის უდაბნოსთან დაკავშირებით, განვითარებული მოვლენების ანალიზი ტოვებს შთაბეჭდილებას იმისა, რომ საეკლესიო თემიდან გამომდინარე, აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის სერიოზული პრობლემების შექმნა სურს სხვა ძალას, რომელიც თავისი მიზნის განხორციელებისთვის, სამწუხაროდ, დასაყრდენს პოულობს როგორც ერთ, ისე მეორე ქვეყანაში“. (ილია მეორე, 2019,1)

მტერი ცდილობს, დაყოს კავკასია და იბატონოს. რა თქმა უნდა, დაყოფილ-გადამტერებული კავკასია უკვე დიდი პრობლემა ხდება როგორც ნატოსთვის, ისე ევროკავშირისთვის. ამ შემთხვევაში რუსეთი იჭერს რამდენიმე კურდღელს: პირველი – პოლიტიკური თვალსაზრისით შლის ამიერკავკასიას, მეორე – ეკონომიკურად ასუსტებს სამივე რესპუბლიკას, მესამე – კავ-

კასიას აქცევს საფრთხის შემცველ რეგიონად, სამივე სახელმწიფოში მინიმუმამდე მცირდება ინვესტიციების მოზიდვის შანსი და კვდება ტურიზმი.

დღევანდელ რეალობაში კიბერშეტევები თან სდევს ყველა სამხედრო კონფლიქტს, რომელიც ჩვენს გარშემო მიმდინარეობს. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ 2008 წლის აგვისტოს ომი. ამ ომის დროს, სამხედრო ინტერვენციასთან ერთად საქართველოს წინააღმდეგ რუსეთიდან სახელმწიფო უწყებების და საინფორმაციო სააგენტოების ვებ-გვერდებზე განხორციელდა კიბერშეტევები, რამაც მწყობრიდან გამოიყვანა თითქმის ყველა სახელმწიფო და საინფორმაციო ვებ-გვერდები. 9 აგვისტოს ყველა ქართული დომეინი აღარც კი იძებნებოდა. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერდზე შესვლისას იტვირთებოდა საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისა და ჰიტლერის სურათები (Markof J. 2008; 1).

ეს ინფორმაცია 2009 წლის საგარეო საქმეთა სამინისტროს ანგარიშშიც არის ასახული.

ერთ-ერთი მძლავრი მექანიზმი, საინფორმაციო ომისა, რომელიც მსოფლიო ისტორიაში სხვადასხვა სახით ყოველთვის არსებობდა, აქტიურად გამოიყენება კიბერნეტიკულ სივრცეში – ეს არის ყველაზე საფრთხის შემცველი კომპონენტი – დეზინფორმაცია. სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო სამსახურები ახლაც და ადრეც ინტენსიურად იყენებდნენ ამ მეთოდს. დეზინფორმაცია, როგორც მსოფლიო გლობალური მასშტაბით, ისე საქართველოშიც ყოველდღიურობის შემადგენელი ნაწილია, რომელიც მოსახლეობის დაბალ ფენებზე ეფექტურად მუშაობს.

მსოფლიოში არსებობს კიბერუსაფრთხოების გლობალური ინდექსი, სადაც 2017 წელს 165 ქვეყანას შორის საქართველო იყო მე-8 ადგილზე. ინდექსს ადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალიზებული ორგანო – საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირი (ITU) და 2 წელიწადში ერთხელ აქვეყნებს. კვლევის საანგარიშო პერიოდი გახლდათ 2015 წლიდან 2017 წლის დასაწყისამდე. მაშინ საქართველოს იუსტიციის სამინისტროში აცხადებდნენ, რომ ეს იყო იმ პროგრესის აღიარება, რომელსაც ქვეყანა კიბერუსაფრთხოების სფეროში წლიდან წლამდე აჩვენებს. ეს ადასტურებს, რომ კიბერუსაფრთხოების თვალსაზრისით საქართველო აღიარებულია, როგორც მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დაცული და უსაფრთხო ქვეყანა.

კვლევის საგანს წარმოადგენდა 5 ძირითადი კომპონენტი – საკანონმდებლო ბაზა, ტექნიკური მზაობა, ორგანიზაციული მოწყობა, შესაძლებლობების განვითარება და თანამშრომლობისთვის ღიაობა. ამ 5 კომპონენტიდან, რა თქმა უნდა, ყველა მნიშვნელოვანია, მაგრამ მთავარი მაინც ტექნიკური ბაზაა. თუ კვლევის საგანია მხოლოდ მზაობა, მაშინ საქართველოსთვის მიკუთვნებული რეიტინგი დამაჯერებელია. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მხოლოდ ორგანიზაციულ მოწყობასთან, თანამშრომლობის ღიაობასთან და არა დღევანდელ შესაძლებლობასთან. 2017 წელს იუსტიციის სამინისტროში აცხადებდნენ, რომ ამის მიღწევა-შენარჩუნება-განვითარება კომპლექსური საკითხი იყო და სხვადასხვა უწყებები დაულაღვად იშრომებდნენ. ეს უწყებებია: იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტო, კრიზისებისა და უსაფრთხოების საბჭო, რომელიც შემდგომში გაუქმდა. ასევე, თავდაცვის სამინისტროს კიბერუსაფრთხოების ბიურო, შინაგან საქმეთა სამინისტრო და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური. ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, ინდექსის შედეგებზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი დახმარების ჯგუფის (CERT.GOV.GE) არსებობამ და წარმატებულმა მუშაობამ როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ასპარეზზე. ეს ჯგუფი იუსტიციის სამინისტროს „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ სტრუქტურის ნაწილია და პასუხისმგებელია კიბერუსაფრთხოების განვითარება-შენარჩუნებაზე, კიბერინციდენტების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების გატარებაზე და ასე შემდეგ. რა მოხდა ამ კუთხით ბოლო ორ წელიწადში? მერამდენე ადგილზე ვართ 2019 წლის მონაცემებით?

ამჟამად კიბერუსაფრთხოების ინდექსით, საქართველო მსოფლიოში მე-19 ადგილზეა. ინდექსში საქართველოს 100 სარეიტინგო ქულიდან 64.94 აქვს. ციფრული განვითარების დონით კი საქართველოს სარეიტინგო ქულა 59.66-ია. რეიტინგში პირველ ადგილზე საფრანგეთია – 83.12 ქულით. მას მოსდევს გერმანია 83.12 ქულით და ესტონეთი 81.82 ქულით. რომელ ქვეყნებს ვუსწრებთ? იტალიას, რუსეთს, ნორვეგიას, ლუქსემბურგს, შვედეთს (საინფორმაციო... 2018; 1)

თუ საქართველო 2017 წელს იყო მე-8 ადგილზე და ორ წელიწადში ჩამოქვეითდა მე-17 ადგილამდე, ამ შემთხვევაში არსებობს ორი ვერსია: პირველი – ჩვენთან გაუარესდა სიტუაცია; მეორე – სხვა ქვეყნებმა გააუმჯობესეს მდგომარეობა. ნუ გამოვრიცხავთ, რომ რეიტინგზე უარყოფითად იმოქმედა ბერი სალოსის ქუჩაზე ჩატარებულმა სპეცოპერაციამ და შემდეგ პანკისში, მაჩალიკაშილებთან დაკავშირებით განვითარებულმა მოვლენებმა. ასევე საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების 2018 წლის ანგარიშში ხაზგაზმით არის აღნიშნული რუსეთიდან მომდინარე საფრთხეების შესახებ და საუბარია იმაზეც, თუ როგორ არის გააქტიურებული პროპაგანდა. ბოლო 2 წელიწადში ასევე გააქტიურდა ე.წ. ფეიკ-ნიუსების თემაც არა მხოლოდ ქვეყნის გარედან, არამედ ქვეყნის შიგნითაც. ჩვენ შეგვიძლია, ფეიკ-ნიუსს, როგორც ასეთს, თამამად მივანიჭოთ საინფორმაციო ომის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტის სტატუსი და ვუწოდოთ „თანამედროვეობის შავი ჭირი“. თუ ორიოდ წლის წინ „ფეიკი“ გახლდათ სამოყვარულო დონეზე, დღეს უკვე შექმნილია არაერთი ე.წ. ფაბრიკა, სადაც ათასობით ადამიანი დასაქმებული და მილიონობით დოლარიც იხარჯება. სწორედ ამიტომ დაინყო ევროკავშირმა ყალბ ახალ ამბებთან ბრძოლის გაძლიერება და ევროკომისიამ დეზინფორმაციის გავრცელების წინააღმდეგ სამოქმედო გეგმაც კი წარადგინა. ამ გეგმის პრეამბულაში ნათქვამია, რომ უნდა გავაერთიანოთ ძალისხმევა, რათა ჩვენი დემოკრატია უკეთ დავიცვათ დეზინფორმაციისგან.

სამოქმედო გეგმის თანახმად, უკვე გაიზარდა ევროკავშირის საგარეო პოლიტიკური უწყებების ბიუჯეტი – კერძოდ, 2019 წლის ბიუჯეტში სტრატეგიულ კომუნიკაციებზე 5 მილიონი ევრო დაიხარჯება. ორი წლის განმავლობაში დაგეგმილია იმ უწყების თანამშრომელთა გაზრდა, რომელსაც დეზინფორმაციის გამოვლენა ევალება. 2019 წლის მარტიდან დეზინფორმაციულ კამპანიებზე სწრაფი რეაგირების სისტემაც ამოქმედდა, რომლის საშუალებითაც ევროკავშირის წევრი ქვეყნები ყალბი ამბების გავრცელების შესახებ ინფორმაციას მარტივად და სწრაფად მიიღებენ. (საზოგადოებრივი მაუწყებელი... 2018;1).

ევროკომისიის პრეზიდენტი ჟან-კლოდ იუნკერი აცხადებს, რომ, ხშირ შემთხვევაში, ყალბი ახალი ამბები არა მხოლოდ მედიით, არამედ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების პრემიერ-მინისტრებისგანაც ვრცელდება. მაგალითისთვის იუნკერმა უნგრეთის პრემიერი ვიქტორ ორბანი მოიყვანა: „მაგალითად, როდესაც ბატონი ორბანი ამბობს, რომ მიგრანტები არიან პასუხისმგებელნი ბრექსიტზე, ეს არის არასწორი განცხადება. შეიძლება ითქვას, ყალბი ახალი ამბავი. ასე რომ, მხოლოდ მედიას ნუ დავადანაშაულებთ“. (საზოგადოებრივი მაუწყებელი, 2019; 1).

საქართველოს მაგალითზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2010 წლიდან მუშაობს „**უსაფრთხოების ექსპერტთა კავკასიის აკადემია**“ – (CASE), (პატარაია, 2010; 1) რომელიც გადამზადებას და სწავლებას უწევს სამხედროებს, სამართალდამცავებს, დიპლომატებს, მსხვილ კორპორაციებს და სტუდენტებს. 2012 წლიდან, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინიციატივით საქართველოში **კიბერუსაფრთხოების სკოლა (საქართველოს განათლების... 2012; 1)** ამოქმედდა, სადაც ნებისმიერ მსურველს შეუძლია გადამზადება გაიაროს. 2013 წლის მაისში საქართველოს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა **საქართვე-**

**ლოს კიბერ უსაფრთხოების სტრატეგიას (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო... 2013; 1) 2013-2014 წლებისთვის, რომელიც წარმოადგენს კიბერ უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელ მთავარ დოკუმენტს. 2014 წლის 6 თებერვალს საქართველოს თავდაცვის მინისტრის N8 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა სსიპ „კიბერუსაფრთხოების ბიურო“ (სსიპ „კიბერუსაფრთხოების ბიურო“..., 2014;1) და დამტკიცდა მისი დებულება. საქართველოში ასევე ფუნქციონირებს „კიბერუსაფრთხოების ასოციაცია“, (კიბერუსაფრთხოების ასოციაცია..., 2017;1) რომელიც ახორციელებს ტრენინგებს და გადამზადებას, კიბერ უსაფრთხოების სფეროში.**

კიბერდანაშაულის გამოძიება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია სახელმწიფოს გამართული ფუნქციონირების კუთხით. ამას კი სჭირდება სათანადო ტექნიკური და საკანონმდებლო ბაზა, კვალიფიციური კადრები, თანამშრომლობა პარტნიორ ქვეყნებთან და ასე შემდეგ. საქართველოს მთავარ პროკურატურაში პერიოდულად კიბერდანაშაულის გამოძიებისა და ელექტრონული მტკიცებულებების თემაზე სამართალდამცავი უწყებების წარმომადგენლებისთვის მიმდინარეობს ერთობლივი ტრენინგი. ამ საქმეში ჩართულია ნატო-ს სამეკავშირეო ოფისი საქართველოში და აშშ-ის საელჩო, რომელთა მიზანი გახლავთ კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში ქართველი სამართალდამცველების პროფესიული გაძლიერება და წარმატებული საერთაშორისო პრაქტიკის გაცნობა.

დღეს კიბერსივრცეში მოქმედებს 10 ათასზე მეტი ვებ-საიტი, რომლის მეშვეობითაც ვრცელდება ჯიჰადისტური იდეოლოგია და ტერორიზმის პრაქტიკა. 10 ათასზე მეტ ვებ-საიტს თუ დავეუმატებთ მრავალფეროვან სოციალურ ქსელებს, მივიღებთ ძალიან დიდ საშიშროებას, რომელსაც ასევე სჭირდება უფრო მეტი სიმძლავრებით წინააღმდეგობის განევა. ეს კი არ მოხერხდება ინდივიდუალურად, ერთი რომელიმე, თუნდაც სუპერ-სახელმწიფოს ეგვიდით. ამ შემთხვევაში საჭიროა უპრეცედენტო თანამშრომლობა და ახალ ტექნოლოგიებზე მუშაობა.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ილია მეორე, „საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის განცხადება გარეჯთან დაკავშირებით“, თბილისი, მაი 28, 2019 წ. გვ. 1, <http://lid.ge>;
2. Markof J. „Before the Gunfire, Cyberattacks“, „The New York Times“, USA, Aug. 12, 2008 year, page 1, <http://nytimes.com>;
3. „საინფორმაციო პორტალი იმედი-ნიუსი“, „კიბერუსაფრთხოების ინდექსით, საქართველო მსოფლიოში მე-19 ადგილზე“, თბილისი, აგვ. 2, 2018 წ. გვ. 1, <http://imedinews.ge>;
4. „საზოგადოებრივი მაუწყებელი“, „ევროკომისიამ დეზინფორმაციასთან ბრძოლის გეგმა წარადგინა“, თბილისი, მაი. 5, 2018 წ. გვ. 1, <http://1tv.ge>;
5. „საზოგადოებრივი მაუწყებელი“, „ჟან-კლოდ იუნკერი აცხადებს, რომ ყალბი ამბები არა მხოლოდ მედიით, არამედ ევროკავშირის წევრი ქვეყნების პრემიერებისგანაც ვრცელდება“, თბილისი, დეკ. 14, 2019 წ. გვ. 1, <http://1tv.ge>;
6. პატარაია ლ. „უსაფრთხოების ექსპერტთა კავკასიის აკადემია“, თბილისი, 2010 წ. გვ. 1, <http://globalcase.org>;
7. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, თბილისი, 2012 წ. გვ. 1, <http://mes.gov.ge>;
8. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, „კანონმდებლობა კიბერ დანაშაულზე და ზოგადი პოლიტიკა“, თბილისი, 2013 წ. გვ. 1. <http://police.ge>;
9. სსიპ „კიბერუსაფრთხოების ბიურო“, დებულება, თბილისი, 2014 წ. გვ. 1, <http://csbd.gov.ge>;
10. კიბერუსაფრთხოების ასოციაცია, თბილისი, 2017 წ. გვ. 1, <http://scsa.ge>;

მარიამ რაზმაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი, მაგისტრატურა  
ხელმძღვანელი: პროფესორი დავით მაზიაშვილი

## მაგიური რეალიზმი სალმან რუსდის რომანში „ეშაკაული აიები“

ტერმინი მაგიური რეალიზმი თავისი მოცემულობით წინააღმდეგობრივია, რადგან ის, ერთი მხრივ, მოიცავს ლიტერატურის რეალისტურ გამოცდილებას, რომელიც სამყაროში მიმდინარე მოვლენებს აღწერს ზედმინევენითი სიზუსტით, ყოველდღიური დეტალებითა და პრობლემებით, ხოლო მეორე მხრივ, მაგიურ რეალიზმი რეალისტურ სამყაროს ფანტასტიკური, არაორდინალური და ზებუნებრივი მოვლენებით ავსებს. ამდენად, ტერმინი პარადოქსულია, თუმცა სწორედ რეალურ სამყაროსთან ჯადოსნური ელემენტების ასეთი პარადოქსული ურთიერთშეთანხმება ანიჭებს ჟანრს იდენტობას და უდიდეს ესთეტიკურ ხიბლს.

იმისათვის, რომ დავადგინოთ კავშირი მაგიურ რეალიზმსა და რუსდის შემოქმედებას შორის, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაანალიზდეს, რას წარმოადგენს მაგიური რეალიზმი, თუმცა, არც თუ ისე მარტივია, მოკლედ ჩამოვაყალიბოთ მისი რაობა, რადგან როგორც პროფესორი მეგი ენ ბაუერსი აღნიშნავს, საქვეყნოდ ცნობილი ფაქტია, რომ რთულად განსასაზღვრი ტერმინია და კრიტიკოსებს ერთმანეთისგან განსხვავებული მოსაზრებები აქვთ მასთან დაკავშირებით: ნენსი ფერლის ის მიხედვით, მაგიური რეალიზმი წარმოადგენს ლიტერატურულ ჟანრს. რიჩარდ ჯერი მას სუბ-ჟანრად განიხილავს, ხოლო მეგი ენ ბაუერსისა და ემერილ ჩენედის აზრით, მაგიური რეალიზმი არის თხრობის ერთ-ერთი ხერხი. (ბაუერსი, 2004:2)

თავდაპირველად, ლიტერატურაში ტერმინი „მაგიური რეალიზმი“ თანამედროვე პროზის დასახასიათებლად გამოიყენა იტალიელმა რომანისტმა მასიმო ბონტემპელიმ 1927 წელს. სულ მალე აღნიშნული ცნება, პრაქტიკულად, მიივიწყეს ევროპაში, თუმცა, მოგვიანებით, 1940 – იან წლებში ის გაცოცხლდა ლათინო-ამერიკულ ლიტერატურაში, რასაც თავისი მიზეზი ჰქონდა. ითვლება, რომ „მაგიური რეალიზმი“ იმ ქვეყნების ლიტერატურაში იჩენს თავს, რომელთა მითოლოგიურ თქმულებებსა და სოციოპოლიტიკურ არეულობას ხანგრძლივი ისტორია აქვს. კრიტიკოსების აზრით, ასეთ ქვეყნებს მიეკუთვნება სწორედ ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის ქვეყნები.

მექსიკელ-ამერიკელი ავტორი და კრიტიკოსის, ლუის ლეალის აზრით „არ შეიძლება მაგიური რეალიზმის ფანტასტიკურ, ფსიქოლოგიურ, სიურრეალისტურ თუ ალქიმიურ ლიტერატურასთან გაიგივება, რადგან, მათგან განსხვავებით, მაგიური რეალიზმი არ ამახინჯებს ფაქტებს, არ ცდილობს შექმნას წარმოსახვითი სამყარო და არ გვთავაზობს პერსონაჟების უშუალო ფსიქოლოგიურ ანალიზს. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, მაგიურ-რეალისტური ტექსტები გამოირჩევა იმითაც, რომ იგი ნაწარმოებში ერთმანეთისგან არ მიჯნავს რეალისტურ და არარეალისტურ მოვლენებს და თავს არ იჩენს მთხრობლის ჩანართებში თუ პერსონაჟთა ცნობიერში“ (ქლუვიქი, 2013:11).

ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული შეხედულების თანახმად, ბუნებრივი და ზებუნებრივი ჰარმონიულად თანაარსებობენ. ფაქტობრივად, მაგიურ რეალისტურ ლიტერატურაში ეს აზრი იქცა რეალისტურისა და არარეალისტურის ურთიერთმიმართების სტანდარტულ განმარტებად. კრიტიკოსების ერთი ნაწილი სრულიად იზიარებს აღნიშნულ შეხედულებას და მიიჩნევენ, რომ მაგიური რეალიზმი მკითხველს უჩვენებს გამოგონილ სამყაროს, რომელიც ხასიათდება ორი დიამეტრალურად განსხვავებული პრინციპის თანაარსებობით. თუმცა, მკითხველისთვის პრინციპების ოპოზიციური ხასიათი არ წარმოადგენს ხელის შემშლელ ფაქტორს, სრულიად იღებს წინააღმდეგობრივი პრინციპების თანაარსებობას ისე, რომ ეჭვქვეშ არ აყენებს მათ შეთავსებადობას.

ლათინო-ამერიკული რომანებიდან „მაგიურმა რეალიზმმა“ სხვა ქვეყნების კულტურებშიც შეაღწია და მსოფლიო ლიტერატურის ეროვნულ ტრადიციებში დამკვიდრდა. აღნიშნული მიმდინარეობით განსაკუთრებით ბრიტანეთის ყოფილი კოლონები დაინტერესდნენ.

პოსტკოლონიალისტური ლიტერატურის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია სალმან რუშდი, რომელიც წარმოშობით ინდოელია, თუმცა ბრიტანელ მწერლად მოიაზრება. რუშდის შემოქმედებას მაგიურ რეალიზმს უკავშირებენ. სხვა პოსტკოლონიალისტი ავტორების მსგავსად, ისიც განიცდის ორი განსხვავებული კულტურისა და რელიგიის გავლენას.

ერთ-ერთ ინტერვიუში სალმან რუშდი მაგიურ რეალიზმზე საუბრისას აღნიშნავს: „ამ პარადოქსულ ტერმინში ორივე კომპონენტი ძალიან მნიშვნელოვანია. ხშირად მკითხველი მხოლოდ პირველ სიტყვაზე – მაგიურზე აკეთებს აქცენტს, მაშინ როდესაც სიტყვა „რეალიზმიც“ ასევე მნიშვნელოვანია. ამგვარი ლიტერატურული ნაწარმოებისთვის უმთავრესი სწორედ რეალურად არსებულია, მწერალმა უნდა გამოიმუშაოს რეალისტური ხედვა, ამ ხედვის გადმოსაცემად გამოყენებული ტექნიკა კი არ არის აუცილებელი, რეალისტური იყოს. ასეთ ტექნიკას წარმოადგენს სწორედ მაგიური რეალიზმი“ (მასალა მოძიებულია <http://www.youtube.com>).

მეტაფიქციონალური ლიტერატურის ძირითად მახასიათებლებად მიიჩნევა „საკუთარი ხელოვნურობის გაშიშვლება, ლიტერატურული კონვენციებით თამაში და ონტოლოგიური საზღვრების დარღვევა“ 2, ავტორეფლექსიური მთხრობლის (იგივე **self-conscious narrator**, რომელსაც გააზრებული აქვს თხრობის აქტი) არსებობა, ექსპლიციტური მკითხველის როგორც მოქმედი პირის გამოჩენა ტექსტში და ე.წ. ჩინური კოლოფის (**chinese box**) სტრუქტურა ერთმანეთში მოქცეული ამბებისა, რომლებიც ერთმანეთს ირეკლავენ. რუშდი თავის ფანტასმაგორიულ ტექსტებში იყენებს მაგიური რეალიზმისთვის დამახასიათებელ თითქმის ყველა ელემენტს: სიზმრები, ჰალუცინაციები, გარდასახვა – რენეკარნაცია, მითოლოგიური სიუჟეტების შემოტანა და ა.შ. ამასთან, როგორც პოსტმოდერნისტი ავტორი მეტაფიქციურ თხრობას გვთავაზობს, რაც მის რომანებს მეტად კომპლექსურს ხდის.

„ეშმაკეული აიები“ მე-20 საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული რომანია, რომელიც 1988 წელს გამოვიდა და მწერალს სკანდალური პოპულარობა მოუტანა. რომანმა კრიტიკოსებისგან დადებითი შეფასება მიიღო, ბუკერის პრემიის ფინალისტიც გახდა, თუმცა მუსლიმური სამყაროს რისხვა დაიმსახურა – ავტორი მკრეხელობასა და მათი რწმენის მასხრად აგდებაში დაადანაშაულეს, რადგან „ეშმაკეული აიები“ წინასწარმეტყველ მუჰამედის შეურაცხყოფად აღიქვს, რის გამოც არათუ აიკრძალა ნიგნის გამოცემა, არამედ ამ ნაწარმოების გამო ირანის სულიერმა ლიდერმა, აიათოლა ჰომეინმა დაწყევლა რუშდი თავის ფატვაში (რელიგიურ განაჩენში) და, ისლამური სამართლის შესაბამისად, სიკვდილი მიუსაჯა 1989 წლის 14 თებერვალს. აიათოლა ჰომეინმა ოფიციალურად განაცხადა: რუშდის მოკვლა ალაჰისთვის სათნო საქმეაო და მკვლელისთვის ფულადი ჯილდოც დააწესა (კვირის პალიტრა, 2013:4). 1998 წელს

ირანის პრეზიდენტმა მოჰამედ ხათამიმ დაგმო ფატვა, მაგრამ მაჰმადიანი ფუნდამენტალისტების აზრით, ფატვა გაუქმებული არაა და მწერალი კვლავ დაცვის ქვეშაა (არილი, 2013: 38).

რომანი საინტერესოა როგორც შინაარსობრივი ასევე სტრუქტურული თვალსაზრისით. „ემმაკეული აიები“ ცხრა კარისგან შედგება და თითო კარი რამდენიმე ქვეთავადაა დაყოფილი, თხრობა ფრაგმენტულია, მაგალითისთვის, პირველ კარში განვითარებული მოვლენების გაგრძელებას მესამე კარში ვკითხულობთ, მეორე კარში დაწყებული თხრობა მეექვსე კარში გრძელდება და ა.შ, რაც კიდევ უფრო რთულად აღსაქმელს ხდის ტექსტს. გარდა ფრაგმენტულობისა რომანში ასევე სირთულეს წარმოადგენს რეალური და ირეალური მოვლენების მონაცვლეობა და ამასთანავე, მთავარ სიუჟეტურ ხაზთან ერთად პარალელურად რამდენიმე სიუჟეტი ვითარდება.

„ემმაკეული აიების“ ძირითადი სიუჟეტური ხაზი მოგვითხრობს ორი მსახიობის სალაღინ ჩამჩასა და ჯაბრაილ ფარიშტას შესახებ. ჯაბრაილი ბოლივუდის კაშკაშა ვარსკვლავია, რომელმაც რთული ბავშვობა გამოიარა და ფსიქიკურ ავადმყოფობას ებრძოდა. სალაღინი ნაკლებად ცნობილი ხმის მსახიობია, რომელსაც მხოლოდ გარკვეულ ვიწრო წრეებში „ათასხმიან კაცად“ იცნობდნენ.

ეს ორი პერსონაჟი თვითმფრინავის ბორტზე შეხვდებიან ერთმანეთს, რომელიც ინდოეთიდან ინგლისისკენ მიფრინავს. თუმცა მოულოდნელად მოვლენები უცნაურად ვითარდება. ტერორისტების მიერ გატაცებული თვითმფრინავი „ბოსტან“, რეისი 420 ჰაერში ფეთქდება და ორი მთავარი მოქმედი პირი, სალაღინ ჩამჩა და ჯაბრაილ ფარიშტა ზეციდან თავქვე მოფრინავენ 29.004 ფუტის სიმაღლიდან – ყოველგვარი პარაშუტების თუ ფრთების გარეშე: „აფეთქებისაგან მცირეოდენ ტვინგამოლაცებულნი, ჯაბრაილი და სალაღინი მოფრინავდნენ თავქვე, როგორც რამ უგერგილო ყარყატის დაფრენილი ნისკარტიდან გამომსხლტარი ორი თეთრი ფუთა“ (რუშდი 2015: 20) ასეთი სიმაღლიდან ვარდნის მიუხედავად ისინი გადარჩებიან და რომანის დასაწყისშივე ნათელი ხდება რეალისტურ თხრობში ჩაქსოვილი მაგიური ელემენტები.

სალაღინის და ჯაბრაილის ვარდნის პროცესი საინტერესო ასოციაციებს აჩენს. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ თვითმფრინავს, რომლიდანაც პერსონაჟები ვარდებიან ბოსტან ანუ ბალი, ედემი ჰქვია, ბუნებრივია, ჩნდება პირველი ადამიანების დაცემისა და მათი სამოთხიდან გამოძევების ალუზია.

ფაქტობრივად, რუშდი გვთავაზობს კაცობრიობის დაცემის მოტივის პოსტმოდერნისტულ, ამავედროულად ალეგიორულ ვერსიას მაგიური თხრობის ელემენტებით: „გადამშრალი, ორად გადატეხილი ძველი სიგარიდან გადმოცვენილი თამბაქოს ნაფრჩხვენებივით გადმოიყარნენ სივრცესა და დროში.მათს ზემოთ, ქვემოთ, უკან და გვერდით ბზრიალ-ტრიალით მოექანებოდა გადასანევსაზურგნიანი გორგოლაჭებიანი მაგიდა, რყევის საწინააღმდეგო გამანონასწორებლის ნამსხვრევები, ვიდეთამამაშებიანი კასეტები, მგზავრთა პიროვნების დამადასტურებელი ბარათები, წნული თაროები ხელბარგისთვის, მუყაოს ყიქები, პლედეები, ჟანგბადის ნიღბები...“ (რუშდი, 2015 : 19)

ბიბლიური თუ მითოლოგიური მოტივების გამოყენება, როგორც წინა თავში აღვნიშნეთ მაგიური რეალიზმის ერთ-ერთი მახასიათებელია და ამავედროულად, მწერლების მიერ ხშირად გამოყენებადი. შესაბამისად, რუშდი პირველი არ არის, ვინც თავის რომანში ბიბლიურ მოტივს იყენებს. ქვით ბუკერი ამბობს, რომ კაცობრიობის დაცემის მითი, რომ ჩვენ ყველა ადამ და ევას ცოდვის გამო ვისჯებით, ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჯეიმზ ჯოისის „ფინეგანის გამოღვიძებაში“. ხოლო კემბელისა და რობინსონის ის თანახმად „ფინეგანის გამოღვიძება“ წარმოადგენს „კაცობრიობის დაცემისა და აღდგომის ერთგვარ ალეგორიას“ (ციტირებულია: ბუკერი, 1991:192)

„ლამისთევა ფინეგანისთვისაც“ სწორედ დაცემის ეპიზოდით იწყება: „ამბავი დაცემისა ერთი ვოლ სტრიტის ბებერი პარისა, რომელზედაც მუდმივად საუბრობენ ლოგინშიც და ცხოვრებაშიც და რომელზედაც ქრისტიანი მოხეტიალე მუსიკოსები და პოეტები მღერიან. ქვერცხისცემა დიდი კედლიდან ისე სწრაფად და ფუივარდნულად მოხდა ფინეგანის თავს, სერიოზული ირლანდიელი მამაკაცი, რომ ცოტათი კუზიანიც სასწრაფოდ აფრენს ერთს დასავლეთისაკენ რათა მან ჩაძირული ატლანტიდა მოიძიოს“ (თარგმანი თამარ გელაშვილისა).

გარდა ბიბლიური მოტივისა, სალადინისა და ჯაბრაილის დაშვება ამავდროულად ძველბერძნულ მითსაც მოგვაგონებს დედალოსისა და იკაროსის შესახებ. მითის თანახმად, დედალოსმა და იკაროსმა ფრთები მიიმარეს და ცაში აიჭრნენ. ვინც ხმელეთიდან მათ ჩიტივით ფრენას შეჰყურებდა ფიქრობდა რომ ორი ღმერთი მისრიალებდა ცის ლაფვარდზე. ეშმაკეულ აიებში კი მთხრობელი მიგვანიშნებს სალადინის და ჯაბრაილის მსგავსებას ძველ ბერძნული მითის პერსონაჟებთან: „განა რა უცნაურობას ამჩნევ? უბრალოდ, ორი შავტუხა მამაკაცი დაბლა ეცემა გვარიანად. რაა ამაში უჩვეულო? ზედმინვენით მაღლა აბობდნენ, საკუთარ თავებს გადაახტნენ, ხატოვნად რომ ვთქვათ, მერე მზესაც სულ ახლოს ჩაუფრინეს ...“ (რუშდი, 2015: 22)

აღნიშნული ალუზია ქვეთ ბუკერს მოაგონებს ცნობილ იკარუსის მსგავს პერსონაჟს სტივენ დედალუსს (ბუკერი 1991:193), რომელსაც მსგავსად იკარუსისა მამასთან რთული ურთიერთობა ჰქონდა. სტივენ დედალოსისა და მამამისის ურთიერთობა კი, თავის მხრივ, მოგვაგონებს „სატანურ აიებში“ სალადინისა და მამამისის ურთიერთობას. მთელი ცხოვრების განმავლობაში, სტივენის მსგავსად სალადინიც ცდილობს მამისგან შორს ყოფნას „ბიჭი დარწმუნდა მამამისი არასდროს შეეშვებოდა, მუდმივად ძირშივე ამოძირკვავდა ყველა მის იმედსა თუ მცდელობას, და ამიტომაც გადანყვიტა ოკეანის მიღმა გადახვენილიყო, მთები და უდაბნოები ჩაედგა მასსა და ამ დიდზე-დიდ კაცს შორის“ (რუშდი, 2015:70) ჯოისისა და რუშდის პერსონაჟებს აერთიანებთ მშობლიური ქალაქიდან გაქცევის სურვილიც, ისინი ემიგრანტები ხდებიან, სტივენი ირლანდიას ტოვებს, სალადინი კი ინდოეთიდან გარბის.

როგორც ქლუვიკი თავის წიგნში „მაგიური რეალიზმის კვლევა სალმან რუშდის პროზაში) Exploring Magic Realism in Salman Rushdie's Fiction წერს: „მაგიური რეალიზმის კონტექსტში რეალობას ორმაგი ეფექტი აქვს. ერთი მხრივ, ის ხელს უწყობს ტექსტსა და რეალისტურ ტრადიციას შორის კავშირის შენარჩუნებას – ერთი შეხედვით ყველაზე ფანტასტიკურ ეპიზოდებში რეალიზმის ელემენტების შემოტანით თხრობას კვლავ რეალობაში აბრუნებს. თუმცა, მეორე მხრივ, ზეზუნებრივი კონტექსტის მეშვეობით, ნამდვილობის ეფექტი ააშკარავებს რეალობის სპეციფიკას, რომელიც კონსტრუირებულია ამა თუ იმ კულტურაში და ამავდროულად გვიჩვენებს რეალისტური იდეის აბსურდულობას ნორმატიულობასა და უნივერსალურობასთან მიმართებით“ (ქლუვიკი, 2013:38).

ამ აზრის დასადასტურებლად მას მოჰყავს სწორედ რომანის დასაწყისი, სალადინისა და ჯაბრაილის 29.004 ფუტის სიმაღლიდან ვარდნის ეპიზოდი, რომლის დროსაც პერსონაჟებს სალადინის გაცემული მითითებები „გაფრინდი... იმღერე...“ გადაარჩინთ, რაც სრულიად არარეალისტურად ჟღერს. თუმცა, ამასთან ერთად რუშდი ცდილობს სრულიად არ დაიკარგოს კავშირი რეალობასთან. ის მეტისმეტი სიზუსტით აღგვიწერს თვითმფრინავიდან გადმოცვენილი ნივთებს: „ზემოთ, ქვემოთ, უკან და გვერდით ბზრიალ-ტრიალით მოექანებოდა გადასანევისა-ზურგიანი გორგოლაჭებიანი მაგიდა, რყევისსანინალმდეგო გამანონასწორებლის ნამსხვრევები, ვიდეთამაშებიანი კასეტები, მგზავრთა პიროვნების დამადასტურებელი ბარათები, წნული თაროები ხელბარგისთვის, მუყაოს ქიქები, პლედეები, ჟანგბადის ნიღბები...“ (რუშდი, 2015:19)



აღნიშნულ ეპიზოდში ავტორი ორივე, ბუნებრივ და ზებუნებრივ კოდს ერთდროულად იყენებს. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ნივთი რეალურია და ყოველდღიურ ცხოვრებაში მოხმარებადი, თუმცა მოცემულ კონტექსტში აღწერა იმისა, თუ როგორ ცვივა საგნები ადამიანებთან ერთად აფეთქებული თვითმფრინავიდან ქმნის არარეალისტურ გარემოს, მით უფრო როცა თხრობა შემდეგნაირად გრძელდება: „და ყველაფერი ეს და ყველა ესენი, ძრავის ნარჩენების ჩათვლით, იმგვარადვე დანაწევრებულ, იმგვარადვე აბსურდულ მატერიებში ალუფხულიყო, როგორცაა, ვთქვათ, სულისა და დამსხვრეული იმედების ნარჩენები, მოგონებანი, გარს შემოცლილი თვითობა, შინაგანი „მე“ (რუშდი, 2015:20)

არარეალისტური ეფექტის მისაღწევად არაერთი ხერხი გამოიყენება. მათგან ყველაზე მარტივი, მაგრამ ამავდროულად ეფექტურ ტექნიკას, ქლუვიკის აზრით, წარმოადგენს იმ სიტყვების გამოყენება, რომელიც დაკავშირებულია ჯადოქრობასთან ან სხვა ზებუნებრივ ასპექტთან.

„ემშაკეულ აიებში“ მრავლად გვხვდება მაგიური კონოტაციის სიტყვები. რომანის დასაწყისში, სადაც ჯაბრაილის და ჩამჩას ვარდნის პროცესია აღწერილი ვკითხულობთ რომ ისინი უბრალოდ ჰაერიდან კი არ გადმოცვივდნენ, არამედ „out of thin air“ (ქართულ თარგმანში გამოტოვებულია კონკრეტული ეპიზოდი. რუშდი: 9), ხოლო ჯიბრალის ბომბიდან გაუჩინარება შემდეგნაირადაა გადმოცემული „poof!, like a trick, into thin air“ (ქართული თარგმანი: „თითლიბაზივით გაქრებოდა სისხმა დილის კამკამა ჰაერში“. რუშდი, 2015:30) რაც ბუნებრივია ასოცირდება მაგიასთან ან ილუზიონისტის ფოკუსთან. მას შემდეგ რაც ჯაბრაილი ავად გახდება და სხეულში სისხლდენა დაეწყება, მისი ავადმყოფობა სხვადასხვა ზებუნებრივი ტერმინებითაა აღწერილი და მოიხსენიება როგორც “the Phantom Bug” (ქართული თარგმანი: „უჩინარი ავადობა“. რუშდი: 30) ან “the Ghostly Germ, the Mystery Malaise” (ქართული თარგმანი: „უჩინარი ბაცილა, იდუმალი სახადი..“ რუშდი, 2015: 31)

ჯაბრაილის ლონდონური ოდისეის ეპიზოდში კიდევ უფრო რთულად აღსაქმელია ზებუნებრივი კოდის არსებობა, იმდენად ბუნებრივადაა შერწყმული ერთიან თხრობასთან :„არა მაინც რამდენჯერ იყო, რომ აქოშინებულმა, გარეთაც გამოაღწია ამ მიწისქვეშეთიდან, სადაც უკვე აღარც დროისა და აღარც სივრცის კანონებს ძალა არ ქონდათ და ცდილობდა, ტაქსი დაეჭირა; ოღონდ კაციშვილი არ უჩერებდა და ისევ იმ ემშაკეულ ლაბირინთებში უნევდა დაყვინვა ამ ლამის ეპიკური ხეტიალის გასაგრძელებლად. ბოლო-ბოლო, არაქათგამოცლილი და სასონარკვეთილი, საკუთარი სიგიჟის აღჩუ-თოხანის საბედისწერო ლოგიკას მიენდო და ამ გრძელი, ყოვლად უაზრო მგზავრობის რომელიღაც, მისი ვარაუდით ბოლო სადგურზე ჩამოვიდა – გამოჯანმრთლება-განახლების ქიმერის საძიებლად; იქიდან კი გარეთ, სატრანზიტო სატვირთოებით გადავსებულსა და ნაგავმიყრილი ქუჩის გულისგამგმირავი გულგრილობაში, უკვე ბინდბუნდში, ფეხათრევიტა და ყოველგვარ იმედგადანურული, ვოლფრამის ნათურების ექტოპლაზმური სინათლის ნყალობით მთლად აჩრდილ-მოლანდებებით სავსე რომელიღაც პარკში შებოდილდა“.

მოცემული ეპიზოდი არის მაგალითი იმისა თუ ფანტასტიკური კონოტაციის სიტყვების გამოყენებით როგორ ცდილობს ავტორი გააძლიეროს ზებუნებრივი ეფექტი. ჯაბრაილის მოგზაურობა ლონდონის მეტროსადგურში, ბუნებრივია, არ არის რეალისტური, რადგან მას ყოფილი საყვარლის რექჰა ფარდაგოსანის აჩრდილი დაჰყვება თან (ან წარმოიდგენს რომ ასეა), რომელიც ყველანაირად ცდილობს ხელი შეუშალოს დანიშნულების ადგილზე მიღწევაში. თხრობა იმდენად ჰარმონიულია რომ მკითხველისთვის რთულად შესამჩნევია ფანტასტიკური კონოტაციის სიტყვების არსებობა.

ჯაბრაილი დარწმუნებულია, რომ ლონდონ-ქალაქი ცვლილებას განაგრძობს მაშინაც, როდესაც ის მეტროთი მგზავრობს. ფიქრობს, რომ ქამელეონისდაგვარად იცვლის სახეს და მის გონებაში არსებული ქალაქის აღწერა ძნელად თუ შეიძლება მივაკუთვნოთ რეალურს. ჯაბრაილის მეტროთი მგზავრობა და ზოგადად, ჯაბრაილის ლონდონური ოდისეა მაგიურ ეფექტს ქმნის, მკითხველი ლონდონს ფანტასტიკურ ქალაქად აღიქვამს და რეალური სახე თითქოს იკარგება, თუმცა ლონდონის ისეთი ღირსშესანიშნაობების ხსენება, როგორიცაა ბიგ-ბენი, მარტელოს კოშკი, ნმ.პავლეს ტაძარი, ლონდონის ხიდი და ა.შ თხრობას რეალურ სამყაროში აბრუნებს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მაგიური რეალიზმი მეტად საინტერესოა თავისი მოცემულობით. მიუხედავად იმისა, რომ კრიტიკოსები დღემდე ვერ თანხმდებიან ტერმინთან დაკავშირებით, რუმდის რომანთან მიმართებით, უმჯობესია, თუ მას თხრობის ხერხად მოვიხსენიებთ.

რაც შეეხება თავად რომანს, „სატანური აიები“ მეტად კომპლექსური და მრავალმხრივი რომანია. ავტორი მაგიური ტექნიკის გამოყენებით ცდილობს მკითხველი შეიყვანოს ფანტასმაგორიულ სამყაროში, სადაც ზღვარი რეალურსა და ირეალურს შორის ნაშლილია. ბუნებრივი და ზებუნებრივი კოდების გამუდმებული ცვლილება კი თავბრუდამხვევ, კარნავალურ სანახაობას ქმნის.

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. რუმდი ს., „ეშმაკეული აიები“, გამომცემლობა „დიოგენე“, თბილისი 2015
2. ჟურნალი „არილი“, 2013, სექტემბერი, N 2(2017)
3. გაზეთი „კვირის პალიტრა“, 2013, 7-13 ოქტომბერი, N 41, გვ 4, ინტერვიუ სალმან რუმდთან
4. Bowers 2004; Bowers Maggie Ann: *Magic(al) Realism*, Routledge publishing, 2004, London 2004
5. Kluwick 2013; Kluwick Ursula: *Exploring Magic Realism in Salman Rushdie's Fiction*, 2013, New Yourk 2013

#### **ინტერნეტ რესურსი:**

1. <https://www.youtube.com/watch?v=EZtdhLndVYg>

## სალომე დავითულიანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორანტი  
ხელმძღვანელი: პროფესორი დავით მაზიაშვილი

### რეალობა და ირეალობა ჰაროლდ პინტერის პიესაში „დალატი“ (The Betrayal)

რას ნიშნავს რეალობა ან ირეალობა?

რეალობას ვეძახით იმას, რაც ყველაზე ახლოსაა სიმანდვილესა და ჭეშმარიტებასთან. ხოლო, ის რაც მისი საწინააღმდეგო, გამონაგონი და არანამდვილია, ირეალურს ვუწოდებთ. თუ ერთი პერსონაჟისთვის რაღაც გარკვეული სიტუაცია, მოქმედება ან მოვლენა აღიქმება რეალობად, იგივე სიტუაცია, მოვლენა და მოქმედება მეორე პერსონაჟისთვის სრულებით შესაძლებელია არ იყოს რეალური. ასევე, თუ პერსონაჟისთვის რაღაც აღიქმება არსებულ რეალობად, ამ დროს მკითხველი/მაყურებლისთვის ის საერთოდ არაა რეალური, რადგან მას სხვა ინფორმაციას აწვდის ავტორი. გამოდის რომ, პერსონაჟისა და მაყურებლის/ მკითხველის აღქმებს შორის თითქმის არ გვხვდება არანაირი თანხვედრა. ამ საკითხს ყველაზე აშკარად პინტერი გვაჩვენებს პიესაში „დალატი“.

როგორც მარტინ ესლინი აღნიშნავს ეს არის პიესა რომელიც წარმოადგენს ძირითად სტილისტურ ცვლილებას, რაღაც ახლის დასაწყისსაც კი პინტერის დრამატურგიის განვითარებაში. *“It represents a major stylistic change, even something like a new beginning in Pinter’s development as a playwright.”* (Esslin 1982:205).

მეოცე საუკუნის ცნობილი ბრიტანელი დრამატურგი, ჰაროლდ პინტერი, აშკარად და გარკვევით წარმოაჩენს რამდენიმე სხვადასხვა რეალობას, მაყურებლისთვის/მკითხველისთვის და თავად პერსონაჟისთვისაც კი. პიესა „დალატი“ (*“The Betrayal”*) მხოლოდ სამი შუა ხნის პერსონაჟი გვხვდება: ემა, ჯერი და რობერტი. ემა და რობერტი დაქორწინებული წყვილია, ხოლო ჯერი რობერტის მეგობარი. როგორც პიესის დასაწყისშივე ირკვევა ემა და ჯერი დიდი ხნის საყვარლები არიან. ისინი ცდილობენ გაიხსენონ მათი ურთიერთობის პერიოდები და აწმყო დროდან ბრუნდებიან წარსულში იქ სადაც მათი ურთიერთობის საწყისია.

ამბავი იწყება აწმყო დროში და მთელი პიესის განმავლობაში სიუჟეტი ვითარდება წარსულში. დროისა და სივრცის რღვევა და სხვადასხვა ქმედებების განუსაზღვრელობა ის დამხმარე საშუალებაა რაზეც ესლინი თვლის, რომ ამ პიესაში მაყურებლისა და მკითხველის როლს სრულიად ცვლის. ესლინი მიიჩნევს, რომ ისინი ჩართული არიან სიუჟეტის ქრონოლოგიურ წყობაში. (<https://www.bl.uk/20th-century-literature/articles/an-introduction-to-betrayal>).

პინტერი იწყებს ემასა და ჯერის ურთიერთობის დასასრულით და მივყავართ ამ ურთიერთობის დასაწყისთან. პირველად როცა ემას და ჯერის ვხედავთ ისინი სხედან პაბში და საუბრობენ.

„ჯერი: კარგი ემა: როგორ ხარ?“

ჯერი: კარგად.

ემა: კარგად გამოიყურები.

ჯერი: კარგია, ისე საერთოდ არ ვარ კარგად, რეალურად.“

(აქ და შემდგომ პიესიდან *“The Betrayal”* ციტირების თარგმანი ეკუთნის ავტორს)

“Jerry: well  
Emma: how are you?  
Jerry: all right.  
Emma: you look well.  
Jerry: well, I'm not all that well, really.”(Pinter 2012:3).

როგორც მარტინ ესლინი აღნიშნავს მოცემულ მონაკვეთში სიტყვა „კარგად“ ხუთჯერ არის ნახსენები, რაც იმაზე მიანიშნებს რომ პერსონაჟები ცდილობენ კომუნიკაციის დაწყებას და ცარიელი მონაკვეთების ამ სიტყვით ამოვსებას. ჩნდება განცდა, რომ ისინი ჩართულები არიან საკუთარი გრძნობების ძიების თამაშში. სავარაუდოდ, ცდილობენ მიხვდნენ როგორ გრძნობენ სხვა ადამიანები ლალატის გარეშე თავს.

პინტერის ერთ-ერთი კრიტიკოსი, ბრეიტერი მიიჩნევს, რომ მოცემული პიესა იმის შესახებაა, თუ როგორ ვრცელდება ჩვენი ცოდნა პერსონაჟების მიღმა. როგორც მაცურებლები ჩვენ ვაკვირდებით და ვხვდებით მოქმედების განვითარებას. წინასწარ ვიცით როგორ დამთავრდება და განვითარდება მოვლენები. ბრეიტერი, ასევე აღნიშნავს, რომ დრამატურგიაში ასეთი განვითარება ძალიან იშვიათად ხდება. როდესაც მაცურებელმა იმაზე მეტი იცის ვიდრე პერსონაჟებმა.

თავისივე ესეში, „თეატრისთვის წერა“ (“writing for the theatre”) 1976 წელს პინტერი აღნიშნავს, რომ ხშირად ნათქვამი ფრაზის მიღმა ისაა რას არ თქმულა. მისი პერსონაჟები მას ძალიან ბევრს უყვებიან და მერე აღარ... პინტერი თვლის, რომ უმეტესად ჩვენ არასანდოები ვართ.

“So often, below the word spoken, is the thing known and unspoken. My characters tell me so much and no more ... most of the time we're inexpressive, giving little away, unreliable, elusive, evasive, obstructive, unwilling. But it's out of these attributes that a language arises. A language, I repeat, where under what is said, another thing is being said“ (Pinter 1976:13).

ასევე არიან მისი პერსონაჟებიც. 1962 წელს, ბრისტოლში, დრამის ფესტივალზე წარმოთქმულ სიტყვაში, პინტერმა აღნიშნა, რომ ჩვენ მარკები არ გვაქვს მკერდზე მიმაგრებული და მიუხედავად იმისა რომ სხვა ადამიანები მუდამ გვამაგრებენ ხოლმე ასეთ მარკებს, ისინი მაინც ვერავის არწმუნებენ. გასაგებია ყველა ჩვენგანს გვაქვს გადამოწმების სურვილი, ჩვენი გამოცდილებისა და სხვების გამოცდილების მიხედვით, მაგრამ ეს ყოველთვის ვერ დაკმაყოფილდება.

“We don't carry labels on our chests, and even though they are continually fixed to us by others, they convince nobody. The desire for verification on the part of all of us, with regard to our own experience and the experience of others, is understandable but cannot always be satisfied“ (Pinter 2013:8).

პინტერი აქვე ავითარებს აზრს, რომ სცენაზე პერსონაჟს რომელსაც არ შეუძლია წარმოადგინოს დამაჯერებელი არგუმენტი მისი წარსული გამოცდილებისა და ახლანდელი ქცევებისა და მისი სწრაფვების, ასევე არ შეუძლია სხვადასხვა მოტივების სრულყოფილი ანალიზი გადმოსცეს, ისეთივე ლეგიტიმური და ღირსეულია ყურადღებისა, როგორც ის ვინც საგანგებოდ აკეთებს ამ ყველაფერს. პინტერის აზრით, გამოცდილების მეტი სიმძაფრე ამცირებს მის გამოხატვას.

“A character on the stage who can present no convincing argument or information as to his past experience, his present behaviour or his aspirations, nor give a comprehensive analysis of his motives

is as legitimate and as worthy of attention as one who, alarmingly, can do all these things. The more acute the experience the less articulate its expression" (Pinter 2013:8).

სწორედ ეს პრობლემები აქვთ პინტერის პერსონაჟებს, როცა მათი წარსული იმდენად მძაფრი იყო ოდერსლაც, რომ აწმყო რეალობაში რთულია მისი გადმოცემა. პიესა „ლალატში“ (*“The Betrayal”*), მისი პერსონაჟები ემა და ჯერი იმდენად მძაფრად განიცდიან ცხრა წლის წინანდელ ლალატს, რომ ეხლა, როცა ამდენი ხნის შემდეგ შეხვდნენ ერთმანეთს და ცდილობენ გაიხსენონ მომხდარი, ამას მხოლოდ და მხოლოდ ფრაგმენტულად და პერიოდულად ახერხებენ.

იქედან გამომდინარე რომ, სიუჟეტის თხრობისას მოშლილია და ფაქტობრივად არ არსებობს რაიმე სახის სიმწყობრე, თავად პერსონაჟებიც ფრაგმენტულები არიან, ისევე როგორც აწმყო, ასევე წარსულ რეალობაშიც.

პიტერ ჰოლი, რომელმაც 1978 წელს დადგა პიესა – „ლალატი“ (*“The Betrayal”*), წერს: „რომ პინტერის შემოქმედება ნებას რთავს აღმოაჩინოს ადამიანებს შორის ინსტიტუტური საბრძოლო მოქმედებები. ის აღნიშნავს, რომ ისინი არ იბრძვიან ხმლით, არამედ მათი საბრძოლო იარაღი სიტყვები და სიჩუმეა“.

პიტერ ჰოლი ასევე თვლის, რომ პინტერის უდიდესი მიღწევა, მოცემულ პიესაში, ისაა რომ მან შეძლო შეექმნა დეტექტიური ამბავი, რომლის დასასრულიც დასაწყისშივე ვიცით. და იმის ნაცვლად, რომ თხრობის მოვლენებისგან შევევიწროებინეთ, ჩვენ დავიწყეთ ენის ანალიზი. თანამონაწილე გაგვხადა პერსონაჟების ტყუილებისა და გავლენა მოახდინა ჩვენივე აღქმით, რაც ბანალური სიტყვებისადმი გვაქვს. ისეთი ბანალური სიტყვებით, რასაც შეუძლია შენიღბოს ძლიერი ემოციები და შეიცავდეს ტკივილნარევ ირონიას.

ძალიან საინტერესო და ვფიქრობ მნიშვნელოვანია, პინტერის ერთ-ერთი მკვლევრის, რონალდ ნოულსის სტატია, „პინტერი და მეოცე საუკუნის დრამა“. (*“Pinter and twentieth-century drama”*), სადაც ის მიიჩნევს, რომ პიესაში „ლალატი“ (*“The Betrayal”*) შეგვიძლია სტრუქტურული მსგავსება ვიპოვოთ ჯოისის პიესასთან „დევნილები“ (*“Exiles”*).

როგორც ცნობილია, „დევნილები“ (*“Exiles”*) ჯოისის ერთადერთი პიესაა. მიიჩნევენ, რომ ჯოისი ცნობილი ნორვეგიელი ავტორის, ჰეინრიკ იბსენის გავლენას განიცდიდა და თვლიან, რომ მისი პერსონაჟებიც ნაწილობრივ იბსენის ბოლო პიესიდან, „როცა ჩვენ მკვდრები ვიღვიძებთ“ (*“When We Dead Awaken”*), ირეკლება. როგორც ნოულსი განიხილავს, ჯოისთან, ისევე როგორც პინტერთან პერსონაჟები თითქმის ვერ ახერხებენ რეალიზებას. მათ უჭირთ რეალობის აღქმა და საბოლოოდ მასზე მორგება. რონალდ ნოულსი, დანვრილებით გვთავაზობს იმ დეტალებს, რაც გვარწმუნებს მის მოსაზრებაში, რომ პინტერი მეოცე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ავტორის გავლენას განიცდიდა. იგი წერს, რომ ჯოისთან რიჩარდი და ბერტა, რობერტისა და ბეატრიჩეს შესახვედრად ცხრა წლის შემდეგ ბრუნდებიან იტალიიდან დუბლინში და ასევე, აღნიშნავს რომ ჯერი და ემაც ცხრა წლის შემდეგ ხვდებიან ერთმანეთს. ასევე, „დევნილების“ პირველი მოქმედების დასასრულს ბერტა გამოუტყდება როჩარდს, რომ რობერტთან ფლირტი ჰქონდა და იგივე დეტალს ვხვდებით „ლალატში“ როცა ემა ჯერის გამოუტყდება, რომ ყველაფერი ალიარა რობერტთან.

ნოულსი, აქვე აღნიშნავს იმ პასაჟს, როცა „დევნილებში“ (*“Exiles”*) რიჩარდი რობერტის კოტეჯისკენ მიემართება და გზად რობერტს ლალატში ამხელს, ეტყვის, რომ ყველაფერი იცოდა და ხვდებოდა დაწყებამდეც კი. აქვე ანალოგიური ეპიზოდი გვაქვს „ლალატიდან“, როდესაც ჯერისთან სტუმრად მისული რობერტი ეტყვის ჯერის, რომ ყველაფერი ბევრად ადრე იცოდა.

აქვე მოცემულია ის დეტალები, როცა მეორე მოქმედების დასასრულს „დევნილებში“ (*“Exiles”*) რიჩარდი ბერტას და რობერტს ერთად დატოვებს, დაეჭვებული რობერტი კი ბერტას

ეკითხება, ყველაფერი უთხრა თუ არა და ბერტა პასუხობს, რომ ყველაფერი მოუყვა. ასეთივე ეპიზოდი გვხვდება „ლალატი“ (“The Betrayal”) როცა ჯერი ემას ეკითხება, მოუყვა თუ არა გუშინ მათზე რობერტს და ემაც პასუხობს, რომ დიახ ყველაფერი მოუყვა რობერტს.

ასევე დაწვრილებით აღნიშნავს ნოულსი იმ პასაჟებს, სადაც ორივე პიესაში პერსონაჟები ერთმანეთს განიხილავენ ისე როგორც „უცხო“. მაგალითად, როცა მესამე მოქმედებაში „დევენილბში“ (“Exiles”) ბერტა რიჩარდს მიმართავს, რომ ის უცხოა და იგი თავს საკმაოდ ცუდად გრძნობს იმის გამო, რომ უცხოთან ერთად ცხოვრობს.

“Bertha: Don't touch me! You are a stranger to me. You do not understand anything in me- not one thing in my heart or soul. A stranger! I am living with a stranger!” (Joyce 2002:67).

და აქვე განიხილავს ანალოგიურ მონაკვეთს პიესიდან „ლალატი“ (“The Betrayal”), სადაც რობერტი აღნიშნავს, რომ სრულიად უცხო ადამიანად იქცა ემასთვის.

“Robert: So let's say I, whom they laughingly assume to be your husband, had taken the letter, having declared myself to be your husband but in truth being a total stranger” (Pinter 2013:33).

ამრიგად, ამ ყველაფრიდან გამომდინარე შეგვიძლია მარტივად დავასკვნათ, რომ პინტერი, პერიოდულად დანამდვილებით გვთავაზობს სხვადასხვა რეალობებს. თუნდაც ის ფაქტი, რომ ჯოისის პიესასთან ამდენი საერთო დეტალი გვაქვს, გვაფიქრებინებს, რომ სამყაროში არ არსებობს ერთი ჭეშმარიტება და სხვადასხვა მოვლენები და საგნები, შესაძლოა სხვადასხვა დროსა და გარემოში აღიქმებოდეს სხვადასხვანაირად.

პინტერი წერის მანერით ნამდვილად ახერხებს, რომ მაყურებელს პერიოდულად შეუცვალოს განწყობა. ისევე, როგორც პერსონაჟებთან, ასევე იმ მოვლენებთან მიმართებაში, რასაც პიესაში წარმოაჩენს. როგორც ვხედავთ, ჰაროლდ პინტერი, ნამდვილად ის ავტორია, რომელიც შემოქმედებაც დღემდე აქტუალურია და მკითხველისთვის/მაყურებლისთვის მნიშვნელოვან პრობლემებზეა დამყარებული. აქვე მინდა აღვნიშნო ის ფაქტი, რომ პინტერი ისეთივე მნიშვნელოვანი ფიგურაა თეატრალური სამყაროსთვის, როგორც ლიტერატურული წრეებისთვის.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Brater E., 1981; Cinematic Fidelity and the forms of Pinter's "Betrayal. *Modern Drama* 24(4). pp.503-19 (p.506).
2. Esslin M., 1970; *The Peopled Wound. Garden city, New Jersey.* p.256.
3. Gaggi S.,1981; Pinter's Betrayal: Problems of Language of Grand Metatheatre! *Theatre Journal* 33 (4) 1981. pp.504-16. (p.505).
4. Hall P., 2001; *Directing the plays of Harold Pinter. Cambridge University press.* p.154.
5. Pinter H., 2013 *The Betrayal. Grove Press. New York.*
6. <https://www.bl.uk/20th-century-literature/articles/an-introduction-to-betrayal>

## ანი დათუნაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი  
ხელმძღვანელი: პროფესორი კახაბერ ლორია

### სიყვარულის კონცეფცია შიო არაგვისპირელის შემოქმედებაში

ფსიქოლოგიურ-ფილოსოფიური ნოველის ერთ-ერთ ფუძემდებლად გვევლინება შიო არაგვისპირელის ფსევდონიმით ცნობილი მწერალი შიო დედაბრიშვილი, იგი მოღვაწეობდა XX საუკუნის მიჯნაზე. შიო არაგვისპირელი არის ის ავტორი, რომელიც ცდილობდა უბედურების შიშის დაძლევას ინდივიდუალური გზით, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ საკუთარ შემოქმედებაში უპირატესობას რეალობას ანიჭებს, რომელიც ღრმა ფსიქოლოგიზმითაა აღწერილი, რაც თავისთავში ტანჯავასაც მოიცავს ზოგჯერ კი, იმდენად მძაფრია ეს გრძნობები, რომ პესიმიზმში გადადის. ამიტომ ვახუშტი კოტეტიშვილი მას „უარყოფის მწერლად“ მოიხსენიებს. [ნიკოლეიშვილი, 2002:82] თუმცა აქ უმთავრესია ამ პროცესის დანიშნულების გააზრება, თუ რისთვის აკეთებს ამ ყოველივეს ავტორი? ეს არის ერთ-ერთი ძირეული საკითხი, რომელსაც მიემართება ჩვენი მსჯელობა.

მწერლის პიროვნულ-შემოქმედებითი ცხოვრების მიზანი იყო შთაენერგა ადამიანებში სამშობლოს სიყვარული, თავისუფლებისკენ სწრაფვა, საზოგადოება ზნეობრივად უკეთესობისკენ შეეცვალა, შიო არაგვისპირელი კალმით იბრძოდა იმიტომ, რომ ესწავლა და დაენახა ხალხს ადამიანად ყოფნის არსი და შეემეცნათ ნამდვილი სიყვარულის რაობა, ამიტომ უმთავრესად ამ ყველაფერს გადმოსცემდა ტკივილნარევი ფსიქოლოგიზმით, მკაცრად, რეალურად, ამ ყველაფრის მეშვეობით ადამიანებმა უნდა განიცადონ კათარზისი, აღმოაჩინონ თავის არსში ის ბოროტი მხარე, რომელიც გვანადგურებს და ზოგჯერ ადამიანის სახეს გვაკარგვინებს.

სერგი ჭილაიას შეფასებით, შიო არაგვისპირელის ნაწარმოებთა მიზანია აღძრას მკითხველში გარკვეული სულისკვეთება, ისე რომ მკითხველმა სინამდვილეში ეძიოს ცხოვრების უკუღმართობის მიზეზები. მწერალი გვიჩვენებს გმირების შინაგან მდგომარეობას მოცემულ მომენტში, მაგრამ ამ პროცესის ანალიზს არ გვთავაზობს, მსჯელობის მომენტი გამორიცხულია. [ჭილაია, 1972:264]

შიო არაგვისპირელის სამწერლობო ასპარეზზე გამოსვლას იმთავითვე დიდი გამომხაურება მოჰყვა მისი შემოქმედებისადმი ცხოველი ინტერესი იმჟამინდელი ჩვენი მწერლობის არაერთმა წარმომადგენელმა აღიარა, აკაკი წერეთლის შეფასებით, არაგვისპირელი მეტად საყურადღებო მწერალია, განსაკუთრებით კი, თავისი ფსიქოლოგიური ეტიუდებით, ზეგავლენით, მიმბაძველობით ბევრი გამოიწვია, მან თითქმის სკოლა შექმნა. კიტა აბაშიძის შეფასებით, კი, „მოვლენის იმდაგვარი დასაბუთება და ცხოვრების სიმწარის იმგვარი დანახვა“, როგორც ამას შიო არაგვისპირელი ახერხებდა ნამდვილად სიახლე იყო. [ნიკოლეიშვილი, 2002: 80-81]

მწერალი ნიჭიერი ნოველისტია. ნოველა პროზის ერთი ურთულესი ფორმატაგანია. თხრობის დიდი ეკონომია, მეტყველების კონდენსაცია, ფაბულის სიმკვეთრე და სიუჟეტის სადა კომპოზიცია. [ჭილაია, 1971:262]

ნოველა ისევე, როგორც ყოველი ლიტერატურული ფორმა, ისევე, როგორც რომანი, მოთხრობა, პოემა, ემსახურება სხვადასხვა იდეურ შინაარსს, სოციალური ხასიათის მოვლენებს, მის შეკუმშულ ფორმაში მოცემულია საზოგადოებრივი ურთიერთობის დამახასიათებელი მხარე,

მაგრამ მისი კომპოზიცია არ ითმენს საზოგადოებრივი ცხოვრების სურათის ფართო გაშლას. ნოველა გვაძლევს, როგორც სერგი ჭილაია აღნიშნავს, „მზა პერსონაჟებს“, რომელნიც მაშინვე ამჟღავნებენ თავიანთ ხასიათს. [ჭილაია, 1972:262]

სწორედ ეს პროცესი მათებს კიდევ უფრო მეტ იდუმალებას შიოს არაგვისპირელის შემოქმედებას და ადამიანსაც უბიძგებს ფიქრისკენ, რომელიც ემსახურება ადამიანის გაკეთილშობილებას, ეხმარება საკუთარი თავის პოვნაში. მწერლის შემოქმედებაზე მსჯელობისას, ასევე ყურადღებაამისაქცევია ნოველების სათაურები, რომელიც მრავლისმეტყველია. ავტორს, სათაურის სახით, გარეთ გამოაქვს მოკლედ და ლაკონურად ჩამოყალიბებული ის ძირითადი სათქმელი, რაზეც აგებულია მისი სიუჟეტი, ყველაფერთან ერთად ეს ლიტერატურული ხერხი და წერის, გამოხატვის ფორმა არის ძალიან საინტერესო მკითხველისთვის.

ჭეშმარიტი სიყვარული წუთისოფლის ორომტრიალშიც სინმინდეს ინარჩუნებს ესაა ნამდვილი, ზნეობრივი სიყვარულის არსი, რომელიც სულიერი და ხორციელი ერთობის თანაზიარია.

მწერლის შემოქმედებაში სიყვარულის კონცეფცია ასახულია ორი რადიკალური მიმართულებით, ავტორის თვალთ დანახული სიყვარული ან დროებითი მოვლენაა, რომელიც მოშორებულია ჭეშმარიტ, უკვდავ იდეალებს, ჩანს სიყვარულის უარყოფა და სკეპტიციზმი. ამ მხრივ აღსანიშნავია შემდეგი ნოველები: „ქარი კი ამ დროს ზმუოდა, კვნესოდა და გმინავდა“, „ყველაი დავკარგე“, „წერილის ნაგლეჯი“, „ხითხითებს და ხითხითებს“

ნოველაში – „ქარი კი ამ დროს ზმუოდა კვნესოდა და გმინავდა“ – ნათლად ჩანს ადამიანის შინაგანი სამყარო, მისი თვალთმაქცი, მატყუარა ბუნება და ვერაგული დამოკიდებულება წრფელი გრძნობის მიმართ.... ტიტკო, რომელიც მუდმივად დაჩაგრული იყო წუთისოფლისგან მუშაობდა კანცელარიაში, გადამწერად გროშებზე და უსიცოცხლოდ ატარებდა დღეებს... ცხოვრებისა და საზოგადოების გარდა, იგი სატრფომაც შეურაცხყო. მისი მომაკვდავი და სასონარკვეთილი გული გაცოცხლდება მაშინ, როდესაც მთელი არსებით შეიყვარებს ბათუს, ქალს, რომელიც სიყვარულითვე პასუხობს, და, რომელიც ხდება მისი ბედისწერა, მისი მოლაღატე მეუღლე...

ერთი შეხედვით ისინი ბედნიერები იყვნენ, ერთად ცხოვრობდნენ, ტიტკოსაც შეუყვარდა ხელახლა სიცოცხლე ბათოსთან ერთად, სხვა პიროვნებად გარდაიქმნა, მაგრამ საკითხავია რა იმალებოდა ამ გარეგნულ ბედნიერებაში? მაშინ, როცა ბათო ავადმყოფობის გამო გარდაიცვალა, ყველაფერი მაშინ დაიწყო, წერილი გამოუგზავნეს ბათოს, წერილი, რომელსაც მისი საყვრელი ვახტანგი სწერდა. ამ ამბის შემდეგ ასე აღწერს ავტორი ტიტკოს მდგომარეობას: „... ახლა მხოლოდ სიფუღუროვებს, სიცარიელეს-ლა გრძნობდა. აღარც თავში და აღარც გულში აღარა დარჩენია-რა“ [ არაგვისპირელი, 2008:383]

ნათელია თუ როგორ სწვდება მწერალი ადამიანის სულიერ სამყაროს, მის ემოციებსა და განცდებს, რომელიც ამ კონკრეტულ შემთხვევაში გამონვეულია ლალატი.

მიხეილ ზანდუკელის აზრით, ეს ამბავი მკითხველს თავზარს სცემს ისე თითქოს მას მთელი ეს ტრაგედია განეცადოს. მასთან შიო არაგვისპირელის შემოქმედებაში ერთ-ერთი მეტად საგულისხმო თავისებურება ისიცაა, რომ აქ მშვენივრადაა მოცემული გადახლართვა ანუ იუმორისა და ტრაგედიის შერწყმა. შიო არაგვისპირელისთვის დამახასიათებელია ესთეტიკური პრინციპი, რომლის მიხედვითაც ტრაგიკული და კომიკური სინამდვილეში არ გამოიყოფა, ეს ორი მხარეა ცხოვრების მოვლენისა, ერთი მხრივ ტიტკო გულუბრყვილოდ მინდობილი ბათოსადმი ხარისხით კისერი უღელში რომ გაუყვია, რალა ბათოს ასიამოვნოს, მეორე მხარეს კი გვევლინება ბათო, მოახლე, რომელიც თავისი სურვილით გაყვება ტიტკოს და შემდეგ ორგულობას გამოამჟღავნებს. [ზანდუკელი, 1996:120-121]



ადამიანთა გადაგვარებასა და ზნე-დაცემულობას წარმოაჩენს ნოველა „ხითხითებს და ხითხითებს“, სადაც კვლავ ღალატი, სიბილნე და უზნეობაა სიყვარულის დამანგრეველი, სიყვარულის, რომელიც ფაქტობრივად, არც არსებობს. ნოველაში ასახულია ცოლ-ქმრის ისტორია, რომელთაგან ქალი არა მხოლოდ მოღალატეა, არამედ ცბიერი არსებაა. ის ერთდროულად არა მარტო ქმარს, ქაიხოსროს ატყუებს, არამედ საყვარელსაც – მიტროს.

მას უნდა თავისი შეძლებული „ბებრუცუნა“ ქმარი უნესო საქციელის შირმად გადააქციოს. მართლაც, ფეოდალურ-ბურჟუაზიულ ადამიანთა ყოფაში ურთიერთობა უნესოა, აშმორებული წუმპეა. აქ მარტო მრუში ანა კი არაა დამნაშავე ამ ტრაგედიაში, არამედ მისი ქმარიც, დაბერებული, გამოფიტული კაცი, რომელიც სიმდიდრით ყიდულობს ცოლად, მისთვის შეუფერებელ ახალგაზრდა ქალს, დამნაშავეა დიმიტრიც ანას საყვარელიც, ვინაიდან მისი საქციელი უღირსობაა. იგი ადვილად ეხვევა სიყალბის, უზნეობის, ამორალობის ბადეში და სიამოვნებს კიდევ აქ მონაწილეობა. [ზანდუკელი :1996:113-115]

ტრაგედიისა და კომედიის შერწყმა ამ ნოველაშიც ჩანს, ტრაგიზმია ნოველის არსში, აქ პერსონაჟების სახით, ადამიანის დეგრადირებული სახეა წარმოჩენილი, რომელმაც ყოველგვარი წმინდა დაივიწყა და თვით უნაზესი და უზენაესი გრძნობაც გააუფერულა და შეურაცხყო, მასთან ერთად, როგორც საკუთარი, ისე სხვისი ღირსებაც არად ჩააგდო. კომიკური სინამდვილე კი კვლავ პერსონაჟების ქცევიდან ჩანს, თუნდაც გავიხსენოთ ქაიხოსრო, რომლისთვისაც სიმართლე ტყუილია, იგი ბოდიშსაც კი უხდის ანას საყვარელს, მიტროს, ამიტომაც, როდესაც მას დაინახავს „ხითხითებს და ხითხითებს“ ამ ყველაფერში ისახება ტრაგედიისა და კომედიის შერწყმა, რაც ერთგვარი ხერხია სათქმელის წარმოსაჩენად.

„ყველაი დაგვარგე“ – ნოველა ტრაგიკულად სრულდება, შეყვარებული ქალი მარო თავს იკლავს იმედგაცრუებული, სასონარკვეთილი გაუმართლებელი სიყვარულის გამო.

ამ ნოველას კიდევ ერთი უაღრესად საყურადღებო შრე აქვს. ვაჟი ჯარშია განვეული და მისი „ცხოვრების წესიც“ იქ ყალიბდება. სალდათობა აქ სრულებით აღარ წარმოადგენს საფრთხეს და ის „კარგ სმა-ჭამასა“ და „ქალებთან ქეიფთან“ ასოცირდება. ამ მინიშნებით ავტორი გმირის მორალური დეგრადაციის უმთავრეს მიზეზად ქვეყნის დაპყრობილ მდგომარეობას მიიჩნევს და იმდროინდელი საზოგადოების ზნეობრივი გადაგვარების ერთ-ერთ ფაქტორად ამ ტრაგიკულ ისტორიულ ვითარებასაც თვლის. (კუტივაძე [https://moambe.atstu.edu.ge/uploads/files/1525154908\\_95-107.pdf](https://moambe.atstu.edu.ge/uploads/files/1525154908_95-107.pdf))

თვითმკვლელობის კონკრეტული მიზეზი ნოველებში განსხვავებულია, მაგრამ ყველასთან საერთოა ნოსტალგია წრფელ სიყვარულზე. ტრაგიკული ფინალი აღიქმება, როგორც წმინდა გრძნობის შებღალვის გამო საკუთარი თავისთვის გამოტანილი უმკაცრესი განაჩენი(კუტივაძე [https://moambe.atstu.edu.ge/uploads/files/1525154908\\_95-107.pdf](https://moambe.atstu.edu.ge/uploads/files/1525154908_95-107.pdf))

თუმცა საყურადღებოა იყო კი ნამდვილი სიყვარული ქალ-ვაჟის კავშირი? ვფიქრობთ, რომ თვითმკვლელობა გაუმართლებელია ნებისმიერ შემთხვევაში, მითუმეტეს, როდესაც მსხვერპლი ეწირება არა ჭეშმარიტ სიყვარულს, არამედ არარსებულ გრძნობას, მაროს გაუჭირდა რეალობისთვის თვალის გასწორება და აღიარება იმ ფაქტისა, რომ მისი სიყვარული ცალმხრივი იყო და ნინიამ დაივიწყა იგი, როგორც რამ უმნიშვნელო ნივთი.

შემდეგი ნოველაა „წერილის ნაგლეჯი“, რომლის იდეური არსის გააზრებასთან პარალელად, კონტრასტულ მხარედ, შეგვიძლია შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ – რუსთველისეული სიყვარულის კონცეფცია მოვიხმოთ.

რუსთველისეული სიყვარული – მიჯნურობა ესაა წმინდა გრძნობა, აღმაფრენის მომნიჭებელი, ერთადერთი ჭეშმარიტი და შეურყეველი. ხორციელი სიყვარული ჭეშმარიტია, როდესაც იგი სულიერადაც სრულყოფილია და ცდილობს მიემსგავსოს მიღმიურს-სპეტაკსა და წმინდას.

„ვთქვა მიჯნურობა პირველი და ტომი გვართა ზენათა,  
ძნელად სათქმელი, საჭირო გამოსაგები ენათა;  
იგია საქმე საზეო, მომცემი აღმაფრენათა;  
ვინცა ეცდების, თმობამცა ჰქონდა მრავალთა წყენათა“

„წერილის ნაგლეჯში“ კი პერსონაჟი ვერ განიცდის ამ გრძნობას თავისი სინამდვილით ვინაიდან დღეს, რომ ჰგონია, რომ ერთი უყვარს და მას უნდა ეტრფოდეს მთელი ცხოვრების მანძილზე, ხვალ სხვა მოსწონს.

„ამა საქმესა მიჯნური ნუ უხმობს მიჯნურობასა:  
დღეს ერთი უნდეს, ხვალე სხვა, სთმობდეს გაყრისა თმობასა;“

მდგომარეობას, რომელსაც ებრძვის შოთა რუსთაველი და არად მიაჩნია წმინდა გრძნობასთან შედარებით, შეიძლება ითქვას, რომ პერსონაჟიც განიცდის. იგი ცხოვრობს სიძვობასა და მრუშობაში, მაგრამ, ამავდროულად განიცდის, რომ არ შეუძლია ამ ამამალღებელი გრძნობის მოტრფიალე იყოს და მხოლოდ ერთ ადამიანს ჭეშმარიტსა და ნამდვილს მიუძღვნას თავი, ამიტომაც ასკვნის, რომ ნამდვილი სიყვარული პოეტების გამოგონილია, და რეალურად არ არსებობს.

ეს იმიტომ, რომ თავად ვერ განიცადა, ვერ იგემა და დიდი გულწრფელობითა და გულისტკივილით დასძენს იგი თავის ცოლს: „ვუკვირდები, ჩემო კარგო, ჩემ გრძნობას და თმა ყალყზე მიდგება. ნუ-თუ ყოველივე, რაც გითხარი ჩემ გრძნობაზე ტყუილი უნდა გამოდგეს?! [არაგვისპირელი, 2008: 461]

იმდენად გულწრფელია პერსონაჟი, რომ მკითხველში სიბრაღულსაც კი იწვევს. ნოველა იმითაცაა საინტერესო, რომ ადამიანმა უნდა ეძიოს მიზეზი იმისა თუ, რატომ ვერ ხედავს, ვერ პოულობს და ვერ გრძნობს საზოგადოების ნაწილი ამ ჭეშმარიტ გრძნობას? იმიტომ, რომ მართლაც არარსებობს სიყვარული, როგორც უზენაესი ღირებულება? რა თქმა უნდა არა! რა თქმა უნდა არსებობს!

როგორც კიტა აბაშიძე აღნიშნავს, მწერლის რამდენიმე თვისებას, იყენებს „სათქმელის წარმოსაჩენად ერთი ესაა ღრმა და უსასოო პესიმიზმი, უფერული ცხოვრების წარმოჩენა, ადამიანთა დაცარიელებული სამყაროს ჩვენება. მეორე ხასიათი კი ისაა, რომ მისი ნაწარმოებები შემაერთებელია ორი ლიტერატურული სკოლისა რომანტიკული და რეალური. რომანტიკულობა იმაში იხატება, რომ ავტორი არ რჩება უდარდელ და გულგრილ მყურებლად იმ საგნისა თუ მოვლენის შესახებ, რომელსაც აღგვიწერს, მწერალიც აღმფოთებულია და სწორედ ამიტომაც ასეთი მწარე და ტრაგიკული. ეს გრძნობა მასში ხან ნაზ ირონიას აღძრავს, ზოგჯერ ნათლად არის გამოხატული, ზოგჯერ კი საერთოდაც დაფარულადაა წარმოჩენილი“. [აბაშიძე, 1962:420-421]

მსჯელობიდან გამომდინარე სიყვარულის ამგვარი გააზრება, სადაც წინ წამოწეულია ამ გრძნობის, დროებითობა, გაუფერულება, უსასოობა, ისე არ უნდა გავიგოთ თითქოს მწერლისთვის ჭეშმარიტ იდეალებზე დაფუძნებული ნამდვილი სიყვარული არ არსებობდეს. ამის მაგალითია – „გიული“.

გიულისა და მიტროს სიყვარული იყო ჭეშმარიტი, წყვილი იბრძოდა ამ გრძნობისთვის, ერთმანეთისთვის, თუმცა მათ ტრაგიკულად დაასრულეს არსებობა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ აქ მრავალი პრობლემაა წინ წამოწეული.

მიტროსა და გიულის არა მხოლოდ სიყვარულში ჰქონდათ ტრაგიკული ბედი, არამედ გარემოც ტრაგიკულია, ვინაიდან გიული ახალგაზრდა, მშვენიერი, გოგონა, მიათხოვეს მასზე ბევრად დიდ, ღრმადმოხუცებულ კაცს, თათარ ალიას. რომელსაც სურდა გიულის დასაკუთრება, ყურადღება, სითბო ყველაფერი ის, რაც შეყვარებულებს ახასიათებთ.

ეს ერთი შეხედვით დაუჯერებელი ფაქტი ამაზრზენია, როდესაც მატერიალური თვალსაზრისით, ათხოვებდნენ ქალს, იმით, თუ რა სოციალური მდგომარეობის ადამიანს მიჰყავდა და რას აძლევდნენ მასში, სამწუხაროა, რომ ეს ნამდვილი რეალური ფაქტებია, რომელიც ამ კონკრეტულ შემთხვევაში ავტორმა ასახა. ამდენად, მიტროსა და გიულის ტრაგიკული ბედი ჰქონდაც, როგორც სიყვარულში, ასევე ტრაგიკულია ის სოციუმი, აზროვნება, სადაც ისინი ცხოვრობდნენ. მიუხედავად იმისა, რომ წყვილმა ყველა ბარიერის წინააღმდეგ გაიბრძოლა, ეკონომიკური, სოციალური თუ სარწმუნოებრივი სიკვდილით დაასრულა ორივე მათგანმა სიცოცხლე. [არაგვისპირელი, 1989]

კიტა აბაშიძის აზრით, „გიული“ საუცხოო ნაწარმოებია. ცხოვრება, რომელიც ავტორმა ამ მოთხრობაში დაგვისურათა გვიჩვენებს, მწერლის პოეტურ ნიჭს განსვენებული ალექსანდრე ყაზბეგის ზეგავლენის ქვეშ გაზრდილსა და განვითარებულს. ამასთან კიტა აბაშიძე საუბრობს შიო არაგვისპირელისა და ეკატერინე გაბაშვილის ურთიერთმიმართების საკითხებზე, როგორც ორი განსხვავებული შემოქმედის, და თან ამავდროულად, რალაციით მსგავსისა. [აბაშიძე, 1962:423-424]

შიო პატარა ადამიანის ათასგვარი ტკივილით დამძიმებულ სულს უტრიალებს. ყოველდღიური ჭაპანწყვეტით დაღლილ კაცს ძნელად სჯერა სიყვარულის ღმერთისა. სამყაროს დასასრულის განწყობილებას აქაც ბევრი რამ გადაუსხვაფერებია და თავისი მსახვრალი ხელი დაუმჩნევია, მაგრამ ადამიანები მაინც დაეძებენ სიყვარულს, თუმცა მათ უკვე განსხვავებულად ესმით ბევრი რამ. სკეპსისი, რომელიც გამოიკვეთა შიო არაგვისპირელის მიერ ადამიანის კონცეფციის მხატვრული დამუშავებისას, აისახა სიყვარულის თემაზე დაწერილ ნოველებშიც ამგვარად აფასებს ნესტან კუტივაძე (კუტივაძე – [https://moambe.atsu.edu.ge/uploads/files/1525154908\\_95-107.pdf](https://moambe.atsu.edu.ge/uploads/files/1525154908_95-107.pdf))

ვფიქრობთ, რომ სიყვარულის ამგვარად წარმოჩენა, ეს არის მწერლისეული ხერხი, რომ უფრო მტკივნეული და ნათელი გახადოს, ის რაც, საკაცობრიო პრობლემაა, რაც პიროვნებას ამდაბლებს და ადამიანის სახეს უკარგავს, რომ ამოიშთოს ყველაფერი ის, რაც ბილწავს ამ წმინდა გრძნობას, რომელიც ადამიანთა ამამალლებელი უნდა იყოს. სიყვარული ხომ სწორედ ასეა დახასიათებული სახარებში ეს არის გრძნობა წმინდათა წმინდა, რომელმაც არც შური იცის, არც ამპარტავნობა და ვერაგობა, სიყვარული წრფელია და ნათელია, სიკეთეა და ადამიანთა გულებში სინათლის შემტანია. სიყვარული არის ღმერთი, სწორედ ასეთი ზნემაღალი გრძნობა არსებობს, ჩემი აზრით, შიო არაგვისპირელისთვისაც.

ამის დასამტკიცებლად კი, იგი იყენებს კონტრასტს, რადგან ადამიანთა ნაწილი გაყოფილია ორად, როგორც მწერლისმიერი სიყვარულის კონცეფცია, და სწორედ მათ უნდა ამოიციონ ამ უიმედობასა და პესიმიზმში, ორგულ და ვერაგ დამახინჯებულ გრძნობაში საკუთარი თავი, რათა ამ ბოროტებისგან გათავისუფლდნენ, და ადამიანი იქცეს პიროვნებად. ვფიქრობთ, ეს არის მწერლის მთავარი მიზანი და არა იმის მტკიცება, რომ ნამდვილი სიყვარული არ არსებობს, რასაკვირველია, არსებობს და ამას უპირველეს ყოვლისა, ადასტურებს შიო არაგვისპირელის შემოქმედება, რომელიც ხმალამოლებული ებრძვის უზნეობას, იმას, რაც გვაშირებს ამ წმინდა გრძნობას.

ამდენად, სიყვარულის კონცეფციის გაორებული გამოხატვა – მისი ქეშმარიტებისა და სინ-მინდის აღიარება და, ამავდროულად, სიყვარულის უარყოფა, რაც გამონვეული უზნეობით, ადამიანური სულმდაბლობით, ემსახურება ადამიანთა მორალურ-ფსიქოლოგიური სამყაროს წარმოჩენას, დაუფარავად მხილებას მძაფრი პრობლემების, მანკიერი თვისებების, რადგან უფრო ცხადი გახდეს საკითხი, რომელიც არის და იყო მნიშვნელოვანი, არა მხოლოდ გარკვეული ეპოქისთვის, არამედ მუდმივი და ზოგადსაკაცობრიოა.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. აბაშიძე კ., ეტიუდები; XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, 1962წელი, გამომცემლობა „თბილისის უნივერსიტეტის“.
2. არაგვისპირელი შ., ქართული მწერლობა ტომი 32, თბ2008, გამომცემლობა „ნაკადული; ქართული პროზა – ტომი 17, თბ 1989წ. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.
3. ზანდუკელი მ., შიო არაგვისპირელის ცხოვრება და შემოქმედება, თბ 1966 წელი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.
4. კუტივაძე ნ., სიყვარულის თემის მხატვრული ინტერპრეტაციის სოციალური ასპექტები შიო არაგვისპირელის პროზაში  
[https://moambe.atsu.edu.ge/uploads/files/1525154908\\_95-107.pdf](https://moambe.atsu.edu.ge/uploads/files/1525154908_95-107.pdf)
5. ნიკოლეიშვილი ა., – ქართული ლიტერატურა, (წ.გ) ტომი 3 გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“.
6. ჭილაია ს., – უახლესი ქართული მწერლობა, 1972 წელი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

## ფოლკლორული მოტივები და საბ-სიმბოლოები ლია სტურუას შემოქმედებაში

ლია სტურუას პოეზია მკვეთრად ინდივიდუალურია. მისი ტექსტები გამოირჩევა, არა მხოლოდ ფორმის თვალსაზრისით, არამედ ტროპებითა და საკითხის უჩვეულო გააზრებით. ინტელექტუალური პოეზია ასე ახასიათებენ მის შემოქმედებას ლიტერატორები. პოეტის შემოქმედების ერთ-ერთი გამორჩეული ასპექტია ფოლკლორი. მითის თუ თქმულების გადააზრება ლია სტურუასთან სრულიად უჩვეულოა, ის ნიშნები რითაც ავტორი გამოკვეთს ამა თუ იმ მოტივს თუ რემინისცენციას, ახალ, თანამედროვე პრობლემატიკას ეხმარება და ყველა შემთხვევაში ისეთი კუთხით არის წარმოდგენილი, რომ როგორც გამოყენებულ პირველწყაროს, ისე მის ლექსს ახალი აზრით ტვირთავს. ეს უმნიშვნელოვანესი კომპენენტი პოეტურ ნიმუშებში იჩენს თავს. ხოლო ფოლკლორული ნიშნით გამორჩეულ ლექსებში ყველაზე თვალსაჩინოა, რადგან, უკვე არსებობს მზა ტექსტი, თქმულება, ამბავი, რომელსაც თავისი ადგილი და მნიშვნელობა მოპოვებული აქვს. საინტერესოა, რომ ავტორი მოცემულ შემთხვევაშიც ახერხებს, ახალი კონტექსტის შექმნას, სწორედ ამ ნიშნით შერჩეული ლექსების განხილვის კვალდაკვალ ვეცდებით გამოვკვეთოთ ზემოთ აღნიშნული მახასიათებლები..

ქართული ფოლკლორის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ნიმუშია „ლექსი ვეფხისა და მოყმისა“. ლია სტურუას სწორედ ამ ლექსიდან აქვს პოეტური ნიმუშისათვის ეპიგრაფად წამოძვარებული: „ეგება ვეფხვის დედაი, ჩემზე მწარედა ტირისა“ – რადგან მოხმობილი ნიმუში ყველასთვის ნაცნობია, არ შევჩერდებით მისი იდეის განმარტებაზე. ჩვენთვის მნიშვნელოვანია რა ახალი იდეით ავსებს თანამედროვე ავტორი ხალხურ თქმულებას. „ხომ შეიძლება...“ ამ დაშვებით იწყება ლექსი, რომლის ლირიკული გმირი მონადირეა, რომელსაც ვეფხვი შემოხვდება გზაზე და უძველესი წყევლა აუხდება ( „მზე დამიბნელდეს, ხმალი ვადაში გადამიტყდეს“ ) თუმცა ავტორი ცვლის ხალხური ლექსის სიუჟეტს: ახლა ერთადერთი მხსნელი მინაა – რომელმაც მონადირე მინდვრად უნდა აქციოს და საკუთარ წიაღში შეიფაროს, ვეფხვი კი წარმოგვიდგება მზედ, რომელსაც მოაქვს გვალვა; ლირიკულმა გმირმა ვეფხვი-მზე უნდა მოკლას საკუთარი ძმების გადასარჩენად:

„და ახლაც ვეფხვი-მოსისხლე მტერი,  
ჩემს აღმოსავლურ და ზანტ ხილვაში,  
მოდის, როგორც მზე.  
ასეთ მზეს მოაქვს სასტიკი გვალვად  
და თუკი მართლა  
გიყვარს შენი უცნობი ძმები, –  
შენში შემოვა თიხის ლაზარე  
და ამ გვალვას შევენირები,  
ოღონდ მათთვის მოვიდეს წვიმა“

[სტურუა 2013:338]

„ლაზარე – დარისა და ავდრის წარმართული ღვთაება (არა სახარების ლაზარე, მარიამისა და მართას ძმა, რომელიც მოკვდა და იესომ გააღვიძა; არც ლუკას სახარების იგავის გმირი, კათოლიკეთა რწმენით სწეულთა შემწე (ლუკა, 16, 19), რომელმაც მისცა სახელი ლაზარეთს).

საქართველოში ლაზარე, როგორც ამინდის ღვთაების კულტი, უფრო აღმოსავლეთში გავრცელდა, მაგრამ წვიმის მომყვან ლაზარეს საქართველოს ყოველ კუთხეში უმღეროდნენ გვალივანობაში: „ლაზარე მოდგა კარსა, აბრიალებს თვალსა, მიდგა მოდგა თაროსა, დაემსგავსა მთვარესა“ და სხვა. მის სადიდებლად მართავდნენ დღეობას, ლაზარობას, რაც „ცის ნამის“, ტალახის გასაჩენად გარკვეულ ცერემონიას გულისხმობდა. ლაზარეს თიხის კერპს კარდაკარ დაატარებდნენ, ასველებდნენ და ამბობდნენ: „ახ, ლაზარე, ლაზარე, ცას ღრუბლები აშალე, ჩვენ დაგიკლავთ ციკანსა, შენ მოგვიყვან წვიმასა“ (ზოგჯერ ასეთივე „მეგობრული გარიგება“ ხდებოდა ელიასთან: „ალარ გვინდა გოროხი, ახლა გვინდა ტალახი“). თუ მომაბეზრებელი წვიმა გაგრძელდებოდა, მასვე შესთხოვდნენ, გორახი გააჩინე, ტალახი გააშრეო“ [გელოვანი 1983:270].

წვიმის მოყვანის სწორედ ამ ტრადიციას გვახსენებს ლირიკული გმირი, თუმცა სიუჟეტი მძაფრდება, რადგან თითქოს გარდაუვალ მსხვერპლშენიშნავს წინ აღუდგება „რომელიღაც გაძარცული სვეტიცხოველი“, რომელიც მოულოდნელი აღუზიით უკავშირდება სხვა ხალხურ ლექსს :

„მაგრამ უეცრად  
ჩემი სამსხვერპლო სხეულიდან  
გამოდის როგორც უმწეო ბავშვი,  
რომელიღაც გაძარცული სვეტიცხოველი  
და მევედრება:  
-მზე დედაა ჩემი...  
მე ვიცი,  
მაგრამ ბრძოლა უკვე არ შემიძლია;  
ნუ გამინყრები, ჩემო სინათლევ!“  
[სტურუა 2013:339]

„მზე დედაა ჩემი...“ ეს ყველასთვის ცნობილი ხალხური ლექსის დასაწყისია, ის ბრჭყალების გარეშეა მოყვანილი და მოცემულ კონტექსტში სწორედ რომ სამყაროს ჰარმონიაზე უნდა მიგვანიშნებდეს. ამიტომაც ლირიკული გმირი ვერ მოკლავს ვეფხვს – მზეს, რომელსაც ახალი შინაარსი – დედობა ემატება და ეს სამი სახე ერთ სიმბოლოში ერთიანდება. პოეტს მოცემულ სიუჟეტში ხალხური ნიმუშისგან განსხვავებით ახალი დილემა შემოაქვს, თუ ხალხურ ლექსში მონინაალმდეგეები შეეხებვიან, აქ დაპირისპირებას სწორედ სიახლოვე და „ნათესაური“ კავშირი ამძაფრებს. თუმცა, გადანყვეტილება მისაღებია და მას შემდეგ რაც ვენახი ლირიკული გმირისთვის დათმობს „უკვდავებას მცენარეულს“ – მონადირე კლავს ვეფხვს. ანდერძის სახით ნათქვამი სტრიქონები კი უჩვეულოა და სრულიად ახლებურად დაგვანახებს ამ ისტორიას:

„... მინდა ვუთხრა მეგობრებს:  
-მთელი სიცოცხლე  
ჩვენ დროშასავით მიგვეკონდა მალლა  
მოაზროვნეთა თეთრი შუბლები,  
მაგრამ ოდესმე  
თუ დაგჭირდათ დროშა სხვაგვარი,-  
ნაიღეთ ჩემი ტანსაცმელი,

მზით გაცვეთილი,  
გადააფარეთ ოქროსფერ ცხენებს  
და გამაზღაპრეთ, მე გაძლევთ ნებას,  
ნუ გადაიტანთ ჩემს ძვლებს ქალაქში,  
ცხვარს ნუ დამიკლავთ,  
მე არ მჭირდება ცრემლიანი პანაშვიდები,  
ოღონდ მიეცით დედაჩემს ძალა,  
რომ დედა-ვეფხვი შეეცოდოს...”

[სტურუა 2013:340]

მთავარია შებრალება, თანაგრძნობა, ლირიკული გმირი კლავს ვეფხვს-დედას-წარსულს მომავლისთვის – საკუთარი ძმების გადასაჩენად, მიუხედავად იმისა, რომ მონადირის მსხვერპლშენიერვის აქტი ლექსში არ ჩანს, დასასრული – „მიეცით დედაჩემს ძალა რომ დედა ვეფხვი-შეეცოდოს“ ყველაფერს ნათელს ჰფენს, როგორც ხალხურ ლექსშია – მონადირე იღუპება. თუმცა ის ტოვებს მთავარს – ახალ დროშას – მზითგაცვეთილს, რომელიც შეგვიძლია გადავი-აზროთ როგორც მონოდება – ახალი თვალთ შეხედეთ სამყაროს! ღია სტურუასეული მონადირის მონოლოგი ამ ხალხურ ლექსს ახალი იდეით ამდიდრებს და განსხვავებულ სააზროვნო კონცეპტებს ქმნის.

ასევე, სრულიად ახალი შინაარსითაა დატვირთული ყველასთვის ცნობილი ხალხური ზღაპარი „ნიქარა“, ღია სტურუას ამავე სახელწოდების ლექსში. ლირიკული გმირი მონიფული კაცია, რომელიც ვერ დათმობს საკუთარ ლემს, მას ეშინია შავი თავის, მისი პური კი ვერ გააძღობს მშვიერ ცხოველს, რადგან ისეთი სტიქიაა, „როგორც ცეცხლი და ნყალი“. თითქოს პატიების თხოვნას ელოდება მკითხველი ლირიკული გმირისგან, რომელმაც ვერ შეძლო საკუთარი მეგობრისთვის თავგანწირვა, მაგრამ ის შებრალებას ითხოვს:

„შემიბრალე ნიქარა!  
მე მდინარე მაქვს დოქებში.  
ცეცხლი ნოხებში და პური ფიქრებში,  
მე მონიფული კაცი ვარ, ნიქარა,  
და ლემს ასე ადვილად ველარ გავიმეტებ,  
შენ და ფუფალამ  
იტირეთ ბავშვი,  
რომელსაც თავი შეეცოდა  
და თავის ლემს შეპირდა.“

[სტურუა 2013:152]

ბავშვის სიკეთე და ლირიკული გმირის განცდები ამ ზღაპარზე კიდევ ერთხელ დაგვაფიქრებს, ჩემი აზრით, ლექსში გამოთქმული ტკივილი ეხება ცვლილებას, როგორ კარგავენ ადამიანები ზრდასთან ერთად უანგარო სიკეთის უნარს, მოვიხმოთ ზღაპარი:

„ნიქარამ გაიგონა თუ არა სალამურის ხმა, მაშინვე გაეშურა ვაჟისკენ. გააფთრებული ეცა რქებით ცხრაკლიტულს და დაუნყო მტვრევა. რვა კარი გატეხა, მაგრამ მეცხრე კარი რომ უნდა გაეტეხა, ცალი რქა მოსტყდა! დაღონდა ნიქარა, თავის რქას ისე არ ჩიოდა, როგორც მეგობრის ტყვეობას. ღმერთს რქა შესთხოვა, უცებ ერთი თავი გამოძვრა და ნიქარას უთხრა:

– რას მომცემ, რქა რომ მოგაბა, შენს ლემს ხომ მაჭმევო?

– გაჭმევო, – უთხრა ნიქარამ.

თავგმა გაუმრთელა რქა, ეცა ნიქარა და შელენა მეცხრე კარიც, შევიდა ბიჭთან, შეისვა ზურგზე მეგობარი და გაეშურა ალვის ხისაკენ. შესვა ნიქარამ ბიჭი ალვის ხეზე და თავად ისევ მინდორში წავიდა....

... რას მომცემ, ნიქარა რომ გაგიცოცხლოო, შენს ლემს ხომ მაჭმევო?

– ოღონდ კი ჩემი ნიქარა გააცოცხლე და გაჭმევო, – უთხრა ბიჭმა.

გაიქცა თავგი, იქვე მიკრიფ-მოკრიფა რალაც ბალახი, მოარბენინა, ნიქარას წაუსვ-წამოუსვა და გააცოცხლა. მოეხვია ბიჭი ხარს, ეალერსება, თვალებს უკოცნის, ნიქარაც პირს უთათუნებს ბიჭსა და ლოკავს.

– აბა, გეყოფათ, – უთხრა თავგმა ბიჭს, – მე უკვე კარგად მომშვიდა, შენი სიკვდილის დროაო.

გაიქცა თავგი, მოკრიფა სასიკვდილო ბალახი, მოიტანა და ბიჭს გაუნოდა. ბიჭს არ ეთმო-ბოდა ნიქარა, მაგრამ პირობა ხომ უნდა შეესრულებინა და თავისი მეგობრისათვის მომკვდარიყო!

ის იყო ბიჭი უნდა შეხებოდა ბალახს, რომ თავგმა უთხრა:

– მიპატიებია სიკვდილი, თქვენნაირი მეგობრები ჩემს დღეში არ მინახავს! იცოცხლეთ მარადო! – ბიჭი გონს ვერ მოსულიყო, რომ თავგი გაქრა“ („ნიქარა“).

ლექსისგან განსხვავებით, ზღაპარში „ბიჭი მზადაა საკუთარი სიცოცხლე განიროს ნიქარას გადასარჩენად. ადამიანის არსებაში მოქმედი სიყვარულისა და თავგანწირვის უნარი მინიერი სამყაროს სფეროდან (სასიკვდილო ბალახიდან) მომდინარე სიკვდილის ძალებს ამარცხებს. ნიქარასა და მისი მეგობარი ბიჭისაგან გაღებული მსხვერპლის ფასად მათ დიდი მადლი – მარადიული სიცოცხლის მადლი მიეძღვნათ“ (ქვრივიშვილი 2003:197).

საინტერესოა, რატომ ირჩევს პოეტი ამგვარ ფინალს, სადაც ეს მსხვერპლშენიერვა ვერ შედგება, ამდენად ვერც მარადიული სიცოცხლის მოლოდინი უნდა გვექონდეს. ლექსში დასაწყისიდანვეა მინიშნებული მიზეზი:

„ჩემს ხალხით სავსე სიმარტოვეში,  
პირობითობით  
და დახვეწილი ნივთებით სავსე სიმარტოვეში,  
მე გადავნიე ცეცხლისფერი ნოხების ხაო  
და ბავშვობაში გადავიხედე:  
ჩემი მინდორი ოქროსფერი  
ჟანგისფერი გამხდარა თურმე,  
ჩემი თბილი და ჟრუნი ნიქარა  
ნახევრად ცეცხლია და ნახევრად ლითონი...“

[სტურუა 2013:152 ]

როგორც ჩანს ამ „ხალხით სავსე სიმარტოვეში“ მცხოვრებ ადამიანს არ შეუძლია მსხვერპლის გაღება, რადგან ბავშვის უანგარო სიკეთე დაკარგული აქვს, თუმცა მიუხედავად ყველაფრისა, ბავშვობიდან გამოყოლილი სიკეთის ანარეკლი ეხმარება, ის მაინც დაინახოს, რომ განწირულია, სწორედ ამიტომ ითხოვს შებრალებას.

ხალხური თქმულება უდევს საფუძვლად ლია სტურუას ერთ-ერთ უსათაურო ვერლიბრს.

„ხვარამზეს ლექსი ვაჟიკას“ ასე ჰქვია ხალხურ ლექსს, რომელიც ლია სტურუამ თავის პოეტურ ნიმუშს ეპიგრაფად წაუმიძღვარა. ვაჟიკას მიმართ ხვარამზეს სიყვარულის ამბავი ხალხური ზეპირსიტყვიერებიდან არის ცნობილი. ლექსში ლირიკული გმირი იხსენებს ამ თქმულებას,



„გამიგონია..“ – დასაწყისიც ამის მანიშნებელია, ის ცდილობს წარმოიდგინოს ადამიანი, რომელიც ასეთი სიყვარულის ღირსი გამხდარა:

გამიგონია, მთიელ ხვარამზეს  
კაცი უყვარდა,  
ის იყო, ალბათ, გუთნის დედა და მონადირე,  
და ერთხელ დილით  
მის ეზოზე ჩამოიარა.  
არ უთხოვია წყალი ან ჩრდილი,  
არ შიებია მსუყე ხინკალი,  
არ უძებნია ლამაზი და ჯანსაღი ცოლი,  
ისე, უბრალოდ, მის ეზოზე ჩამოიარა.

„ასე უბრალოდ“ შეიძლება ადამიანს მეორე შეუყვარდეს, ასე ხედავს ლირიკული გმირი ამ ისტორიას.

„არც დაუნახავს ეზოში ქალი,  
რადგან ეს ქალი  
არ აგონებდა შველს ან პირიმზეს.“  
[სტურუა 2013:343]

ქალი კი არაფერს ითხოვს, თავისი სიყვარულის ადრესატის მხრიდან, ალბათ სწორედ ამ უანგარობს ხაზგასასმელად არის ორჯერ გამეორებული სიტყვები „არ უთხოვია, არაფერი არ უთხოვია“. ქალი სევდასთან მარტო რჩება საკუთარი სიყვარულის ამარა, თუმცა არა გატეხილი და განადგურებული, არამედ ამაღლებული. ლექსში ემოციურად არის გადმოცემული, რომ ეს მამაკაცი ვერ დაინახავს ამ ქალს, რადგან ის ჰგავს მეძებარ ძაღლს, რომელიც არა ნადირს, არამედ საკუთარ შიშს დასდევს. მიუხედავად იმისა, რომ ქალს შეუძლია მას შიშის ნაცვლად პური – სიცოცხლის, არსებობის შესაძლებლობა მისცეს, კაცისთვის ის მაინც შეუმჩნეველი რჩება. ლექსში ყველაზე ექსპრესიულია შედარება – „ის [ქალი] ჰგავდა მინდორს, რომელზეც დადიან მაგრამ არასდროს არ აგონდებათ ...“

თქმულებიდან ცნობილია, რომ პირიმზემ ვაჟიკას ცხენის ნაფეხურებს სიყვარულის ნიშნად ღობე შემოავლო, რადგან ის მინაც კი, სადაც ძვირფასმა ადამიანმა ჩაიარა მისთვის წმინდაა, ამიტომ არ უნდა შეილახოს, სხვამ საკუთარი ნაფეხურებით არ უნდა წაბილნოს. სწორად შენიშნავს დალილა ბედნიანიძე: ლექსში „ლაფსუსია გაპარული – არა მამაკაცის, არამედ მისი ცხენის ნაფეხურებს შემოავლო ღობე ხვარამზემ“ [ბედიანიძე 2009: 154].

ვფიქრობთ, ლექსი სასიყვარულო თემატიკის გარდა, სხვა სათქმელსაც შეიცავს, ეს არ არის მხოლოდ კონკრეტული ამბის რემინისცენცია, ავტორი არსებულ წყაროს იყენებს ახალი იდეისთვის, ჩემთვის ეს სათქმელი მხოლოდ უანგარო სიყვარულს არ უკავშირდება, არამედ ტრაგედიას, როდესაც შეიძლება გარკვეული აუხსნელი მიზეზის გამო ერთმა ადამიანმა, ვერ დაინახოს მეორე. ღია სტურუა არის ავტორი, რომელიც ასეთ, მარადიულ და საკამათო საკითხებს მკითხველის ფიქრის საგნად აქცევს.

ასევე, საინტერესოა ერთ-ერთი ზღაპრული პერსონაჟის, დევის სახის გააზრება ღია სტურუას პოემაში „დევები“. დევი არაერთი ქართული ზღაპრისა და თქმულების პერსონაჟია, ეს არსებები ბოროტებასთან არიან დაკავშირებული, დევი დაეპატრონება რალაც ძვირფასს შემდეგ კი მთავარი პერსონაჟი ამარცხებს მას, არსებობენ ქალი დევები და ა.შ. ქართულ თქმულებებში ისინი წმინდა გიორგის, ქრისტესა და სხვა რელიგიური სახეების გვერდითაც გვხვდება.

„მათ არ შიოდათ და არ სციოდათ,  
მაგრამ შეშურდით უსუსური კაცების ბედი  
და გაარღვიეს ცხოველურის მკვიდრი კედელი  
და შინაური ხარებივით რქები სტკიოდათ.“

დევეები დაუმარცხებლები არიან, მათ სისხლის და ლეშის სუნი ასდით და თითქოს არაფერი უნდა ანუხებდეთ, თუმცა უსუსური ადამიანების შეშურდით, რა შეიძლება იყოს შესაშური უსუსურობაში, როცა ყველა სიძლიერისკენ ილტვის? მათ ადამიანები ჰგონიან ბედნიერები ჰგონიან, თუმცა „ვერგანდევნილი სანთლებით და ღამისთევებით /ისევ ღრეობდა კაცის სულში ჯოგი დევების...“

ადამიანებს დევების წითელთმიანი ცოლების შურთ, ლექსში დევის სახე სიმბოლურია, ადამიანის სულში „დევეების ჯოგის ღრეობა“ სწორედ ამას გულისხმობს. ლექსში ასევე შემოდის წმინდა გიორგისა და ქრისტეს სახე, ისინი ადამიანებს მოუწოდებენ „არა კლათ და არა იმრუშოთ! ნუ გაიტაცებთ მტრის იარაღს, ცხვარსა და ქალებს/ და ურჯულოთა მეჩეთებზე არ დაგრჩეთ თვალი...“ სწორედ ამ აკრძალვის დარღვევისაკენ ილტვიან ადამიანები, „აქ „ღრეობა“, თრობა – დიონისურისაკენ გადახრის მანიშნებელია, ხოლო „დევეების ქალი“ წარმოდგენილია როგორც ცნობიერებისთვის ყველაზე მიუწვდომელი საიდუმლო, დედამიწაზე პირველი ცოდვის დამამკვიდრებელი ეროტიკული სიმბოლო...“ [სულაბერიძე 1996:146] პოემაში ნაჩვენებია ცდუნებისა და ადამიანთა დაუკმაყოფილებლობის დაუსრულებელი ტრაგედია, ძლიერს სუსტის შურს, სუსტს ძლიერის – ეს ჭიდილი კი ფოლკლორული სახე-სიმბოლოების დაპირისპირებითა და უჩვეულო ტროპული აზროვნებით არის გადმოცემული. გარდა აღნიშნული ლექსებისა ფოლკლორულ სახე-სიმბოლოებს, სიუჟეტებსა თუ მოტივებს ვხვდებით ლექსებში: „ბალადა მოჭრილ მარჯვენაზე“, „სამშობლო“, „წითელა ბატონები“...

ამდენად, ღია სტურუას შემოქმედებას ფოლკლორული ასპექტი კიდევ უფრო მრავალფეროვანსა და ღირებულს ხდის, ხოლო მხატვრული საშუალებები და სიტყვების შერჩევის უჩვეულო მეთოდი ლექსებს მეტ ექსპრესიას ჰმატებს, ამ ლიტერატურული შრეების მიმოხილვა და მშობლიური კოდების ამოხსნა კი მკითხველისთვის მეტად საინტერესო პროცესია.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ბედიანიძე დ. „ღია სტურუას შემოქმედება და ფოლკლორი“ „სემიოტიკა“ N 6. 2009.
2. გელოვანი ა. მითოლოგიური ლექსიკონი, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1983.
3. სტურუა ლ. რჩეული. „დიოგენე“, 2013.
4. სულაბერიძე მ. „ღია სტურუას შემოქმედების ზოგიერთი მხატვრული თავისებურება“. „ცისკარი“, N 1-2. 1996.
5. ქვრივიშვილი ო. „ქართული ზღაპრების ხატოვანი მეტყველება“, 2003.

## გიორგი სააკაძის ფენომენი იოსებ თბილელის „დიდმოურავიანში“

ქვეყნის ისტორია ინახავს მამულის გმირთა თუ მოღალატეთა სახელებს, პირველს იმისთვის, რომ საუკუნეებს გადასცეს და სამაგალითო გახადოს მათი დიდებული საქმე, მეორე იმის საჩვენებლად, რომ მომავალში იგივე არ გაიმეორონ ერისა და ადამიანების წინაშე. იმ ისტორიულ პიროვნებათა შორის, რომელთაც საუკუნეთა მანძილზე საზოგადოება და მეცნიერთა ჯგუფები, ზოგი გმირად მიიჩნევენ და ზოგი მოღალატედ, არის გიორგი სააკაძეც.

ამ თემის შეჭიდებას სწორედ იმიტომ მოვკიდეთ ხელი, რომ იგი ერთობ „საჭოჭმანებია“, თანაც ყოველივე ამისკენ გვიბიძგა კრიტიკოს ჯანსუღ ღვინჯილიას წიგნმაც „გიორგი სააკაძის პიროვნება“.

„წლობით ამ მოვლენაზე ნაფიქრმა, ნაკითხმა და განცდილმა ღრმად დამარწმუნა, რომ ისტორიკოსთა შრომის წყალობით მოპოვებული ნათელი აზრის მიუხედავად საზოგადოებაში აქტიურად ბრუნავს ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები, ტრიალებს ეჭვი, რომელიც არა და არ შეიძლება უყურადღებოდ მივატოვო. დავრწმუნდი, რომ ისტორიკოსთა ნაშრომები, რასაც საგანგებოდ შესასწავლად ყველა ვერ მიაშურებს, კიდევ არ კმარა ამ საკითხზე სრული სიცხადის მისაღწევად, ვერ დაიყვანება იგი ყოველ მკითხველამდე. თანაც არ შეიძლება ისტორია მარტოოდენ ისტორიკოსთა მხრებს ავკიდოთ, იგი ყველასია და მწერალს აქვს უფლება და მოეთხოვება კიდევ თვითონაც იფიქროს ისტორიულ მოვლენებზე, მით უმეტეს, რომ სააკაძის ფენომენი ესოდენ ბუნდოვან მოსაზრებებს ასაზრდოვებს ზოგჯერ. ნიშანდობლივია ისიც, რომ ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის სპეციალისტის მიერ დაწერილი სტატიის გამოქვეყნების შემდეგ კარგა ხანი გავიდა და ვნებები სააკაძის პიროვნების გარშემო არათუ დაცხრა, უფრო აზავდა. ე. ი. სააკაძის ფენომენი არ ეკუთვნის ამონურულ პიროვნებათა რიგს. იგი გახსნილ ჭრილობასავით მოსავლელია. ამ თემისადმი წაყრუება უფრო დიდი დანაშაულია, ვიდრე უნებურად დაეჭვებულთა მიერ სააკაძის პიროვნების მიმართ ბრალდებების წაყენება. სააკაძის ფენომენი, როგორც ეს ყველაფრიდან ჩანს, არ არის მარტოოდენ ერთი ისტორიული პიროვნების პრობლემა. ამ ფენომენში არა მხოლოდ ერთი კაცის შინაგანი სახე, მისი მთლიანობისა თუ დარღვეული წონასწორობის შინაარსი, არამედ თვით ჩვენი ქართველი ხალხის თვისებათა კომპლექსი იკითხება“ (ღვინჯილია, 1983: 6-7).

იმ გზის დასაწყისში, რომელიც ჩვენ თემას ეხება იოსებ (საკაძე) თბილელი XVII საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწე, თბილისის მიტროპოლიტი, რომელსაც სამართლიანად მიუჩნევია გიორგი სააკაძის თემა დრამად, პოემისათვის „დიდმოურავიანი“, ამაზე მოგვიანებით XIX საუკუნის საზოგადო მოღვაწე დიმიტრი ყიფიანი იტყვის: „საქართველოს ცხოვრებაში დრამა ყოველდღიურად თამაშდებოდა – დიდი მოურავის ცხოვრება, მაგალითად, თავისთავად მაღალმხატვრული დრამის სიუჟეტს წარმოადგენს“ (ყიფიანი, 2017: 208).

იოსებ თბილელი, გვარად სააკაძე XVII საუკუნის მეორე ნახევრის გამოჩენილი მოღვაწეა – განსწავლული მღვდელმთავარი, დახელოვებული კალიგრაფი, ნაყოფიერი შემოქმედი, რომელიც ძირითადად სასულიერო-საეკლესიო მწერლობის სარბიელზე მოღვაწეობდა, მაგრამ არც საერო-მხატვრულ ლიტერატურისგან იდგა შორს. მან შეთხზა პოემა „დიდმოურავიანი“, რითაც საპატიო ადგილი დაიმკვიდრა ქართული სულიერი კულტურის ისტორიაში (ქართული პროზა, 1976: 3).

პოემა „დიდმოურავიანი“ შედგება მაშინდელი ტრადიციისამებრ პროლოგის, ძირითადი ნაწილის, 11 კარის, ეპილოგისა და მეფე არჩილისადმი მიმართვისაგან და წარმოადგენს 16 მარცვლიანი შაირით დანერილ 482 სტროფს.

იოსებ სააკაძეს ეკუთვნოდა მამულები ქართლში გორის რაიონში, სოფ. ატენში. აქ მდინარე ტანას ნაპირას მაღალ ფერდობზე აგებულია იოანე ნათლისმცემლის ეკლესია, რომელიც აშენებული უნდა იყოს 1661-1683 წლებში და, როგორც სამხრეთის ფასადზე თუ ფრესკებზე შემორჩენილი დაზიანებული წარწერებიდან ირკვევა, აუგია იგი იოსებ თბილელს, კედლის დასავლეთ მონაკვეთში იოსებ თბილელის გამოსახულებაა (საქართველოს ისტორია და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, 1990: 49-50).

„დიდმოურავიანი“ მოგვითხობს დიდმოურავის, ე. ი. განთქმული სარდლისა და პოლიტიკური მოღვაწის გიორგი სააკაძის ამბავს. გიორგი სააკაძეზე საუბრისას აუცილებელია გავაკეთოთ მოკლე ისტორიული მიმოხილვა მისი და მისი წინაპრების შესახებ:

„გიორგი სააკაძე და მისი წინაპრები სამეფო აზნაურები იყვნენ. ეს გვარი საქართველოს ისტორიაში, არაპირდაპირი წყაროების მიხედვით, XII-XIII საუკუნეებიდან არის ცნობილი. განსაკუთრებით გაძლიერდნენ და დანიანაურდნენ სააკაძეები XVI საუკუნის მეორე ნახევარში სიმონ პირველის მეფობაში. გიორგის მამა სიაუშ გიორგის ძე სააკაძე 1588 წლის დოკუმენტის მიხედვით მეფის სალაროს მოლარეა, 1590 წლიდან კი – თბილისის მოურავი. ბიძა, ზურაბ სააკაძე ქართლის სამეფო კარის სახლთუხუცესი იყო. სააკაძეთა „ძველი სამკვიდრო“ ატენის ხეობის ზემო წელში მდებარეობდა მათ იქ ჰქონდათ საგვარეულო ციხეები (ფელი, კიკანათბერი), სასახლე და ეკლესია. შემდეგ კი თედმის ხეობაში მოიკიდეს ფეხი. გიორგი სააკაძის ფეოდალური სამფლობელო სწორედ ამ ხეობაში ჩამოყალიბდა. მისი ცენტრი იყო სოფელი ნოსტე. აქ ჰქონდა მას სასახლე ციხე-კოშკით და კარის ეკლესია. სოფელ ერთანმინდაში კი გაიჩინა საგვარეულო მონასტერი, სადაც შემდეგ მის მემკვიდრეებს მარხავდნენ. სააკაძეები ფლობდნენ მრავალ სოფელს, ყმა-გლეხებსა და აზნაურებსაც.

გიორგი სიაუშის ძე სააკაძე დაიბადა 1570 წ. სააკაძემ იცოდა სპარსული და თურქული ენები, გამოირჩეოდა სამხედრო საქმის დიდი ცოდნითა და განსაკუთრებული ნიჭით.

საკაძე სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა XVI საუკუნის 90-იან წლებში. იგი სიმონ I-თან ერთად იბრძოდა ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ. შემდეგ ქართლის მეფის გიორგი X-ის თანამებრძოლი იყო. ფართო გასაქანი მიეცა გიორგის სახელმწიფოებრივ და სამხედრო ნიჭს ლუარსაბ II-ის მეფობაში“ (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1973: 257-258).

როგორც ჩანს, გიორგი სააკაძე დიდი პოლიტიკური მოღვაწეა. მისი პიროვნული ღირსებები, მისგან გადახდილი ომების მასშტაბები თვით პოლიტიკურ მტრებშიც კი იწვევდა აღფრთოვანებას. ნიშანდობლივია, რომ ისინიც ვერ უვლიდნენ გვერდს დიდი მოურავის ღირსებებსა და დამსახურებებს. გიორგი სააკაძის პიროვნების შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა, რაც მის სიცოცხლეშივე იღებს დასაბამს. ეს აზრთა სხვადასხვაობა ნაწილობრივ გამოწვეულია მისი რთული ცხოვრებიდან გამომდინარე. XVII საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველოს მძიმე პერიოდი უდგას, რაც გამოწვეული იყო ქვეყნის დაშლა-დანაწილებით. ამიტომ გიორგი სააკაძეს ამ რთული „ლაბირინთის“ გავლა უშეცდომოდ არ შეეძლო. მან თავის ცხოვრებაში დაუშვა სერიოზული შეცდომები, რომლებიც პოლიტიკური მტრების მიერ ზედმეტად გაზვიადებული იყო. „პოლიტიკური მონიანაღმდეგენი და მათი თანამოაზრენი მაშინაც და შემდგომაც იმ რამდენიმე შეცდომას სააკაძის პიროვნების არსის გამოვლენად თვლიან, შეიმჩნევა აშკარა ცდა, იმ შეცდომების გაზრდით დაფარონ ტაშისკარის, მარტყოფის, მარაბდის, ქსნის ომების გმირის მნიშვნელობა... ამ ომებზე აღმოსავლეთ საქართველოსა და, ვინ იცის იქნებ მთელი საქართველოს ყოფნა-არყოფნის პრობლემა იყო დაკამირებული (ღვინჯილია, 1983: 4).

იოსებ სააკაძემ პირველმა „დიდმოურავიანში“ სცადა გიორგი სააკაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამბავი ლექსად გამოეთქვა, რაც შესანიშნავად გამოუვიდა.

„პოემის პირველ ნაწილში გიორგი სააკაძე ყვება თავის თავგადასავალს. იგი უშვალოდ და გულწრფელად მოგვითხრობს კონკრეტულ-ისტორიულ ფაქტებზე, ეკამათება მონინალმდეგეებს, ასაბუთებს თავის სამხედრო-პოლიტიკურ ნაბიჯებს, ამართლებს თავის მოქმედებას (ეს სამშობლოსთვის თავდადებული რაინდის ტრაგიზმით აღსავსე მონოლოგია, დიდგვაროვან ფეოდალთა უმადურობით შეძრწუნებული გმირის მღელვარე სულის ღაღადისია). მეორე ნაწილში ღაღადით მოკლული მოურავის ანდერძით მკითხველისათვის კიდევ უფრო ნათელი ხდება გიორგი სააკაძის ოცნების დამსხვრევისა და მიზნის მიუწვდომლობის მიზეზები“ (ქართული პროზა, 1976: 7).

პოემის კითხვისას აშკარად შესამჩნევია, რომ იოსებ თბილელი ცოტას საუბრობს გიორგის გადახვენასა და იქ უსახელოდ დაღუპვაზე. როგორც ჩანს, იოსებ თბილელი შეგნებულად მოერიდა გიორგის გარდახვენის ამბის დანვრილებით აღწერას. პოემაში პოეტი წინ სწევს გიორგი სააკაძის სამამაცო პატრიოტულ საქმიანობას, ხოლო გვერდს უვლის ან სრულებით მალავს გიორგის მოღვაწეობის უარყოფით მხარეებს. სწორედ ესაა „დიდმოურავიანის“ ავტორის ტენდენცია. „გარკვეული ტენდენციურობის მიუხედავად იოსებ თბილელის პოემა მახვილი პოლიტიკური იერის მქონე მაღალიდეური და მაღალ-მხატვრული პოეტური ძეგლია“ (კეკელიძის, ბარამიძე, 1969: 362).

„როგორც პოემის პროლოგიდან ჩანს, იოსებ თბილელს „დიდმოურავიანი“ შეუთხზავს უშუალოდ არჩილის დავალებით, „არჩილიანის“ საისტორიო ნაწილის ჩამოყალიბების შემდეგ. იოსებ თბილელი მოკლულ იქნა 1688 წელს. მაშასადამე, „დიდმოურავიანი“ შეთხზულია 1682-1688 წლებს შუა. პოემაში ამბავი გადმოცემულია როგორც გიორგი სააკაძის მონათხრობი, თხრობა პირველი პირით წარმოებს და ერთი დიდი, გაბმული პოეტური მონოლოგის შთაბეჭდილებას სტოვებს“ (კეკელიძის, ბარამიძე, 1969: 360-361).

იოსებ თბილელს საუცხოოდ აქვს აღწერილი გიორგი სააკაძის მამულიშვილური საგმირონი საქმეები. ასევე „დიდმოურავიანი“ გამოკვეთილად ხატავს დიდი პატრიოტი სარდლის მიმზიდველ სახეს. ავტორის მოსაზრებით გიორგის ორ ნაბიჯს განსაზღვრავდა სამშობლო ქვეყნის უზომო სიყვარული. ეს გარემოება იკვეთება შემდეგში:

„ზოგთ ბაგრატოვანთ ასრე სჭირს, არ ახსონს სამსახურია;  
რაინდ რომ ბევრი აამო, ბოლოს არ გიგდონ ყურია,  
მაბეზლარს სიტყვას უსმენენ, ვის ვისთვის რომ აქვს შურია!

(ქართული პროზა, 1976: 93).

უნდა აღინიშნოს იოსებ თბილელის პოემის სუსტი მხარე, რომ ავტორი ერთგვარ მიკერძოებას იჩენს გიორგი სააკაძისადმი, ის გაზვიადებულად აქებს თავის გმირს, მეტისმეტად აიდიოლებს მას, ვერ ამჩნევს გიორგის მოღვაწეობის ჩრდილოვან მხარეებს. თუმცა, სპარსეთში წასვლის გამო ის ალაპარაკებს გიორგის:

„ეე მეც ვიცი, იქ წასვლა ვერა ვჭქენ კაის ცნობითა;  
დგომა და წასვლა ორივე შემქნია ბოლოს ვსებითა!“

(ქართული პროზა, 1976: 69).

როგორც ისტორიიდან არის ცნობილი, ამ დროს საქართველოს მტერი იყო შაჰ-აბასი. იგი განუწყვეტლივ ესხმოდა თავს ჩვენს ქვეყანას. სწორედ გიორგი შაჰ-აბასის დამპყრობელ ლაშქართან ერთად მოსვლის გამო 1614 წელს სინანულს გამოთქვამს. მისი სინანული ჩანს შემდეგ სიტყვებში:

„დაბრუნდა, ტახტზე მიბრძანდა, რა ხანმა გავლო მცირენი,  
მერმე ბრძანება გამოჰხდა ქართლს წასვლის დასაპირენი,  
წამობრძანდა და წამოვჰყევ, ჯარნი შეექმნეს ხშირენი;  
არ დამიჯერებთ, მოსვლისთვის გული მაქვს ასატირენი!“

(ქართული პროზა, 1976: 70).

საინტერესოა კრიტიკოს ჯანსუღ ლვინჯილიას მსჯელობა გიორგი სააკაძის პიროვნების შესახებ. იგი მიიჩნევს, რომ სააკაძის პიროვნება, არ უნდა განისაზღვროს ერთი ან ორი ისტორიული მონაკვეთით მსჯელობა, დაუშვებელია მისი პიროვნების მხოლოდ ერთი ეპიზოდით განსაზღვრა. „დიდი მოურავის ბადალ პიროვნებებზე გადამწყვეტი სიტყვის თქმა ერთი ან ორი ისტორიული ეპიზოდით, ერთი ან ორი ფაქტით, არა მარტო შეცდომაა, არამედ შეცოდებაც. მხოლოდ მაგისტრალური ხაზის საფუძვლიანი შესწავლა თუ გამოგვატანინებს ზუსტ პასუხს და ყველა სახელოვანი თუ „საჩოთირო“ ქმედებანი ამ მაგისტრალური ხაზის შემადგენელ ნაწილებად უნდა განიხილებოდეს. მაშინლა მოგვეცემა საშუალება მთლიანობაში დავინახოთ მოვლენის არსი, გამოვარჩიოთ უმთავრესი მისი წიაღიდან და იმ არსებით დაქვემდებარებული ეპიზოდების მასშტაბებზე ვიმსჯელოთ“ (ლვინჯილია, 1983:17).

განვიხილოთ რამდენიმე შეხედულება გიორგი სააკაძის შესახებ, რომელთა მიხედვითაც იგი გვესახება სხადასხვა ტიპის ადამიანად:

„თუ გიორგი სააკაძის ფენომენს შევხედავთ როგორც ტაშისკარის, მარტყოფის, მარაბდის, ქსნის ომების ავტორს, ავტორს აგრეთვე იმ დიდი ომების შემადგენელი, ანუ თანამდევნი უამრავი ბრძოლისას, იგი მათლაც უნმინდეს ეროვნულ გმირად, ქვეყნის მხსნელ-მესიად წარმოგვიდგება.

თუ გიორგი სააკაძის ფენომენს შევხედავთ პოლიტიკური მტრების თვალთ – შაჰ-აბას პირველის არმიის რიგებში მყოფს, კახეთის აოხრების მიზეზს, ბაზალეთის ძმათაშორისი ომის წამომწყებს, იგი, ცხადია, მოლაღატედ, ავანტიურისტად, კონდოტიერად მოგვევლინება.

თუ სააკაძის ცხოვრების გზაზე ჩამწკრივებულ სახელოვან და „საჩოთირო“ ნაბიჯებს შევხედავთ, როგორც ერთმანეთის გვერდით მდებარე ისტორიულ ფაქტებს, ცხადია, იგი „აუხსნელ“, „რთულ“ პიროვნებად წარმოისახება და ჩვენი ფიქრი გაურკვეველობის ღრმა მორევში ჩაიძირება.

მაგრამ თუ ჩვენი ისტორიკოსების მიერ გულდამჯდარი, ხანგრძლივი კვლევის შედეგებზე დაყრდნობით სააკაძის მოღვაწეობის მაგისტრალურ ხაზს მისი ხალხის ცხოვრების მაგისტრალურ ხაზთან ერთად შევისწავლით, სიცხადის მიღწევა შესაძლებელია...“ (ლვინჯილია, 1983: 17-18).

ცხადია, სააკაძის ჭეშმარიტად რთული გზა, შაჰ-აბასის პოლიტიკის გამოვლინებები იძლეოდა საფუძველს იმისათვის, რომ თეიმურაზ პირველის მომხრებს მიეწერათ რაიმე გიორგი სააკაძის პიროვნებისთვის და დაემცირებინათ იგი.

ტენდენციურები იყვნენ სააკაძის მომხრეები, როდესაც აბსოლუტურად ყველაფრის გამართლებას ცდილობდნენ სააკაძის მოღვაწეობაში და ამტყუნებდნენ თეიმურაზს. პოემაში ნათლად ჩანს, რომ იოსებ თბილელი უფრო მორიდებით საყვედურობს თეიმურაზს და ლუარსაბს, ასევე გაცილებით მოკრძალებით ახსენებს მათ ცოდვებს, რადგან მეფეთა მხილებისა ან დადანაშაულების არც ადგილი იყო და არც ნებადართული გახლდათ. ხოლო თეიმურაზის შთამომავალთა დროინდელი ისტორიკოსები გაცილებით თამამად შენიშნავენ სააკაძის ნაკლს და უფრო ადვილად აზვიადებენ მას.

აღსანიშნავია, რომ იოსებ თბილელი იცავს გიორგი სააკაძეს, ყურადღებას ამახვილებს მის დიდ ღვაწლზე და განადიდებს მას. რიგი ისტორიული ფაქტებიც მეტყველებს იმაზე, რომ „XIII

საუკუნეში არსაიდან არ ისმის სააკაძის დასაცავი ხმა, მხოლოდ „დიდმოურავიანის“ გადამწერები არ მალავენ მისი სახელისადმი მონივნებას მინაწერებში“ (ღვინჯილია, 1983: 34). ასევე მნიშვნელოვანია, რომ იოსებ თბილელის „დიდმოურავიანი“, ერთხანს უნდობლობას იწვევდა, რაკი მისი ავტორი გვარად სააკაძე იყო, თანაც დიდხანს მიიჩნევდნენ მოურავის ძმისწულად. ბოლო ხანებში გაირკვა, რომ იგი მხოლოდ მოგვარედ, შორეულ ნათესავად მოხვდებოდა გიორგი სააკაძეს. ამ პოემის დიდი მნიშვნელობის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ მაში ასახულია ამ ეპოქის სინამდვილე.

ჩვენს წინამდებარე ნაშრომში შევეცადეთ გვეჩვენებინა გიორგი სააკაძის დიდი ღვაწლი ქვეყნისადმი, რაც აისახა იოსებ თბილელის „დიდმოურავიანში“ გიორგი სააკაძეს საქართველოს ისტორიაში დიდი ადგილი უკავია, რაც გამომწვეულია მის თავდადებული ბრძოლებით. „დიდმოურავიანი“ კარგად გვიხატავს, რომ გიორგი სააკაძე ტრაგიკული პიროვნებაა. მას კეთილშობილური მიზანი ჰქონდა, ერთიანი, მძლავრი ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნა სურდა. თუმცა გიორგი სააკაძემ მიზანს ვერ მიაღწია, მისი პროგრესული საქმიანობა ნაადრევად აღმოჩნდა იმდროინდელი საქართველოსთვის.

დასასრულს, „იოსებ სააკაძე არჩილის ლიტერატურული სკოლის გამოჩენილი წარმომადგენელია. ნაცვლად გამოგონილი ამბებისა თუ აღმოსავლური სიუჟეტებისა, მან ფაქტობრივი მასალა გამოიყენა, ეროვნული თემატიკა დაამუშავა, კონკრეტულ-ისტორიული ამბები გალექსა და აამეტყველა, რითაც ხელი შეუწყო თანამემამულეთა შორის ეროვნული გრძნობის გაძლიერებასა და გიორგი სააკაძის პოპულარიზაციას. იოსებ სააკაძემ შექმნა ფართო მხატვრული ტილო, რომელიც ნათლად გვაგრძნობინებს ავტორის ნიჭსა და პოეტურ გემოვნებას. მის პოემაში ხშირად გვხვდება საინტერესო ორიგინალური სახეები, ეპითეტები და მეტაფორები, ლირიკული მგრძობელობით აღსავსე ადგილები, ოსტატურად დახატული ბატალური სცენები, ომონიმურრიტმიანი სტროფები. ავტორის ენა სადა, მარტივი და მოქნილია, ლექსი – გამართული და მელოდიური“ (ქართული პროზა, 1976: 8).

როგორც ჯანსუღ ღვინჯილია შენიშნავს, იოსებ თბილელი არ იყო პირდაპირი მემკვიდრე გიორგი სააკაძისა, ეს კი გვაძლევს საფუძველს უფრო მეტად ვირწმუნოთ პოემის ავტორის ობიექტურობა.

გიორგი სააკაძის ფენომენი, ჯანსუღ ღვინჯილიას აზრითვე, გვიდასტურებს, „რა ფარულ ენერგიას ფლობდა ქართველი ხალხი“, ოღონდ ეს ენერგია არ ჩანს „რად არ ჩანს დრომდე და სად არ იხარჯება“. „ამიტომ არ ეხსნებაო ქართველი კაცის ფიქრი გიორგი სააკაძის ფენომენს“ (ღვინჯილია, 1983: 351).

„დიდმოურავიანი“ ერთ-ერთი მხატვრული ტექსტთაგანია გიორგი სააკაძის ფენომენის შესწავლის გზაზე.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ყიფიანი დ., თხზულებანი, ტ. II, თბილისი, 2017.
2. კეკელიძე კ., ბარამიძე ა., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია (V-XVIII სს.), თბილისი, 1969.
3. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. V, თბილისი, 1990.
4. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, საბჭოთა საქართველო, 1973.
5. ქართული პროზა, თხუთმეტ ტომად, ტ. 5, „ნაკადული“, 1976.
6. ღვინჯილია ჯ., გიორგი სააკაძის პიროვნება, „ნაკადული“, 1983.

## ნინო დანელია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი  
ხელმძღვანელი: ფილოლოგიის დოქტორი სოფიკო ძნელაძე

### რეჟიმი, როგორც ინსპირაცია, ანუ „ზღაპარში მოხვედრილი ბიჭის ამბავი“

მკითხველი საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილი მწერალი ლევან ბოლქვაძეს და მისი ერთადერთი მხატვრულ ნაწარმოები „ზღაპარში მოხვედრილი ბიჭის ამბავი“. სწორედ ამ მწერლის ზემოთხსენებული ნიგნის განხილვა, ავტორის მსოფლმხედველობის, რეალობისადმი დამოკიდებულების წარმოჩენა და ფართო საზოგადოებისთვის გაცნობა ვფიქრობთ ცხადყოფს თანამედროვე ლიტერატურის ამ ფრიად საიტერესო და არაორდინალური წარმომადგენლის შემოქმედებით რენომეს. სანამ უშუალოდ თემას შევეხებოდეთ, უნდა აღინიშნოს, რომ სათაურში გაჟღერებული პირველივე სიტყვა ზღაპარი, სულაც არ ნიშნავს, რომ ნიგნი მხოლოდ ბავშვებისთვისაა შექმნილი, ნაწარმოები ცალსახად არაა დანერგილი რეალისტური ტექნიკით. საყოველთაოდ ცნობილი განმარტებით კი ზღაპარი ეს პოეტური გამონაგონი, ფანტასტიკურ ამბავზე აგებული თხრობითი ნაწარმოებია, რომელიც დაკავშირებულია სინამდვილესთან იდეით, თემატიკით, მოტივებით, სიუჟეტითა და ენობრივი თავისებურებებით. როგორც ამბობენ, სათაურის ესთეტიკა უმნიშვნელოვანესია ტექსტის დეკორირებისათვის. მიუხედავად ერთი შეხედვით მარტივი სიუჟეტური ქარგისა, სადა სტილისა და სათაურისა, რომელშიც ავტორი იმთავითვე გამოიხატავს ტექსტში ასახული სიუჟეტის რეალობასთან კავშირს, კარგი „მკითხველი მშვენიერ ნიგნის“ სულ რამდენიმე ფურცელში დაინახავს ალეგორიულად გამოხატულ რეპრესირებული მწერლის შეურიგებლობას, მწვავე პროტესტს ეპოქისადმი. სწორედ ამ პროფილით მინდა მიმოვიხილო ლევან ბოლქვაძის შემოქმედება. ტოტალიტარული მმართველობის სისტემაში მყოფი ხელოვანი, რომლისთვისაც რეჟიმი ინსპირაციის მთავარი წყარო აღმოჩნდა.

როგორც აღვნიშნეთ „ზღაპარში მოხვედრილი ბიჭის ამბავი“ ლევან ბოლქვაძის ერთადერთი ნაწარმოებია. ეს სახელი და გვარი თანამედროვე მკითხველისათვის თითქმის არაფრის მთქმელია, მეტიც, მისი თაობის ხალხი არ იცნობდა მას როგორც მწერალს, უფრო მეტად მას იცნობდნენ, როგორც ენციკლოპედიური განათლების მქონე დიდ ერუდიტს. ბუნებრივია, როცა კონკრეტული ადამიანის შესახებ ვსაუბრობთ, აუცილებელია გავითვალისწინოთ ეპოქალური კონტექსტი, მაშინ, როცა ავტორს უხდებოდა მოღვაწეობა დამყარებული იყო კომუნისტური დიქტატურა. თავისუფლებისმოყვარე მწერლის კალამს ცხადად ეტყობა რეპრესიების ძლიერი გავლენა, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა 21 წლის ლევანი დააპატიმრეს და 8 წლით გულაგში შრომა-გამოსწორების ბანაკში გადაასახლეს, სადაც გაიცნო ცნობილი რუსი მწერალი და პუბლიცისტი ალექსანდრე სოლჟინიცინი, ცნობილია, რომ იგი საკმოდ დიდ პატივს სცემდა რუს პოეტსა და სოლჟინიცინიც აღფრთოვანებული ყოფილა მისით.

ნაწარმოების დასაწყისში მწერალი მკითხველს სთავაზობს ერთგვარ რეფლექსიას, ის გვამზადებს ტექსტის წასაკითხად: „ჩემო მკითხველო, 12 წლის ბიჭი შენ იქნებ არც ისე პატარა გეჩვენოს, მაგრამ, როცა გიამბობ თავს რაც გადახდა, მაშინ დამეთანხმები, რომ მისთვის ასეთი ფათერაკები ნამდვილად ნაადრევი იყო.“ (ბოლქვაძე, 2014) ეს ერთგვარი პრელუდია, შეიძ-



ლება გავიმეოროთ 21 წლის ლევანზეც, „რომლის ცხოვრებაც სულაც არ ჰგავდა ზღაპარს, განსხვავებით თავისი წიგნისა, რომელიც ზღაპარივით გავს სინამდვილეს.“ (ლდოკონენი. 2015) ნაწარმოების მთავარი გმირი კი, ავტორის ერთგვარი ალტერ ეგოა, 12 წლის ალექსანდრე, რომელსაც ყველა ჭაბუკას ეძახის, ერთი შეხედვით ჩვეულებრივი ბიჭია, თუმცა თანატოლებისგან ლიტერატურის სიყვარული და კარგად განვითარებული წარმოსახვის, ალტერნატიული რეალობის შექმნის უნარი გამოარჩევს. წიგნების კითხვის გამო ის ხშირად უარსაც კი ამბობს თანატოლებთან გართობაზე, ამიტომაც პაპა ფიქრობს, რომ ის ოთახი, რომელშიც მიტოვებული ლიტერატურა ინახება უნდა ჩაკეტოს. ჭაბუკა კი სრულიად მოულოდნელად ხვდება სხვა სამყაროში, ავტორი პირობითად „ცხრა მთას იქითა სამეფოს“ უწოდებს. აქ სამეფო რეგალიები უჭირავს მეფე ჩიგიდს, რომელსაც დრო დატყვევებული ჰყავს. სწორედ, ამ პასაჟში ვხვდებით ავტორის რაფინირებულ, მაგრამ მწვავე ირონიას, როცა მეფე განკარგავს ამინდს და გულალტკინებულ მოქალაქეებზე ელოდებიან უმაღლესი ხელისუფალის განაჩენს. თუ ჩიგიდი ბრძანებს გაზაფხულის ერთ თბილ დილას, რომ დეკემბერია და თოვს-ხალხიც ცდილობს გამოცხადებული ამინდის შესაბამისად შეიმოსოს და მოიქცეს. ავტორი ნათლად ხატავს ავტორიტარულ სახელმწიფოში მცხოვრები ინფანტილური საზოგადოების პორტრეტს. ამავე პასაჟში კი ვხვდებით ერთ-ერთი პერსონაჟის პროფესორი კომპოტინის საშუალებით გაჟღერებულ კონცეპტუალური მნიშვნელობის ფრაზას: „რაც უფრო მეტ უაზრობას სთხოვენ ხალხს, მით უფრო მეტი ხალხისათა და გატაცებით ასრულებს ყველა მოძალადის სურვილს“ (ბოლქვაძე, 2014) ფრაზაში ნათლად იგრძნობა ავტორისეული ტრაგიზმი. მოქალაქეთა მეორე კატეგორიას, რომელიც არ ითვალისწინებს მეფის ბრძანებასა და ურჩობს, დასმენის საშუალებით ჯალათის მტარვალ ხელი ახშობს. შპიონაჟი კი ჩიგიდის სამეფოში უმაღლეს იდეალს წარმოადგენს, დიდებული ალუზია იმჟამინდელი ეპოქისა.

ცხრა მთას იქითა სამეფოს მოქალაქეებს კი ყოველთვის ახსოვთ, რომ „უფროსი ძმა უყურებთ“ ერთგვარი რემინისცენცია ინგლისელი მწერლისა და ესეისტის ჯორჯ ორუელის რომანებისა „ათას ცხრაას ოთხმოცდაოთხი“ და „ცხოველების ფერმა“ რომელშიც მწერალი ამკვიდრებს უფროსი ძმის (Big brother) ცნებას. მიუხედავად იმისა, რომ ლევან ბოლქვაძის წიგნი უფრო ადრეა შექმნილი, ვიდრე ორუელის ეს უკანასკნელი ნაწარმოებები, მათ შორის იდეური ბმანათელია, რაც განპირობებული უნდა იყოს თავისუფლებისმოყვარე ორი რეპრესირებული მწერლის შინაგანი კონსტიტუციით. ორუელთან აღწერილი იერარქიული რეჟიმი, ფიზიკურ და სულიერ მონობაზე დაფუძნებული წყობა, მასობრივი შიშის თესვა, გაუტანლობა, დასმენები, თავისუფალი აზროვნების უარყოფა, ტვინიდან „ფანტაზიის ცენტრის“ მოსპობის მცდელობა მეორდება „ზღაპარში მოხვედრილი ბიჭის ამბავშიც“, ორუელისეულ ოკეანისა და ლევან ბოლქვაძისეულ მეფე ჩიგიდის ქვეყანაში მუდმივად მტრებს დაეძებენ, ადამიანთა პირადი ცხოვრება კი სრული კონტროლის ქვეშ მოუქცევიათ. ორივე მათგანი კარგად იცნობს ხელისუფლის მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევებს. ეს ორი ქვეყანა ერთგვარი ანტიუტოპიური სახითაა წარმოდგენილი.

წიგნში რამდენიმე ადგილას გვხვდება ანაქრონიზმის, დროში შეუსაბამობის შემთხვევები, როცა პერსონაჟები ვერ ადგენენ ზუსტ ქრონოლოგიას, წელს, რიცხვსა და თვეს. ასე შემოდის ნაწარმოებში დრო, როგორც მთავარი პერსონაჟი. ზოგადად, მეფე ხელისუფლებას სწორედ დროის კონტროლით ინარჩუნებს, „ჩიგიდის უკვდავების გაქრობას ქალაქის მთავარი საათის ამუშავება ინვეს-შესანიშნავი ალეგორია დროზე, რომელსაც პოლიტიკური განზომილება აქვს“ აღნიშნავს ფილოსოფოსი გიგა ზედანია. სწორედ პოლიტიკური პამფლეტის არსებობა გახდა მიზეზი იმისა, რომ წიგნი რუსულად ვერ დაიბეჭდა, გამომცემლობა „მოლოდაია გვარ-

დიის“ ექსპერტ-რედაქტორები გაცემულნი იყვნენ ზღაპრის მაღალმხატვრობითა და დახვეწილი სტილით, გაუცხადებიათ კიდეც „ბრწყინვალე წიგნია, მაგრამ ამ პოლიტიკური პამფლეტის რუსეთში გამოცემაზე ოცნებაც წარმოუდგენელიაო, ისიც გვიკვირს, თქვენთან (საქართველოში) როგორ გაბედესო.“ (ჯოხაძე „ზღაპარში მოხვედრილი ბიჭის ამბავი“ 2014) ამ რისკზე წასვლა კი გამომცემლობა „ნაკადულის“ მაშინდელი დირექტორის, არჩილ სულაკაურის სახელთანაა დაკავშირებული. ნაწარმოების ერთ-ერთი კრიტიკოსი, მწერალი მაკა ჯოხაძე ერთგან წერს: „ადამიანებისა არ იყოს, წიგნებსაც თავიანთი ბედი აქვთ. ზოგს სიჩუმით კლავენ, ზოგს-ხმაურით...“ (ჯოხაძე 2014) ლიტერატურული პროცესების ყველაზე პირუთვნელ, ობიექტურ შემფასებლად, მთავარ ცენზორად მაინც დრო რჩება. ის გამოკვეთს ნაწარმოების ხარისხს, შემოქმედის კვალიფიციურობასა და მწერლურ უნარებს.

„ზღაპარში მოხვედრილი ბიჭის ამბავს“ შთამბეჭდავს ხდის ლევან ბოლქვაძის მიერ ბწყინვალედ დახატული პერსონაჟთა ფსიქოლოგიური პორტრეტები, ეს იქნება მეფე ჩიგიდის ბუნება, რომელიც საკუთარი თავის გადასარჩენად დაუფიქრებლად რომ იმეტებს უერთგულეს ადამიანებს, თუ მუშიად ქცეული სენ-სენ ვეის ენციკლოპედიური და გამოუსადეგარი ცოდნა, რომლის უნიკალურ ბიბლიოთეკაშიც დიდძალი სიბრძნეა გადამალული და მაინც მის ბუნებაში „უსარგებლო წიგნი მიცვალებულივით ასვენია მაგიდაზე“ (ბოლქვაძე, 2014) იშვიათი სიმსუბუქითა და სიფაქიზითაა გადმოცემული მწერლის დამოკიდებულება.

თავისუფლებისკენ სწრაფვა ლევან ბოლქვაძის მთავარი გზავნილია მკითხველისადმი. ბუნებაში დრო იმდენად არსებობს, რამდენადაც შესაძლებელი ხდება მისი აღნუსხვა, ადამიანებმა საათის სახით დროის აღმნუსხველი ხელსაწყო გამოიგონეს, ნაწარმოებშიც მესაათე ბაზილი განსაკუთრებული პერსონაჟია, მწერალი მისდამი სიმპათიითაა განმსჭვალული ის სწორედ ბაზილის მეშვეობით აცნობს მკითხველს თავის სურვილს: „დროზე დიდი დღესასწაული ამქვეყნად არ არსებობს. მეორე სასწაული კი ის არის, რომ ადამიანმა დროის აწყვა ისწავლა. მე დროის საწყობს ვაკეთებ და თუ დრო სასწაულია, მისი საწყაო ისეთი უნდა იყოს, რომ ღამეს უხაროდეს გათენება, დილა კი მხიარულად მიბაკუობდეს საღამომდე“ (ბოლქვაძე, 2014), სიხარული კი ყველაზე დიდი კონტრაბანდა იყო“ (ჯოხაძე, 2014) ჩიგიდის სამეფოში. მონოპოლიის განსამტკიცებლად ხელისუფალი არაფერზე იხევს უკან, ის მზადაა მრავალშვილიანი დედა, უნარშეზღუდული ვეტერანი, უპატრონო მოხუცი, ობოლი ბავშვებიც კი სასიკვდილოდ გაიმეტოს, ეს ყველაფერი კი მწერლის მიერ ღრმა მხატვრული სიმართლითაა დახატული. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მწერალი ცალსახად ნეგატიურადაა განწყობილი მეფისა და მაღალჩინოსანთა მიმართ, ის არც უბრალო ადამიანებს აფარებს ხელს და მათ მონურ სულისკვეთებას საკმაოდ ხისტად წარმოაჩენს, ეს ნათლად იკვეთება ერთ-ერთ პასაჟში, როცა ჩიგიდი გაზაფხულის მზიან დღეს, გამოაცხადებს, რომ ზამთარია და თოვს, მეეტლე „ყველას აჯობებს“ და ცალხელს როგორღაც მოიყინავს, ამას ექიმიც დაადასტურებს, რის შემდეგაც მას სანიმუშო მოქალაქის ორდერს აძლევენ და კარგადაც აქეიფებენ. „ბედნიერებისგან გაოგნებულმა იმდენი სვა, რომ ბოლოს ყველაფერი დაფქვა სასახლის მსახურებთან: განგებ მდულარე დავისხი ხელზეო. მეფეს მოახსენეს ყალთაბანდი ყოფილა ის მეეტლეო, მაგრამ ხელმწიფემ ყველას აუკრძალა ამ ამბის გარეთ გატანა... დილით კი ორდენ-საჩუქრებით გაისტუმრეს“ (ბოლქვაძე, 2014) თან დაემუქრნენ, რომ თუ რამეს იტყოდა „ოქროს გალიაში“ ამოყოფდა თავს. ამ ერთი მაგალითითაც ცხადად ჩანს ავტორიტარული სახელმწიფოს სულისკვეთება, სადაც მორალური ატმოსფერო სრულიად პარალიზებულია, მოქალაქეთა შინაგანი კონსტიტუცია კი განადგურებული. შიში განსაკუთრებული სიმძაფრითაა წარმოჩენილი, იგრძნობა რომ ეს რეალური ცხოვრების წიაღშია აღმოცენებული და შემოქმედს ცხოვრების გზაზევე შეხვედრია კიდეც, სწორედ რეალობა აძლევს ნაწარმოებს მთავარ იმპულსს.

ზღაპრის არქიტექტონიკა გამორჩეულად დახვეწილია, მდიდარია შთამბეჭდავი მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებით, სიმბოლოებითა და ალეგორიებით, ნაწარმოებს ცხადად ეტყობა სტილის მაღალი დონე, რაც განპირობებულია ავტორის ფილოლოგიური განათლებით, „მისთვის ლიტერატურა არა მხოლოდ შთაგონება და პროფესიაა, არამედ კვლევის მთავარი ობიექტიც.“ (ზედანია „ბურუსი“ 2010)

„ქართულ ზღაპარში ეშმაკი სიკეთეს უპირებს გადარჩენას! საუკუნის პარადოქსი!“ ზუსტად აღნიშნავს კრიტიკოსი მაკა ჯოხაძე. ლევან ბოლქვაძესთან ბოროტების მთავარი სიმბოლო გადაარჩენს სიკეთეს, ეს ერთგვარი მხატვრული კოდია ნაწარმოებისა. საბოლოოდ, ზღაპარი ისე მთავრდება, რომ ჭაბუკას თოკზე გაფენილი სარეცხი გაშრობასაც კი ვერ ასწრებს. მკითხველი კი ხვდება, რომ ეს ლიტერატურაზე უზომოდ შეყვარებული ბიჭის წარმოსახვის ნაყოფი იყო და მეტი არაფერი, ზუსტად ისევე, როგორც ინგლისელი მათემატიკოსის ლუის კეროლის (ჩარლზ ლუდვიგ დოგსონი) მოთხრობაში „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“, რომელიც ცნობილია „ლიტერატურული სისულელის“ ჟანრის დამკვიდრებითა და რომელმაც მწერალს გასაოცარი პოპულარობა და აღიარება მოუტანა. „ზღაპარში მოხვედრილი ბიჭის ამბავი“ ლევან ბოლქვაძის ერთადერთი ნაწარმოებია, ამასთან დაკავშირებით კი გიგა ზედანიამ, ნაწარმოების კრიტიკის დროს სამართლიანად მიმართა მკითხველს: „ახლა არ დაინყოთ, მეტი რატომ არაფერი დაწერაო: არც ალენ-ფურნიეს დაუწერია „დიდი მოლნის“ გარდა სხვა რომანი, მაგრამ განა ამით მის წიგნს რამე დააკლდა?! დიდი-დიდი, მკითხველი დარჩა ნაგებული“ (ზედანია „ბურუსი“ 2010).

ამდენად, სრულიად დამაჯერებლად შეიძლება ითქვას, რომ ლევან ბოლქვაძე და მისი წიგნი „ზღაპარში მოხვედრილი ბიჭის ამბავი“ სამართლიანად იმსახურებს მაღალმხატვრული ლიტერატურის არეალში მოქცევას. მხატვრული, სტილური თუ იდეური თვალსაზრისით ის გამორჩეულად სრულყოფილი ნაწარმოებია.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ბოლქვაძე ლ., „ზღაპარში მოხვედრილი ბიჭის ამბავი“, „ინტელექტი“ 2014.
2. ზედანია გ., <https://burusi.wordpress.com/2010/05/20/giga-zedania-7/>
3. ჯოხაძე მ., <http://mastsavlebeli.ge/?p=12963>
4. ლდოკონენი მ., <https://www.youtube.com/watch?v=-0osSu0r5ul>

**ნინო გიორგაძე**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი  
ხელმძღვანელი: პროფესორი ინგა სანიკიძე

**გათიშული მსაზღვრელ-საზღვრული ვაჟა-ფშაველას პოეტურ ენაში**

მწერლის მსოფლმხედველობითი სამყარო ყოველთვის პოეზებს გამოხატულებას მის მიერვე შემოთავაზებულ ენობრივ სტრუქტურებში. ლექსემათა სემანტიკა, მათი ფორმა თუ ადგილი წინადადებაში განპირობებულია შემოქმედის მიზანმიმართულებით – ენობრივი საშუალებების გამოყენებით მხატვრული სამყარო შექმნას. აქედან გამომდინარე, მწერლის ენა იმდენადაა უნიკალური, რამდენადაც სამყაროს მისეული აღქმა, რომელშიც მხატვრულ-ასოციაციური მსოფლგანცდაც იგულისხმება. უდავო ფაქტია ის, რომ მხატვრული ლიტერატურის ფორმათაგან ფაქტობრივ შეუზღუდავი, თავისუფალი ენობრივი სტრუქტურები პოეზიის სფეროს განუყოფელი ნაწილია.

ვაჟას შემოქმედება, ამ მხრივ, რიგი თავისებურებებითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მისი წერის მანერა თუ სტილი ფშაური კილოსა და ქართული ენის შინაგანი შესაძლებლობების ნათელი გამოვლინებაა. სტილისტიკური ფიგურებისა და ტროპის სახეთა სიმრავლესთან ერთად ვაჟასეული პოეტური ენის ერთადერთ მთავარ მახასიათებლად ე.წ. გათიშული მსაზღვრელ-საზღვრულის გამოყენება უნდა დასახელდეს.

მსაზღვრელი სახელის საზღვრულისგან გათიშვას აკაკი შანიძე ტმესს უწოდებს და ისეთ ფორმათა გვერდით აყენებს, რომლებიც ჩვეულებრივ ძველ ქართულში პრევერბიან ზმნებთან გვხვდებოდა (მხედველობაში გვაქვს შემდეგი ზმნური ფორმები: მი-რაჲ-ვიდოდა, მო-ცა-კვდა და ა.შ.). მისი განმარტებით: „ტმესი, ანუ განკვეთა, ეწოდება ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ორი სიტყვის განყვეტას სხვა სიტყვის (ან სიტყვების) შუაში ჩასმით. არსებითად ტმესი გვაქვს, როცა მსაზღვრელი და საზღვრული გამოყოფილია ერთმანეთისგან“ [შანიძე, 1980:259], მაგალითად:

„ვპოვე და ლექსად გარდავთქვი, **საქმე ვქმენ საჭოჭმანები**“ [ვეფხისტყაოსანი]

ნათქვამიდან გამომდინარე, მიზანშეწონილი იქნება ტერმინ *გათიშულის* ნაცვლად *ტმესირებული* გამოვიყენოთ და ამგვარ ენობრივ სტრუქტურას *ტმესირებული მსაზღვრელ-საზღვრული ეწოდოთ*.

საკითხის შესწავლის შედეგად, ლეო კვაჭაძე ასკვნის, რომ ტმესი, როგორც ენობრივი მოვლენა, ჩვეულებრივ ლექსის საჭიროებითაა გამომწვეული და მას სტილისტიკური მიზნით იყენებენ [კვაჭაძე, 1977:166]. მისი დაკვირვებით, ატრიბუტული მსაზღვრელისა და საზღვრული სახელის ტმესი ძირითადად სახელობით, მოთხრობით და მიცემით ბრუნვაში ხორციელდება, თუმცა ის სხვა ბრუნვის ფორმებშიც დასტურდება [კვაჭაძე, 1977:178].

როგორც მოგეხსენებათ, ტმესირებული მსაზღვრელგსაზღვრულის მაგალითები და საშუალო ქართულშიც გვხვდება, კერძოდ – ის საგრძნობლად დამახასიათებელია სინური მრავალთავისთვის: ან მასვე **სიტყვასა** მოვიდეთ **სახარებისასა** [მელიქიშვილი, 1975:171].

დამანა მელიქიშვილი მიიჩნევს, რომ ტმესირებული მსაზღვრელი ნევრი ამაღლებულ და საზეიმო ელფერს ანიჭებს მეტყველებას, შესაბამისად, ამით აიხსნება მისი გამოყენება მონამებრივ, სადღესასწაულო თუ საღვთისმეტყველო ტექსტებში. მისი აზრით, მსაზღვრელგსაზღვრულის ტმესი შეიძლება შეპირობებული ყოფილიყო ბერძნული დედნებისთვის დამახასიათებელი წინადადების წყობით, თუმცა მანდვე დასძენს, რომ ასეთი შესაძლებლობა ქართულსაც გააჩნდა.

ზემოთ განხილული ენობრივი მოვლენა, ვაჟას პოეტურ შემოქმედებაში მეტად არაერთგვაროვანი სურათით ხასიათდება. შესწავლილი მასალა ცხადყოფს, რომ მსაზღვრელი და საზღვრული ნევრი შეიძლება შემდეგი საშუალებებით იყოს ტმესირებული:

**ტმესირებული შემასმენლით**, როგორც ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში [კალაძე, 1961:116], ვაჟასთანაც მსაზღვრელ-საზღვრული ყველაზე ხშირად შემასმენლითაა ტმესირებული.

„ჩემი ლამაზიც მკვდარია, გულს **სვაჳი აზის მცონარი**“ [„დაე აყროლდეს სოფელი“];

„არ დამილონდეს, ვენაცვლე, **ცრემლი არ ღვაროს მწარია**“ [„უფროც დაბნელდი, ლამეო“].

**ტმესირებული კითხვით ნაცვალსახელს + შემასმენლით**

„– **ხმალი რას შვრება გიგისი**, ფრანგული გველისგპირისა?“ [„გიგი“];

**ტმესირებული მაქვემდებარებელ კავშირს+შემასმენლით**

„იქნება ვაკეც დამიხვდეს, **გზა რომ ვიპოვნო სავალი**“ [„რას შემომღმეუი მდინარეც“];

**ტმესირებული შემასმენელს + მიმართვით**

„**დრო გვადგა, ძმებო, ისეთი**, ტანზე ჩავიცვათ სუდარა“ [„ირაკლი ბრძოლის წინ“].

**ტმესირებული უბრალო დამატებას + შემასმენლით**

„ის არ გვაფიქრებს, გვადარდებს — **მტერი კარს გვადგა მრავალი**“ [„ქებათაგქება“];

**ტმესირებული ქვემდებარეს+უარყოფითი ნაწილაკი + შემასმენლით**

„იმ თავით **ბედნიერება შენ არ მოსწამლე კაცისა**“ [ქებათაგქება“];

**ტმესირებული შემასმენელს + დროის გარემოებით**

„საკარგყმოდ **თასი მიერთმის ხატობას სანთლებიანი**“ [„გველისგმჭამელი“].

**ტმესირებული განსაზღვრებას + ირიბი დამატება**

„**არც ერთი ლომის სიბერეს ნადირი არა სტირისა**“ [„ბებერი ლომი“]

**ტმესირებული ადგილის გარემოებით**

„ხელგაფარჩხული **შიგ ყმა** სჩანს, ჩვილს პირი მომენითურა“ [„ადამიანი“];

**ტმესირებული მიმართვით**

„გთხოვ, რომ მიილო **სალამი, დაო ძვრიფასო, ჩვენია**“;

**ტმესირებული ვითარების გარემოებით**

„ჰკითხა **ამბავი** წარბგშეკვრით **კაცისა** დაკარგულისა“ [„სისხლის ძიება“].

ზემოთ ჩამოთვლილი შემთხვევების გარდა, ჩვენი აზრით, ცალკე უნდა გამოვყოთ ერთი მეტად საინტერესო მაგალითი, კერძოდ: „მრავალ ვქმენ **საქმე** მე **სავალალო**“ [არნივი], რომელ-

შიც ორი განსაზღვრება („მრავალ და სავალალო“) მიემართება ერთ საზღვრულ წევრს („საქმე“). პირველი („მრავალ“) ტმესირებულია შემასმენლით, ხოლო მეორე („სავალალო“) – ქვემდებარით.

რაც შეეხება მსაზღვრელი სახელისა და საზღვრულის სინტაქსურ პოზიციებს, ვაჟას პოეტურ ენაში ატრიბუტული (როგორც თანხმოვანფუძიანი, ისე ხმოვანფუძიანი) და სუბსტანციური მსაზღვრელი წარმოდგენილია ორსავე პოზიციასა — პოსტპოზიციასა და პრეპოზიციასაში, თუმცა განსაკუთრებით ჭარბობს პოსტპოზიციის შემთხვევები:

#### **პრეპოზიციური ხმოვანფუძიანი ატრიბუტული მსაზღვრელი**

„თითონ ზურაბსაც შასწამენ, თუ **რასმე** მისცემს **საბაბსა**“ [„თათრობა“]; „გალმა **სხვა** მოსჩანს **ფერდობი**, დიდი, შავის ტყით ფარულიო [„ხის ბეჭი“].

#### **პოსტპოზიციური ხმოვანფუძიანი ატრიბუტული მსაზღვრელი**

„ჩქაფუნი მოდის **მწყრომარე**, იმ ხვესურეთის წყალისა“ [„გოგოთურ და აფშინა“]; „მეფის სასახლის ეზოში, **ლაშქარი** იდგა **მდუმარე**“ [„ეთერი“]; „ყველას ისა აქვს გულშია – **ბელადს** ვინ მოჰკლავს **წინასა**“ [„გველისდმჭამელი“].

#### **პრეპოზიციური თანხმოვანფუძიანი ატრიბუტული მსაზღვრელი**

„თან **ტკბილს** მეტყოდა **სიტყვასა**, გაქნილის, ტკბილის ენითა“ [„სიზმარი სასონარკვეთილისა“]; „თოფიც ალუდას გადუგდო, **ერთს** კიდევ ეტყვის **სიტყვასა**“ [„ალუდა ქეთელაური“]; „ამ ნასისხარსა მალედვე **მშიერი** შეჰხვდა **მელია**“ [„მეჯლისი ლომისა“].

#### **პოსტპოზიციური თანხმოვანფუძიანი ატრიბუტული მსაზღვრელი**

„მთვარე ამოხდა **ფერმკრთალი**, ატირდა, ისმის ძახილი“ [„მთა და მთვარე“]; „ბუდესა სდგამენ, კვერცხს სდებენ, **შვილებს** დაჰზრდიან **ფრთიანსა**“ [„გაზაფხულის სურათები“]; „მეტრედისდფერად მეჩვენა, **სხივი** მისდევდა **მზიური**“ [„ბახტრიონი“]; „გული სცემს **ბრაზმორეული**, სახეც არ ჰმალავს ამასა“ [„სტუმარდმასპინძელი“].

#### **პრეპოზიციური სუბსტანციური მსაზღვრელი**

„იმით ველარა დაიჭერს, თუნდ **რკინის** დაჰხვდეს **კარები**“ [„არაგვს“]; „შეჰკრავს ცულსა და ამ დროს **ხის** შამოესმის **კენესაო**“ [„გველისდმჭამელი“]; „რად სჩადის ამას, ხომ რჯულიც **კლვისას** არ გაძლევს **ნებასა**“ [„გველისდმჭამელი“].

#### **პოსტპოზიციური სუბსტანციური მსაზღვრელი**

„არაგვმა **ლახტი** აილო **ამირანისა**, რა ხანი“ [„გაზაფხული“]; „**ცრემლს** ჰღვრიან **მჭმუნვარებისას** ცხოველდმფრინველნი, ჭიანი“ [„რუსდიმერელს“]; „მაგრამ როს ნახა უცნობი, **ფერი** დაედო **მგლისაო**“ [„სტუმარდმასპინძელი“]; „რომ სულ აღარა მეგრძნო რა, **ძალაც** ვითხოვე **ღვთისაო**“ [„გველისდმჭამელი“].

ზემოთ მოყვანილი მაგალითები არაერთგვაროვან სურათს გვიჩვენებს, სუბსტანციური მსაზღვრელისთვის ემფატიკური -ა ხმოვნის გამოყენების მხრივ. როგორც ცნობილია, პრეპოზიციასაში ნათესაობით ბრუნვაში დასმული მსაზღვრელისთვის ემფატიკური -ა ხმოვნის დართვა ძველი ქართულისთვის სავალდებულოა, ახალ ქართულში კი იგი აღარ იხმარება [თქსენ, 1986:135], ხოლო პოსტპოზიციასაში მისი გამოყენება, როგორც ძველ, ისევე ახალ ქართულში აუცილებლობას წარმოადგენს [თქსენ, 1986:137]. ვაჟასთან პრეპოზიციასა და პოსტპოზიციასშიც ორი განსხვავებული მდგომარეობა დასტურდება. ემფატიკური ხმოვანი ხან დაერთვის მსაზღვრელ წევრს, ხან – არა, რაც, ჩვენი აზრით, შეპირობებულია სტრიქონში მარცვალთა რაოდენობის, მეტრის, შესაბამისად, რიტმის შენარჩუნების მიზნით.

ვაჟას პოეტურ შემოქმედებაში ატრიბუტული თუ სუბსტანციური მსაზღვრელისა და საზღვრული სახელის გათიშვა ძირითადად სახელობით, მოთხრობით და მიცემით ბრუნვებში ხორციელდება. აღნიშნულ ფორმათა სიჭარბე იმით აიხსნება, რომ საზღვრული წევრი ქვემდებარე, პირდაპირი ან ირიბი დამატებაა, რომელსაც შემასმენელი შესაბამის ბრუნვებში მართავს, თუმცა განხილული ენობრივი ფორმები ყველა ბრუნვაში დასტუდება:

**სახელობითი:**

„გული გაშავდა ქვეყნისა, შხამით შედედა ზნეობა“ [„რისხვა ჯვარისა“].

**მოთხრობითი:**

„სხვისამ იჟღეროს ჩონგურმა, სხვამ ააქუხოს ნალარა“ [„ჩონგურის სიმები დამინყდა“].

**მიცემითი:**

„ხარს ვგეგვარ ნაიალლარს, რქით მინასა ვჩხვერ, ვდუდუნებ“ [„სიმღერა“].

**ნათესაობითი:**

„და ჯაჭვი ისევ მთელდება, გულის საკლავად მონისო“ [„ამირანი“].

**მოქმედებითი:**

„მღვდელ-დიაკვანის გალობას ხმით დამძახოდენ ბოხითა“ [„ეულის სიმღერა“];

**ვითარებითი:**

„ირემი დაჰვინყებოდა, ხედ ქცეულიყო ხმელადა“ [„ეთერი“].

**წოდებითი:**

„ჰა, თორო შავთხოვ ფრანგულსა, ხმალო, გამიჭერ, ფხიანო“ [„გოგოთურ და აფშინა“];

აკაკი შანიძის, ლეო კვაჭაძისა და თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა მიხედვით, ტმესირებული პრეპოზიციური ატრიბუტული და სუბსტანციური მსაზღვრელი ბრუნვიანი ხდება, შესაბამისად, სუბსტანციური მსაზღვრელი – მართულ-შეთანხმებული, რასაც ზემოთ მოყვანილი ფორმებიც ცხადყოფს. თუმცა ვაჟასთან აღინიშნება ისეთი შემთხვევებიც, როცა პრეპოზიციაში ტმესირებული მსაზღვრელ-საზღვრულიდან ერთდერთი ბრუნვის ნიშანს სრულიად არ დაირთავს:

„რას-რარა ჰფიქრობ შვილზედა, ცრემლ რო ჩამოგდის მჩქეფარე“ [„მაცნე“];

„ყელში საუბარს დავინყებ, ჭკვიანურ მამდის სიტყვაცა“ [„ფშაველ ლოთის სიმღერა“];

ჩვენი აზრით, მსგავსი ფორმების არსებობას პოეტური სტილიზება, ანუ ლექსთწყობის საჭიროება, უდევს – ავტორი ლექსის საზომის შესანარჩუნებლად წრფელობით ბრუნვას მიმართავს, რაც სავსებით გამართლებულია.

საინტერესოა, მსაზღვრელ-საზღვრულის ტმესისას რიცხვში შეთანხმების საკითხიც. კვლევამ გვიჩვენა, რომ **-ებიან** მრავლობითში ატრიბუტული ტმესირებული მსაზღვრელი პოსტპოზიციასში ხან სრულად დაირთავს მრავლობითი რიცხვის **-ებ** სუფიქსს, ხან კი მხოლოდობითშია:

„რა ნამსაც დაცოტავდება, ცრემლები მოსდის მდულარი“ [„შემოდგომა მთაში“];

„ლექსები ვიცი ტკბილები, ზღაპრები ჯურა-ჯურაო“ [„პირველი გაზაფხული“].

პრეპოზიციასში ტმესირებული ატრიბუტული მსაზღვრელი მრავლობითში დასმულ საზღვრულს, ძირითადად, მხოლოდობითი რიცხვით ითანხმებს:

„მეფის სასახლის კოშკებზე შავი ფრიალებს ალმები“ [„ეთერი“];

**-ნარიან** მრავლობითში პრეპოზიციური და პოსტპოზიციური ტმესირებული ატრიბუტული მსაზღვრელი, უმეტესად, სრულად ითანხმებს საზღვრულ სახელს რიცხვში:

„ხშირნი მოდიან **ღრუბელნი**, ლალად მიდგიანგმოდგიან“ [„კოპალა“];

„მკვდართ კაცთა შანდობა ვუთხრათ, **ძალნი** ვახსენოთ **ციერნი**“ [„გველის-მჭამელი“].

**-თანიანი** მრავლობითის ფორმები და სუბსტანციური ტმესირებული მსაზღვრელის მრავლობითობისა იშვიათად დასტურდება ჩვენ მიერ შესწავლილ მასალაში, ამიტომ ამ მხრივ დასკვნების გამოტანა გაჭირდება.

როგორც ცნობილია, ტმესირებულ მსაზღვრელგსაზღვრულს ხშირად ვხვდებით თარგმნილ თუ ორიგინალურ ძეგლებში [მელიქიშვილი, 1975:171]. ამიტომ მიზანშეწონილად ჩავთვალეთ, ვაჟას პოეტური თარგმანების განხილვაც, რამაც ცხადყო, რომ მსაზღვრელგსაზღვრულის ტმესს მწერალი თარგმანის დროსაც მიმართავს, მაშინაც კი, როცა ორიგინალურ ნაწარმოებში ის არ დასტურდება:

„მაგრამ მას შემდეგ ისე **ლამაზი** შდრ.  
აღარ უნახავს ქვეყანას **ქალი**“  
[6, „ქაჯი“, 1896:35]

„Клянусь красавица такая  
Под солнцем юга не цвела“  
[19, 1841:140]

ჩვენი აზრით, მსაზღვრელი წევრისა და საზღვრული სახელის ტმესს მწერალი აქცენტების სწორად დასმის, ლექსემათა დანაწევრების მიზნით იყენებს. იგი მიზანმიმართულად ხლეჩს განსაზღვრებასა და საზღვრულს, რათა მათ შორის არსებული სემანტიკური კავშირი ნიველირდეს, რის შედეგადაც მკითხველის ცნობიერებაში ყურადღება განსკუთრებით საზღვრულის თვისობრივ მახასიათებელზე მახვილდება. ამის მიუხედავად, მსაზღვრელგსაზღვრულის ერთმანეთისგან დაშორება არ იწვევს სემანტიკური კავშირის სრულ განწყვეტას. ეს კი იმით აიხსნება, რომ განსაზღვრება და საზღვრული წევრი თანაბრად დაირთავს ბრუნვის ნიშნებს და ერთმანეთს ითანხმებს, ხოლო შემასმენელი, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, მაიზოლატორის ფუნქციას ასრულებს, ამავდროულად მაკავშირებლის როლსაც ითვისებს, რადგან, სწორედ, ისაა წინადადების ძირითადი კოორდინატი.

ტმესი ერთგვარი აზრობრივი მახვილია, როგორც მსაზღვრელ-საზღვრულის, ისე პრევერბთა შემთხვევაში. ის ხელს უწყობს განსხვავებული აზრობრივი და ემოციური ნაკადის შექმნას. სწორედ, სიტყვის ესთეტიკური ღირებულების შეგრძნებით მწერალი ავრცობს საგნის ნიშანთვისებას და განყენებულად წარმოგვიდგენს მას. ჩვენი აზრით, მიმოხილული ენობრივი ვარიაცია სტილისტიკურ ფიგურათა რიგს მიეკუთვნება, რომლის არსებობასაც ხელი ინვერსიას უნდა შეეწყოს.

მოგეხსენებათ, ინვერსიაც სტილისტიკური ფიგურაა, რომელიც წინადადებაში ლექსემათა ჩვეულებრივი რიგის შეცვლას გულისხმობს, ის „ენობრივ სტრუქტურაში მოძიებული თავისუფლებაა“ [სანიკიძე, 2009:103]. როგორც ინვერსიისას, ისე მსაზღვრელ-საზღვრულის ტმესისას ერთ-ერთ მთავარ როლს შემასმენელი ასრულებს, კერძოდ — „ქართული ზმნა, რომელიც კოორდინირებს მთელი წინადადების აგების დროს (როგორც ფორმობრივ – ისე შინაარსობრივად), თავის გარშემო იკრებს წინადადების დანარჩენ წევრებს და განლაგების თვალსაზრისით არ ზღუდავს მათ.“ [სანიკიძე, 2009:104].

ჩვენი აზრით, ტმესი, როგორც ენობრივი მოვლენა, საკუთრივ ქართული წარმომავლობისაა, სახელდობრ, ტმესირებული მსაზღვრელ-საზღვრული დასტურდება ქართულ ხალხურ პოეზიაში:



„მზეო ამოდი, ამოდი, ცხვარს დაგიკლავ მაკესა“ [„მზეო,მზეო“]; „ღვინალ ჯეგნი იმერთი-შა, კვეცენ ჯერდი, ო, ყვრმაში“ („ღვინო გაქვს იმერული,ხორბალი – ყიმისა“) [„თვეთენ მანგურ (თეთრი მანგური)“].

როგორც ავთანდილ არაბული წერს: „ვაჟა-ფშაველას პოეზია ფშავ-ხევსურეთის ზეპირსიტყვიერებაში იღებს სათავეს. სპონტანური სიღრმითა და სისადავით აღბეჭდილი, მრავალათეულ წელთა ნიაღვამოვლილი ქართული შემოქმედებაა ის დაუშრეტელი წყაროსთვალი, განსაკუთრებული ძალით რომ იზიდავდა მწერლის გულისყურს...“. თავად ვაჟაც პუბლიცისტურ შრომებში არაერთხელ ხაზგასმით საუბრობს ხალხური შემოქმედებისა და ენის მნიშვნელობაზე [არაბული, 1990:3], ამიტომ მიზანშეწონილია ჩავთვალოთ, რომ აღნიშნული ტმესი მწერალმა ხალხური პოეზიიდან ისესხა.

ჩვენი აზრით, ძველ ქართულ წერილობით ტექსტებშიც ტმესირებული მსაზღვრელგსაზღვრულის გამოყენებას საფუძვლად მრავალსაუკუნოვანი ხალხური ზეპირსიტყვიერება უდევს, რადგან მხოლოდ ქართველი ხალხის თანდაყოლილი ენობრივი გემოვნებით იქმნებოდა მსგავსი მარგალიტები, რომლებიც მაშინვე იკიდებდნენ ფეხს ლიტერატურაში.

ამრიგად, ტმესირებული მსაზღვრელგსაზღვრული ქართული ენის ნაყოფია და დამახასიათებელია თითქმის ყველა დროის ტექსტისთვის. როგორც ჩვენმა ზემოთ მოყვანილმა მსჯელობამ ცხადყო, აღნიშნული მოვლენა წმინდა სტილისტიკური ხერხია და ის სტილისტიკურ ფიგურათა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ, რომელსაც ასე გემოვნებიანად, გონივრულად და მოქნილად იყენებს ვაჟას პოეტური გენია.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. არაბული ა., ვაჟა-ფშაველას პოეტურ სამყაროში, თბილისი, 1990.
2. ვაჟა-ფშაველა: თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. I, თბილისი, 1964.
3. ვაჟა-ფშაველა: თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. II, თბილისი, 1964.
4. ვაჟა-ფშაველა: თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. III, თბილისი, 1964.
5. ვაჟა-ფშაველა: თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IV, თბილისი, 1964.
6. ვაჟა-ფშაველა: თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. VIII, თბილისი, 1964.
7. ვაჟა-ფშაველა: თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბილისი, 1964.
8. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, თბილისი, 1986.
9. კალაძე ც., განსაზღვრება ქართულში, ქართველის ენათა სტრუქტურის საკითხები II, თბილისი, 1961.
10. კვაჭაძე ლ., თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი, 1977.
11. კიკნაძე გრ., ვაჟა-ფშაველას შემოქმედება, თბილისი, 1989.
12. მელიქიშვილი დ., იონანე პეტრინის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი, თბილისი, 1975.
13. სანიკიძე ი., სანიკიძე 2009: ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა, თბილისი, 2009.
14. ქართული ხალხური პოეზია 1972; მითოლოგიური ლექსები, ტ. I, თბილისი, 1972.
15. შანიძე ა., 1980: თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. III, თბილისი, 1980.
16. შოთა რუსთაველი 1966; ვეფხისტყაოსანი, თბილისი. 1966.
17. М.Ю. Лермонтов 1947: Полное Собрание Сочинений, Т. II, Москва, 1947.

## ფრაზეოლოგიური გამონათქვამები აჭარულში (მარეთის ხეობის მასალების მიხედვით)

ფრაზეოლოგიზმი სიტყვათა თავისებური დაკავშირებაა. მასში მოიაზრება მტკიცედ ჩამოყალიბებული, მყარი გამონათქვამები, რომლებიც ენაში / დიალექტში არსებობს მზა მარაგის სახით; მეტყველი მას საჭიროებისამებრ იღებს საკუთარი ენობრივი მეხსიერებიდან.

ფრაზეოლოგიურ სიტყვა-თქმებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ამა თუ იმ ენის ლექსიკაში, რადგან ისინი ერისა თუ დიალექტის თვისობრივ მახასიათებლებს, მის შინაგან ბუნებას ყველაზე უკეთ გამოხატავენ.

ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა აჭარული კილოს, მონაცემები.

ჩვენ საშუალება გვქონდა 2018 წლის ზაფხულში ეთნოგრაფიული ექსპედიციის ფარგლებში გვემუშავა აჭარის, კერძოდ შუახევის სოფლებში და ჩაგვენერა შესაბამისი მასალა. წინამდებარე შრომაში წარმოვადგენთ საინტერესო ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებს.

აჭარულ მეტყველებაში ხშირია სომატური, საყოფაცხოვრებო, ბუნების მოვლენებთან დაკავშირებული იდიომატური გამოთქმები:

### 1. სომატურ ფრაზეოლოგიზმებში ჭარბობს გულთან და თვალთან დაკავშირებული შესიტყვებები:

**გული დემინვა** – გული დამწყვიტა, დამენანა: „გული დემინვა მაი ბალანეს ამბავმა.“ შდრ. გულის დანვა – დადარდიანება, დამწუხრება, დანალვლიანება (სახოკია, 1979:113).

**გულზე დაგალამდება** – დასევდიანდება: „ჩემ ამბებს ყველა ვერ გუძღვებს, გულზე დაგალამდება კაცს.“ შდრ. გულზე დაბნელება და შენწახება, დაღონება, დანალვლიანება (სახოკია, 1979:112).

**გული მომეცა** – იმედი მომეცა: „გული მომეცა, დამინახავენ და გვიშველიანთქვა.“ შდრ. გულის მოცემადგათამამება, გამხნეება, გაგულოვნება, გამამაცება (სახოკია, 1979:115).

**გულმაგარი, გულიანი** – უშიშარი, ძლიერი: „ძალიან მშიშარას გული გოუსკდებაო, ვერ გამევიყენებო, და ვინც გულიანია, გულმაგარია იმან შეიძლება დამასწროსო.“ შდრ. გულიანიდრასაც გული აქვს, ღრმა, ძლიერი, მაგარი. გულმაგარიდვისაც მაგარი გული აქვს, მხნე, უშიშარი, გაუტყეხელი (ქეგლ, 1950-1964:1510-1513).

**რაცხამ გულში გაგიარა** – რასაც გაიფიქრებ, განიზრახავ: „შენ არ გიმკითხავენ გადი გარეთ და რაცხამ გულში გიგიარა ჩემზე თვალი არ დეიჭირო შენ ქალს მიხედო, საავადმყოფოში წასაყვანია მაგიო.“ შდრ. მსგავსი ფრაზეოლოგიზმი გვხვდება იმერხეულ დიალექტშიც. მაგ: „რაცხა გულში გიგიარს, არ-ნა თქვა“.

**გული დამპალი გაქ** – ბოროტი, შურიანი ადამიანი: „თუ გული დამპალი გაქ რამე არ გაგიკეთდება შენ, გულში გიყურებს ღმერთი.“

**სუფთა გული** – უბოროტო, კეთილი ადამიანის სემანტიკით გამოიყენება: „გული თუ სუფთა გაქ ბოლოს აიღორზე(სწორი გზა) გამოხვალო იტყვიან, სწორ გზაზე დადგებიო.“ შდრ.

იმერხეულ დიალექტში მსგავსი სემანტიკით გვხვდება შემდეგი ფრაზეოლოგიზმი: „ცოდვა არ-  
ნა ისაქმო, გული ლამაზი-ნა გქონდეს.“

**კარგი გული – კეთილი**, სამართლიანი, უბოროტო ადამიანი: „შენ თუ კარგი გულით შეხ-  
ვდი შენთვის ყველაფერი კარგად მოგივაო.“

**გულში ჩახედვა** – თავის მდგომარეობაში ჩახედვა, გაგება რაც გულში ხდება: „ვუთხარი  
მაი თვალები მოაშორე ტელევიზორს-მეთქი,შენსკენ შეიბრუნე მაგ გულში ჩეხედე-მეთქი.“  
**შდრ. გულში ჩამოხედვა** (ან ჩახედვა)-გაგება, რაც გულში ხდება,შეტყობა იმისა რაც გულს  
უჭირს, ანუხებს, საიდუმლოს გამომჟღავნება. (სახოკია, 1979:122).

**თვალი გაახელია** – მობრუნდა, მოიხედა, გადარჩა: „ნამეტანი ცუდად იყო, მარა თვალი გა-  
ახელია კაი წამლობამ (იმერულში დღეს აგრეთვე ნიშნავს ცხოვრების მცოდნე, გარკვეულ  
ადამიანს „კარგი თვალში გამოხედილი/ თვალგახელილი გოგოა“). **შდრ. თვალის გახელად**  
სწავლა-განათლება, გაჭირვებისაგან გამოსვლა, სამხიარულოს ნახვა, სიამოვნება, ფრთხილად  
ყოფნა (სახოკია, 1979:260).

**თვალი გეცა – გათვალვა**, ავი ზრახვით შეხედვა, ვისაც სხვისი გათვალვა შეუძლია: „ვისი  
თვალის გეცა გაუხმა თვალის კაკალი.“

**თვალი გაექცად** ყურება,შეხედვა, თვალების მიჩერება: „მოხდა ისე და ამ ბავშვს თვალი  
გაექცა და დაინახა დედამისის გვამი და იმის მერე შიშში დარჩა.“ **შდრ. თვალთა მოსხლეტად-  
ვისმე** ან რასმე რომ არ უყურებდე,ცქერა რომ არ გინდოდეს.“ (სახოკია, 1979:256).

**თვალეზით შეჭამა** – ხარბად ბოროტად ყურება: „ერთ კაცს შევამონმე რო თვალეზით უნ-  
და შეეჭამა ბავშვი“. **შდრ. თვალთ შეჭმად** ხარბად,მითვისების ძლიერი სურვილით ყურება.  
(თ.სახოკია, გვ, 257).

**თავში ვახურდავებ** – ანუ ვფიქრობ: „ეხლა მე ჩემ თავში ვახურდავებ იმას რომ ევროპად-  
მეთქი.“

**დულარე წყალი გედემერო თავზე** – ცუდი ამბავი დამემართა: „დულარე წყალი გედემერო  
თავზე სამი შვილი მომიკტა“.

**პირში ნემსი აქვს** – ანუ ვერ დაელაპარაკები, დადუმება: “ პირში ნემსი აქ იმას და ისე თე-  
სავს, არ შეიძლება ლაპარაკი.“ **შდრ. პირში კლიტის დადებად** მტკიცედ დადუმება,არაფრის  
თქმა. (სახოკია, 1979:489).

ჩვენ მიერ, ზემოთ მოყვანილ ფრაზეოლოგიზმებში იგრძნობა ადამიანის განწყობილება,  
კერძოდ ემოციური და სულიერი მდგომარეობა, რომლებიც ერთგვარ მრავალფეროვნებას ანი-  
ჭებენ აჭარულ დიალექტს. ამ აღნიშნული ფრაზეოლოგიზმებიდან იგრძნობა, მოწონება, სიყვარ-  
ული, გაბრაზება , რომელიც უპირველეს ყოვლისა **გულს** უკავშირდება, სადაც ასახულია მო-  
ცემულ მომენტში ადამიანის რეალური განწყობილება.

აჭარულ დიალექტში ქართული სალიტერატურო ენის მსგავსად მოიპოვება ფრაზეოლო-  
გიზმი, რომელშიც შესაძლებელია ადამიანის გრძნობად განწობილების ამოცნობა. მოცემულ  
მაგალითებში, სადაც ფრაზეოლოგიურ ერთეულად **თვალი** და **თავი** გვევლინება ამ შემთხვევ-  
ვაში გადმოიცემა ადამიანის სისუსტე და მანკიერი თვისებები.

### **1. აჭარულ დიალექტში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ყოფითი ცხოვრებიდან მომდი- ნარე იდიომებსაც, მაგალითად:**

**ჭახე ლაპარაკი** – დაუკვირვებელი ლაპარაკი: „ჭახე ლაპარაკი ვინც იცოდა , თავ კაცად  
არავინ შეხედავდა.“

**გაქნეული სიტყვა** – ნამოსროლილი სიტყვა: „გაქნეული სიტყვას უკან ვერ დააბრუნებ.“

**ტყვიას ტყვიაში აჯენს** – ფიზიკურად ძლიერი, კარგი მსროლელი: “ამან შეიტყო რომ მომწვარში ყოფილა ყასუმ ბაიასტარი, ტყვიას ტყვიაში აჯენსო.”

**წარმატებული ოჯახი** – შეძლებული, მდიდარი: “გასათხოვარი გოგოსთვის თუ ცოლსათხოვი ბიჭისთვის წარმატებულ ოჯახს ეძებდნენ.”

**დროული ქვეყნა** – დროული ქვეყანა ანუ დროებითი: „იმ ქვეყნის მოგება“ – სამოთხის მოპოვება. „ეს ქვეყანა არის დროული და იმ ქვეყნის მოსაგებად ვართ ჩვენ გაჩენილი“ (ემინე ბე-ბო).“

**ჩრდილში ვართ** – მორიდებულად, მოკრძალებულად, დაჩაგრულად ყოფნა: „ამ ქვეყნად უფრო ჩრდილში ვართ. დაჩოღვილი ვართ, მარა ღმერთით, იქ მერე უკეთესად ვიქნებით.“ შდრ. **ჩრდილში მიყენებული – დამცირებული, უყურადღებოდ დატოვებული, ღირსეულად დაუფასებელი.**“ (სახოკია, 1979:790). **დაჩოღვილი ყოფნა – დაჩაგრულად ყოფნა.** ლექსემა დაჩოღვა-დაჩოღვილი იმავე მნიშვნელობით გვხვდება შუშანა ფუტყარაძის „ჩვენებურების ქართულში“, მაგრამ მესხურ-ჯავახურსა და სხვა კილო-თქმათა ლექსიკონებში არ დასტურდება, მხოლოდ მოხეურში გვაქვს სიტყვა – **დაჩოღვოტება** – დაჩაგვრა, დაბრეყვების მნიშვნელობით: „ერთად კაცად ჩაგვავადებენ, თორემ თემის გარე დაჩოღვოტებაც არ იქნება“ (ქეგლ)

**გზაზე გამვლელი ქალი** – ანუ მსუბუქი ყოფაქცევის: “ ჯეჰენემში (ჯოჯოხეთი) მოხვდება კაცის მკვლელი და გზაზე „გამვლელი ქალი“. შდრ. „ქურჩის ქალი.“ შდრ. **გზამრუდოდ** უკეთური, უპატიოსნო. (სახოკია, 1979:94).

**ქუდ ანუელი დავდივარო** – სიამაყით დავდივარ(ამაყი, შეურცხვენელი): „ჩემი ბიჭი ამბობს ხოლმე მე ჩემი დედით ვამაყობო, რომეო მე ქუდ ანუელი დავდივარო.“ შდრ. **ქუდი გვახურავს** და შეურცხვენელი, ამაყი (სახოკია, 1979: 693).

**წყალი მელირსოს** – წყლის მომნოდებელი, მომვლელი სიკვდილის დროს: „სიკვდილის დროს წყალი მელირსოს, მომვლელი მყავდეს, როცა გამიჭირდება ღმერთმა მარტო არ დამტოვოს.“

**დაღეჭილი ლუკმა** – მზა-მზარეულის მორთმევა: „შენ უნდა მიყიდო სახლი, შენ უნდა მომიტანო საჭმელი, დაღეჭილი ლუკმა მე პირში უნდა ჩამიდვა: შდრ. **დაღეჭილი** ღეჭვით დაქუცმაცებული, ბევრჯერ განმეორებული, მრავალჯერ წაკითხული, შესწავლილი (ქეგლ, გვ, 929).

**პირწკვიტელი განიავდებაო** – ანუ ვილაც მოკვდება ოჯახში: „გლახა ფეხი თუ მაქო პირწკვიტელი განიავდებაო ოჯახში ვინცხაი მოგიკვდებაო, კარგ ფეხი გამომაყენა ღმერთმაო და მის მერე შამოვიდოდა ჩვენებურად.“

**ბერექეთი მოგცეს ღმერთმა** – ბარაქიანი მოსავალი მოგაყვანილოს: „მაგალითად, ყანას თუ ხნავს დოფუძახებ ბერექეთი მოგცეს ღმერთმა. შდრ. ჩვენებურების ქართულში გვხვდება ბერექეთი რაც ნიშნავს – სიკეთეს, სიუხვეს, უხვ მოსავალს (397გვ). ლექსემა ბერექეთი ბარაქის მნიშვნელობით დასტურდება ლაზურში და მეგრულშიც: „ხვე დო ბერექეთიანი მალაზა დო ხარა“ (ქაჯაია, 2001)

**წინ ვერ წახვალ** – გაუბედურება: „როგორც ხარ ისე დარჩები, წინ ვერ წახვალ“ ანუ გაუბედურდები მთელი ცხოვრება. შდრ. იმერხეულ დიალექტში გვხვდება შემდეგი სახის ფრაზეოლოგიზმი: „ახლა ქალაში წადიხარ, ყანაში წადიხარ, ფენა ილაღვი, ვერ გილოცია, ამა ილოცედე, საქმე წინ წიგვივა.“ რომელიც ძირითადად დალოცვის სემანტიკით გამოიყენება.

**სული აღარ იწვალეხს** – ანუ სამოთხეში მოხვედრა: „ჩემი სული აღარ იწვალეხს, ჯეენეთს (სამოთხე) ვეხვეწები მომახვედროს“.

**ფუხარა მეზობელი** – ანუ გაჭირვებული: „ჰო თორე ფუხარა მეზობელი რად მინდა.“ შდრ. შუშანა ფუტყარაძის წიგნშიც გვხვდება **ფუხარა** რაც ნიშნავს ღარიბს და ღატაკს. **ფუხარა**

მომდინარეობს არაბული სიტყვისაგან – „ფუკარა“ რაც ღარიბს ნიშნავს. გვხვდება გურულში, აჭარულსა და მესხურ-ჯავახურში არაფრის მქონე, – ღარიბი, ლატაკის მნიშვნელობით: „ზალიკა ნამეტარი ფუხარაი ყოფილარ(ე. ნინოშ.). „მე აჭარელი ფუხარა ვარ [ამბობდა მუშა] (მ. ჩხიკვიძე.), „საჯაროდ დავაარსებთ კოლექტივს. ფუხარა გლეხობა ფეხზე დადგებარ(ე. ზედგენიძე) (ქეგლ., ე. ზედგენიძე, ჯავახური ლექსიკონი, 2014). 1924-1929 წლებში გამოდიოდა აჭარისტანის პროფსაბჭოს ყოველდღიური გაზეთი. „ფუხარა“.

მოცემულ მაგალითებში ასახულია ადამიანის ობიექტური სინამდვილე, ცხოვრებისათვის დამახასიათებელი დადებითი თუ უარყოფითი მხარეები, რომლებიც ერთგვარ სილამაზესა თუ სისხარტეს სძენს აჭარულ დიალექტს.

## **2. საინტერესოდ გვეჩვენება ბუნების მოვლენებთან დაკავშირებული ისეთი იდიომები, როგორცაა:**

**მზემ ამოანთლა** – კარგი ამინდი გახდა: „**მზემ თუ ამოანთლა** იქ ხვალ აუცილებლად დარიაო.“

**მზე იკბინება** – ძალიან მწველი სიცხე: „**მზე იკბინება**, ისეთი სიცხეს გამოაშვებს უცბათ რო სული შეგახუთება.“ **შდრ. მზე იკბინებად** მზის სხივები მეტად ცხელია. (სახოკია, 1979: 395).

**მთვარე იღევა** – დაძველდა: „მთვარის ბოლო კვირას უნდა მიიყვანო, თან როცა მთვარე იღევა ამ დღეს.“ **შდრ.** მსგავსი ფრაეოლოგიზმი გვხვდება იმერხეულ დიალექტშიც. მაგ: „**თუარე დეილია-დეილია** თუარე, დაზუელდა, იტყვიან ასეც“.

**ხომკეკალაი განვიმდება** – მსხვილი წვიმა მოვა: „რა ვიცი მოსავალი არ მოვაო **ხომკეკალაი განვიმდებაო**.“ **შდრ.** იმერხეულ დიალექტში გვხვდება შემდეგი ფრაზეოლოგიზმები: ხომკაკალა ქი იქნება, **სხვილი წვიმა** წამუა“.

ამ მაგალითების მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ აჭარულ დიალექტში და არა მარტო აჭარულში მრავალფეროვნებით გამოირჩევა ბუნების აღმნიშვნელი ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომელიც კარგად გამოხატავს ბუნების ძალას და მის მიმზიდველ გარემოს.

ამგვარად, აჭარულ დიალექტში ფრაზეოლოგიური ერთეულების უმრავლესობა საკუთრივ ქართულ ხალხურ ნიადაგზეა შექმნილი, გვხვდება სალიტერატურო ენასა და სხვა კილოებში. შედარებით იშვიათად დასტურდება თურქული ლექსიკური ერთეულები, რაც ასწლეულების მანძილზე თურქულ ენობრივ სივრცეში მეზობლობის შედეგია.

## **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. მიქაუტაძე მ., იდიომატურ გამოთქმათა ერთი ჯგუფისათვის ტაოურსა და იმერხეულში: ჟურნ. ქართველური მემკვიდრეობა, ტ. XVII, ქუთაისი, 2013.
2. სახოკია თ., ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თბილისი, 1979.
3. ფოჩხუა ბ., ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბილისი, 1974.
4. ფუტკარაძე შ., ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993.
5. ქეგლ – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რვატომეული, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი, 1950-1964.
6. ქართლური დიალექტის ლექსიკონი (მასალები); შემდგენლები: ბეროზაშვილი თ., მესხიშვილი მ., ნოზაძე ლ., თბილისი, 1981.
7. ქართულ კილო – თქმათა სიტყვის კონა, შემდგენელი: ალ. ლლონტი, მეორე გამოცემა, „განათლება“, თბილისი – 1984.

## პერფორმატივები ქართულ სამეცნიერო ენაში

სემიოტიკა – ნიშანთა შემსწავლელი მეცნიერება განარჩევს ნიშანთა შესწავლის სამ ასპექტს: სინტაქტიკას, რომელიც ნიშნებს მიმდევრობაში, მათ შორის წრფივ მიმართებებს შეისწავლის; სემანტიკას, რომელსაც აღმნიშვნელსა და აღსანიშნს შორის მიმართება აინტერესებს, და პრაგმატიკას, რომლის კვლევის ობიექტი ნიშანთან ნიშნის მომხმარებლის დამოკიდებულებაა. ენის სისტემა ყველა ამ ასპექტით შეისწავლება.

ყოველი ენობრივი ერთეული ხასიათდება თავისებური სინტაქტიკით, სემანტიკითა და პრაგმატიკით. სწორედ ეს ქმნის ენობრივ ნიშნებს შორის სხვაობას, განსაზღვრავს მათ მახასიათებლებს, თავისებურებებს.

სემანტიკაში ასეთ თავისებურებას შეიძლება წარმოადგენდეს ის, თუ რას გამოხატავს ენობრივი ერთეული – კონკრეტულ ობიექტს (რეფერენტული მნიშვნელობა), ობიექტთა სიმრავლეს (დენოტატური მნიშვნელობა), თუ რეალურ ობიექტთან მიმართების უქონლობას (სიგნიფიკატური მნიშვნელობა) (გამყრელიძე და სხვ. 2008: 341-343). ამ უკანასკნელ ჯგუფს მიეკუთვნება პერფორმატივები.

პერფორმატივი ისეთი ენობრივი ერთეულია, რომელიც მოქმედების ეკვივალენტურია: მისი შესაბამისი მოქმედება სრულდება სამეტყველო აქტში თავად პერფორმატივის წარმოთქმის გზით. მაგალითად:

*„მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, გარკვეულ ფარგლებში -ავ და -ევ მორფემათა განაწილება ამოსავალი ფუძის გახმოვანების მიხედვით რეალურ ფაქტად მივიჩნით.“*

[ჯორბენაძე 2010: 223]

ამ შემთხვევაში ფიქრობს ზმნა გამოყენებულია შემდეგი მნიშვნელობით: ფიქრობ-ს (იყენ. იფიქრა, უფიქრია) გარდაუვ. სტატ. ჰგონია, წარმოუდგენია. მაგ.: [ნენე] დარწმუნდა, რომ ყაზარა ისეთი საშიში არა ყოფილა, როგორც ფიქრობდა (ს. მაგალობ.) (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი). ფიქრობს ზმნა სწორედ ამ მნიშვნელობით რეალიზდება პერფორმატივად.

პერფორმატივებია, ასევე: *ვფიცავ, ვაღიარებ* და სხვა.

პერფორმატივებისგან განსხვავებით, სხვა ენობრივი ერთეულების წარმოქმნა გულისხმობს რამდენიმე საფეხურს:

- სამყაროში არსებულ გარკვეულ გარეენობრივ მოვლენას (მოქმედება, საგანი...) ადამიანი აღიქვამს გრძნობათა ორგანოებით.
- გრძნობათა ორგანოებით მიღებული ინფორმაცია მუშავდება კოგნიტიური მექანიზმებით.
- შედეგად წარმოიქმნება კოგნიტიური კატეგორია აღქმული მოვლენის შესახებ.
- კოგნიტიურ კატეგორიას უკავშირდება გარკვეული ბგერითი მიმდევრობა.

ამ გზით ვიღებთ გამონათქვამს, უფრო სწორად, გამონათქვამთა უმრავლესობას. პერფორმატივები იმავე პროცესის შედეგად არ მიიღება, რადგან პერფორმატივი თავად წარმოადგენს იმ მოვლენას, რომელსაც ის გადმოსცემს. პერფორმატივის შემთხვევაში არ არსებობს მოქმე-

დება (resp. მოვლენა) გამონათქვამის გარეშე. პერფორმატივის ფორმულაა: *წარმოთქმა უდრის მოქმედებას*.

პერფორმატივის სემანტიკური თავისებურება განაპირობებს მის გრამატიკულ მახასიათებლებს. ფორმულა *წარმოთქმა უდრის მოქმედებას* შეიძლება შესრულდეს მხოლოდ ახლანდელ დროში თავად მთქმელის მიერ, ამიტომ პერფორმატივები ბუნებრივ ენებში მხოლოდ ან-მყოს დროისა და პირველი პირის ფორმით დასტურდება.

## 1. თეორიის ჩამოყალიბება და განვითარება

### 1.1. ჩვეულებრივი ენის ფილოსოფია

მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში ყალიბდება ანალიტიკური ფილოსოფიის მიმდინარეობა, რომლის მიმდევრებიც ფილოსოფიური პრობლემების გადაწყვეტისას დიდ ყურადღებას უთმობენ ბუნებრივ ენას. ლოგიკური ატომიზმი და ლოგიკური პოზიტივიზმი არის ის ორი მთავარი მიდგომა, რომელსაც ისინი ბუნებრივი ენის გასაანალიზებლად იყენებდნენ. ლოგიკური ატომიზმის მიხედვით, ერთეულების გარკვეული კატეგორიები არის ბაზისური და სხვა კატეგორიების ერთეულები მათგან არის მიღებული, ხოლო ლოგიკური პოზიტივიზმის ცენტრალური ცნებაა ვერიფიცირება.

პოზიტივიზმი ატომიზმის იდეების ერთგვარი გაგრძელებაა. ატომიზმის თვალსაზრისით, ენა შედგება უმარტივესი ელემენტებისგან, რომლებისგანაც მიიღება, აიგება სხვა ელემენტები. სინამდვილეც ამავე პრინციპით არის მოწყობილი და ენის უმარტივესი ელემენტები სინამდვილის უმარტივეს ელემენტებს ასახავს. რაც უფრო უახლოვდება ენა თავის იდეალს, მით უფრო კარგად ასახავს ის სინამდვილეს. ამ იდეებმა ფილოსოფიაში ხელი შეუწყო ისეთი შეხედულების ჩამოყალიბებას, რომლის მიხედვით, ენა უახლოვდება თავის იდეალს ჭეშმარიტულ-ფუნქციონალური (resp. ლოგიკურად გამართული) და სინამდვილის ასახვის უნარის წყალობით. (ჭეშმარიტების ფუნქცია განსაზღვრავს წინადადების ჭეშმარიტების პირობებს მისი შემადგენელების ჭეშმარიტების პირობების საფუძველზე, მათი მნიშვნელობისგან დამოუკიდებლად).

ლუდვიგ ვიტგენშტაინი *Tractatus Logico-Philosophicus*-ში ამბობს, რომ აზრიანი პროპოზიციები ორი სახისაა: ფაქტობრივი, ე.ი. რომელიც ასახავს სინამდვილეს, და ლოგიკური პროპოზიციები. პროპოზიციები, რომლებიც არ თავსდება ამ ორ ჯგუფში, უაზროა, რადგან ისინი ცდილობენ გადმოსცენ ის, რისი თქმაც შეუძლებელია.

ვენის სკოლა (რუდოლფ კარნაპი, ფილიპ ფრანკი, რიხარდ ედლერ ფონ მიხესი, კურტ გოდელი და სხვ.), სადაც პოზიტივიზმის მოძღვრება სწორედ ლ. ვიტგენშტაინის ნაშრომების საფუძველზე შეიქმნა, ნაწილობრივ იზიარებდა ლ. ვიტგენშტაინის შეხედულებას. ისინი თვლიდნენ, რომ ამგვარი პროპოზიციები უაზროა იმიტომ, რომ შეუძლებელია მათი დადასტურება – არ არსებობს პროცედურა, რომლითაც ისინი შემოწმდება. პოზიტივისტები ამგვარ გამონათქვამებს მიიჩნევდნენ ფსევდო-პროპოზიციებად, გამონათქვამებად, რომლებიც გამოიყურება, როგორც სინამდვილის ამსახველი პროპოზიციები, მაგრამ ასეთი არ არის.

ამგვარად, ჩამოყალიბდა იდეალური ენის კრიტერიუმები, რომელთაც, მისი მომხრეების აზრით, ბუნებრივი ენა არ აკმაყოფილებს, რადგან იგი არ ჯდება ჭეშმარიტ ლოგიკურ ფორმაში და ამით ამახინჯებს სინამდვილეს, არ ასახავს მას სწორად.

ჩვეულებრივი ენის ფილოსოფია გაჩნდა როგორც რეაქცია ამ შეხედულებების წინააღმდეგ. ბუნებრივი ენის ფრაგმენტულ, მხოლოდ „იდეალური“ ნაწილის ანალიზს დაუპირისპირდა „არა-იდეალური“ – „ჩვეულებრივი“ ენის ანალიზი.

ჩვეულებრივი ენის ფილოსოფიის ჩამოყალიბება უკავშირდება კვლავ ლ. ვიტგენშტაინის სახელს. ლ. ვიტგენშტაინმა გაიაზრა, რომ იგი ენის ფართო შესაძლებლობებიდან მხოლოდ მცირე ნაწილზე ამახვილებდა ყურადღებას. ენას, სინამდვილის ასახვის გარდა, სხვა ბევრი შესაძლებლობა გააჩნია. მაგალითად, ენის მეშვეობით შესაძლებელია ბრძანების გაცემა, რაც არ არის გარესამყაროს მოვლენების აღწერა, გადმოცემა. ამის გამო, მან უარყო ხატის თეორია და სამეცნიერო საზოგადოებას შესთავაზა ხელსაწყო მეტაფორა.

ენის, როგორც ხელსაწყო გააზრებისას, მნიშვნელობების ფენომენის გასაგებად საჭიროა ყველა იმ შესაძლებლობის ცოდნა, რისი გაკეთებაც შეიძლება მისი მეშვეობით. თუ, მაგალითად, კონკრეტულ მნიშვნელობას ვაანალიზებთ, მაშინ ეს მნიშვნელობა წარმოადგენს მისი ყველა გამოყენების ჯამს:

„სიტყვის მნიშვნელობა მისი ენაში გამოყენებაა.“

„სიტყვის ფუნქციონირების მიხედვით შეუძლებელია. საჭიროა მის გამოყენებაზე დაკვირვება და ამ გზით მისი შესწავლა.“

[ლუდვიგ ვიტგენშტაინი, „ფილოსოფიური გამოკვლევები C. S. Perone, NLP word representations and the Wittgenstein philosophy of language-ის მიხედვით“]

ჩვეულებრივი ენის ფილოსოფოსებმა, რომლებიც კემბრიჯში ვიტგენშტაინის მოსწავლეები იყვნენ, გაიზიარეს მისი ახალი იდეები და უარყვეს ანალიტიკური ფილოსოფიის წარმომადგენლების: ფრეგეს, რასელის, ტარსკისა და კარნაპის მიდგომა, რომლებიც ქმნიდნენ მხოლოდ ისეთ მოდელებს, სადაც მოცემული ენის წინადადებები ჭეშმარიტია. ეს გულისხმობს გამონათქვამის რეფერენციაზე ყურადღების გამახვილებას. ჩვეულებრივი ენის ფილოსოფოსების აზრით კი ჭეშმარიტება და რეფერენცია საერთოდ არ არის გამონათქვამის ნაწილი. რეფერენციას ახდენს ადამიანი და არა გამონათქვამები. თუ რეფერენცია და ჭეშმარიტება არ არის გამონათქვამის თვისება, მაშინ მათი მეშვეობით გამონათქვამის მნიშვნელობის ანალიზი არასწორია და საჭიროა გამოსახულების მნიშვნელობა გავიგოთ როგორც მისი სწორად გამოყენების წესი.

## 1.2. პერფორმატივების თეორია

ანალიტიკური ფილოსოფიის წარმომადგენლები გამონათქვამებს, რომლებიც, მათი აზრით, არ ექვემდებარებოდა ანალიზს, ფსევდოგამონათქვამებს უწოდებდნენ, რადგან მათ იგივე ფორმა აქვთ, რაც ჩვეულებრივ გამონათქვამებს, მაგრამ არ აქვთ იგივე თვისებები: სინამდვილის აღწერის უნარი, რის გამოც, შეუძლებელია მათი ჭეშმარიტება-მცდარობის დადგენა. ასეთ გამონათქვამებს მიაკუთვნებდნენ შორისდებულებს, ბრძანებით ფორმებს და სხვა ამგვარი. ჩვეულებრივი ენის ფილოსოფიის ოქსფორდის სკოლის წარმომადგენელმა ჯონ ოსტინმა აღმოაჩინა კიდევ ერთი ასეთი ჯგუფი – პერფორმატივები. ეს ენობრივი მოვლენა ჯონ ოსტინამდეც ჰქონდათ შემჩნეული ენათმეცნიერებს, მაგალითად, კოშმიდერს 1945 წ. პოლონური ზმნის ასპექტის შესახებ სტატიაში(იხ. Кошмидер 1962) და ე. ბენვენისტს 1958 წელს (Бенвенист 1974: 292-301), სადაც განიხილავდა ენაში სუბიექტურობის პრობლემას, მაგრამ ოსტინი იყო პირველი, ვინც პერფორმატივების შესახებ სრულფასოვანი თეორია შექმნა.

### 1.2.1. პერფორმატივების განმასხვავებელი ნიშნები

ანალიტიკური ფილოსოფიის წარმომადგენლების მსგავსად ჯონ ოსტინიც თვლის, რომ ენაში არსებობს ფსევდოგამონათქვამები, რომლებსაც „აქვთ [ჩვეულებრივი] გამონათქვამების სახე, ან, სულ მცირე, გრიმი“ [Austin 1962: 12]. ამ კონტექსტში პერფორმატივების „გრიმი“, ზედაპირული მსგავსება ჩვეულებრივ გამონათქვამებთან არის მათი ფორმა, რადგან პერფორმა-



ტივები სხვა გამონათქვამებისგან ფორმოზრივად არ განსხვავდება. ფორმოზრივი იდენტურობა გულისხმობს იმას, რომ პერფორმატივებს აქვს იგივე მორფოლოგიური კონსტრუქცია და გრამატიკული მნიშვნელობა (ე.ი. პერფორმატიულ ფორმებში შემავალ მორფემებს მათი პერფორმატიულ ფორმებში მონაწილეობისას არ აქვს დაკარგული თავისი გრამატიკული მნიშვნელობა), რაც შესაბამის ზმნებს.

პერფორმატივები შესაბამისი არაპერფორმატიული ენობრივი ფორმებისგან განსხვავდება რამდენიმე თვისებით:

1. პერფორმატივები არ ხასიათდება ჭეშმარიტება-მცდარობის მიხედვით, რადგან პერფორმატივი არ აღწერს რაიმე მოვლენას, საგანს, თვისებას და ა.შ. (იხ. გვ. 5) და, ამიტომ, შეუძლებელია იმის დადგენა, რამდენად შეესაბამება ის სინამდვილეს (ამის მაგივრად, პერფორმატივი შეიძლება დახასიათდეს წარმატებულად ან წარუმატებლად, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი). პერფორმატივების ეს თვისება შეიძლება გააკრიტიკონ ისეთი მაგალითებით, როგორცაა *მოზოდიშება*. ასეთ დროს შეიძლება ვივარაუდოთ, რომ *ბოდიშს გიხდით* აღწერს მთქმელის სულიერ მდგომარეობას. ზოგიერთ შემთხვევაში მართლაც შესაძლებელია, რომ ეს გამონათქვამი მიანიშნებდეს, გულისხმობდეს მთქმელის სინანულს, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ იგი აღწერს, გადმოსცემს ამ გრძნობას განსხვავებით იმ ტიპის გამონათქვამებისგან, როგორცაა, მაგალითად, *ვნანობ, რომ... ვწუხვარ, რომ... საბოდიშოდ მაქვს საქმე...* და ა.შ. ასეთ შემთხვევებში გასათვალისწინებელია ტყუილის, მხატვრული ტექსტის თხზვის ფაქტორიც. თუ ადამიანი იხდის ბოდიშს, მაგრამ არ არის გულწრფელი, ეს გამონათქვამის ლინგვისტურ მახასიათებლებს არ ცვლის. ის ბოდიშს იხდის ასეთი გრძნობის არარსებობისას ისევე, როგორც სინანულის დროს და სწორედ ამაში მდგომარეობს ტყუილის არსი.
1. პირველ პუნქტში მოცემული თვისებიდან გამომდინარეობს პერფორმატივების კიდევ ერთი დიფერენციალური ნიშანი: სინამდვილესთან მიმართების თვალსაზრისით, პერფორმატივები შეიძლება დახასიათდეს, როგორც სიგნიფიკატორული სემანტიკური ერთეულები, განსხვავებით რეფერენციალური და დენოტატური მნიშვნელობის მქონე ერთეულებისგან.
2. ენის სხვა ელემენტებისგან განსხვავება ვლინდება პარადიგმატულადაც, რასაც ჯ. ოსტინი *ასიმეტრიას* უწოდებს. იგი განიხილავს პერფორმატივების მწკრივისა და პირის მიხედვით პარადიგმატულ განსხვავებულობას. შემთხვევა, როდესაც ვამბობთ *მე გპირდები, რომ...* განსხვავდება იმ შემთხვევებისგან, როდესაც ვამბობთ, მაგალითად, *ის დაპირდა, რომ...* ან *მე დავპირდი, რომ...* და ა.შ. პერფორმატიული გამონათქვამი *მე გპირდები, რომ...* არის უშუალოდ დაპირების აქტის განხორციელება. ამ დროს არ ვიძლევი ინფორმაციას გარკვეული პიროვნების მიერ დაპირების ქმედების შესრულების შესახებ, ე.ი. გარკვეული პიროვნების მიერ ამ გამონათქვამის რეალიზაციის შესახებ. როდესაც ჩვენ საუბრის მომენტში ვიყენებთ ამ გამონათქვამს, უშუალოდ ვიძლევი დაპირებას, მაგრამ, თუ ვამბობთ *ის დაპირდა* ან *მე დავპირდი*, ჩვენ ვიძლევი ინფორმაციას შესაბამისი მოქმედების, *დაპირების*, შესრულების შესახებ. (ჯ. ოსტინის თეორია უმთავრესად ორიენტირებულია პრაგმატიკასა და სემანტიკაზე და ამ შემთხვევაშიც, ამ გრამატიკული კატეგორიების განხილვისას, იგი სემანტიკურ და პრაგმატიკულ ნიშნებზე ამახვილებს ყურადღებას.)
3. პერფორმატივები ძირითადად მხოლოდ აწმყოს დროის, მოქმედებითი გვარის, თხრობითი კილოს, პირველი პირის ფორმით გამოიხატება. მიუხედავად ამისა, არსებობს გამო-

ნაკლისებიც, რაც თვითონ ჯ. ოსტინსაც ჰქონდა შემჩნეული. ჯ. ოსტინი მიიჩნევდა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში პერფორმატიული ზმნები შეიძლება იყოს II და III პირში და ვნებით გვარში. როგორც წესი, გამონაკლისები გვხვდება წერილობითი სახით იურიდიულ და ოფიციალურ ტექსტებში, მაგალითად, მგზავრებს ეკრძალებათ ფეთქებადი ნივთიერებების გადატანა.


**1.2.2. პერფორმატივების განხორციელების პირობები**

ჯ. ოსტინი ახასიათებს იმ პირობებს, რომელთა შესრულება აუცილებელია, რომ პერფორმატიული ქმედება განხორციელდეს:

- (A<sub>1</sub>) უნდა არსებობდეს საყოველთაოდ მიღებული პროცედურა, რომელსაც ასევე საყოველთაოდ მისაღები შედეგი ექნება და რომელიც შესრულება გარკვეული პირების მიერ გარკვეულ გარემოებაში გარკვეული სიტყვების წარმოთქმით.
- (A<sub>2</sub>) ყოველ მოცემულ შემთხვევაში კონკრეტული პირები და გარემოებები უნდა იყოს პროცედურის შესაბამისი.
- (B<sub>1</sub>) ყველა მონაწილემ პროცედურა უნდა ჩაატაროს სწორად და
- (B<sub>2</sub>) სრულად.
- (I<sub>1</sub>) თუ პროცედურა, როგორც ხშირად ხდება, არის ისეთი, რომ უნდა შეასრულოს გარკვეული განზრახვის, გრძნობების მქონე ადამიანმა, ან თუ პროცედურის შესრულების შედეგად რომელიმე მონაწილე ვალდებულია შეასრულოს გარკვეული ქმედება, მაშინ მონაწილეს უნდა ჰქონდეს სათანადო განზრახვა და გრძნობები და უნდა ფიქრობდეს თავისი ვალდებულების შესრულებაზე და, მეტიც,
- (I<sub>2</sub>) შემდგომში ასეც უნდა მოიქცეს.

ჯ. ოსტინი ასევე განიხილავს, რა სახის წარუმატებლობასთან გვაქვს საქმე ამ პირობების დარღვევის დროს, რაც სქემატურად ასეა მოცემული:

**წარუმატებლობები**



როგორც შესავალში იყო აღნიშნული, პერფორმატივი ისეთი ენობრივი ერთეულია, რომელიც ქმედების ეკვივალენტურია. ეს განმარტება საჭიროებს დაზუსტებას. პერფორმატივისა და ქმედების მიმართების საფუძველზე შეიძლება გამოიყოს პერფორმატივების სამი ჯგუფი:

1. ზოგიერთი პერფორმატივის წარმოთქმით სრულდება მოქმედება, რომელიც სხვა გზით ვერ შესრულდება. ასეთია, მაგალითად, ზემოთ მოცემული *ვფიქრობ*, *ბოდიშს ვიხდი* და სხვ.
2. არსებობს ისეთი პერფორმატივები, რომლებსაც არაენობრივი კორელატები შეესაბამება. მაგალითად, სანაძლეოს დადება შეიძლება სიტყვიერად და სანაძლეოს დასადებად შექმნილი სპეციალური აპარატით.
3. პერფორმატივების გარკვეული ნაწილი მოქმედების აუცილებელი შემადგენელია. ასეთია გარკვეულ სოციალურ თუ იურიდიულ წესებზე დაფუძნებული ქმედებები, როგორებიცაა, მაგალითად, ქორწინება, გემისთვის სახელის მინიჭება და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მოქმედება არ სრულდება მხოლოდ პერფორმატივის წარმოთქმით, შეიძლება ჩაითვალოს, რომ პერფორმატივი მაინც ასრულებს თავის ფუნქციას, რადგან მოქმედება მის გარეშე არ სრულდება.

ჩვენი აზრით, ჯ. ოსტინის ზემოთ მოცემულ წარუმატებლობების კლასიფიკაციას განაპირობებს ამ ჯგუფებში შემავალი პერფორმატივების ხასიათი. (3) ჯგუფში შემავალი პერფორმატივები რიტუალის, ცერემონიალის, წეს-ჩვეულების ნაწილია, რომელთა განხორციელებას, ენობრივი კომპონენტის გარდა, სჭირდება სათანადო პირობების ჩართულობა და მათ მიერ არაენობრივი ქმედებების შესრულებაც (A, B წარუმატებლობები), (1) და (2) ჯგუფის პერფორმატივების შესრულებას კი არ სჭირდება დამატებითი პირობები, მათი წარმოთქმა საკმარისია პერფორმატიული მოქმედების შესასრულებლად (Γ წარუმატებლობები).

## 2. პერფორმატივები ქართულ სამეცნიერო ენაში

### 2.1 კვლევისთვის გამოყენებული რესურსები

ჩვენს საკვლევ ბაზას წარმოადგენს ქართული სამეცნიერო მეტაენის კორპუსი (<http://sml.corpora.co/#/>). ეს არის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ენობრივ მონაცემთა კომპიუტერული დამუშავების განყოფილებაში შექმნილი კორპუსი, რომელიც, უმთავრესად, განკუთვნილია სამეცნიერო დისკურსის საკვლევად. მასში ამ ეტაპზე განთავსებულია აკაკი შანიძის, არნოლდ ჩიქობავას, ბესარიონ ჯორბენაძის, ბერნარ უტიეს, გივი მაჭავარიანის და სხვ. მონოგრაფიები, სტატიები, თეზისები და ხელნაწერების ელექტრონული ვერსიები (სულ 169 ტექსტი). კორპუსი შედგება 1,189,032 სიტყვისა და 166,485 სიტყვაფორმისგან. იგი გათვლილია მუდმივ ზრდაზე და ამჟამადაც ივსება.

კორპუსში მოცემული მასალა დამუშავებულია ქართული სალიტერატურო ენის მორფო-სინტაქსური ანალიზატორი GeoTrans-ის საშუალებით. იგი შეიქმნა არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტში. GeoTrans სწავლებადი სისტემა – იგი წარმატებით გამოიყენება ქართული დიალექტური კორპუსისა და ქართული სამეცნიერო მეტაენის კორპუსის ანოტირებისათვის და იგეგმება მისთვის დიალექტური მოდულის დამატებაც. ამ მომენტი-სათვის ქართული სამეცნიერო მეტაენის კორპუსში GeoTrans-ის საშუალებით ანოტირებულია მხოლოდ ბესარიონ ჯორბენაძის ტექსტები, სულ 199,151 ერთეული. ჩვენი კვლევა ამ ეტაპზე ეყრდნობა კორპუსის ანოტირებულ მასალას.

## 2.2 პერფორმატიული გამონათქვამების შესაბამისი მასალის მოპოვება და ანალიზი

ძიების შედეგად ქართული სამეცნიერო მეტაენის კორპუსში განთავსებულ მასალაში გამოვყავით 10 საანალიზო ერთეული, რომლებიც არაერთგვაროვან სურათს გვიჩვენებს როგორც გამოვლენის სიხშირის, ისე მორფოლოგიური თუ სემანტიკური მახასიათებლების მიხედვით. პირველ რიგში, წარმოვადგენთ ამ ერთეულების სიას, რომელსაც თან ერთვის სათანადო მაგალითები.

### 1. ვგულისხმობთ

ქართულში ფუძეები სხვადასხვა გახმოვანებით შეიძლება იყოს წარმოდგენილი. ამჯერად ყურადღებას ვამახვილებთ ა- და ე- გახმოვანებულ ფუძეთა ერთ თავისებურებაზე, კერძოდ, **ვგულისხმობთ** ამ გახმოვანების მიმართებას ანმცოსეულ -ავ და -ევ ფორმანტებთან.

### 2. ვვარაუდობთ

მურ-ა და მურ-ე-ა, **ვვარაუდობთ**, რომ ერთსა და იმავე -ა ფორმანტს დაირთავენ, მაგრამ ერთმანეთისაგან მაინც განსხვავდებიან და ამ განსხვავების მიზეზი ნაირგვარი ფუძეებია.

### 3. ვითვალისწინებთ

აქვე ვითვალისწინებთ მიმართებებს ტიპისა:

ტკეპ- (ტკეპ-ნ-ი-ს) — ტკაპ- (ტკაპ-უნ-ი)

[შდრ. ტყეპ- (ტყეპ-ს) — ტყაპ- (ტყაპ-უნ-ი)]

ბეკ- (ბეკ-ნ-ი-ს) — ბაკ- (ბაკ-უნ-ი) და სხვანი.

### 4. (უნდა) ვიგულისხმობთ

მარკერთა საფეხურებრივი შენაცვლების წესი აზუსტებს: გამაშუალებელ საფეხურზე მჟღერი ხშული **უნდა ვიგულისხმობთ** (მტვერი → \*ბტვერი: შეიცვალა რაგვარობა), ხოლო ბტ კომპლექსი, თავის მხრივ, რეგრესული ასიმილაციით იცვლება: \*ბტვერი → პტვერი, ან: \*ბტვერი → ფტვერი; ორივეგან გვაქვს: მჟღერი → ყრუ, ოღონდ პირველ შემთხვევაში ყრუ მკვეთრი, მეორე შემთხვევაში → ყრუ ფშვინვიერი (ორივე შემთხვევაში თითო მარკერის ცვლა ხდება).

### 5. (უნდა, შეიძლება, შესაძლებელია) მოვიშველიოთ

აქ თითქოს **შესაძლებელია** უკვე საკუთრივ სისტემის შიგნით ურთიერთგამორიცხვის წესი **მოვიშველიოთ**, რაც დამატებითი დისტრიბუციის სახელწოდებით არის ცნობილი: დრეკ- და დრიკ- არასდროს გვხვდება ერთსა და იმავე ფორმოზრივ გარემოცვაში და, მაშასადამე, სისტემაში ურთიერთშემავსებელ ფორმებად უნდა მივიჩნიოთ.

### 6. (უნდა, ბუნებრივია) ვივარაუდობთ

დამოუკიდებელივ არსებობს -ა ფორმანტიც და -ლ ფორმანტიც. **ბუნებრივია ვივარაუდობთ**, რომ -ალ (ასევე: -ავ, -ამ, -ელ, ილ...) რთული შედგენილობისაა.

### 7. (უნდა) შევნიშნოთ

თუმცა **უნდა შევნიშნოთ**, რომ ფონეტიკური ცვლილება ზოგჯერ მაშინაც შეიძლება მოხდეს, როცა ფორმაში სიტყვათწარმოებითი პრეფიქსია წარმოდგენილი.

## 8. (უნდა, შეიძლება) ჩავთვალოთ

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მასდარი საყრდენი ანმყოფ ფუძეს იღებს, მაშინ *ქორად-ტიპის ფუძეთა პოვნიერება ანმყოფი მეორეულ ფაქტად უნდა ჩავთვალოთ* (იმავე რიგისაა, რაც: დრიკ-ა-ეს → დრიკ-ე-ა).

## 9. შევნიშნავთ

*შევნიშნავთ:* ფონეტიკურ ნიადაგზე გაუჩინარებული პირის ნიშანი პირიანობის ანალიზის დროს უნდა გათვალისწინებულ იქნეს როგორც მორფოლოგიურად მოქმედი: უშენებ-ს („შ-უშენებ-ს) სამვალენტური და ორპირიანი ზმნაა, თუმცა ზმნაში ამჟამად მხოლოდ ერთი პირის ნიშანია (-ს) წარმოდგენილი.

## 10. შემოვიფარგლებით

საკითხს ფორმოპრივ სისტემებზე სემანტიკის უცილო ზეგავლენის შესახებ ზემოთაც შევხებივართ. აქ რამდენიმე ნიმუშით *შემოვიფარგლებით*.

### 2.2.1. პერფორმატივების გრამატიკული მახასიათებლები

საკვლევი ერთეულების გარკვეული ნაწილი აკმაყოფილებს პერფორმატივებისთვის დადგენილ მოთხოვნებს – წარმოდგენილია პირველი პირის, ანმყოფ მწკრივის ფორმით, მათი შეფასება შეუძლებელია ჭეშმარიტება-მცდარობის მიხედვით, მათი წარმოქმნით სრულდება შესაბამისი ქმედება. საანალიზო პერფორმატივების მეორე ნაწილიც იმავე გრამატიკული ნიშნებით ხასიათდება ერთის გამოკლებით: ისინი მეორე კავშირებითის ან მყოფადის მწკრივის ფორმებია. მიუხედავად იმისა, რომ ეს მწკრივები ძირითადად მომავალ დროს გამოსატყვენ, შესაძლებელია, რომ გარკვეულ კონტექსტში ზმნის ამ ფორმებით აღნიშნული მოქმედება საუბრის მომენტში მიმდინარეობდეს. მაგალითად:

#### მყოფადის მწკრივი

##### ანმყოფი

კიდევ ბევრი რამ მინდოდა მეთქვა ხალხზე, ურემზე, როგორც სიმბოლოზე; იმ ურემზე, რომელსაც ცოცხალიც მიჰყავს და მიცვალებულიც, მთელ კახეთს აჭმევს, ასმევს და ეხიდება, იბრძვის და არ მარცხდება ...

(ნინო ქუთათელაძე, „სიყვარულს დანახვა უნდა...“, ლიტერატურული საქართველო, 2003)

##### მომავალი

- ჩააბარე მოხუცთა თავშესაფარში ...
- ცოდოა ... იქ კოვზით რავინ აჭმევს მანი ფაფას ... იცი, როგორი მადლიერი თვლებით მიყურებს ხოლმე ... შეიძლება გული გაგისკდეს ...
- ცოდოა ... – გაიმეორებს დიტო, – და მე არა ვარ ცოდო?!

(ირაკლი ლომოური, ორი ნოველა)

მეორე კავშირებითის შემთხვევაშიც შესაძლებელია კონტექსტმა განაპირობოს მწკრივის ე.წ. ძირითადი დროის ცვლილება. ლეილა გეგუჩაძემ, რომელსაც ეკუთვნის რამდენიმე გამოკვლევა მწკრივისა და დროის მიმართების შესახებ, მეორე კავშირებითისთვის ამ ტიპის კონტექსტი გამოავლინა:

*ამნაირის ფარ-ხმლით მეომარი დიდის ტყვიანამლის პატრონი არ უნდა იყოს, იმიტომ რომ თვითონ ეგ იარაღი მეტისმეტად ძველია.*

როგორც მაგალითიდან ჩანს, მეორე კავშირებითის ფორმა არის რთული ქვენობილი წინადადების შემადგენელი ერთ-ერთი (კერძოდ, მეორე, დამოკიდებული) წინადადების შემასმენე-

ლი. მეორე მარტივი წინადადების შემასმენელი არის ძველია, რომელიც ანმყოს მწკრივის ფორმით არის მოცემული და ანმყოს გამოხატავს. ძველია-ს დროითმა მნიშვნელობამ მოახდინა კავშირებითი ფორმის დროითი მნიშვნელობის ასიმილირება. შედეგად, მეორე კავშირებითის ფორმასაც ანმყო დროის გაგება აქვს. სწორედ ამ ტიპის კონტექსტებს განეკუთვნება ჩვენ მიერ გაანალიზებული პერფორმატივები:

ფონეტიკური ვარიაციულობა უნდა ვიგულისხმოდ (II კავშირებითი) მაშინაც, როცა ერთსა და იმავე რეგიონში ერთმანეთის პარალელურადაა დამონშებული (ანმყო) მო-ხარშ-ვ-ენ და უ-ხარშ-ენ.

ამრიგად, იძლევა თუ არა ქართული ენა იმის საფუძველს, რომ წუხ-დ-ებ-ა და წუხ-ს ფორმები მიჩნეული იქნან ერთი ფუნქციის დიფერენცირების რეზულტატად? ვფიქრობთ, რომ იძლევა. ამის გამოსავლინებლად უნდა მოვიშველიოთ (II კავშირებითი) ის პრინციპი, რომელიც კონვერსიად ინოდება (ანმყო).

იმის გამო, რომ ბგერათშესატყვისობანიც, მორფოლოგიური სისტემებიც და ლექსიკაც შესაძლოა მსგავსი ან იდენტური ჰქონდეს (ანმყო) აშკარად არამონათესავე ენებსაც (ტიპოლოგიური მსგავსების და არა გენეტიური საერთოობის ფაქტი!), არა გვაქვს (ანმყო) რაიმე საფუძველი იმისათვის, რომ ვივარაუდოდ (II კავშირებითი), მაგალითად, ინდოევროპული ფუძე-ენის ოდინდელი არსებობა.

უნდა შევნიშნოდ (II კავშირებითი), რომ დიალექტური ნაირსახეობანი აქ საკუთრივ ტოპონიმთა წარმოების დონეზე იგულისხმება (ანმყო), რაც შესაძლოა განსხვავებულიც იყოს და დაემთხვეს კიდევ სხვა რიგის დიალექტურ ნაირსახეობებს.

II კავშირებითის მწკრივის ფორმებს ანმყოს გამოხატვის უნარი სხვა შემთხვევებშიც აქვთ. მოდალურ კონსტრუქციებში, როდესაც მეორე კავშირებითის ფორმა (მოდალურ ელემენტთან ერთად) რაიმეს ან ვინმეს უნარზე მიუთითებს, ისინი ზოგად ანმყოს გამოხატავენ: *შეუძლია გააკეთოს...*

რაც შეეხება ამგვარი კონსტრუქციების მნიშვნელობას, სამეცნიერო ენის თავისებურებები (იხ. 2.2.2 ქვეთავი) განაპირობებს იმას, რომ პერფორმატიული შესიტყვება *შესაძლებელია, შეიძლება, უნდა X* (სადაც X აღნიშნავს ძირითადი ზმნის ფორმას), როგორც წესი, ნიშნავს იმავს, რასაც ამ მოდალური ელემენტების გარეშე ნათქვამი ზმნა, ე.ი. *შეიძლება, შესაძლებელია, შესაძლოა, ბუნებრივია, უნდა დავადასტუროთ = ვადასტურებთ*. განსხვავება მხოლოდ სოციალურ მნიშვნელობაშია (სოციალური მნიშვნელობისთვის იხ. Löbner 2013: 27-31). მოვლენას, რომელიც ამ მოდალური კონსტრუქციების მნიშვნელობის ასეთ ტრანსფორმაციას განაპირობებს, დავახასიათებთ შემდეგ ქვეთავში.

### 2.2.2. ზღუდარი

პერფორმატივებს სამეცნიერო ენაში და, ზოგადად, სამეცნიერო ენას უკავშირდება ენობრივი მოვლენა, რომლის ქართულ შესატყვისად ჩვენ ვირჩევთ ტერმინს ზღუდარი.

„ზღუდარი – ნებისმიერი ენობრივი მექანიზმი, რომელსაც მეტყველი იყენებს ტყუილის, მიუღებელი შეთავაზების და ა.შ. დასაფარად. აქედან გამომდინარე, იმის მაგივრად, რომ მეტყველმა თქვას ეს არ გ უ მ ე ნ ტ ი და მ ა ჯ ე რ ე ბ ე ლ ი ა , მან შეიძლება გამოიყენოს ზღუდარი და თქვას: ჩ ე მ ი ა ზ რ ი თ , ეს არ გ უ მ ე ნ ტ ი და მ ა ჯ ე რ ე ბ ე ლ ი ა ; ბრძანების მარტივად გაცემის მაგივრად – ს ა მ ზ ა რ ე უ ლ ო შ ი შ ე ი ტ ა ნ ე ! მეტყველმა შეიძლება ზღუდარად გამოიყენოს კითხვითი ფორმა და თქვას: შ ე გ ი ძ ლ ი ა ს ა მ ზ ა რ ე უ ლ ო შ ი შ ე ი ტ ა ნ ო ? “

[Matthews 1997]

„ზღუდარი არის გამონათქვამი პასუხისმგებლობის, ვალდებულების შესამცირებლად, როგორებიცაა ვფიქრობ... მეჩვენება, რომ... მე მგონი... როგორც ვხვდები... ან მგონი...“

[Trask 2000]

ინგლისური, რუსული, გერმანული და სხვ. სამეცნიერო ენებისთვის ბუნებრივია ზღუდარების გამოყენება. ეს სამეცნიერო ენის ერთგვარი ეტიკეტია. ზღუდარების საშუალებით სამეცნიერო ნაშრომის ავტორ(ებ)ის მიერ გამოთქმული აზრი ასუსტებს მტკიცების ხარისხს, შეცდომის, ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოფს დაზღვევას და, მთლიანობაში, მორიდების, მოკრძალების სოციალურ ნორმას შეესაბამება.

ტერმინი ზღუდარი ნასესხებია ტექნიკური ტერმინოლოგიიდან, სადაც იგი აღნიშნავს: 1. ზღუდე; ქალაქის ან სხვა დასახლების, ეზოსი და მისთ. გარშემო შემოვლებული კედელი (ღობე, გალავანი და ა.შ.); 2. ბარიერი, ნაგებობა, რომელიც აფერხებს თავისუფალ გასვლას; 3. კაშხალი, მოლო, ოფო, ონჯარი, რაბი, სათავანი ჯებირი; წყლის დასაგუბებლად დინების განივად ამოყვანილი კედელი; 4. ბალავარი, გამირი; 5. კონსტრუქციული ელემენტი (ქვის, ხის, ლითონის, რკინაბეტონის), რომლითაც გადაიხურება კარის ან ფანჯრის ღიობი. მისი ინგლისური შესატყვისია **Hedging** და **Hedge**, რაც არატერმინოლოგიური მნიშვნელობით, შესაბამისად, ითარგმნება, როგორც: 1. შემოღობვა; ღობის შემოვლება ან შეკეთება. 2. საღობე მასალა; და 1. ცოცხალი ღობე. 2. ღობე, ზღუდე. 3. დაბრკოლება, ბარიერი, ზღვარი. 4. დაცვა, თავდაცვა; დაცვის/თავდაცვის საშუალება. 5. თევზის საჭერი საგუბარი (წნელის ან ფიჩხის კონებით შემოზღუდული). 6. ორაზროვანი/ბუნდოვანი განცხადება ან გამონათქვამი. ამ მნიშვნელობებიდან (6) არის სწორედ ტერმინოლოგიური მნიშვნელობის გადმოცემის მცდელობა აღწერითად, თუმცა, ეს განმარტება არც ისე სწორია. დანარჩენი მნიშვნელობებიდან კი არც ერთია ტერმინი, ამიტომ ვარჩიეთ ქართულში უკვე არსებული მსგავსი მნიშვნელობის ტერმინის სესხება, რაც ამ დარგების განსხვავებული კვლევის სფეროს გამო არ შექმნის ორაზროვნებას ტერმინოლოგიაში.

ქართულში ზღუდარად გამოყენებული ენობრივი მექანიზმებიდან სამეცნიერო ენაში ყველაზე ხშირად გვხვდება I პირის მრავლობითი რიცხვის ზმნური ფორმები. მიუხედავად იმისა, ნაშრომს ერთი ავტორი ჰყავს თუ რამდენიმე, ავტორისეული აზრი ფიქსირდება I პირის მრავლობითი რიცხვის ფორმით. გავრცელებული მოსაზრებით, ამ ზღუდარის ფუნქციაა პასუხისმგებლობის განაწილება, მტკიცების ხარისხის, კატეგორიულობის, გამოთქმულ აზრზე პასუხისმგებლობის შემცირება, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ზღუდარები შეიძლება გამოყენებული იყოს მხოლოდ ეტიკეტის გამო.

ჩვენს მასალაში დაფიქსირებული და ჩვენ მიერ გაანალიზებული პერფორმატივები ყველა აზრის გამოხატვას, მტკიცებას, მსჯელობას უკავშირდება:

თვლი-ს – მიაჩნია, ჰგონია.  
ითვალისწინებს (რაიმეს ან ვინმეს).

გულისხმობს – 1. ვარაუდობს, ფიქრობს;  
ითვალისწინებს – წინასწარ მხედველობაში იღებს,  
[გან]საზღვრავს, გულისხმობს.  
2. (მხოლოდ ნაკვთთა ანმეოს წყებაში)  
იგულისხმება, ივარაუდება.

ვარაუდობ-ს – ვარაუდს ეწევა, წინასწარ,  
მიახლოებით ანგარიშობს, ითვალისწინებს;  
წინასწარი აზრი, მოსაზრება აქვს  
რისამე შესახებ, მიახლოებით ფიქრობს.

შენიშნავს – თვალს მოჰკრავს, დაინახავს; შეამჩნევს. იშველიებს – საშველად, დასახმარებლად

ინვეცს,||რისამე  
შესახებ თავის აზრს იტყვის,

აღნიშნავს, მიუთითებს, მოიხსენიებს. იხმობს;  
სთხოვს, რომ შეეშველონ, – [და]იხმარებს. ||  
[გამო]იყენებს, სარგებლობს (რამეთი).  
შემოიფარგლავს – გარშემო შემოავლებს,  
შემოარტყამს, შემოზღუდავს.  
|| გადატ.განსაზღვრავს, შემოსაზღვრავს, შემოზღუდავს.

საანალიზო ფორმებიდან ყველა I პირის მრავლობითი რიცხვის ფორმით არის ტექსტში გამოყენებული, თუმცა გარკვეულ ნაწილს დამატებითი ზღუდარი აქვს: II კავშირებითის მწკრივის ფორმები ხშირად ქმნიან შესიტყვებას მოდალურ ელემენტებთან ბრძანების, ალბათობის, შესაძლებლობის და ა.შ. გამოსახატავად. ჩვენ მიერ განხილულ შემთხვევებში ისინი აწმყოდროს (არა ზოგად აწმყოს) გამოხატავენ და გამოიყენება როგორც ზღუდარის სახით. ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში უნდა მოდალური ელემენტის კომბინაცია I პირის მრავლობითი რიცხვის II კავშირებითის მწკრივის ფორმასთან გვაძლევს რთულ ლექსიკურ-გრამატიკულ კომპლექსს, რომელსაც გარკვეული სოციალური ფუნქცია აქვს. ასეთი კომპლექსების მნიშვნელობა, შესაძლოა, მთელი წინადადების ტოლფასი იყოს:

უნდა შევნიშნოთ = ეს ფაქტი, მოვლენა არის აშკარა, თვალსაჩინო და ეს გარემოება მაიძულებს მე, ამ ტექსტის ავტორს, მკვლევარს, ვხედავდე, ვამჩნევდე, აღვიქვამდე ამ ფაქტს, მოვლენას.

ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობა ავტორიდან თავად კვლევის ობიექტზე გადადის, ე.ი. ამ შემთხვევაშიც მტკიცების შერბილებასთან, პასუხისმგებლობის შემსუბუქებასთან გვაქვს საქმე.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. გამყრელიძე თ., კიკნაძე ზ., შადური ი., შენგელაია ნ.: თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2003.
2. გეგუჩაძე ლ., მწკრივის ფორმათა სწავლებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი (111-119 გვ.), ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, N2, თბილისი, 1978.
3. გოგოლაშვილი გ., არაბული ა., სუხიშვილი მ., მანჯგალაძე მ., ჭუმბურიძე ნ., ჯორბენაძე ნ.: თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია (სალიტერატურო ენა), არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი, 2011.
4. გრძელიძე ი., საკანდიდატო დისერტაცია „პერფორმატივები ინგლისურ და ქართულ ენაში“, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, 2004
5. დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ-ლექსიკონი: <https://dictionary.ge/>
6. მაჭავარიანი მ., „პერფორმატივების (შესრულებითი გამონათქვამების) სტატუსისათვის (ჯ. ოსტინის მიხედვით)“, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. 28 (გვ. 26-28), რედ. ქ. ლომთათიძე, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1989.
7. ჯორბენაძე ბ., ზმნის მორფონოლოგიის ძირითადი პრობლემები ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, N38, 2010.
8. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი: <http://www.ena.ge/explanatory-online>



9. ქართული ენის ეროვნული კორპუსი: <http://gnc.gov.ge/gnc/page>
10. ქართული სამეცნიერო მეტაენის კორპუსი: <http://sml.corpora.co/#/>
11. სამშენებლო განმარტებითი ლექსიკონი 2015; რედ.: თ. ხმელიძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სამშენებლო ფაკულტეტი, <http://gtu.ge/Arch-Dictionary/>
12. Allan A. Keith: The Oxford Handbook of The History of Linguistics, Oxford University Press, Oxford, 2013.
13. J. L. Austin: How to Do Things With Words, The William James Lectures delivered at Harvard University in 1955, Oxford University Press, Oxford, 1962.
14. J. L. Austin: Performative Utterances, Philosophical Papers (pp. 233-252), Eds. J. O. Urmson, G. J. Warnock, Oxford University Press, Oxford, 1979.
15. J. L. Austin: Other Minds, Philosophical Papers (pp. 44-85), Eds. J. O. Urmson, G. J. Warnock, Oxford University Press, Oxford, 1979.
16. Internet Encyclopedia of Philosophy: <http://www.iep.utm.edu/>
17. S. Löbner, Understanding Semantics, Routledge, USA, 2013
18. J. Lyons: Language and Linguistics, An introduction, Cambridge University Press, Cambridge, 1981.
19. J. Lyons: Linguistic Semantics, An introduction, Cambridge University Press, Cambridge, 1995.
20. P. H. Matthews, The Concise Oxford Dictionary of Linguistics, Oxford University Press, Oxford, 1997
21. C. S. Perone: NLP word representations and the Wittgenstein philosophy of language, <http://blog.christianperone.com/2018/05/nlp-word-representations-and-the-wittgenstein-philosophy-of-language/>.
22. S. Piao, F. Bianchi, C. Dayrell, A. D'Egidio, P. Rayson: Development of the multilingual Semantic Annotation System (pp. 1268-1275), Conference of the North American Chapter of the Association for Computational Linguistics: Human Language Technologies, Proceedings, 2015.
23. J. R. Searle: "How performatives work", Linguistics and Philosophy, Volume 12 (pp. 535-558), Kluwer Academic Publishers, Netherlands, 1989.
24. J. Stanley: Philosophy of Language in the Twentieth Century, The Routledge Companion to Twentieth Century Philosophy, ed. Dermot Moran, Routledge Press, London, 2008.
25. The Cambridge dictionary of Philosophy 2006: General editor-Robert Audi, Cambridge University Press, Cambridge, 2006.
26. R. L. Trask, The Penguin Dictionary of English Grammar, Penguin, London, 2000.
27. Э. Бенвенист: Общая лингвистика, Москва, 1974.
28. Э. Кошмидер: Очерк науки о видах польского глагола. Опыт синтеза (стр. 105-177) В книге: Вопросы глагольного вида, ред. Маслов Ю. С., М., 1962.

რეზო მარნაძე

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორანტურა  
ხელმძღვანელი: პროფესორი ზურაბ პაპასქირი

## დავით V-ის ამბოხებანი დემეტრე პირველის წინააღმდეგ

სამეფო ხელისუფლებისადმი სწრაფვა და მისი ხელში ჩაგდების მცდელობა მრავალჯერ გამხდარა ძმებს, მამადშვილს თუ ოჯახის სხვა წევრთა დაპირისპირების მიზეზი. სამწუხაროდ, საქართველოს ისტორიიდან მრავალი ასეთი ფაქტი გვახსოვს. ამ მხრივ, ერთადერთი „თვალსაჩინო“ ადგილი უკავია ერთიანი საქართველოს მეფე დემეტრე I-ის წინააღმდეგ დავით V-ის ორჯერ ამბოხებას.

საქართველოში IX საუკუნიდან მოყოლებული, მკაცრად იყო განსაზღვრული სამეფო ტახტზე ასვლის წესი. მამის გარდაცვალების შემდეგ სამეფო ტახტზე ადიოდა მისი უფროსი ძე, შემდეგ ამ უკანასკნელის ძე და ა.შ. საყურადღებოა 1125 წლის დავით აღმაშენებლის ანდერძი: „და მივანდვენ შვილნი და დედოფალნიცა, შუამდგომელობითა ღმრთისაჲთა, რათა ძმაჲ მისი გაზარდოს და თუ ინებოს ღმერთმან და ვარგ იყოს ცუატა, შემდგომად მისსა მეფე ჰყოს მამულსა ზედა და დათა მისთა პატივ სცეს, ვითარ შვილთა ჩემთა საყუარელთა“. [11:19] როინ მეტრეველი აღნიშნავს, რომ „დავით აღმაშენებელმა, მეფეთა შორის პირველმა შეცვალა სამეფო ტახტის მემკვიდრეობის წესი – იგი პირველი შემთხვევა იყო, როგორც აღვნიშნეთ, IX საუკუნიდან მოყოლებული დავით აღმაშენებლის ჩათვლით“. [5:121]

დემეტრე I-ს მეფობის მეხუთე წელს (1130 წ.) აუჯანყდა ნახევარძმა ცვატა, მაგრამ დემეტრემ აჯანყება ჩაახშო და დასაჯა აჯანყების მონაწილეები. [4:285-286] ტახტის მემკვიდრეობის საკითხი ამით არ გადაჭრილა. დემეტრე მეფის შემდეგ წესით უნდა გამეფებულიყო უფროსი ძე დავითი, მაგრამ მეფემ უმცროსი ძე გიორგი აირჩია. ამის შესახებ ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი გვაუწყებს: „დემეტრისალორ ძე ებადესა, რომელთა დავით და გიორგი. მარჩეველი ძისა უმცროსისა მლარწველი მკიცხველი იქმნა, ვითარ ისაკი იაკობისადმი. და ვედრებისა შემასმენელმან ღმერთმან დავითის დღეთა შემცირებითა სრულ ყო პირველ მამისა“. [10:3] როგორც ჩანს, დემეტრეს მხრიდან უმცროსი შვილის გიორგის „მარჩეველობა“ გახდა დავით უფლისწულის ამბოხების მიზეზი 1150 წელს. დემეტრეს წინააღმდეგ დავითის ამბოხებაზე მიუთითებს ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის ავტორი „დავითცა, მამამან მისმან, ლალატსა და განდგომილებასა შინა მამისა მის დემეტრესსა ამოსწყვტნა ამის სამეფოსა დიდებულნი რომელნიმე ექსორიადქმნითა, რომელნიმე სიკუდილითა და რომელნიმე განპატიჟებითა“. [10:18] დემეტრე I-მა დავით უფლისწული პირველი აჯანყება ჩაახშო და სამეფო ხელისუფლება შეინარჩუნა.

რა გახდა დემეტრეს მიერ სამეფო ტახტზე გიორგის „მარჩეველობის“, უფროს ვაჟთან ცუდი დამოკიდებულების მიზეზი? დემეტრეს ამ გადაწყვეტილებას აუცილებლად მოჰყვებოდა სამართლიანი პროტესტი დავით უფლისწულის მხრიდან, რომელმაც არ დააყოვნა. წინააღმდეგ შემთხვევაში ნაკლებად სავარაუდოა, რომ დავით უფლისწული აჯანყებულიყო, რადგან მას დადგენილი წესით ტახტი ისედაც ერგებოდა დემეტრეს შემდეგ.

რიონ მეტრეველი დემეტრე I-ს და დავით უფლისწულს შორის ცუდი დამოკიდებულების შესახებ წერს: „საქმე გვაქვს არა მამაშვილს შორის არსებულ შემთხვევით უთანხმოებასთან და შვილის არასწორი (ან უგვანო) მოქმედების გამო განაწყენების შედეგად მამის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან (რომ მისი შთამომავალი – ტახტის კანონიერი მემკვიდრე არ გაემეფებინა), არამედ რთულ ვითარებასთან, რომელიც შეიძლება პირადულიდან იღებდეს სათავეს (ეს საერთო დამახასიათებელი მოვლენაა ფეოდალიზმის დროს),...და მწვავე სოციალურ შინაარსს იღებს. ისტორიული საბუთებიდან ირკვევა, რომ დემეტრე პირველს მისმა შვილმა დავითმა არაერთი უსიამოვნება მიაყენა. როგორც ჩანს, იგი გრძნობდა მამის სიმპათიას უმცროსი შვილისადმი და ყველა ღონეს ხმარობდა, რათა დემეტრესათვის ხელი შეეშალა მისი მიზანდასახულების შესრულებაში. დავითი აქტიურად იბრძვის ტახტის ხელში ჩაგდებისათვის, რისთვისაც შეთქმულებებიც კი მოაწყობს საქართველოს მეფის წინააღმდეგ“. [5:115-116] ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით: „იქნებ, უფროსწულს ისეთი ნაკლი ჰქონდა, ან ისეთი დანაშაული მიუძღოდა მამის წინაშე, რომელიც მას კანონიერ უფლებას თავისთავად აკარგვინებდა?“ [12:239] ჯ. სტეფნაძის აზრით: „თამარის ისტორიკოსიც კი, რომელიც დავითს აშკარად არ წყალობს, ამაზე არაფერს ამბობს – უნდა ვიფიქროთ, რომ...დავითის განდგომამდე, მამადშვილს შორის ისეთი რამ მოხდა, რამაც მათი მთელი შემდგომი ურთიერთობა განსაზღვრა. შეიძლება სწორედ მაშინ გაუჩნდა დემეტრეს უმცროსი ვაჟის – გიორგის გამეფების სურვილი?“ [7:18]

იქნებ თამარის ისტორიკოსი, აზვიადებს მამა-შვილის ურთიერთობას, როცა წერს: „მლარ-წველი მკიცხველი იქმნა, ვითარ ისაკი იაკობისადმი. და ვედრებისა შემასმენელმან ღმერთმან დავითის დღეთა შემცირებითა სრულ ყო პირველ მამისა“. [10:3] ნაკლებად სავარაუდოა, რომ დავითმა ჩაიდინა ისეთი დანაშაული, რითაც დემეტრე სამუდამოდ გადაიმტერა და შეაძულა თავი. რას მოუტანდა დავითს მამის გადამტერება? ეს გამოიწვევდა დავითის სამეფო ტახტზე მემკვიდრეობის უფლების დაკარგვას და ქვეყანაში მწვავე პოლიტიკურ კრიზისს. ეს არც დავით უფლისწულის და არც დემეტრე I-ის ინტერესებში არ შევიდოდა. იქნებ გიორგიმ აამხედრა, მამა-მეფე თავისი ძმის, ტახტის კანონიერი მემკვიდრის დავითის წინააღმდეგ, რათა სამეფო ტახტისაკენ გზა ხსნილი ჰქონოდა.

დავითი 1150 წლის ამბოხებაში დამარცხდა. დემეტრე I-მა დასაჯა აჯანყების მონაწილეები, მაგრამ შვილი დავითი, რომლის სიკვდილს „ვედრებისა შემასმენელმან ღმერთმან დავითის დღეთა შემცირებითა სრულ ყო პირველ მამისა“, [10:3] არ დასაჯა. ალბათ, მამობრივი სიყვარულიდან გამომდინარე არ მიუღია ეს გადაწყვეტილება. ჯ. სტეფნაძის საფუძვლიანი ვარაუდით: „დავითს დიდი ძალა უჭერდა მხარს და მეფემ შვილის შევინროვება ამ ძალის შიშით ვერ გაბედა...ხუთი წლის შემდეგ დავითმა ხელმეორედ შეუტია მას და უკვე მიზანს მიაღწია – ტახტიდან გადააგდო“. [8:21-22] პირველი აჯანყებიდან რამდენიმე წლის შემდეგ დემეტრე მეფე ბერად აღიკვეცა. ლაშა-გიორგის დროინდელი მემკვიდრე ამ ფაქტთან დაკავშირებით სიტყვაძვირად წერს: „ნარვლო ცხოვრება, და მიიწია სრულქმნილი სიბერესა. შეიმოსა ჩოჭა და იკურთხა სქემითა. დაყო წელიწადი ერთი და მოკუდა“. [9:366] 1155 წელს საქართველოს მეფე გახდა დავით V, მაგრამ იმავე წყაროს ცნობით: „იმეფა ექუს თუე და მოკუდა“. [9:366]

როგორ ვითარებაში დაიღუპა სრულიად ახალგაზრდა დავით V? მისი გარდაცვალების მიზეზზე პირველადი ქართული წყაროები დუმილს ამჯობინებენ. სავარაუდოდ, დავით V მონამლეს. მხითარ გოშის თქმით, მეფეს ორბელიანებმა დააღვინეს სანამლავი და მოკლეს პოლიტიკური და რელიგიური დაპირისპირების გამო. [3:46-47]

არანაკლებ საინტერესოა რას საქმიანობდა დავით მეხუთის მეფობის პერიოდში მის ძმა გიორგი. იგი ყველა ხერხს გამოიყენებდა დავითის ტახტიდან ჩამოსაგდებად, მაგრამ მარტო

გაართმევდა თავს თუ დემეტრეც ეხმარებოდა? რიონ მეტრეველის ვარაუდით, ბერად აღკვეცილი დემეტრე ყოველგვარად იბრძოდა შვილის წინააღმდეგ. [5:118] სომეხი მემატრიანეებისაგან განსხვავებით, ქართველები დავით მეხუთის მონამვლას გიორგი III-ეს მიაწერენ. ჯ. სტეფნაძე მხითარ გოშის და ვარდან დიდის ცნობების შეჯერების საფუძველზე პირდაპირ აცხადებს რომ, გიორგიმ მოკლა დავითი. [8:30-31] ვფიქრობთ, დავითი ორბელიანებმა მოკლეს გიორგის ნაქეზებით და მასთან შეთანხმებით. თუმცა, ნაკლებად სავარაუდოა, რომ გიორგის მამამისის გარეშე გადაედგა ეს ნაბიჯი. აქედან გამომდინარე მკვლელობის დამკვეთია გიორგი, შესაძლებელია ბერად აღკვეცილ დემეტრესთან ერთად, ხოლო შემსრულებელი ორბელიანთა გვარის რომელიმე წარმომადგენელი.

ანონიმი ავტორი გაზეთ „ივერიაში“ დავითის მონამვლაზე წერდა: „დიმიტრი ტახტიდან ჩამოაგდეს, მონასტერში შეამწყვდიეს და გაამეფეს დავითი, რომელმაც მრავალი მოწინააღმდეგენი ამოწყვიტა...დავით მეფეს იმავე წელს (1156 წ.) შხამი მისცეს“. [1:3]

დავით V-ის გარდაცვალების შემდეგ დარჩა ვაჟი, დემნა უფლისწული. სტეფანოს ორბელიანის თხზულებაში დაცულია მომაკვდავი დავით V-ის ანდერძი. დავითმა ანდერძით თავის ძმას განუსაზღვრა, რომ სამეფო ტახტი მცირეწლოვან დემნას ეკუთვნის, და მის სრულწლოვანებაამდე ქვეყნის მართვა-გამგეობა გიორგის დაავალა. [6:41] ივ. ჯავახიშვილის, რ. მეტრეველის, მ. ლორთქიფანიძის მოსაზრებით დავითის ანდერძი, სტეფანოზ ორბელიანის შეთხზული უნდა იყოს ორბელთა შეთქმულების გასამართლებლად. [იხ: 12:243; 5:122; 4:288-289]

ასეთ ვითარებაში, დემეტრე I საქართველოს სამეფო ტახტს უბრუნდება, თანამოსაყდრედ აჰყავს გიორგი „ძე ტკბილი, შემგუარი მამისა, აღამაღლა, თავისსა თანა და ძისა სწორად მოსაყდრედ გამოაჩინა“. [10:3] დემნა უფლისწული ტახტდნართმეული აღმოჩნდა. გიორგი III-ეს შვილი ეყოლა, მდედრობითი სქესის წარმომადგენელი, ტახტზე ქალის დასმის შემთხვევას კი მანამდე ანალოგი არ ჰქონდა, დემნა ბატონიშვილს ამბოხებისათვის მყარი საბაზი ჰქონდა და გამარჯვების შემთხვევაში უსამართლოდ წართმეულ ტახტს იბრუნებდა, ხოლო მისი სიმამრი – ივანე ორბელი, ქვეყანაში მეორე კაცი მაინც ხდებოდა. დემნას ივანე ზრდიდა და ბოლოს მისი სიძეც გახდა. შესაძლოა, თავდაპირველად ეს გიორგის და ივანეს შეთანხმების შედეგადაც დემნას გაუვნებლობის მიზნით, რათა ორბელთა სიძედუფლისწულის გამეფებას გზა მოჭრილი ჰქონოდა [4:291] (წესის მიხედვით, მეფეს ქვეშევრდომზე ქორწინება არ შეეძლო).

ასეა თუ ისე, 1178 წლის დემნა უფლისწულის ამბოხება დამარცხდა. დემნა უფლისწული დემეტრე I-ისა და დავით V-ეს შორის დაპირისპირების მსხვერპლი გახდა. ამასთან, ზემოთ მოტანილი წყაროებიდან გამომდინარე დავით V-ესა და დემეტრე I-ის შორის დაპირისპირების რეალური მიზეზი დღემდე უცნობია, მაგრამ მრავალი ვარაუდია გამოთქმული.

რა იყო დავით V-ის ორჯერ ამბოხების მიზეზი: არსებული კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ მონყობილი რეაქციული ძალების აჯანყება თუ უსამართლოდ სამეფო ტახტის მემკვიდრეობას ჩამოშორებული უფლისწულის სამართლიანი პროტესტი? ნ. ბერძენიშვილის აზრით, დავითის აჯანყება მძიმე, სისხლიან, სერიოზულ სოციალ-პოლიტიკურ საფუძველებს ემყარებოდა და ღრმა კლასობრივი თუ შინაკლასობრივი ბრძოლის გამოსახულება იყო. [2:35] ვფიქრობთ, დავითის სამართლებრივ პროტესტს ტახტისთვის ბრძოლაში თან სდევდა მისი მხარდამჭერი ფეოდალების პირადი ამბიციებიც. დავითის ამბოხებანი XII საუკუნის საქართველოს სამეფოს მწვავე შიდა პოლიტიკურ მოვლენათა ჯაჭვის ერთი რგოლია, რომლის დასაწყისი ცვატას შეთქმულებაა. ამ შეთქმულებას მოჰყვა დავით უფლისწულის ორი ამბოხება, რომელთა გამოძახილიც იყო დემნას აჯანყება, ხოლო ამ ამბოხებათა საერთო მიზანი იყო სამეფო ტახტისათვის ბრძოლა. როგორც ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, „წესიერად რომ ყოფილიყო საქმე

მონყობილი, დემეტრე I შემდეგომ უნდა მის უხუცესს ძეს დავითს ემეფა, მაგრამ მის მამას სხვა-ნაირად განუსჯია...სრულებით ცხადია, რომ ამგვარ ნიადაგზე ყოველთვის შეიძლებოდა ამბოხება აღმოცენებულიყო, მეტადრე საქართველოში, სადაც დიდებული აზნაურები მეფის წინააღმდეგ განდგომას დიდის სიამოვნებით მხარს დაუჭერდნენ ხოლმე“. [12:239 – 240]

დემეტრე I-ის და გიორგი III-ის დავით უფლისწულისადმი დაპირისპირებისას იურიდიულად სამართალი დავითის მხარესაა. იგი იყო საქართველოს სამეფო ტახტის კანონიერი მემკვიდრე მამის გარდაცვალების შემდეგ. დავითს მამამ და ძმამ ამბოხების გარდა სხვა გზა აღარ დაუტოვეს. შესაძლოა დღევანდელი გადასახედიდან, აჯანყების გზა მორალური და სახელმწიფო სტაბილურობის თვალსაზრისით მიუღებელი და გაუმართლებელია, მაგრამ XII საუკუნის საქართველოში ჯერ დავით V და შემდეგ მისი შვილი დემნა ბრძოლის მშვიდობიანი ფორმებით, ისეთი ძალაუფლებისმოყვარე პიროვნებებთან (დემეტრეს I, გიორგი III) სასურველ მიზანს მიაღწევდა? ვფიქრობთ, დავითის გარდაცვალების შემდეგ, დემეტრე I-მა ხელმეორედ გამეფებით უმცროსი ძის – გიორგის სამეფო ტახტის მემკვიდრეობა სამართლებრივი გახადა.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბერი: „ორბელიანი ამონყვეტა“, გაზ. „ივერია“, 30.01.1903 წ., № 24.
2. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, თბილისი, 1965.
3. დავლიანიძე ლ., მხითარ გოში, ალბანეთის ქრონიკა, „ქართული წყაროთმცოდნეობა“ II, თბილისი, 1968.
4. ლორთქიფანიძე მ., საქართველოს საგარეო და შინაპოლიტიკური ვითარება XII ს. მეორე მეოთხედიდან 80-იანი წლების დასაწყისამდე, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბილისი 1979.
5. მეტრეველი რ., შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში, თბილისი, 1973.
6. ორბელიანი ს., „ცხოვრება ორბელიანთას“ ძველი ქართული თარგმანები. ქართულ-სომხური ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა. თბილისი, 1978.
7. სტეფანაძე ჯ., დემეტრე პირველი ცხოვრება და მოღვაწეობა, თბილისი, 1990.
8. სტეფანაძე ჯ., მეფეთ-მეფე გიორგი მესამე, თბილისი, 1999.
9. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბილისი, 1955.
10. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბილისი, 1959.
11. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II. საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბილისი, 1965.
12. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ნ. II, თბილისი, 1965.

**ტატა ჩრდილელი**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი  
ხელმძღვანელი: დოქტორი თეა ქამუშაძე*

**ქეჭნაობის ტრადიცია და ტრეპანაციის მნიშვნელობა  
თანამედროვე ხევისურეთის საზოგადოებრივ დისკურსში**

ქართული ეთნოგრაფიული სკოლის ფარგლებში შეგროვილია უნიკალური ეთნოგრაფიული მასალა, რომელიც ახალი ინტერპრეტაციების საშუალებას იძლევა. ხდება მათი შემოტანა ფართო საზოგადოებაში, მაშინ როდესაც ეს რეალობა აღარ არსებობს.

ხევისურული ეთნოგრაფიული მასალის შეგროვებას ღრმა ფესვები და ტრადიცია გააჩნია. ეს საქმიანობა ჯერ კიდევ ქართული ეთნოგრაფიული სკოლის ჩამოყალიბებამდე დაიწყო. ამ პროცესში უამრავი მოაზროვნე მონაწილეობდა, რომლებმაც საკუთარი წვლილი შეიტანეს და ხელი შეუწყეს ამ დარგის ჩამოყალიბებასა და განვითარებას. ქართული ეთნოლოგიური სკოლის განხილვა შეუძლებელია ისტორიული კონტექსტის გარეშე. საქართველოში ეთნოლოგიის სამეცნიერო სფეროდ ჩამოყალიბება და მისი შემდგომი არსებობაც დაკავშირებული იყო პოლიტიკურ, ეკონომიკურ, თუ კულტურულ ვითარებასთან. ამიტომ ეთნოლოგია ეხმარება და გარკვეულწილად თავისებურად ასახავს არსებულ მდგომარეობას. იყო უდიდესი წინსვლები, თუმცა 1918 წლის შემდეგ საქართველოში ისტორიული ვითარება იცვლება და 1921 წელს სულ სხვა მდგომარეობაა, ამიტომ ეთნოლოგიასაც უწევს განვითარება ისეთ საქართველოში, რომელიც ზეგავლენას განიცდის. მიუხედავად მძიმე მდგომარეობისა, ჩნდება გიორგი ჩიტაია, რომელიც ქართული ეთნოლოგიური სკოლის სულის ჩამდგმელია. მის პერიოდში, მასთან ერთად მუშაობდნენ ისეთი დიდი მეცნიერები, როგორებიც იყვნენ ვერა ბარდაველიძე, სერგი მაკალათია... რადგან იმ დროისათვის არსებობდა შეხედულება, რომ ეთნოლოგია/ეთნოგრაფიას „ეგზოტიკური“ ხალხები უნდა ეკვლია, ეს გავლენა საქართველოზეც ვრცელდებოდა და მნიშვნელოვანი საკვლევი თემები საქართველოში იწერებოდა მაგალითად – მთის ხალხებზე. მათი კვლევა ევოლუციონიზმის ხედვიდან ხდებოდა და იდეოლოგიზირებული/სნორხაზოვანი მიდგომის მიუხედავად იმ დროიდან ბევრი ღირებული მასალები გვაქვს შემონახული, რომლებიც არც დღეს კარგავენ აქტუალობას. ხდება მისი გაცოცხლების მცდელობა და მისით მანიპულაციები, როგორც სამეცნიერო, ისე ფართო საზოგადოებრივ დისკურსში.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთიდან ხევისურეთი ერთ-ერთი გამორჩეული კუთხეა, რომელსაც საერთო ქართულთან ერთად მრავალი თავისებურებაც ახასიათებს ტრადიციებში, ჩაცმულობაში, ხასიათში, ყოფასა თუ კულტურაში. ხევისურეთი ის მხარეა, რომელსაც კარგად შემოუნახავს ძველი ტრადიციები, სწორედ ეს განაპირობებდა მკვლევართა ასეთ დაინტერესებას. ერთ-ერთი გამორჩეული და საკვლევად საინტერესო საკითხია კეჭნაობა. ეს არის ფარიკაობის მსგავსი საბრძოლო ხელოვნება, ხევისურებისათვის კეჭნაობა ჩვეულებრივი ამბავია იშვი-

ათია ხევსური, რომელიც დაუკეჭნავია და ამიტომაც ისინი კეჭნაობაში და იარაღის გამოყენებაში ბავშვობიდანვე ვარჯიშობენ. თავიდან ბავშვები იყენებენ ხის სათამაშო იარაღს, შემდეგ კი ნამდვილი ხმლებითა და ფარებით ბრძოლობენ. კეჭნაობას ბავშვებს სოციალიზაციის ადრეულ ეტაპზევე აჩვენებენ. ეს ხევსურისათვის არის ერთგვარი გამოცდაც და წვრთნაც. სოციუმის წევრი ასაკის მიუხედავად, ეს ხდებოდა 4-5 წლის ასაკში, ეჩვეოდა ხმლის გამოყენებას, ბრძოლას და ამასთანავე გარკვეული წესები არსებობდა, შეზღუდვების სახით, რომელიც აუცილებლად უნდა დაეცვათ თემის წარმომადგენლებს. გართულების შემთხვევაში ხდებოდა სისხლის აღებაც. მებრძოლებმა კარგად იცოდნენ, რომ ხმლის მოქნევისას მხრისა და იდაყვის სახსრებს არ უნდა მიეღოთ მონაწილეობა. კეჭნაობის დროს მონაწილეობას იღებდა მხოლოდ მაჯის სახსრები და ამიტომაც შეეძლოთ დაკეჭვნა მხოლოდ რამდენიმე წვეთი სისხლის გამოდინებით. [ქამუშაძე. 2010:638] სერგი მაკალათიას სიტყვებით: „კეჭნაობაში მთავარია, გავარჯიშებული ხელი და კარგი ხმალი გქონდეს, ისე, რომ ხმლის ერთი მოქნევით მეშუღლეს მსუბუქი ჭრილობა მიაყენო, სისხლი გამოადინო და საფოთლეს (საექიმო) გარდა არაფერი გადაგხდეს. მძიმე დაკეჭნა სირცხვილია: იტყვიან, მკლავი ვერ დაიმორჩილა და მეშუღლეს ამიტომ გასწირა, მძიმედ დაკეჭნაო.“ [მაკალათია 1984:92.] კეჭნაობა შეიძლება მოხდეს ნებისმიერ ხალხმრავალ ადგილას იქნება ეს ქორწილი, ხატობა თუ სხვა. მიზეზი შეიძლება იყოს პირადი შეურაცხყოფა, შური და ა.შ. ერთმანეთს ებრძოდნენ შელახული თავმოყვარეობის აღსადგენად, ხალხის, ძირითადად კი ქალების წინაშე საკუთარი ვაჟკაცობის გამოსავლენად.

კეჭნაობა ვაჟკაცობაა, ვინც გაურბის კეჭნაობას მასზე აუცილებლად იტყვიან მხდალიაო. ასევე გადასახადია კეჭნაობისათვის საჭირო და ღარიბი ხევსური კეჭნაობას გაურბის, შეძლებული კი სახელს ეძებს თავისი საქციელით. კეჭნაობა გვარზე და თემზეც გადადის, სანამ შერიგება არ მოხდება, მტრობა შეიძლება 4-5 თაობა გაგრძელდეს, ამიტომ მეშუღლეები ფარხმალ ასხმულები დადიან, სადაც შეხვდებიან ერთმანეთს იქ კეჭნაობენ. თუ მათ საქციელს ვინმე შეესწრო უნდა გააშველოს, გვერდი თუ აუარა ეს დიდ სირცხვილად ითვლება. ხოლო თუ მათ ბრძოლას არავინ შეესწრება მოქიშპეები თვითონ მოგვარდებიან და დაასრულებენ ბრძოლას. კეჭნაობაში ვარჯიშთან ერთად მთავარია კარგი ხმალი, რაც გავარჯიშებულ ხელთან ერთად ასევე პირობაა იმისა, რომ სუსტი ჭრილობა მიაყენოს დამკეჭნავმა. ვინც ხმალსა და ხელს კარგად ვერ იმორჩილებს ამ საქმესაც კარგად ვერ აკეთებს, ის ხმალს მძიმედ დასცემს და გადასახადსაც ბევრს გადაიხდის. კეჭნაობის შემდეგ გადაწყდება გადასახადის შესახებ, ანუ შეფასდება სისხლი. თუ დაკეჭნილს ჭრილობა აქვს შუბლზე და მსუბუქი ჭრილობაა ასეთი ბრძოლის შედეგები ითვლება გამარჯვებად. გამარჯვებულია ის, ვინც მეტ ამგვარ ჭრილობას მიაყენებდა შუბლის არეში, სამი ნაოჭის ზემოთ. ეს დიდად სასახელოა და ასეთ შემთხვევაში დამკეჭნავი არაფერს იხდის. სხვა შემთხვევაში ექიმის გასინჯვის შემდეგ წყდება, რამდენი უნდა გადაიხადოს დამკეჭნავმა. ჭრილობის სიგრძე-სიგანეს ძაფით გაზომავდნენ, ზომას ბრტყელ ქვაზე გადაიტანდნენ, ზედ ქერის მარცვლებს ალაგებდნენ, თავში და ბოლოში მარცვლებს მოაკვლებდნენ და დანარჩენით წყდებოდა გადასახადის რაოდენობა – ქერის თითოეული მარცვალი ერთი ძროხის საფასურს უდრიდა. თავის ქალის დაზიანების შემთხვევაში დამჭრელ, დამკეჭნავს დაზარალებულისათვის 12 ძროხის საფასურის გადახდა უწევდა. ასეთ დროს საჭირო იყო ოპერაცია. რადგან თავის არეში, შუბლზე მიყენებული ჭრილობა ყველაზე მეტად სასახელოდ ითვლებოდა, ხევსურებიც ძირითადად ცდილობდნენ ამ ადგილებში დაეჭრათ მონიწილმდეგე. სწორედ ამ ტრადიციამ განაპირობა ტრეპანაციის საჭიროება. ტრეპანაცია ძვლოვანი ღრუს გაკვეთის ოპერაციაა. ეს ოპერაცია ეხებოდა თავის ქალასაც. ეს არის ერთ-ერთი უძველესი ქირურგიული ოპერაცია, რომელსაც ჯერ კიდევ პრეისტორიულ ხანაში იყენებდნენ. XX საუკუნის

დასაწყისში სოფელ ქობალოში ჯერ კიდევ ცხოვრობდა ას წელს მიტანებული – მგელიკა ლიქოკელი, რომელიც თავის ქალის ტრეპანაციას აკეთებდა. მის შესახებ ცნობებს გიორგი თედორაძის წიგნში ვხვდებით. შემონახული გვაქვს მისი ფოტოც. „მგელიკას ბევრჯერ ჰქონდა ტრეპანაციის ოპერაცია გაკეთებული და პაციენტებს განსაკუთრებით უვლიდა. საინტერესოა როგორ ხდებოდა ასევე ტრეპანაციის შემდეგ ჭრილობის მკურნალობა ხალხური მეთოდებით. მგელიკა სპეციალურ მაღამოს ამზადებდა თაფლისა და კარაქისაგან, რომელიც მისი აზრით აჩქარებდა ქსოვილის სტრუქტურის აღდგენას. მგელიკა ლიქოკელის გარდა გ.თედორაძის წიგნში ასევე ნახსენებია ალექო ოჩიაური არხოტიდან, რომელსაც 350 ადამიანისათვის უმკურნალია და აქედან 150-სათვის გაუკეთებია თავის ქალის ტრეპანაცია. ალექო ოჩიაურს ოდნავ განსხვავებული მკურნალობის წესები აქვს მგელიკასაგან, თუმცა ისიც დაახლოებით იგივე მეთოდებს იყენებს. ის დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში ელოდება ჭრილობას, რომ გაუარესებისაკენ არ წავიდეს და შემდეგ იწყებს მის მკურნალობას“. [თედორაძე 1930:102]

ეს ტრადიცია იმდენად გათავისებული ჰქონდათ ხევსურებს, რომ თუ ისინი გადასახლდებოდნენ ძველი მინა-წყლიდან მაინც არ ივინყებდნენ კეჭნაობას. კეჭნაობის შესახებ ცნობებს ვხვდებით ვერა ბარდაველიძის წიგნშიც – „ივრის ფშავლებში“. სადაც მიუხედავად იმისა, „რომ დღეობა იხინჭობაზე ბევრი იყო რაიონული ხელისუფლების წარმომადგენელი, დაკეჭნა მაინც მოხდა. ამ დროს ხალხი არ იჩივლებდა ხოლმე“. [ბარდაველიძე – 2003:149]

გიორგი თედორაძის თქმით კანის დაავადებები ძალიან იშვიათია ხევსურებში, ვენერიული დაავადებები ექიმს საერთოდ არ შეხვედრია ხუთ წლიანი მუშაობის პერიოდში. ექიმის თქმით ხევსურ ექიმებს არაფერი გაეგებათ, ასევე გელიოთერაპიისა და რადიოთერაპიის. თუმცა ხდებოდა დაკეჭნა, რომელიც ასეთი ხშირი იყო და საჭიროებდნენ ისეთ ექიმებს, რომლებიც შეძლებდნენ ტრეპანაციის გაკეთებას.

ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით დიდი კვალი დატოვა ევოლუციონისტურმა მოძღვრებამ, თუმცა მიუხედავად მეცნიერების განვითარებაზე გავლენისა, სწორედ ამგვარი გავლენის საშუალებით გვაქვს შემონახული ღირებული ინფორმაცია, თუნდაც ისეთ საკითხზე, როგორც არის კეჭნაობა.

ტრადიცია – „კეჭნაობა“ მნიშვნელოვანი ელემენტია კულტურისა. მკვლევარ ლუარსაბ ტოგონიძის სიტყვებით ქართველთათვის საბრძოლო ხელოვნება – „კულტურა იყო... როგორც ღვინის კულტურა იყო, იცოდა ქართველმა ადამიანმა ღვინის სიკეთე და ამავე დროს მისი ძალა, აი სწორედ ასე არის, მიუხედავად იმისა, რომ ყველას ხანჯალი ეკეთა... იცოდნენ მისი მოხმარება.“ ასევე ამ ტრადიციას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ კუთხით, რომ ბრძოლებში ხევსურები ყოველთვის გამოირჩეოდნენ. უმნიშვნელოვანესი იყო, როდესაც 1921 წელს პარტიზანული რაზმი ჩამოყალიბდა კახეთსა და ხევსურეთში, სადაც, ამ შემთხვევაში აჯანყების ორგანიზებას შეუდგა ქაქუცა ჩოლოყაშვილი. ხევსურეთში რაზმის წევრებმა ერთმანეთს საზეიმოდ შეჰფიცეს, რომ შეუპოვრად იბრძოლებდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის დასაბრუნებლად. სწორედ ამ ფიცის გამო ეწოდათ მათ შეფიცულთა რაზმი.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ხევსურული საზოგადოება წარმოუდგენელია ბრძოლისა და საბრძოლო ხელოვნების – კეჭნაობის გარეშე. კეჭნაობას განსაკუთრებული სოციალური, კულტურული, ეკონომიკური და ზნეობრივი დატვირთვა გააჩნდა საზოგადოებაში, შესაბამისად უამრვი ტრადიცია და ჩვეულება დაუკავშირდა მას. კეჭნაობის ტრადიციის მნიშვნელობაზე მიუთითებს ნორმატიული წესები და უნიკალური სამედიცინო პრაქტიკა, რომელიც ხევსურულ საზოგადოებაში ჩამოყალიბდა. აღსანიშნავია, რომ თანამედროვე საზოგადოებაში ქართული საბრძოლო ხელოვნების ასოცირება სწორედ ხევსურულ ტრადიციებსა და მათ ყო-



ფას დაუკავშირდა, მაგალითად ცეკვა ფარიკაობა ხევსურული რეალებიდან არის აღებული. ხშირად, როდესაც ქართულ საბრძოლო სულისკვეთებაზე საუბრობენ, სწორედ ხევსურულ საზოგადოებასა და მათ ტრადიციის ელემენტებზე მიუთითებენ. ასევე აღსანიშნავია, რომ ქართული საბრძოლო ხელოვნება ხრიდოლი ძირითადად ხევსურული ელემენტებითაა გაჯერებული.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. თედორაძე გ., ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში: ეთნოგრაფიული ნარკვევები მხატვრული ილუსტრაციით. 1930.
2. მაკალათია ს., ხევსურეთი. „ნაკადული“, 1984.
3. ბარდაველიძე ვ., ივრის ფშავლებში (დღიური). თბილისი, 2003.
4. რედაქტორი რ. თოფჩიშვილი: საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია. თ. ქამუძაძე „ბავშვის აღზრდის სისტემა და სოციალიზაციის თავისებურებანი“. გამომცემლობა „უნივერსალი“, 2010.

## ქართული ზღაპრის შესწავლის სამომავლო პერსპექტივები

საქართველოში ბევრი ზღაპარი დაწერილა, ქართულ ხალხურ და ლიტერატურულ ზღაპრებზე არაერთი ტექსტული, თუმცა შექმნილი ვითარება დღის წესრიგში აყენებს იმ სასარგებლო აუცილებლობას, რომ სკოლის მოსწავლეებს მეტი ინფორმაცია მივანოდოთ ზღაპრების შესახებ, მოვუთხროთ სახელოვან ქართველ მწერალთა დღეისათვის ნაკლებად ცნობილ მხარეებზე, გავაცნოთ ფართო საზოგადოებისათვის უცნობი ნაწარმოებები, რაც მოსწავლეში კლასგარეშე ლიტერატურის გაცნობის ინტერესსა და მოტივაციას საგრძნობლად გაზრდის. საქმე ისაა, რომ ყველასათვის ნაცნობი დიდი ქართველი მწერლები ლექსების, დრამების, მოთხრობების, ნოველებისა თუ რომანების პარალელურად წერდნენ ზღაპრებსაც. ვფიქრობთ, ამ კუთხით საინტერესო უნდა გამოდგეს ვაჟა-ფშაველას, აკ. წერეთლის, ი. გოგებაშვილის, ალ. საჯაიას, გრ. რობაქიძის, ო. ჩხეიძის ზღაპრები და მათთან ერთად საქართველოს პირველი პრეზიდენტის – ბ-ნი ზვიად გამსახურდიას ერთი პატარა ნინასწარმეტყველური ზღაპარიც – „სასწორთვალა და აუნონავი ხმის ჭაბუკი“. ეს უკანასკნელი პოლიტიკური პრიზმით ახსნა და ავტორის ძნელად გასაგებელ გზას დაუკავშირა პროფ. თენგიზ ჯანჯღავამ. პირველად ეს ზღაპარი 1971 წელს გამოიცა, ჟურნ. „ციცკრის“ მე-11 ნომერში. 20 წლის შემდეგ, 1991 წელს, ერთ-ერთი სატელევიზიო გამოსვლისას, ბ-ნი ზვიად გამსახურდიამ საზოგადოებას გაანდო, რომ ამ რამდენიმე წლის წინ მე დავწერე ზღაპარი, რომელიც მაშინ ბევრმა ვერ გაიგო და რომელსაც მომავალში მევე გავშიფრავო. გაზეთ „სარანგმა“ პრეზიდენტის ეს ნათქვამი მისი მოღვაწეობის დარად სცნო და 1993 წლის 3 ნოემბრის ნომერში ხელახლა გადაბეჭდა ზღაპარი აუნონავ ხმის ჭაბუკზე. ზღაპარი, გარდა იმისა, რომ მკვლევარისა და პრეზიდენტის დაწერილია, გამოირჩევა კიდევ ავტორის უხვი ფანტაზიისა და ლიტერატურულად მდიდარ სახეთა დახატვის უნარით; აქ არაერთ გამოგონილ პერსონაჟსა თუ ქვეყანა-სახელმწიფოს შეხვდებით, როგორებიცაა: „სასწორთვალა, აუნონავი ხმის ჭაბუკი, ყინულეთი, დავიწყების ქალაქი, უკვდავების სახაბაზო, ცოფიანი კატების მინდორი, ცივი თუთიყუშის კლდე, თაღლითი მძივების მდინარე, სიცილის ხიდი, მელისყურა არწივი, დავიწყების მდინარე“. მაგრამ საკითხავიც სწორედ ესაა – გამოგონილია, თუ ალეგორიაა? ... ჩანს, ავტორმა ალეგორია გამოიყენა, როგორც იმ რეალობის შენიღბვის ხერხი, რომელშიც თავად ცხოვრობდა და მოღვაწეობდა და სინამდვილეში ყველა მისი გამოგონილი პერსონაჟის უკან იმდროინდელი გავლენიანი პოლიტიკოსები დახატა, რომელთა კრახიც (ან განცდილი, თუ მოსალოდნელი) ოსტატურად აჩვენა ზღაპრის მეშვეობით. ჩვენი ღრმა რწმენით, „მელისყურა არწივი“ „მელ“ აბრევიაცია ამოიკითხება, რომელიც, თავისმხრივ, იშიფრება შემდეგნაირად: მარქსი – ენგელსი – ლენინი. შესაბამისად, მელ-ის-ყურა არწივი გამოდის მაქრსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მიმდევარ-გამტარებელთა ფარდი ტერმინი; ამდენად, ზღაპრის ავტორს მტკიცედ სჯეროდა, რომ მოვიდოდა დრო, სადაც ბავშვები არა მომწამვლელ იდეოლოგიაზე, არამედ ეროვნული გმირების ისტორიაზე აღიზრდებოდნენ. ...

ლიტერატურულ ზღაპარს საფუძველი XIX ს-ის ევროპაში ჩაეყარა, მაგრამ ლიტერატურულ ნაწარმოებებში ზღაპრულ ელემენტთა გაჩენა შედარებით ადრეა სავარაუდებელი. შეიძლება ითქვას, რომ ფართო მკითხველისათვის თითქმის უცნობია გრიგოლ რობაქიძის ზღაპარი „ორი

ძმა“, რის გამოც საჭიროდ ვთვლით მასზე ორიოდ სიტყვა მოგახსენოთ. ზღაპარი „ორი ძმა“ დაიბეჭდა 1942 წელს ვესტერმანის ყოველთვიურ ჟურნალში „Westermanns monatshefte.“ თვითონ, გრ. რობაქიძე არსად აღნიშნავს ამ ზღაპრის არსებობის შესახებ. მას პირველად მიაკვლია დოქტ. მარგარეტ შუხარდმა გიოტინგენის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. გერმანული ენიდან თარგმნა ნუგემა გაგნიძემ, რომელიც გამოქვეყნდა ჟურნ. არავის 2016 წ-ის მე-2 ნომერში (32-35). ეს ბრწყინვალე და აქამდე ბედის ირონიით „დამალული“ ზღაპარი სწორედ ზემოხსენებული თარგმანის მეშვეობით შემოიჭრა ქართულ მიმოქცევაში. ზღაპარში მწერლური ოსტატობითაა მოთხრობილი ბედნიერების მაძიებელი ორი ძმის ამბავი. მეფის ვაჟებს თავიანთი სამეფო არ ჰყოფნით და დაუოკებელი სურვილის დასაკმაყოფილებლად სახლიდან ძალიან შორს მიემგზავრებიან. წასვლამდე ისინი დანიშნული ქვის ქვეშ თავიანთ ბეჭდებს ათავსებენ, რათა ასე გაიგონ დაბრუნების შემდეგ ერთმანეთის ავან-ჩავანი; თუ რომელიმე მათგანს დათქმულ დროს ბეჭედი კვლავ იმ ადგილზე დახვდა, ე.ი. ბეჭდის პატრონი გასაჭირშია და დახმარება ესაჭიროება. ერთი წლის მერე უფროსი ბრუნდება, ხოლო უმცროსი ძმის ბეჭედი ადგილზე ხვდება. იგი მიემართება თავისი ნაბოლარა ძმის საპოვნელად და გადასარჩენად. ხანგრძლივი და შრომატევადი ძიების წყალობით ის სამეფო სასახლეში იპოვის სიცოცხლისაგან დაცლილ, უსულოდყოფილ ძმას, ჯადოსნური ყვავილის მეშვეობით გააცოცხლებს, დაიხსნის გასაჭირისაგან უმცროსი ძმის საცოლეს და მფრინავი ოქროს პერანგით შინ ბრუნდებიან. ასეთია ძალიან მოკლედ ამ ზღაპრის შინაარსი. მოკლე შინაარსიდანაც კი კარგად ვხედავთ, თუ როგორ დეტალურად მისდევს ჯადოსნური ზღაპრის მოქმედ პერსონაჟთა ფუნქციებს რობაქიძის ეს ზღაპარი, რაც უთუოდ, მწერლის სასახლოდ ჩაითვლება. სულ ასეთი 31 ფუნქციით გახლავთ შემკული ჯადოსნური ზღაპრის გმირი, საიდანაც პირველია ოჯახის ერთ-ერთი წევრის სახლიდან წასვლა, ბოლო კი – ამავე გმირის უკან დაბრუნება, ქორწინება და გამეფება. ფაქტობრივად, ავტორი საოცარ წრიულ და ლოგიკურად გადანაკვეთლ ჯაჭვს ქმნის და ამავდროულად თავისი ზღაპრის გმირებს ფუნქციათა მრავალფეროვნებითაც ტვირთავს, კერძოდ: ყველა (აქ: ორივე) გმირი გადის სახლიდან – ერთ-ერთი ბრუნდება – კვლავ ტოვებს თავის სამფლობელოს – მოჰყავს უმცროსი ძმა – ეს ძმა ქორწინდება მეფის ასულზე და მეფდება. (შენიშნულ ფუნქციათა შესახებ ვრცელი მსჯელობისათვის იხ. ვ.ი. პროპი – „ზღაპრის მორფოლოგია“, თბ. 1984: გვ. 70-106. მთარგმ. მ. კარბელაშვილი).

ზღაპარი, უმეტესწილად, კონკრეტული ერის ნაციონალურ კუთვნილებას წარმოადგენს, რადგანაც ზღაპარი ეროვნული ცნობიერებითა და ისტორიული კულტურით საზრდოობს. ამრიგად, ვერც ხალხური და ვერც ლიტერატურული ზღაპარი ვერ იქნება მულტიკულტურული ნაზავი, მაგრამ ტექსტის შიგნით მსოფლიოს ხალხთა კულტურის მძლავრი შენაკადების ძიება, როდია აზრსმოკლებული?... შენიშნულ გარემოებას მოარული სიუჟეტების არსებობაც უფრო სარწმუნოს გახდის. ფაქტობრივად, მოარული/მოხეტიალე სიუჟეტები გვაძლევენ ქარგას, ხოლო ამ ქარგაზე რას მოვქარგავთ, როგორ შევასხამთ ხორცს ჩვენს ფანტაზიას (აქ: რაგვარ გაგრძელებას, განვითარებას, კულმინაციასა და დასასრულს მოვუგონებთ სიუჟეტს), ეს წმინდად შეთანხმების საგანი გახლავთ.

ნაყოფიერი შედეგის მისაღწევად, საჭიროა დავადგინოთ, თუ რას ცვლის მწერალი – ლიტერატურული ზღაპრის ავტორი ლიტერატურულ ზღაპარზე მუშაობისას, როგორ ინარჩუნებს სიახლოვეს ხალხურ ზღაპართან და ამისათვის რა ხერხებს, რა ენობრივ საშუალებებს მიმართავს, რამდენად ასხვაფერებს შინაარსსა და რა დოზით ახდენს ზღაპრული პერსონაჟის ტრანსფორმირებას. ზუსტი სურათის მისაღებად მიზანშეწონილად მივიჩნევთ შესაძარებელ ტექსტთა დიაქრონიულ ხაზზე დალაგებას, რაც საბოლოოდ დაგვანახებს ვინ უფრო მარჯვედ ახერხებს ზღაპრისათვის დამახასიათებელი არქაულობის დაცვას, ძველი თუ, – თანამედროვე

ავტორი. ხალხური ზღაპრების უთვალავი რაოდენობიდან გამომდინარე, სასურველია, თავდაპირველ ეტაპზე დამუშავებულ იქნეს, ჯერ ლიტერატურული ტექსტები, შემდგომ ეტაპზე კი, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება, თითოეულ ავტორისეულ ზღაპარს მოეძებნოს ანალოგი ხალხურ (ფოლკლორულ) ზღაპარში, რამდენადაც მწერალს ლიტერატურულ ზღაპარზე მუშაობის დაწყებამდე, ყოველ მიზეზ გარეშე, მოძებნილი ექნება კონკრეტულად ერთი ზღაპრის ის ერთი პერსონაჟი, რომლის გადასხვაფერებულ პროტოტიპსაც შემოგვთავაზებს თავის ნაწარმოებში. მაგ. ხალხური – „გაუცინარი ხელმწიფე“, ლიტერატურული – აკაკი წერეთელი: „ბროწეულის წყარო“. ხალხური ზღაპრის ანონიმი ავტორი შინაარსის მთავარ კვანძს ხელმწიფის გაუცინარობაში ხედავს, ხოლო აკაკი წერეთელი ბროწეულის ხესა და მზეთუნახავის ცრემლებით წარმოქნილ ბროწეულის წყაროში. ეს ბროწეულის ხე იმ სასახლის ძირას იდგა, სადაც დევს ხელმწიფის უმშვენიერესი მეუღლე ჰყავდა გამოკეტილი. მაშასადამე, ხალხური ზღაპრის მიხედვით, თუ გაირკვეოდა ხელმწიფის გაუცინარობის მიზეზი, დასრულდებოდა ხელმწიფის გაუცინარობა და ის გაიცინებდა, ხოლო აკაკისთან ამ ამოცანის შესასრულებლად საჭიროა ბროწეულის ხისა და მასზე გადმომდინარი ცრემლწყაროს პოვნა. ამგვარი სამუშაო მეთოდით შექმნილ ერთ ლოგიკურ ბადეში კვლევის საბოლოო შედეგების მოქცევას. ასევე, უპრიანია ლინგვისტური მასალის ასახვა ლექსიკური სინსეტების ცხრილში, რაც კიდევ უფრო მკვეთრად და ნათლად წარმოაჩენს მსგავსებას ამ ორ ახლობელ მონაცემს შორის.

1938 წელს გამოცემულ წიგნში – „ქართული ფოლკლორი“, მ. ჩიქოვანი წერდა: „ფოლკლორული ნაწარმოების განხილვა და შესწავლა იმავე წესით შეიძლება, რა წესითაც მწერლის თხზულება ისწავლება. განსხვავება მათ შორის იმ სპეციფიკურ ფორმაშია, რომლითაც, ვთქვათ, ზღაპარი განსხვავდება მოთხრობისაგან.“ დღეს არსებული სალექსიკონო განმარტებები არ იძლევა საშუალებას გავმიჯნოთ ერთმანეთისაგან ჟანრულად ახლომდგომი მონაცემები – ზღაპარი, იგავ-არაკი, მოთხრობა თუ ნოველა, რაც თავისმხრივ, გამოიწვია განსამარტებლობა დეფინიციებში უხვად თავჩენილმა გადაკვეთის, შეხების წერტილებმა. მაგალითისათვის, სულხან-საბა ორბელიანი ვერ ხედავდა მიჯნას იგავსა და არაკს შორის; არაკის მისებური განმარტება ასეთია: „არაკი სომხურად იგავს ჰქვიან.“ გაურკვევლობას ქმნის ზღაპრის საბასეული ახსნაც, ვინაიდან გამოდგება არაკის განმარტებადაც. კერძოდ: „ზღაპარი არს მოგონებული ტყუილი, ამბავად შემქვერებული და არა ქმნილი მყოფობით.“ საერთო სურათის თანახმად, ზღაპარი არის გამოგონილი, ფანტასტიკური შინაარსის მქონე ამბავი, თუმცა წილი გამონაგონისა შეიძლება ყველა ზემოჩამოთვლილ ჟანრში შეგვხვდეს. ვფიქრობთ, მეცნიერულ დონეზეა შესაძლებელი ის ჟანრული, და ამავე დროს, მკაცრად სპეციფიკური კრიტერიუმები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი გახდება მოცემული ტექსტის ჟანრობრივი კვალიფიცირება, ანუ დადგინდება მისი ჟანრული რაობა, ამისათვის კი, თითოეული ფორმის (ზღაპარი, იგავი, არაკი, მოთხრობა) იდეურ-სტრუქტურული სიღრმისეული შესწავლაა საჭირო. აქვე ვიტყვი, რომ „ტყუილი“ და „გამონაგონი“ ვერ მოგვევლინებინან ფარდ ცნებებად, ვინაიდან ზღაპრებში გამოგონილი ფონი სიმართლის გამაშკარავებასა და უკეთურების მხილებას ემსახურება. მაშასადამე, ზღაპარში ალეგორია სიმართლის თქმის ერთგვარი ხერხია, და, ამდენად, ერთი შეხედვით ფანტასტიკურ, მოგონილ ამბებსაც კი უტყუარი სიმართლე ასაზრდოვებთ. პირველ რიგში, ის მორალი, რასაც ეფუძნება ზღაპარი, ის პრინციპები, რითიც ხელმძღვანელობენ ზღაპრის დადებითი ფიგურები და ის დიდაქტიკური ხასიათის რჩევა-დარიგებანი, რაც აკუმულირებულია ზღაპრის ბოლოში, სასიკეთო სწავლებად და სასარგებლო გამოცდილებად გამოადგებათ ადამიანებს; მეორეც ერთი, ზღაპარში წარმოჩენილი ავისმომასწავლებელი საფრთხეებისა და ძნელად გადასაჭრელი პრობლემების წინაშე არამარტო გამოგონილი პერსონაჟი, არამედ თვით ადამიანიც შეიძლება აღმოჩნდეს. თუ კარგად დავაკვირდებით, მივხვდებით,

რომ ზღაპრებში ტყუილიც კი თავისებურია, განსხვავებული ნამდვილი ტყუილისაგან, უფრო სიმართლის საბურველით მოსილი, სადაც სიცრუე სიმართლის ანარეკლად რეალიზდება. ზღაპრებს თავიდან ბოლომდე დიდაქტივიზმი მსჭვალავთ, ამიტომაც აქვთ ზღაპარში აღწერილ ამბებს ბედნიერი დასასრული, ამიტომაც იმარჯვებს კეთილი ბოროტზე; თითქოს, ზღაპრის უცნობი ავტორი ან ავტორთა კოლექტივი ერთგვარ პროპაგანდას უწევდნენ კეთილ საქმეთა დასახვასა და აღსრულებას, მიუთითებდნენ შრომისა და გარჯის გარდაუვალ დაფასებაზე და ამით მოტივაციას ზრდიდნენ მკითხველსა თუ მსმენელებში. თუ ამ ფუნქციას ჩამოვხსნით ზღაპრებს და სარწმუნოდ მივიჩნევთ იმ ჰიპოთეზას, რომ ზღაპრის ტექსტები ტყუილ ამბებს გვიამბობდნენ, მაშინ მთლიანად ზღაპრები დაკარგავენ ფუნქციას, ვერ ჩავენვდებით ზღაპართქმნადობის რეალურ მიზანს (მართლაც ტყუილებისთვის ხომ არ იქმნებოდა?) და ვერც იმას მოეძებნება ლოგიკური ახსნა, თუ რატომ უყვებოდნენ ზღაპრებს ბავშვებს ძილისწინ. უნდა ითქვას, რომ ზღაპარი ფილოსოფიური აზროვნების შედეგს წარმოადგენს.

მოგეხსენებათ, გათავისებულ ტყუილს არაფერი საერთო არ აქვს სიმართლესთან, და არც შეიძლება ჰქონდეს. აღნიშნული ასპექტი უაღრესად მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელია ზღაპრების შესწავლის დროს. ვ.ი. პროპის მიერ გამოვლენილი 31 ფუნქცია ჯადოსნური ზღაპრისა, უფრო უნივერსალურია, მაგრამ რამდენადაც ზღაპარი ნაციონალურ დალს ასვამს ნარატივს, კვლევისათვის საინტერესო და საყურადღებო უნდა გამოდგეს, თუ როგორი ეროვნული ხაზით განვითარდა საერთო ზღაპრული მოტივები, როგორი მოდიფიკაციის გზა განვლო ამა თუ იმ განსაზღვრულმა ფუნქციამ და ასევე ანგარიში უნდა გაეწიოს იმასაც, თუ რა ასახვა ჰპოვა ნაციონალურმა ბაზისმა ქართული ხალხური და ლიტერატურული ზღაპრის ტექსტში. ჟანრულ-ეროვნული კრიტერიუმების არარსებობა ართულებს ლიტერატურულ ზღაპარზე დაკვირვებას, ვინაიდან ჭირს მოცემული ტექსტის ზღაპრად კვალიფიცირება. იქნებ, სწორედ განმარტებების ნაკლოვანებებმა, ან ამ სფეროში ამგვარ საკითხებზე არსებულმა უმწირესმა სამეცნიერო ლიტერატურამ, გამოიწვია ის, რომ დიდ, სახელოვან და გამოცდილ მწერლებსაც კი უჭირდათ თვალსაჩინო ზოლის გავლება მოთხრობასა და ზღაპარს შორის, ამიტომაც ისინი მოთხრობების ციკლში აერთიანებდნენ თავიანთ თხზულებებს და ერთგვარად, „დასათაურებისას“ მკითხველის ამარა ტოვებდნენ სხვადასხვა ჟანრისა და უამრავი თემატიკით დახუნძლულ ტექსტებს...

ეს ერთობ უცნაური მოცემულობა უფლებას გვაძლევს, არგუმენტირებულ მსჯელობაზე დაყრდნობით, ზღაპრებად გადავაანალიზოთ დღეს უტყუარად მოთხრობებად მიჩნეული ტექსტები და ამ მიმართულებით შევისწავლოთ ნიკო ლომოურის, შიო არაგვისპირელის (დედაბრიშვილი), კონსტანტინე გამსახურდიას, ნიკო ლორთქიფანიძის, რევაზ ინანიშვილისა და გოდერძი ჩოხელის რამდენიმე მოთხრობა. იმდენად მსუყეა ლიტერატურულად ქართველ მწერალთა მოთხრობები, რომ დაუშვებელიც კია მათი ერთი კონკრეტული ჟანრის ქვეშ გაერთიანება, რამდენადაც დაიჩრდილება მწერლური ნიჭი და შემოქმედის ფანტაზიის უკიდევანო გასაქანი. სირთულეს ხსნის თავად ავტორი, როდესაც ნაწარმოებს სათაურის ქვეშ, ფრჩხილებში, თავადვე უთითებს ჟანრის სახელწოდებას, ე.ი. მოთხრობაა, ზღაპარი თუ სხვა რაიმე სახის თხზულება, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ხერხს ძალიან ცოტანი თუ მიმართავდნენ. არ დავამორებით და აქვე ვიტყვი, რომ ამ კუთხით, ერთგვარ სიახლესა და მონინავე კვლევას წარმოადგენს ქართულ სამეცნიერო სივრცეში ნესტან კუტივაძის ნაშრომი „ქართული ლიტერატურული ზღაპარი (XIX საუკუნე)“.

აქ მკვლევარი საინტერესო რეპრეზენტაციას გვთავაზობს აკაკისა და ვაჟას მოთხრობებისა და პარალელურად საყურადღებო დასკვნებსაც ავითარებს. მიგვაჩნია, რომ ამგვარი კვლევები უნდა გაღრმავდეს და უნდა გაგრძელდეს ამ მიმართულებით მუშაობა. უთუოდ მხედვე-

ლობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ზოგჯერ ჟანრულ სპეციფიკურობას საბჭოური ცენზურა აპირობებდა, ანუ მწერლის გადაწყვეტილება, თუ რა ჟანრით შემოფარგლავდა თხზულებას (ზღაპარი, მოთხრობა, ლეგენდა, ამბავი), იძულებით ხასიათს ატარებდა, ამიტომაც სანამ ტექსტოლოგიურ კვლევა-ძიებას დავიწყებდეთ, ისტორიული სინამდვილის შენარჩუნება-დაცვის მიზნით, თვითონ ფაქტი, რაშიც პირველად მონაცემს ვგულისხმობთ, აუცილებლად ცალკე დამონმების ღირსია.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. აგიაშვილი ნ., „ლექსები, ბალადები, პოემები, ზღაპრები“, 1978: გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი.
2. ვაჟა-ფშაველა. თხზულებათა სრული კრებული 10 ტომად, ტ. 5 /მოთხრობები/. 1964: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.
3. თავაური გ., „რუსთველოლოგიის საკვანძო საკითხები“, 2015: გამომცემლობა „მუსფონდი“, თბილისი.
4. თავაური გ., „რუსთველოლოგიის საკვანძო საკითხები“, 2015: გამომცემლობა „მუსფონდი“, თბილისი.
5. კიკნაძე ზ., „ქართული ფოლკლორი“, 2008: თსუ-ს გამომცემლობა, თბილისი.
6. კუტივაძე ნ., „ქართული ლიტერატურული ზღაპარი (XIX საუკუნე)“, 2014: ქუთაისი.
7. რობაქიძე გრ., „ორი ძმა“ (ზღაპარი), გვ. 32-35. – არავი: ლიტერატურული და სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი, ნ 2, 2016: გამომცემლობა „ახალციხის ინ-ტი“, ახალციხე.
8. ქურდოვანიძე თ., „ქართული ზღაპარი“, 2002: გამომცემლობა „მერანი“, თბილისი.
9. ჩიქოვანი მ., „ქართული ფოლკლორი“, წიგნი 1. 1938: გამომცემლობა „პედაგოგიკის სამეცნიერო-საკვლევო ინ-ტი“, თბილისი.
10. ჩიქოვანი მ., „ქართული ფოლკლორი, მასალები და გამოკვლევები“, ტ. 4. 1974: გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.
11. ჩოლოყაშვილი რ., „ზღაპარი და სინამდვილე“, 2009: გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი.
12. წერეთელი აკ., „თხზულებათა სრული კრებული“ 15 ტომად, ტ. 8 /მხატვრული პროზა/. 1958: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.
13. ორბელიანი სს., „ლექსიკონი ქართული“, ტ.1. 1991: გამომცემლობა „მერანი“, თბილისი.
14. ქეგლ-ი ტ. 1. /ა-ბ/ 1950: რედ. არნ. ჩიქობავა, გამომცემლობა „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია“, თბილისი.
15. ქეგლ-ი ტ. 4. /ვ-ლ/ 1955: რედ. არნ. ჩიქობავა, მ. ჭაბაშვილი, გამომცემლობა „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბილისი.
16. პროპი ვლ., „ზღაპრის მორფოლოგია“, 1984: გამომცემლობა „მეცნიერება“, მთარგ.: მ. კარბელაშვილი, თბილისი.

## სკალდობა

ლენტეხის რაიონში, დასახლებული პუნქტებისგან მოშორებით, არსებობს X-XI საუკუნის ტაძარი. ეკლესია ერთნავიანი ბაზილიკაა, „სპენდიკის“ თეორი ქვით ნაშენები. იგი მოქცეულია ქვაბულის ერთ-ერთ კიდეზე, რის გამოც აღმოსავლეთის კედელი ბუნებრივი კლდის გაგრძელებაა, დანარჩენი სამი კედელი კი ქვაბულს გადაჰყურებს. გადმოცემით, იგი პირველ საუკუნეში აუგია სვიმონ კანანელს. ტაძარი ერთი ვერსიით მთავარანგელოზის სახელობისაა, მეორე ვერსიით-წმინდა გიორგისა, მაგრამ, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ამას ტაძრის ფუნქციონირებისთვის არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. ტაძართან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები, ლეგენდები, გადმოცემები მრავალ საინტერესო ეთნოგრაფიულ თუ მითოლოგიურ ცნობას იძლევა, რასაც ემატება მნიშვნელოვანი ფაქტორი – ჩვენ ცოცხალ პროცესთან გვაქვს საქმე. წინამდებარე ნაშრომის მიზანი კვლევის პერსპექტივის წარმოჩენაა იმ იმედით, რომ მწირი მონაცემები გამდიდრდება, შემდგომ კი მეცნიერულად გაანალიზდება.

პირველ რიგში განვიხილავთ ტაძრის სახელს. ტაძარს *სკალდს* უწოდებენ. სოზარ ლიპარტელიანი ამ სახელწოდებას უკავშირებს სიტყვა *სკე*’ს, რაც სვანურად ნიშნავს *მოდგმას*. მისი აზრით, ასეთ გააზრებას საფუძველად უდევს შემდეგი ამბავი: „როცა გადაწყდა სალოცავის აშენება, საჭირო გახდა სახელდება – რა უნდა შევთხოვოთ ღმერთს, რის გამო ჩატარდეს ლოცვა, ბოლოს შეჩერდნენ: *სკეი ბედჷი* – შვილთა მოდგმათა სიმრავლეზე. *სკე* სვანურად არის *მოდგმა*. აგრეთვე, *შინ* ძველ სვანურად ნიშნავს *ვაჟიშვილს*, სკალდზე ლოცვა ასე მთავრდება: ჩუვ ალოშინად ღერბათ! ე.ი. გაგვჩენოდეს ვაჟიშვილები ღმერთის წყალობით.“ (იხ. ლიპარტელიანი 2011) ამ ნაშრომის ავტორის პირადი დაკვირვების მიხედვით კი ადგილობრივ მოსახლეობაში არ ესმით *სკალდ* სიტყვის მნიშვნელობა. სვანური ენის ლექსიკონისა და სვანურის სპეციალისტებთან კონსულტაციაზე უშედეგო აღმოჩნდა – მეცნიერებმაც ვერ მიაკვლიეს ამ სიტყვის წარმოშობას, ამიტომ ვთვლით, რომ ზემოთ მოხმობილი განმარტება ხალხურ ეტიმოლოგიას მიეკუთვნება. რადგან *სკალდ*-ის წარმომავლობის დადგენა ვერ ხერხდება, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მთას, რომელზეც ტაძარია აღმართული, არაქრისტიანული რწმენით საკრალური დატვირთვა ჰქონდა, ხოლო *სკალდ* იყო ამ მთის საკუთარი სახელი, რომელიც ტაძრის აშენების შემდეგ ტაძარმა შეითვისა. ამ მთის არაქრისტიანულ საკრალურ დატვირთვაზე შეიძლება მიაწინებდეს ისიც, რომ სკალდობა აღინიშნება ფერისცვალების დღესასწაულზე და:

1. ერთმანეთს სკალდობას ულოცავენ და არა ფერისცვალებას;
2. თავად ტაძარში ბოლო რამდენიმე წელია, რაც ქრისტიანული ღვთისმსახურება აღევლინება, რომელიც ადგილობრივების მეთვალყურეობით მიმდინარეობს – ტაძარში ღვთისმსახურებისას ადამიანი, რომელიც ადგილობრივი რწმენის მიმდევარია, მეთვალყურეობას უწევს ქრისტიან სასულიერო პირს;
3. ტაძრის გარეთ კი ე.წ. სტაოსტები ტრადიციულ რიტუალებს ატარებენ: ლოცავენ ხალხს, ამწყალობებენ დიდი რაოდენობის ზვარაკს.

სკალდის ტაძარი, ისევე როგორც მთის მრავალი სხვა სალოცავი, მთელი წლის განმავლობაში დაკეტილია და მხოლოდ სკალდობაზე იღება. ტაძრის გასაღებს ინახავენ *სტაოსტები* –

ერთდროულად ერთგვარი ხევისბერისა და მანშვის ფუნქციათა შემთავსებლები (ადვილად შესამჩნევია, რომ სტაოსტა რუსული სიტყვა *староста* -სგან მომდინარეობს მცირედი ფონეტიკური სახეცვლილებით. *староста* რუსულად მამასახლისის ნიშნავს, თუმცა რატომ შეითვისა ადგილობრივმა მოსახლეობამ სწორედ ეს ტერმინი, გაურკვეველია. შესაძლოა ახალი სახელწოდება ახალი ფუნქციის გამო გაჩნდა: სტაოსტები არიან გვარის უხუცესები და იმავდროულად ინახავენ ტაძრის გასაღებს, დღესასწაულზე კი ასრულებენ სხვადასხვა რიტუალებს). სწორედ ისინი წარმართავენ კულტმსახურებას. მიუხედავად იმისა, რომ ეპარქიის წინამძღვარი ყოველთვის ესწრება დღესასწაულს, ტარდება წირვა და ტაძრის მიმდებარე კელიებიც კი დადგეს, ტრადიცია მაინც არ იცვლება, პირიქით ძლიერდება, რადგან ახალგაზრდებიც ამ ტრადიციების მიმდევარნი არიან. ამ ვითარების საუკეთესო გამოხატულებაა ის, რომ ტაძარში ღვთისმსახურების დროს ერთ-ერთი სტაოსტა აკონტროლებს მღვდელს, ტაძრის გარეთ კი დანარჩენები საკლავს დაამწყალობნენ, ფულად შესანიშნავ იღებენ და ლოცავენ დალოცვის მსურველებს.

რაც შეეხება დამწყალობნებას, „ლოცვის დროს აუცილებლად უნდა ყოფილიყო *სკალდის* მფარველობის ქვეშ მყოფ მლოცველთა მიერ ნაყიდი საერთო ხარი, რომელსაც ყიდვიდან დაკვლამდე ფუსტა ქვია, ხოლო დაკვლის შემდეგ *ყვიუ*. ხარს ყიდულობდნენ ერთი წლით ადრე და მორიგეობით ჩანქსელიანთა გვარის ოჯახები განსაკუთრებული პატივით კვებავდნენ. გულღვიძლს ერთად შესწირავდნენ სხვა სალოცავ ატრიბუტებთან, ხორცს თანასწორად გაინანილებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიაში დიდი რაოდენობით ფული შედიოდა შესწირად, მაინც ხარის ფასი, უკვე *ყვიუის* ფასი საკუთარი ჯიბიდან უნდა გადაეხადათ. იყო შემთხვევა, როდესაც ვინმე *სკალდის* შემკრე გვარიდან ვერ მოვიდოდა სალოცავზე, მაგრამ *ყვიუის* ფასს აუცილებლად გზავნიდა, ამით იყო მონაწილე იმ დღის ლოცვაში. აუცილებელი ატრიბუტი იყო და არის სამი ცალი ტაბლა „ლემეზირი“ ხორბლის ფქვილისა, შიგთავსი მნიფე ყველით, ჭიქა ღვინო ზედაში, ცვილი, აუცილებლად თაფლის სანთლის მიტანა (სანთლებს თავად ამზადებენ ოჯახში სპეციალურად ამ დღესასწაულისთვის, ი.ს.). ლოცვის დროს ჯერ ფაყელები ჩანქსელიანების მეთაურობით შესწირავდნენ ხარს. შეწირვის დროს ყველა მლოცველი ქუდმოხდილი და მარჯვენა მუხლით დაჩოქილი ლოცულობდა. შესანიშნავ ხარს სანთლით მარჯვენა ბეჭს და შუბლს ოდნავ შეუტრუსავდნენ, სამჯერ შემოაბრუნებდნენ და ხმამაღლა დაიძახებდნენ – „ჩუვ ათოფშირად ი ჩუვ ათობინად განგალ ღერბათ!“ რაც ნიშნავს: გამრავლდით და ძენი გაგიჩინოთ დიდმა ღმერთმა.“ (იხ. ლიპარტელიანი 2011) ამჟამად, ყოველ მსურველს მიჰყავს ტაძარში ცხვარი სხვადასხვა საშუალებით: ცხენით, მანქანით, ხელით... ჯერ იმავს გაუკეთებენ, რასაც ადრე ხარს, შემდეგ სამჯერ შემოატარებენ ტაძარს და ან უშვებენ (გაშვებული ცხვრის დაჭერა და დაკვლა შეუძლია ნებისმიერს), ან კლავენ და მიირთმევენ. როგორც ვხედავთ, ბევრი რამ მთელ საქართველოში გავრცელებული მთის ტრადიციულ წეს-ჩვეულებებს ემთხვევა. ტაძრის დაარსების ლეგენდაც კლასიკურ სიმბოლოებს შეიცავს: „ერთ მშვენიერ დილას მზის ამოსვლისას, ერთმა ფაყმელმა მოხუცმა ერთბაშად დაინახა კლდის ქიმზე მოციმციმე უცხო სხეული, კლდე უკუდახრილი იყო და ციცაბო. მოხუცებმა ადვილად დაძლიეს ხატამდე მისასვლელი მანძილი, ჩამოიტანეს იგი გზაზე და მისი ბრწყინვალეობით გაოგნებულნი ყველა გამვლელს უჩვენებდნენ. გზაჯვარედინზე უამრავი ხალხი მოგროვდა, დაიწყო დავა ხატის თავის ადგილსამყოფელის მიჩენაზე, ლენტეხელები ლენტეხის ეკლესიაში დაბრძანებას მოითხოვდნენ, ფაყმელები კი ფაყშისაში. დავა გამწვავდა. ორივე მხრიდან აღიმართა საბრძოლო ტალღა. ამ დროს გამოჩნდა ვინმე მოძღვარი სიმონი, რომელმაც ჯერ თავისი გამოჩენით დააშოშმინა ხალხი, შემდეგ ხატს თავყვანი სცა და მოდავეები შეარიგა. მან ორივე სოფლიდან მოაყვანინა გაუხედნავი მოზერები, დააულა ისინი და მობმულ მარხილზე ხატი დააკრა, გზაჯვარედინი ხალხიდან გაათა-



ვისუფლა და მოზვრები გაუშვა. მოზვრები სწორედ იმ მთას მიადგნენ, რომლის ქიმზეც მოხუცებმა პირველად შენიშნეს ხატი. მთა კლდოვანი და ტყიანი იყო, მაგრამ მოზვრები თავისუფლად მიდიოდნენ, უკან გაჭრილი გზა რჩებოდა, ამ გზას ხატის სასწაულმოქმედებით გაკვირვებული ხალხი მიჰყვებოდა. მოზვრებმა გაიარეს დაახლოებით 30-კილომეტრიანი მთავრეხილი და შეჩერდნენ 2800 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან ზღაპრული სილამაზის მთაზე, საიდანაც სარკესავით ჩანს მთელი ლეჩხუმ-სვანეთი და კოლხეთის დაბლობი, თითქმის ნახევარი საქართველო. იქ მისული კაცი ვერაფრით იტყვის ეს სილამაზე თვით განგების მიერ არ არის შექმნილი. იანვარშიც კი იაქური თბილი წყაროების ახლომახლო ულამაზესი მთის ყვავილები ყვავიან, ვერცხლისფერი ნაძვნარი ქვემოთ ზღვასავით ღელავს. ბროლის ჩანჩქერებიდან ნასროლი წყლის წვეთებით მუდმივად გაჟღენთილია კამკამა ჰაერი, ადგილი ნამდვილად საღვთოა. ამ ადგილზე გაჩერდნენ ხარები, ხალხმა ზუსტად იქ ააშენა ეკლესია.“ (იხ. ლიპარტელიანი, 2011).

ახალგაზრდების გადმოცემით იგივე ლეგენდა ბევრად ლაკონურია, ოდნავ შეცვლილია, თუმცა ნიშანდობლივია, რომ შენარჩუნებულია ამ ლეგენდის არსებითი სიმბოლო – ტაძრის ასაშენებლად ადგილის მოძებნა ხარების მიერ. ლენტეხის მკვიდრი მიხეილ ლიპარტელიანი ასე ჰყვება ამ ლეგენდას: „ხარებშებმულ ურემზე დაუბრძანებიათ მთავარანგელოზის ხატი და გაუშვიათ. ხარებს უვლიათ გაუკვალავ ადგილებში და იქ დაუღევიათ სული, სადაც ახლა ეკლესია მდებარეობს.“

სკალდის ტაძართან დაკავშირებული ლეგენდების მეორე წრე ეხება ქალებისთვის ტაძარში ასვლასა და საერთოდ ტაძრის გზაზე შედგომის აკრძალვას: „ქალმა სცადა სალოცავში ასვლა და საშინელი ჭექა-ქუხილი დაიწყო, ქალი ვერ ავიდა და უკან დაბრუნდა. ამის შემდეგ გამოიდარა. მეორე თქმულებით – ქალმა გადაიცვა მამაკაცის სამოსი, გზას აუყვა და გზაში გარდაიცვალა“ (იხ. ლიპარტელიანი, 2011). იგივე ლეგენდა მიხეილ ლიპარტელიანის გადმოცემით ასე გამოიყურება: „ამ ეკლესიაში ასულა კაცის ფორმაში გადაცმული ქალი. მაშინვე დაწყებულა ჭექა-ქუხილი და სეტყვა. ტაძარში და მის ახლოს მდებარე ყველა კაცი გადარჩენილა, დაღუპულა მხოლოდ ის ქალი“.

ვფიქრობთ, ამ და სხვა თანამედროვე პროცესების დაკვირვება მეცნიერებისათვის რამდენიმე მიზეზის გამოა საინტერესო:

1. ამ ლეგენდებსა და წეს-ჩვეულებებში შემონახულია ძველი რწმენის კვალი;
2. რწმენა იმდენად დიდია, რომ ლენტეხიდან სკალდამდე (ზღვის დონიდან 700 მეტრიდან 2300 მეტრამდე) ყოველ წელს, ღამით გადიან 30-კილომეტრიან გზას, რათა დღესასწაულს დილით ტაძართან შეხვდნენ. ქრისტიანობამდელი რწმენა და წეს-ჩვეულებები დღემდე შემონახულია და დღემდე განიცდის ცვლილებას, ყალიბდება მთის წარმართული რწმენისა და ჩვეულებების ახალი ეტაპი, ამ ცოცხალი პროცესის დაკვირვება კი უკეთესად გაგვაგებინებს წინამორბედ პროცესებს, ახალ მონაცემებს მოგვცემს ტიპოლოგიური თვალსაზრისით. მიმდინარე მოვლენების დაფიქსირება აუცილებელია დღევანდლობაზე ინფორმაციის შენახვისა და მომავალი თაობებისთვის გადაცემის მიზნით.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. თოფურია ვ., ქალდანი მ., სვანური ლექსიკონი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი, 2000.
2. ლიპარტელიანი ს., სკალდის უძველესი სალოცავი, „ფუძე“, N3 (25), ივლისი-დეკემბერი, თბილისი 2011.

ანა ქობალია, მედი მაჭარაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი  
ხელმძღვანელი: პროფესორი ინგა სიხარულიძე

## ნიკოტინის უარყოფითი ზეგავლენა ადამიანის ორგანიზმზე

მსოფლიოში 1 მილიარდი მწეველია. მათი დაახლოებით 80% დაბალ და საშუალო შემოსავლიან ქვეყნებში ცხოვრობს. თამბაქო კლავს მის მომხმარებელთა ნახევარზე მეტს. ყოველწლიურად, მსოფლიოში თამბაქოსთან დაკავშირებული მიზეზებით 6 მილიონი ადამიანი კვდება. თამბაქოს უშუალო მოხმარებით 5 მილიონზე მეტი და მეორადი კვამლის ზეგავლენით 600 000-ზე მეტი ადამიანი იღუპება. მსგავსი ტენდენციის შენარჩუნების შემთხვევაში, 2030 წლისთვის, თამბაქოს მოხმარებასთან დაკავშირებული სიკვდილობის რიცხვი 8 მილიონს მიაღწევს.

საქართველოში მწველობა, პასიური მოწევა და მასთან დაკავშირებული მდგომარეობები საზოგადოების ჯანმრთელობის ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს. საქართველოში ყოველწლიურად 11 400 ადამიანი იღუპება თამბაქოსგან გამომწვეული დაავადებებით.


თამბაქოს მოიხმარს საქართველოს ზრდასრული მოსახლეობის 31% (მამაკაცების 57% და ქალების 7%; თუმცა ლაბორატორიული გამოკვლევებით ეწევა ქალების 12.2%) (STEPS 2016). 13-15 წლის ასაკის ბავშვებში ჩატარებული კვლევის (GYTS 2017) შედეგების მიხედვით მოსწავლეთა 12.6% (16.9% ბიჭი და 7.6% გოგონა) ამჟამინდელი მწველია; 13.2% (17.3% ბიჭი და 7.7% გოგონა) მოიხმარს ელექტრონულ სიგარეტს. ევროპის ალკოჰოლისა და სხვა ნარკოტიკების სასკოლო პროექტის (ESPAD 2015) მონაცემებით 16 წლის მოსწავლეებში სიცოცხლის განმავლობაში სიგარეტის მოწევის გავრცელება 43.1%-ია, უკანასკნელი 1 თვის განმავლობაში კი 18% (ბიჭების 26% და გოგონათა 9%); რეგულარული მწველია მოსწავლეთა 12% (ბიჭების 19% და გოგონათა 4%).

საქართველო, ერთადერთი ქვეყანა ევროპის რეგიონიდან, შერჩეულ იქნა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის თამბაქოს კონტროლის ჩარჩოკონვენციის (WHO FCTC) სამდივნოს მიერ ინიცირებული ახალი პროექტის – „FCTC 2030“ პარტნიორ ქვეყანად. 2018 წელს საქართველოს გადაეცა WHO-ს სპეციალური ჯილდო თამბაქოს გლობალურ ეპიდემიასთან ბრძოლაში შეტანილი წვლილისთვის. ამით ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია აღიარებს საქართველოში თამბაქოს კონტროლში მიღწეულ შედეგებს და WHO-ს თამბაქოს შესახებ ჩარჩო კონვენციის წარმატებულ დანერგვას.

ერთი ღერი სიგარეტი საშუალოდ 10-14 მგ ნიკოტინს შეიცავს. მოწევის პროცესში ორგანიზმში 1,5 მგ ნიკოტინი ხვდება, დანარჩენი კი იმ შენობის ჰაერში რჩება, სადაც ეწევიან. ამგვარად, ორგანიზმში ნიკოტინის დოზა თანდათანობით შედის, არა ერთჯერადად და მისი მავნე გავლენა ორგანიზმზე დროთა განმავლობაში გამოვლინდება.

თამბაქოს კვამლში 4000-მდე ქიმიური ნივთიერებაა; მათგან 250 კარგად ცნობილი მავნე ნივთიერებაა, 50-ზე მეტი კი კიბოს გამომწვევია. იხ. სურ.1

## ნიკოტინის ზემოქმედების მექანიზმი



არ არსებობს მეორადი კვამლის ზემოქმედების უსაფრთხო დონე.

- მოზრდილებში, მეორადი კვამლი იწვევს გულსისხლძარღვთა და სასუნთქი სისტემის დაავადებებს, მათ შორის გულის კორონალურ დაავადებებს და ფილტვის კიბოს, ახალშობილებში უეცარი სიკვდილის სინდრომს, ორსულებში დაბალნონიანი ნაყოფის დაბადებას იწვევს.
- ბავშვების თითქმის ნახევარი რეგულარულად იმყოფება თამბაქოს მეორადი კვამლის ზეგავლენის ქვეშ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში.
- ბავშვების დაახლოებით 40%-ს ერთი მწველი მშობელი ჰყავს.
- მეორადი კვამლი ყოველწლიურად 600 000 ნაადრევ სიკვდილს იწვევს.
- 2004 წელს ბავშვებზე მეორად კვამლი სიკვდილობის 28% შეადგენდა. იხ. სურ. 2



ნიკოტინი კოფეინთან და სტრიქინთან ერთად, ძალღყურძნისებრთა ოჯახის მცენარეებში, განსაკუთრებით თამბაქოში მოიპოვება (არსებობს 66-მდე მცენარე, რომელიც შეიცავს ნიკოტინს. 19 მათგანის სამშობლო ავსტრალიაა). ის ზეთოვანი, უფერო, მომწარო გემოს სითხეა თამბაქოს სუნით. სხვათაშორის, ნიკოტინის ამ თვისებების გამო, ბალახისმჭამელი ცხოველები, ადამიანებისგან განსხვავებით, არ ეკარებიან მის შემცველ მცენარეებს; ადამიანები კი არად დაგიდევენ მცენარის გამაფრთხილებელ სიგნალებს და „სიამოვნების“ მიღების მიზნით ეტანებიან. რაც შეეხება თვითონ ტერმინს – „ნიკოტინი“, ის თამბაქოს ერთადერთი უდიდესი

დამცველის, მე-16 საუკუნეში პორტუგალიაში საფრანგეთის ელჩის ჯენ ნიკოტ დე ვილემანის სახელთანაა დაკავშირებული. იხ.სურ. 3



მართალია, გლობალურად თამბაქოს პროდუქტების მოხმარება იზრდება, თუმცა ზოგიერთ საშუალოზე მაღალ და მაღალ განვითარებულ ქვეყნებში თამბაქოს ნაწარმის მოხმარების შემცირების ტენდენცია შეიმჩნევა.

თამბაქოს მომხმარებლებს თამბაქოზე თავის დასანებებლად მხარდაჭერა სჭირდებათ. იხ. სურ. 4



თამბაქოს მოხმარებასთან დაკავშირებულ ჯანმრთელობის რისკებს, კვლევების მიხედვით, არც თუ ისე ბევრი ადამიანი აღიქვამს. მაგ, ჩინეთში 2009 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით მწველთა მხოლოდ 38 %-მა იცოდა, რომ მოწევა იწვევს გულის კორონალურ დაავადებებს და მხოლოდ 27%-მა იცოდა, რომ იწვევს ინსულტს. იმ მწველთა უმრავლესობას, რომელთაც ქონდათ ინფორმაცია თამბაქოს საფრთხეების შესახებ, უნდოდა თავის დანებება მოწევაზე.

თამბაქოს მომხმარებელთათვის თამბაქოზე თავის დანებების ეროვნული სერვისები, საფასურის სრული ან ნაწილობრივი დაფარვით, ხელმისაწვდომია მხოლოდ 21 ქვეყანაში, სადაც მსოფლიო მოსახლეობის 15% ცხოვრობს.

კონსულტაციებს და მედიკამენტებს შეუძლიათ თამბაქოზე თავის დანებების წარმატების გაორმაგება.

მედიკამენტური თერაპია მოიცავს:

1. ნიკოტინჩანაცვლებით თერაპია.
2. ვარენიკლინი არის ალფა 4 ბეტა 2 ნიკოტინ რეცეპტორის ნაწილობრივი მონაწილე, რომელიც გამოიყენება მოწევის თავისდანებების მონოთერაპიაში.
3. ბუპროპიონი (ანტიდეპრესანტი), ნორტრიპტილინი (ტრიციკლური ანტიდეპრესანტი) და ციტიზინი (ნიკოტინის რეცეპტორის ნაწილობრივი აგონისტი).

თამბაქოს რეკლამირების, პრომოციისა და სპონსორობის აკრძალვა თამბაქოს მოხმარების შემცირებას იწვევს – შეუძლია შეამციროს თამბაქოს მოხმარება დაახლოებით 7%-ით, ხოლო ზოგიერთ ქვეყანაში – 16%-მდეც კი. თამბაქოს ყველა სახის რეკლამირება, პრომოცია და სპონსორობა მხოლოდ 24 ქვეყანაშია აკრძალული, სადაც მსოფლიოს მოსახლეობის 10 % ცხოვრობს. დაახლოებით ყოველ მესამე ქვეყანაში თამბაქოს რეკლამირების, სპონსორობისა და პრომოციის კუთხით მინიმალური ან არანაირი შეზღუდვებია დანესებული.

ელექტრონული სიგარეტი ნიკოტინის მოწოდების ელექტრონული სისტემის ყველაზე გავრცელებული სახეობაა. ელექტრონული სიგარეტი წარმოადგენს მოწყობილობას, რომლის ფუნქცია იმ ქიმიური ნაერთის აორთქლება და ფილტვებისთვის მიწოდებაა, რომელიც, როგორც წესი, შედგება ნიკოტინის, პროპელინგლიკოლის, არომატიზატორებისა და სხვა ნივთიერებებისაგან. ელექტრონული სიგარეტის კატრიჯი (ელექტრონული სიგარეტის ის ნაწილი, რომელშიც მოთავსებულია ნიკოტინი) შეიცავს 6-24 მგ. ნიკოტინს, თუმცა, შეიძლება შეიცავდეს 100 მგ-ზე მეტ ნიკოტინსაც. ამავდროულად, არსებობს ისეთი პროდუქტებიც, რომელთა შემადგენლობაში ნიკოტინი არ შედის. იხ. სურ. 5



ჩვენ მიერ გამოკითხული იყო 255 სტუდენტი. აქედან 145 იყო გოგონა, ხოლო 110 ბიჭი. 19 გოგონა – მწვეელი, აქედან 13 გოგონა – დღის განმავლობაში ეწიოდა 4 ლერ სიგარეტზე მეტს, 6 – ეწიოდა 4 ლერ სიგარეტს დღის განმავლობაში. 26 ბიჭი დღის განმავლობაში ეწიოდა 4 ლერ სიგარეტზე მეტს, ხოლო 3 ბიჭი ეწიოდა ელექტრონულ სიგარეტს. იხ. სურ. 6



**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. Лизурчи 2014. Лизурчик Л.В., Шейда Е.В. “Влияние табачного дыма на содержание токсичных элементов в организме крыс“. Вестник. №6 (167). с. 71-74. 2014 г.
2. Мельниченко 2010 . Мельниченко Г.А., Бутрова С.А., Ларина А.А.“ Влияние табакокурения на здоровье и массу тела человека“. Т 1. Ожирение и метаболизм. с. 15-19. 2010г.
3. <https://cyberleninka.ru> 2011.pg. 149-153.
4. <https://www.ncdc.ge>

## თავის ტვინის ტრავმული დაზიანების ცხოველური მოდელები და მკურნალობის სტრატეგიები

თტტდ-ს კლასიფიკაცია ეფუძნება სხვადასხვა ფაქტორებს: იმას, თუ რა ფიზიკური მახასიათებლების ტრავმა განხორციელდა, მის ლოკაციას, სიმძიმეს და იმ სიმპტომებს, რომლებიც ვლინდება სიფხიზლისას გლაზგოს კომის შკალით. ზოგადი პათოფიზიოლოგია საერთოა თტტდ-ს მქონე პაციენტების უმეტესობისთვის. თუმცა, ხაზი უნდა გავუსვათ, რომ თტტდ ერთი დაავადება არაა, არამედ, შეიძლება შეიცავდეს მრავალ კომპონენტს, რომლებიც, თავის მხრივ, განსხვავდება კლინიკური ნიშნებით, სიმპტომებით, დონეებით, რადიოლოგიური სურათით (თავის ქალის ნატეხები, კონტუზია, ლაცერაცია, აქსონური ტრავმა, ჰემატომათა მდებარეობა და ა.შ.); თტტდ, ჩვეულებრივ, ჰეტეროგენული დარღვევაა, რომელიც ტრავმის, ზიანის განაწილებითა და ზიანის მექანიზმებით შეიძლება განსხვავდებოდეს (Gennarelli & Graham, 2005). იგი განაპირობებს ნერვული ქსოვილის მეორეულ დარღვევებსაც და თავს იჩენს როგორც არაერთგვაროვანი, კომპლექსური ბუნების დისფუნქციები. თტტდ, ზემოქმედების ფაქტორების მიხედვით, შეიძლება არსებობდეს პირდაპირი მექანიკური ძალითაა მიყენებული და არამექანიკური – მეორადი გართულებებითაა მიღებული ტრავმაც. შეიძლება იყოს, ასევე, პირდაპირი (მაგ: ქალაზე, ტვინზე მიყენებული) და აქსელერაციული/დექსელერაციული ტიპის ტრავმები (Pitkanen, Khatiashvili, წელი... -სხვა ავტორებიც თუა, Pitkanen et al., წელი). თუმცა, ამ ტიპის ტრავმების საერთო თვისებაა ის, რომ ნერვული ქსოვილის დეფორმაციასთან გვაქვს შეხება. მეორეს მხრივ კი არსებობს ნეიროტრავმები, რომელთა განმაპირობებელიც შეიძლება გახდეს ქიმიური (ტოქსიკური) ზემოქმედება.

დღესდღეობით, თტტდ-ს მკურნალობა მოიცავს ჰოსპიტალიზაციას, ოპერაციას, შიდაქალის წნევის განსაზღვრას და მეორეული ფაქტორებით გამოწვეულ გართულებებთან ბრძოლას (სიცხე, ჰიპოქსია, ჰიპოტენზია და ა.შ.) (Elf et al., 2002; Meyer et al., 2010). განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თტტდ-ის შემდგომ ექსციტოტოქსიურობის ნაადრევი შეჩერება, რაც ძირითადად, ამავზნებელი ამინომჟავების ბლოკატორების გამოყენებით ხორციელდება. ამგვარი მიდგომებისას უაღრესად დიდი სიფრთხილეა საჭირო, ვინაიდან მათი ზემოქმედების არასაკმარისი მონიტორინგის შედეგად შესაძლოა ექსციტოტოქსიურობის ეფექტის კიდევ უფრო გაძლიერება. დღესდღეობით განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, ე. წ. „უჯრედების დაყოვნებული კვდომის“ პროცესების შეჩერებას, ვინაიდან ნერვული ქსოვილისათვის დამახასიათებელი „დომინოს ეფექტი“ (იქცევა ერთი, აქცევს სხვებს) ხშირად სავალალო შედეგებს განაპირობებს ერთი შეხედვით გამოჯანსაღების გზაზე დამდგარ პაციენტებში.

### თტტდ-ს ცხოველური მოდელები

ჰეტეროგენული კლინიკური სიტუაციის გათვალისწინებით შეიქმნა თტტდ-ის რამდენიმე ტიპის ცხოველური მოდელი. თტტდ-ს ყველა ასპექტის ზუსტად განმეორება ცხოველურ მოდელებში შეუძლებელია, თუმცა, მათი მეშვეობით შესაძლებელია თტტდ-ის სხვადასხვა ბუნებისა და სიმძიმის დაზიანებათა მოდელირება სხვადასხვა ასაკის ცხოველებში, განსხვავებული სიდი-

დისა და მდებარეობის მიხედვით. მღრღნელები ამ ტიპის კვლევებში ყველაზე ხშირად გამოიყენება მათი ფასისა და პატარა ზომის გამო (Finnie and Blumbergs, 2002). მიუხედავად დიდი სარგებლისა, ამ კუთხით ერთ-ერთი პრობლემა ისაა, რომ სპეციფიკური ნეიროანატომიური, ფსიქოფიზიოლოგიური, ნეიროფარმაკოლოგიური თუ სხვა ბიოლოგიური ფაქტორების გამო რთულია, ცხოველებში მიღებული შედეგების პირდაპირი ტრანსლაცია სამედიცინო პრაქტიკაში.

იმისათვის, რომ თტდ-ის ცხოველური მოდელი გამოსადეგი იყოს ფარმაკოლოგიური პრეპარატის პრეკლინიკური გამოცდისთვის, მას უნდა გააჩნდეს ტრავმის ანალოგიური თავისებურებები კლინიკურ პირობებთან. ასეთი თავისებურებანი შეიძლება იყოს კომპლექსურიც და ცალკეულიც, თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში ცვლადების მინიმუმამდე დაყვანის პირობებში უნდა განხორციელდეს. მღრღნელებში თტდ-ის მოდელირების დამატებითი დადებითი ფაქტორებად შეიძლება დასახელდეს მათი ადვილად გამრავლება, დაბალი ფასი, ტრავმის ტექნიკურად მარტივი მოდელირება და განგრძობითი ქცევითი ეფექტების წარმოქმნა (Morales et al., 2005).

არიან თუ არა ცხოველური თტდ-ს მოდელები საკმარისად კარგები?

ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას ამისთვის წარმოადგენს ის, თუ რამდენად კარგად ასახავს მოდელი კლინიკურ ტრავმას. მღრღნელები ადამიანისგან საკმაოდ განსხვავდებიან თავის ტვინის ზომითა და გეომეტრიით, თეთრი სუბსტანციის რუხ სუბსტანციასთან ფარდობითა და კორტიკული ხვეულების არარსებობით (Gennarelli, 1994). გარდა ამისა, მათში რთულია ისეთი ეფექტების შეფასება, როგორცაა ცნობიერების დაქვეითება ან კომა, რაც ხშირია თტდ გადატანილ პაციენტებში. ლაბორატორიების უმეტესობა თტდ მოდელებს იყენებს შკალის მიხედვით საშუალო სიმძიმის ტრავმებზე დასაკვირვებლად (Thompson et al., 2005). მკურნალობის ერთ-ერთი სტრატეგია შეიძლება იყოს დეკომპრესიული კრანოტომია (Piek, 2002), რაც, ასევე ძნელი შესაფასებელია მღრღნელებში თავის ტვინის განსხვავებული კონფორმაციის გამო. ამის საპირისპიროდ, ცხოველური მოდელები ადეკვატურად ასახავენ სისხლის დინების ენერჯის ასპექტებს თტდ-ს დროს. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა, რომ იმ პაციენტებს, რომლებიც მწვავე თტდ-ის შედეგად იღუპებოდნენ, აღმოაჩნდათ იშემიური დაზიანებები აუტოფსიის დროს (Graham et al., 1978; Kotapka et al., 1994; Marklund and Hillered, 2012).

დღეს ხელმისაწვდომი თტდ-ის მოდელები შეიძლება დაიყოს შემდეგ ტიპებად: ფოკალური, დიფუზური, შერეული, კომბირინებული, კომის ექსპერიმენტულ და განმეორებითი შერყევის მოდელებად (Cernak, 2005; Morales et al., 2005). მათი უმეტესობა ხორციელდება მღრღნელებში და ასახავს გავლენას ეპიდურულ სივრცეზე ან თავის ტვინის ქსოვილზე (Cernak, 2005). აქსელერაციული მოდელები ფართოდაა გავრცელებული და გულისხმობს თეთრი სუბსტანციის დაზიანებას. ეს უკანასკნელი წარმატებით იქნა გამოყენებული პრიმატებში, რომლებსაც თეთრი სუბსტანცია გაცილებით უფრო დიდი რაოდენობით აქვთ, ვიდრე მღრღნელებს (Gennarelli et al., 1981; Smith et al., 1997a). ასევე, არსებობენ შემდეგი ტიპის მოდელები: ცხოველებში თავის ტვინის სტრუქტურების ელექტროკოაგულაცია (ელექტრული დაზიანება), ქიმიური დაზიანება (კანინის მჟავის მიკროინექციით), კონტროლირებადი ქერქული დაზიანება (controlled cortical impact), სითხის წნევით დაზიანება (fluid percussion injury model); ასევე, ნეიროტრავმის *in vitro* მოდელებზე – ნერვული ქსოვილის 2 განზომილებიანი განვლვის და ნერვის განვლვის მეთოდებზე.

განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენს თტდ-ის *in vitro* მეთოდოლოგიაში ნეიროტრავმის თანადროული კვლევის ტექნიკის განვითარება. მაგ. კორნელისა და კოლუმბიის უნივერსიტეტების მეცნიერებმა რამდენიმე წლის წინ შეიმუშავეს 2 განზომილებიანი თტდ-ის მეთოდი ნერვული კულტურისათვის, რომელიც იზრდება ნელვად მულტიელექტროდულ ხელ-



საწყობში, რომელიც აღჭურვილია მრავალი წელვადი ელექტროდით და ელექტროფიზიოლოგიური სიგნალების აღრიცხვის უნარს ინარჩუნებს ქსოვილის განვლვის პროცესშიც. ეს საშუალებას აძლევს ნეირომეცნიერებს დააფიქსირონ უშუალოდ ნეიროტრავმის პროცესში და მისი ხდომილებიდან უმცირეს დროშივე აღძრული ფუნქციური ცვლილებები.

მიუხედავად იმისა, რომ თტტდ-ს მოდელებიდან არც ერთი არ ასახავს სრულად ისეთ დაზიანებებს, როგორც შეიძლება ადამიანში მივიღოთ, ისინი ხშირად, წარმატებით გამოიყენება თტტდ-ის ფუნქციური და სტრუქტურული თავისებურებების, ნეიროტრავმების ბიოქიმიურ და მოლეკულურბიოლოგიური თავისებურებების შესწავლისათვის და მკურნალობის სტრატეგიათა დასახვისთვის (Cernak, 2005; Morales et al., 2005).

## მკურნალობის გზები

ბოლო წლების განმავლობაში, ბევრი სხვადასხვა ტიპის ცხოველური მოდელები შეიქმნა, ზოგიერთი კვლევის შემთხვევაში კი დაკვირვების ობიექტი პირდაპირ ადამიანი იყო და კოლაბორაციის შედეგად ადასტურებენ, რომ გაუმჯობესებული საცხოვრებელი პირობები ხელს უწყობს თტტდ-ს შემდეგ ფუნქციურ გაუმჯობესებას. გაუმჯობესება გამოიხატება ზრდასრული ჰიპოკამპის ნეიროგენეზით (Rosenzweig et al., 1961; Rosenzweig et al., 1972).

გაუმჯობესებული პირობები მოიცავს ისეთ რაღაცეებს, როგორებიცაა ფიზიკური დატვირთვა, კოგნიტიური ფუნქციების ვარჯიში და დატვირთვა. ნაჩვენებია, რომ ტრენინგი და ახალი უნარების დასწავლა უფრო ეფექტურია თტტდ-ს რეაბილიტაციის დროს, ვიდრე ფიზიკური დატვირთვა. შესაბამისად, ამ მეთოდის კომბინირებამ ნეიროქირურგიულ და ნეიროფარმაკოლოგიურ მკურნალობის ხერხებთან, შეიძლება, გაუმჯობესებული შედეგი აჩვენოს. (Will et al., 2004).

ამდენად, თტტდ-ის მოდელირება უაღრესად აქტუალურია და ბევრ ახალ შესაძლებლობას გვიქმნის თანამედროვე ნეირომეცნიერებაში. მათი მეშვეობით შესაძლებელია განხორციელდეს თტტდ-ის ფუნქციური, სტრუქტურული და ბიოქიმიური საფუძვლების კვლევა და სამკურნალო სტრატეგიების დასახვა. კლინიკაში გამოყენებადი თანამედროვე ნეიროფარმაკოლოგიური მიდგომების უდიდესი წილი სწორედ ასეთი მოდელირების შედეგად განვითარდა. თუმცა, დღემდე არსებობს მკაცრი გამოწვევები, რაც, ერთის მხრივ, ახალი მიდგომების განვითარებისკენ მიგვითითებს, ხოლო მეორეს მხრივ, სამეცნიერო მიღწევების კლინიკაში სწრაფი და ეფექტური ტრანსლაციის აუცილებლობას უსვამს ხაზს.

მეორეს მხრივ, თტტდ-ებთან ბრძოლისთვის ახალ პერსპექტივებს ქმნის ტექნოლოგიების განვითარების თანამედროვე შესაძლებლობები, რომლებიც მათი ინტეგრაციის შემთხვევაში არსებული მულტიდისციპლინარული ცოდნის ეფექტური გამოყენების შესაძლებლობებს იძლევა. მაგალითისთვის შეიძლება დავასახელოთ ისეთი მიღწევები, როგორებიცაა, ტვინის 3 განზომილებიანი ბიოლოგიური თუ ვირტუალური მოდელირება, ნეირორობოტული სისტემებისა და ნეიროჩიპების განვითარება, ნეიროგამომსახველობითი ტექნიკის დახვეწა და სხვა.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. Ahmed S, Venigalla H, Mekala HM, Dar S, Hassan M, Ayub S. (2017) Traumatic Brain Injury and Neuropsychiatric Complications. *Indian Journal of Psychological Medicine* 39(2):114-121. doi:10.4103/0253-7176.203129.
2. Cernak I. (2005) Animal models of head trauma. *NeuroRx* 2:410-422.

3. Clausen F, Marklund N, Hillered L (2019) Acute Inflammatory Biomarker Responses to Diffuse Traumatic Brain Injury in the Rat Monitored by a Novel Microdialysis Technique. *Journal of Neurotrauma* 15;36(2):201-211. doi:10.1089/neu.2018.5636.
4. Elf K, Nilsson P, Enblad P. (2002) Outcome after traumatic brain injury improved by an organized secondary insult program and standardized neurointensive care. *Crit Care Med* 30:2129-2134.
5. Finnie JW, Blumbergs PC. (2002) Traumatic brain injury. *Vet Pathol* 39:679-689.
6. Gennarelli TA, Adams JH, Graham DI. (1981) Acceleration induced head injury in the monkey. I. The model, its mechanical and physiological correlates. *Acta Neuropathol Suppl* 7:2.
7. Gennarelli TA. (1994) Animate models of human head injury. *J Neurotrauma* 11:357-368.
8. Gennarelli TA, Graham DI. (2005) Neuropathology. In Silver JM, McAllister TW, Yudofsky SC. (Eds) *Textbook of traumatic brain injury*. American Psychiatric Publishing, Inc., Washington, DC. pp. 27-50.
9. Graham DI, Adams JH, Doyle D. (1978) Ischaemic brain damage in fatal non-missile head injuries. *J Neurol Sci* 39:213-234.
10. Kotapka MJ, Graham DI, Adams JH, Gennarelli TA. (1994) Hippocampal pathology in fatal human head injury without high intracranial pressure. *J Neurotrauma* 11:317-324.
11. Marklund N, Hillered L. (2012) Animal modelling of traumatic brain injury in preclinical drug development: where do we go from here? *British Journal of Pharmacology* 164(4):1207-1229. doi: 10.1111/j.1476-5381.2010.01163.x
12. Meyer MJ, Megyesi J, Meythaler J, Murie-Fernandez M, Aubut JA, Foley N *et al.* (2010) Acute management of acquired brain injury part I: an evidence-based review of non-pharmacological interventions. *Brain Inj* 24:694-705.
13. Morales DM, Marklund N, Lebold D, Thompson HJ, Pitkänen A, Maxwell WL, Longhi L, Laurer H, Maegele M, Neugebauer E, Graham DI, Stocchetti N, McIntosh TK. (2005) Experimental models of traumatic brain injury: do we really need to build a better mousetrap? *Neuroscience* 136:971-989.
14. Piek J. (2002) Decompressive surgery in the treatment of traumatic brain injury. *Curr Opin Crit Care* 8:134-138.
15. Pitkänen A, Immonen RJ, Gröhn OHJ, Kharatishvili I. (2009) From traumatic brain injury to posttraumatic epilepsy: What animal models tell us about the process and treatment options. *Epilepsia* 50:21-29. doi:10.1111/j.1528-1167.2008.02007.x
16. Rosenzweig MR, Krech D, Bennett EL. (1961) Heredity, environment, brain biochemistry, and learning. In *Current Trends in Psychological Theory*. University of Pittsburgh Press, Pittsburgh. pp. 87-110.
17. Rosenzweig MR, Bennett EL. (1972) Brain changes in response to experience. *Scientific American* 226:22-29.
18. Smith DH, Chen XH, Xu BN, McIntosh TK, Gennarelli TA, Meaney DF. (1997a) Characterization of diffuse axonal pathology and selective hippocampal damage following inertial brain trauma in the pig. *J Neuropathol Exp Neurol* 56:822-834.
19. Thompson HJ, Lifshitz J, Marklund N, Grady MS, Graham DI, Hovda DA *et al.* (2005) Lateral fluid percussion brain injury: a 15-year review and evaluation. *J Neurotrauma* 22:42-75.
20. Will B, Galani R, Kelche C, Rosenzweig MR. (2004) Recovery from brain injury in animals: relative efficacy of environmental enrichment, physical exercise or formal training (1990-2002). *Progress in Neurobiology* 72(3):167-182. doi:10.1016/j.pneurobio.2004.03.001


## სოფიკო წიკლაური, ნინო ონიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი  
ხელმძღვანელი: პროფესორი ინგა სიხარულიძე

### ღვიძლის მწვავე უკმარისობის თავისებურებები


ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის თანახმად მსოფლიო მოსახლეობის 30% დაავადებულია ღვიძლის პათოლოგიებით; სიკვდილიანობა, გამონვეული ღვიძლის მწვავე უკმარისობით, აღწევს 70-80% – ს. ეს მნიშვნელოვანი პრობლემაა.

მწვავე ღვიძლის უკმარისობა სწრაფად პროგრესირებადი, სიცოცხლისთვის საშიში მდგომარეობაა, როდესაც ხდება ღვიძლის მასიური დაზიანება, ღვიძლის პარენქიმის ნეკროზით. ღვიძლის მთლიანი მასის 85% – ს შეადგენს ჰეპატოციტები, რომლებშიც მიმდინარეობს ათასობით ქიმიური რეაქცია, რაც აძლევს ღვიძლს საშუალებას, შეასრულოს თავისი ფუნქცია. ღვიძლის მწვავე უკმარისობის დროს ხდება ჰეპატოციტების 80-90%-ის მომენტალური დაღუპვა, რის გამოც მკვეთრად ქვეითდება ორგანოს ფუნქციური აქტივობა. იხ.სურ. 1



მიმდინარეობის მიხედვით არის: უმწვავესი, მწვავე და ქვემწვავე. ვლინდება: ფულმინანტური და სუბფულმინანტური ფორმებით. მას ახასიაებს სანყისი სტადია – კომპენსირებული ფორმა; ღვიძლის ფუნქციების გამოხარული დარღვევების სტადია – დეკომპენსირებული ფორმა; ღვიძლის უკმარისობის ტერმინალური სტადია – პრეკომა; ღვიძლისმიერი კომა — ლეტალობა. 30% -ში გვხვდება ღვიძლის მწვავე უკმარისობის იდიოპათიური ფორმა, რომელიც უცნობი აგენტით არის გამონვეული.

ღვიძლის მწვავე უკმარისობის დაგვიანებული დიაგნოზი არ არის იშვიათი და ხშირად კატასტროფულია პაციენტისთვის. მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იყოს ღვიძლის დაავადების ყველაზე გავრცელებული მიზეზები – ვირუსული, ტოქსიკური ნამღებისმიერი დაზიანებები, მემკვიდრეობითი დაავადებები. საჭიროა დადგინეს ნარკოტიკების გამოყენება, ალკოჰოლი, სხვადასხვა ტრავმა, საზღვარგარეთ მოგზაურობა ან სამრეწველო ქიმიკატების ზემოქმედება. ანამნეზში თრომბოზის არსებობა, პათოლოგიური ორსულობა (პრეეკლამფსია/ეკლამფსია). იხ. სურ. 2



ღვიძლის მწვავე უკმარისობით დაავადებული პაციენტები სასწრაფოდ უნდა მოთავსდეს საავადმყოფოში. მკურნალობა მიზნად ისახავს ორგანიზმის ძირითადი ფუნქციების შენარჩუნებას ღვიძლის ქსოვილის აღდგენამდე და ღვიძლის მკურნალობის განსაკუთრებით მძიმე კურს – ტრანსპლანტაციას.

ღვიძლის მწვავე უკმარისობის სამკურნალოდ შემუშავებულია ღვიძლის დამხმარე სისტემები: პირველი დამხმარე სისტემები შეიცავენ მხოლოდ სორბენტებს, რომლებიც ხდება სისხლის, პლაზმის, დიალიზატის დამუშავება. შემდგომში ღვიძლის დამხმარე ხელოვნური სისტემების გამოყენებით ხდება არა მარტო სისხლის დეტოქსიკაცია, არამედ მისი სრული განმედა, რაც მიიღწევა პაციენტის პლაზმის დონორის პლაზმით ჩანაცვლებით.

ღეროვანი უჯრედები – ეს ახალგაზრდა, მოუმწიფებელი უჯრედებია, რომლებიც ადამიანის ორგანიზმში მისი ჩასახვის დღიდან ჩნდება და სიცოცხლის ბოლომდე რჩება. აღსანიშნავია, რომ ღეროვანი უჯრედებს თვითაღდგენის უნარი გააჩნიათ. ღეროვანი უჯრედებს აქვს უნარი დიფერენცირდნენ ორგანიზმში სხვადასხვა ქსოვილის უჯრედებად. გამოკვლევებმა ცხადყო, რომ მეზენქიმურ ღეროვანი უჯრედებს აქვთ უნარი დასაბამი მისცენ ჰეპატოციტებს. სწორედ ეს უდევს საფუძვლად ღვიძლის სხვადასხვა დაავადების მკურნალობას ღეროვანი უჯრედებით. ღეროვანი უჯრედების შეყვანა ორგანიზმში ხორციელდება როგორც ლიმფოიდური გზით (ელენთის მეშვეობით) ასევე ინტრავენურად. ჩატარებული კვლევების საფუძველზე დადგინდა, რომ ინტრავენოზური ტრანსპლანტაცია უფრო მეტად ეფექტურია ღვიძლის დაავადებების მკურნალობისას.

ჩვენ გამოვიკვლიეთ 284 სტუდენტი. 274 – პრაქტიკულად ჯანმრთელია, 1 სტუდენტს აღმოაჩნდა C ჰეპატიტი, 8 სტუდენტმა აღნიშნა ჩივილები ნალვლის ბუშტის მხრივ, 1 სტუდენტს სჭირდება ღვიძლის ტრანსპლანტაცია.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Кокорев О.В., 2018; Гюнтер С.В., Ходоренко В.Н., Дамбаев Г.Ц. “Сочетанная трансплантация гепатоцитов с мезенхимальными стволовыми клетками костного мозга на клеточных носителях из пористо-проницаемого никелида титана”. Acta biomedica scientifica, 3 (3), с.195-203, 2018.
2. Shchastny 2017; Shchastny A.T., Sushkou S.A, Myadelets O.D., Lebedeva E.I., “Challenges and Prospects of Cellular Therapy in Treatment of Liver Diseases”. Novosti Khirurgii Mar-Apr; Vol 25 (2): 183-193. 2017.
3. <http://www.ncdc.ge>
4. <https://doi.org/10.1016/j.celrep.2018.01.087>
5. <http://dx.doi.org/10.1016/j.bbrc.2015.12.007>.
6. <https://doi.org/10.1016/j.jhep.2016.01.004>Get rights and content.

## მონიკა ნონერია, ანა ბანეთიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი  
ხელმძღვანელი: პროფესორი ინგა სიხარულიძე

### ფარისებრი ჯირკვლის დაავადების თავისებურებები




ფარისებრი ჯირკვლის დაავადებებს ენდოკრინულ პათოლოგიებს შორის მეორე ადგილი უჭირავს შაქრიანი დიაბეტის შემდეგ. ბოლო წლებში მსოფლიოში ზოგადად აღინიშნება თირეოპათიის ზრდა, ჯამური მაჩვენებელი ჩიყვის არაენდემურ ზონაში 20%-ს აღწევს, ხოლო ენდემური ჩიყვის გავრცელების ტერიტორიაზე, სადაც ცხოვრობს მსოფლიო მოსახლეობის მესამედი, ეს მაჩვენებელი თითქმის 50%-მდეა. ჯანმოს მონაცემებით მსოფლიოში 665 მლნ ადამიანზე მეტს აღინიშნება ენდემური ჩიყვი და სხვა თირეოიდული პათოლოგიები. დადგენილია, რომ ფარისებრი ჯირკვლის დაავადებების რაოდენობის ზრდა ყოველწლიურად 5%-ს შეადგენს. ბოლო 5 წლის განმავლობაში ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში ფარისებრი ჯირკვლის ახლადგამოვლენილი დაავადებების რაოდენობების აბსოლუტური ზრდა შეადგენს 51.8%-ს ქალებში, ხოლო მამაკაცებში 16.7%-ს.

ფარისებრი ჯირკვლის დაავადებების სწრაფი ზრდის მრავალ ეტიოლოგიურ ფაქტორებს შორის აღსანიშნავია არახელსაყრელი ეკოლოგიური სიტუაცია – ავარიები ატომურ სადგურებზე (ჩერნობილი (უკრაინა), ფუკუსიმა (იაპონია)), რომლებმაც გამოიწვია მრავალმილიონიანი მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუარესება, ტერიტორიების დაბინძურება რადიოაქტიური იზოტოპებით, ორგანიზმის იმუნოლოგიური დაცვის დაქვეითება, მოსახლეობის კვების სტრუქტურის გაუარესება, სტრესული სიტუაციების ზრდა, სხვადასხვა მიკროელემენტის (სელენი, თუთია და სხვ.) დისბალანსი. ფარისებრი ჯირკვლის დაავადებების მნიშვნელოვან გამოწვევ ფაქტორს იოდდეფიციტი წარმოადგენს. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით ორ მილიარდამდე ადამიანი (მსოფლიო მოსახლეობის 30%) ცხოვრობს იმ რეგიონებში, სადაც ადგილი აქვს იოდის არასაკმარის მოხმარებას და, შესაბამისად, გააჩნიათ იოდდეფიციტური დაავადების განვითარების რისკი. გარდა ამისა, ბევრ ქვეყანაში შეწყვეტილია იოდის პროფილაქტიკის გეგმიური გატარება. იოდის დეფიციტი აღიარებულია საზოგადოებრივი ჯანდაცვის გლობალურ პრობლემად და გონებრივი ჩამორჩენის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად. აღნიშნულის პრევენცია და აღმოფხვრა შესაძლებელია ეფექტური იოდპროფილაქტიკით.

ფარისებრი ჯირკვლის დაავადებათა კლასიფიკაცია მისი ფუნქციური მდგომარეობის მიხედვით შემდეგია:

1. ეუთირეოიდული ჩიყვი (შენარჩუნებული ჰორმონალური სტატუსი)
2. ჰიპოთირეოზი – თანდაყოლილი, ან შექმნილი (დაქვეითებული ჰორმონალური სტატუსი)
3. ჰიპერთირეოზი (მომატებული ჰორმონალური სტატუსი)

სონოგრაფიულად გამოყოფენ ფარისებრი ჯირკვლის დიფუზურ და კეროვან ცვლილებებს. ულტრაბგერითი ცვლილებების გათვალისწინებით ფარისებრი ჯირკვალს ახასიათებს შემდეგი პათოლოგიები: დიფუზური ჩიყვი (დიფუზურ-ტოქსიური ჩიყვი, აუტოიმუნური თირეოიდიტი); კვანძოვანი ჩიყვი (ადენომა); ფარისებრი ჯირკვლის კიბო. იხ. სურ.



იოდის პრეპარატებით თვითმკურნალობა და თვითპროფილაქტიკა კატეგორიულად იკრძალება. ამ პრეპარატების არასწორმა მიღებამ შესაძლოა ვერაფერი უშველოს იოდდეფიციტურ პრობლემას, მეტიც, ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის დარღვევის მიზეზად იქცეს. გარდა ამისა, იოდის პრეპარატების მიღებამდე უნდა დავაზუსტოთ, როგორ მუშაობს ფარისებრი ჯირკვალი. იოდშემცველი საშუალებების მიღება უკუნაჩვენებია ფარისებრი ჯირკვლის მომატებული აქტივობისას. თუ ფარისებრი ჯირკვლის დაავადება გაქვთ, აუცილებლად უნდა მიმართოთ სპეციალისტს.

ჩვენს მიერ გამოკვლეული იყო 64 სტუდენტი. აქედან 42 გოგონა და 22 ბიჭი. ჰიპერთირეოზი აღენიშნა 9 – გოგონას და 5 – ბიჭს. ჰიპოთირეოზი ქონდა 2 გოგონას და 1 ბიჭს. 1 გოგონას ქონდა კვანძოვანი ფორმის ჰიპერთირეოზი (გაკეთებული ქონდა ოპერაცია). 46 სტუდენტი იყო პრაქტიკულად ჯანმრთელი.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. <http://intermedia.ge>
2. <http://www.citizens.ge/index.php/ka>
3. <http://modernpublishing.ge>
4. <https://cyberleninka.ru>
5. <http://pbmc.ibmc.msk.ru/index.php/ru>

## ნინო ხაჭიპერაძე, მერი ბუიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი  
ხელმძღვანელი: პროფესორი ინგა სიხარულიძე

### ყაბზობის თავისებურებები


შეკრულობა (ყაბზობა) სერიოზული სამედიცინო და სოციალური პრობლემაა. განვითარებულ ქვეყნებში ამა თუ იმ ხარისხის შეკრულობა შრომისუნარიანი მოსახლეობის 30-დან 50%-ს და ბავშვების 5-დან 20%-მდე აღენიშნება. ხანდაზმულებში შეკრულობა (ყაბზობა) 5-ჯერ უფრო ხშირად გვხვდება, ვიდრე ახალგაზრდებში.

სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა დაავადებაა აქტუალური, რაშიც სხვა ფაქტორებთან ერთად ცხოვრების წესსაც მიუძღვის ბრალი. ცხოვრების თანამედროვე სტილმაც მრავალი დაავადების წარმოშობა თუ გახშირება გამოიწვია. ერთ-ერთი მათგანია ყაბზობა (შეკრულობა), რომელსაც ცივილიზაციის თანმხლებ დაავადებადაც მოიხსენიებენ.

ყაბზობა ანუ შეკრულობა არის ნაწლავების დაყოვნებული, გაძნელებული ან არასრული დაცლა. ჯანმრთელი ადამიანების უმრავლესობას ნაწლავთა მოქმედება, დეფეკაცია, დღე-ღამეში ერთხელ აქვს, თუმცა ზოგ შემთხვევაში ნაწლავთა ორ დღეში ერთხელ დაცლაც შეიძლება ნორმად ჩაითვალოს. ჩვეულებრივ, შეკრულობად მიიჩნევა ნაწლავთა დაცლის შეფერხება 48 საათით და მეტი ხნით. იხ. სურ. 1



ნორმალური



ქრონიკული  
შეკრულობა

შეკრულობას ხშირად თან ახლავს მეტეორიზმი, ზენოლის, გაფართოების გრძნობა, სპასტიკური ტკივილი მუცელში. ხანგრძლივი შეკრულობები ხშირად მიმდინარეობენ დაღლილობით, მოდუნებით, შრომისუნარიანობის დაქვეითებით. რენტგენოლოგიური გამოკვლევებით ვლინდება განავლოვანი მასების ნელი გადანაცვლება ნაწლავში. იხ. სურ. 2





ყაბზობის ნიშნები და სიმპტომები ბავშვებში: კვირაში 3-ზე ნაკლები დეფეკაცია; გამაგრებული, მშრალი განავალი; გაძნელებული დეფეკაცია; დეფეკაციის დროს გულისრევის შეგრძნება; სითხის ან თიხის მსგავსი ლაქები ბავშვის საცვლებზედ ნიშანი, რომ განავალი დაგროვილია სწორ ნაწლავში; სისხლიანი განავალი; ფეხებს გადააჯვარედინება, დუნდულების დაჭიმვა, სხეულს პოზიციის შეცვლა ან გარკვეული მიმიკის მიღება. იხ. სურ. 3.

ყაბზობის მიზეზი შეიძლება იყოს როგორც ნაწლავის, ასევე ნაწლავგარე დაავადებები. ნაწლავის დაავადებებიდან მეტად საყურადღებოა ანთებითი დაავადებები, რომელთა მკურნალობა შესაძლებელია კონსერვატიულად, და ეგრეთ წოდებული მექანიკური შეკრულობა, რომლის დროსაც ძალიან მნიშვნელოვანია დროული დიაგნოსტიკა და ოპერაციული ჩარევა.

რისკ ფაქტორები: მოხუცები; ადამიანები, ვისაც გადატანილი აქვთ რთული ოპერაციები; ქალები ფეხმძიმობის ბოლო პერიოდში; ადამიანები, რომლებსაც ძირითადად ჯდომა უწევთ; ონკოლოგიური დაავადებების მქონე პირები; ნივთიერებათა ცვლის დარღვევის მქონე პირები.

როდის მივმართოთ ექიმს? ეს პრობლემა აქამდე არ განუხებდათ; გაქვთ სისხლიანი განავალი; იკლებთ წონაში მიუხედავად იმისა, რომ დიეტაზე არ ხართ; ნაწლავების მოქმედების დროს ძლიერი ტკივილი გაქვთ; შეკრულობა ორ კვირაზე მეტ ხანს გაგიგრძელდათ.

მკურნალობა: მოსადუნებელი პრეპარატები; სანთლები; ოყენები; დღეში მიიღეთ დამატებით ორიდან ოთხ ჭიქამდე წყალი, თუ თქვენი ექიმი სხვა მიზეზების გამო არ გზღუდავთ სითხის მიღებისგან; დალიეთ თბილი სითხეები, განსაკუთრებით დილით უზმოზე; მიირთვით მეტი ხილი და ბოსტნეული; ჭამეთ შავი ქლიავი და ქატოს შემცველი პროდუქტი.

პროფილაქტიკა: კუჭ-ნაწლავის დაავადებების დროული მკურნალობა; მცენარეული ბოჭკოს შემცველი საკვები პროდუქტების გამოყენება; ყოველდღიურად სითხის საჭირო რაოდენობის მიღება. გასათვალისწინებელია 6 საკვები რომელიც შეკრულობას იწვევს: პური, შოკოლადი, გაყინული სადილები, საკონდიტრო ნაწარმი, ჩიპსები, რძის პროდუქტები.

ჩვენს მიერ გამოკვლეული იყო 135 სტუდენტი. აქედან 82 – გოგონა და 53 – ბიჭი. შეკრულობა ანუხებდა 31 – გოგონას და 12 – ბიჭს. 92 სტუდენტი იყო პრაქტიკულად ჯანმრთელი.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. <http://www.medgeo.net>
2. <http://www.Hihavi.com>
3. <https://www.cyberleninka.ru>
4. <https://www.cochranelibrary.com>
5. [www://pubmed.com](http://www://pubmed.com)
6. [www://tsamali.ge](http://www://tsamali.ge)
7. [www://naturopath.ge](http://www://naturopath.ge)
8. [www://gh.ge](http://www://gh.ge)
9. [www://power.ge](http://www://power.ge)
10. [www://sec.gov](http://www://sec.gov)
11. [www://jpma.org.pk](http://www://jpma.org.pk)



## მარიამ ასპანიძე, მარიამ ივანაური

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი  
ხელმძღვანელი: პროფესორი ინგა სიხარულიძე

### დიზოკლუზიის თავისებურებები

სტატისტიკურად ღია დიზოკლუზიის ხვედრითი წილი 1.5%-დან – 11%-მდე მერყეობს და ეთნიკურ ჯგუფებს შორის განსხვავდება ქრონოლოგიური და სტომატოლოგიური ასაკის მიხედვით. ესთეტიკური თვალსაზრისით ღია დიზოკლუზია საკმაოდ რთულ ანომალიას წარმოადგენს. ღია დიზოკლუზის დროს პაციენტი დაკომპლექსებულია, უჭირს საზოგადოებასთან ურთიერთობა, რადგან სოციუმი მას ვერ აღიქვამს, როგორც ინტელექტუალურ პიროვნებას.

ღია დიზოკლუზია მიეკუთვნება ვერტიკალური სიბრტყის ანომალიას. მისი მორფოლოგიური ნიშანია ცენტრალური ოკლუზიის მდგომარეობაში კბილებს შორის ვერტიკალური ნაპრალი და მათ შორის კონტაქტის არ არსებობა. ღია დიზოკლუზია აღინიშნება ფრონტალური და გვერდითი კბილების მიდამოში. ფრონტალურ კბილთა დიზოკლუზიის დროს კბილებს შორის კონტაქტი შეიძლება იწყებოდეს ეშვებიდან, პრემოლარებიდან ან მოლარებიდან. რაც უფრო უკანა კბილებიდან იწყება კონტაქტი მით უფრო რთული ფორმისაა ანომალია.

ღია დიზოკლუზია ფრონტალური და გვერდითი კბილების მიდამოში.



ღია დიზოკლუზიის დროს საფეთქელ-ქვედაყბის სახსარში შესაძლოა აღინიშნებოდეს ცვლილებები, კერძოდ – სასახსრე ნაპრალის ზედა ნაწილის გაფართოება, ხოლო ქვედა უბნის შევიწროვება.

სახის ქვედა მესამედი დაგრძელებულია, პირის ნაპრალი ღიაა, ცხვირ-ტუჩის ნაოჭი გასადავებულია, მაკროგლოსიის დროს (ენის ზომაში მატება) ენის წინა მესამედი მდებარეობს ფრონტალურ კბილებს შორის და პირის დახურვისას მიმიკური კუნთების დაჭიმვის გამო ტუჩები დაძაბულია. ასევე რიგ პრობლემებს წარმოადგენს: მეტყველების, კბეჩის, ლეჭვის დისფუნქცია.

ღია დიზოკლუზის სამი ფორმა არსებობს: დენტო-ალვეოლური, ჩონჩხოვანი და კომბინირებული.

დენტო-ალვეოლური ფორმა თავის მხრივ სამი სახისაა: 1. ალვეოლური მორჩი პრემოლარებსა და მოლარების მიდამოში მეტისმეტად განვითარებულია (დაგრძელებულია). 2. ალვეოლური მორჩი ფრონტალური კბილების მიდამოში ჩამორჩება ზრდაში (დამოკლებულია) მხოლოდ ზედა ყბაზე, მხოლოდ ქვედა ყბაზე ან ორივეზე ერთად. 3. ალვეოლური მორჩი ფრონტა-

ლური კბილების მიდამოში განუვითარებელია (დამოკლებულია), ხოლო გვერდითი კბილების მიდამოში მეტად განვითარებულია (დაგრძელებულია)

რაც შეეხება ჩონჩხოვან ანომალიას, ამ დროს ადგილი აქვს ზედა ყბის არასწორ მიმდრეხვას ქალა-სახის ძვლებთან. ხოლო კომბინირებული ღია დიზოკლუზია წარმოადგენს ორივე ფორმის ერთდროულ გამოვლინებას.

ეტიოლოგიური ფაქტორები იყოფა ორ ნაწილად: ენდოგენური და ეგზოგენური. ენდოგენური აერთიანებს გენეტიკასა და ენდოკრინოპათიას. ხოლო ეგზოგენური ფაქტორები ძირითადად მავნე ჩვევას წარმოადგენს. ორსულობის დროს დედის დაავადებები, მშობიარობის ტრავმა და სხვა. დენტო-ალვეოლური ფორმა შეიძლება განპირობებული იყოს მავნე ჩვევებით, მაგ: ტუჩის, თითის წოვა, მანწოვარას გახანგძლივებული მოხმარება და სხვ., ასევე შეიძლება განვითარდეს მაკროგლოსიის, ზედა სასუნთქი სისტემის პათოლოგიის დროს. ჩონჩხოვანი ფორმის ჩამოყალიბება განპირობებულია ზედა და ქვედა ყბის ანატომიური ნაწილების ზრდის დარღვევით, მაგ: შეიძლება განვითარდეს რაქიტით დაავადებულ ბავშვებში, ასევე ქალა-სახის დისპლაზიის დროს. ქალა-სახის დისპლაზიისას ადგილი აქვს სახის მორჩების როტაციას საათის ისრის მიმართულების საწინააღმდეგოდ, რაც იწვევს სახის ქვედა მესამედის დაგრძელებას, ამ დროს ქვედა ყბის გასწვრივ ტოტი დამოკლებულია, ქვედა ყბის კუთხე კი ბლაგვი.

დიაგნოსტიკა – ანამნეზი და კლინიკური გამოკვლევა, რენტგენოგრაფიული კვლევა ანუ ცეფალოგრაფია, ორთოპანტომოგრაფია, ასევე ფოტომეტრია და თაბაშირის მოდელების ბიომეტრიული ანალიზი.

ღია დიოკლუზიის ორთოდონტიული მკურნალობის მიზანია კბილების საოკლუზიო ზედაპირებს შორის სასურველი კონტაქტების შექმნა, სახის ესთეტიკის გაუმჯობესება და შეძლებისდაგვარად სტაბილური შედეგის მიღება.

მკურნალობის მეთოდები პირობითად შეიძლება დაიყოს შემდეგ პერიოდებად: სარძევე თანბილვის, ცვლადი თანკბილვისა და მუდმივი თანკბილვის პერიოდები. სარძევე თანკბილვის დროს ძირითადად ტარდება პროფილაქტიკური ღონისძიებები. ცვლადი თანკბილვის პერიოდში – მოსასხსნელი კონტრიქციები, როგორცაა ფირფიტები. მუდმივი თანკბილვის დროს ბრეკეტისისტემით მკურნალობა.

პროფილაქტიკური ღონისძიებები საშუალებას გვაძლევს შევაფერხოთ ან საერთოდ აღმოვფხვრათ ღია დიზოკლუზიის განვითარება. პროფილაქტიკურ ღონისძიებებს მიეკუთვნება: მავნე ჩვევების აღმოფხვრა, მიოვარჯიშები, სასუნთქი სისტემის ნორმალიზება, საჭიროების შემთხვევაში ენდოკრინოლოგისა და ნევროლოგის ჩართვა.

ჩვენ მიერ გამოკვლეული იყო 84 სტუდენტი. ღია დიზოკლუზია აღენიშნა 3 სტუდენტს.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ბრეგაძე ა., ბრეგაძე ო., კლინიკური სტომატოლოგია. თბილისი 1996.
2. საყვარელიძე ზ., საყვარელიძე ნ., საყვარელიძე ა., ორთოპედიული სტომატოლოგია. თბილისი 1987.
3. Ngan 2015; Ngan P., Moon W. Evolution of Class III treatment in orthodontics // Am. J Orthod Dentofacial Orthop. 2015. Vol. 148, №1. P. 22-36.
4. Jeffrey 2011; Jeffrey A. Dean, David R. Avery. Ralph E. Dentistry for the Child and Adolescent. Mosby Elsever. 2011.
5. <https://orthodontge.com>

## გიორგი ბაზერაშვილი, ეკატერინე დოლენჯაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი  
ხელმძღვანელი: პროფესორი ინგა სიხარულიძე

### კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების თავისებურებები


საქართველოში გავრცელების მიხედვით, საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებები მესამე ადგილს იკავებს (დაახლოებით 15-17% საერთო ავადობაში), ახალი შემთხვევების სიხშირის მიხედვით კი – მეორე ადგილზეა. საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებებიდან მაღალი ლეტალობით გამოირჩევა კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები.

XX საუკუნის დასაწყისში წყლულოვანი დაავადების მიზეზებად სტრესი და არაჯანსაღი კვება მიიჩნეოდა. ავადმყოფებს უნიშნავდნენ მოსვენებით რეჟიმს და სპეციალურ დიეტას. შემდგომ ანტაციდების გამოყენება დაიწყო. 1982 წელს ავსტრალიელმა მეცნიერებმა რობინ უორენმა და ბარი მარშალმა აღმოაჩინეს კავშირი ბაქტერია *Helicobacter pylori*-სა და წყლულოვან დაავადებას შორის. *Helicobacter pylori* იგივე პილორუსის ჰელიკობაქტერია, სპირალისებრი ფორმის გრამ უარყოფითი მიკროორგანიზმა, რომელსაც მჟავა გარემოში გამრავლების უნარი შესწევს. იხ. სურ. 1



კუჭის წყლულის განვითარებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა *Helicobacter pylori*-სა და მედიკამენტურ ფაქტორს ენიჭება. ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია თამბაქოს წვეის მავნე ჩვევა, სტრესი, გენეტიკური ფაქტორები, ალკოჰოლის ჭარბი მიღება, კვება (ზოგიერთი საკვები ალიზიანებს კუჭის ლორწოვან გარსს, თუმცა დამოუკიდებლად წყლულოვან დაავადებას არ იწვევს), კუჭის წვენის გაძლიერებული სეკრეცია.

წყლულოვანი დაავადება კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის ლორწოვანის ისეთი ღრმა ეროზიული დაზიანებაა, როცა დეფექტი კუნთოვან შრემდეც კი აღწევს. შესაძლოა, დაზიანდეს საყლაპავი და წერილი ნაწლავიც. წყლულის ზომები რამდენიმე მილიმეტრიდან რამდენიმე სანტიმეტრამდე მერყეობს. ეროზიისგან წყლულს გავრცელების სიღრმე განასხვავებს. ეროზია ზედაპირულია და კუნთოვან შრემდე ვერ აღწევს. წყლულოვანი დაავადება ნებისმიერ ასაკში გვხვდება, ბავშვებთანაც კი. იხ. სურ. 2



ძირითადი სიმპტომებია: 1. მღრღნელი და მწველი ტკივილი მუცლის ზედა ნაწილში, 2. კვებისას სწრაფი სისხვის შეგრძნება, 3. შებერილობა, 4. წვის შეგრძნება მკერდის ძვლის უკან, 5. ბოყინი, 6. გულისრევა-ღებინება, 7. შავი განავალი.

ენდოსკოპია წყლულოვანი დაავადების დიაგნოსტიკის ოქროს სტანდარტად მიიჩნევა. სპეციალური ნათურიანი მილით ათვალერებენ კუჭის ლორწოვანს. ენდოსკოპის საშუალებით ხდება კუჭისა და საყლაპავის დაზიანებული ნაწილის ბიოფსია. ამ გზით აღებულ მასალას უტარდება ციტოლოგიური ანალიზი წყლულისა და დაწყლულებული სიმსივნის დიფერენცირებისთვის.

ბარიუმის ფაფით რენტგენოლოგიურ გამოკვლევას დღეს იშვიათად მიმართავენ, რადგან შესაძლოა, გამორჩეთ მცირე ზომის წყლულები და ეროზიები. გარდა ამისა, ამ მეთოდით ბიოფსიის ჩატარება შეუძლებელია. *H. pylori*-ს დიაგნოსტიკისთვის სპეციფიკური მეთოდი ბიოფსიაა. თუ ბიოფსია არ ჩატარდა, შეიძლება ნაკლებ ტრავმული დიაგნოსტიკური მეთოდების გამოყენება – *H. pylori*-ს სანინალმდეგო ანტისხეულების განსაზღვრა სისხლის შრატში. *H. pylori* -ს ანტიგენის განსაზღვრა განავალში, ურეაზის სწრაფი ტესტი და შარდოვანას სუნთქვის ტესტი.

წყლულის გართულებიდან ყველაზე ხშირია სისხლდენა. წყლულმა შესაძლოა გაარღვიოს კუჭის კედელი და ჩაიზარდოს ირგვლივ მდებარე ქსოვილებსა და ორგანოებში: თორმეტგოჯა ნაწლავში, პანკრეასსა და ღვიძლში. შეიძლება განვითარდეს პერფორაცია (კუჭის ან თორმეტგოჯა ნაწლავის კედლის გახვრეტა) ან კუჭის გასავლის ობსტრუქცია (გამონვეულია შეხორცებით, სპაზმით ან წყლულის ანთებით). ორგანიზმიდან ჰელიკობაქტერიის გამოძევება ყოველთვის ვერ ხერხდება, ამიტომ მოსალოდნელია წყლულის ხელახალი განვითარება. ჰელიკობაქტერისთან ასოცირებული წყლულით დაავადებულ პაციენტებს მოგვიანებით კუჭის კიბოს განვითარების ალბათობა 3-6-ჯერ დიდი აქვთ.

დაავადების მკურნალობა კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს. კუჭისა და თორმეტგოჯას წყლულების დროს მკურნალობის მთავარი მიზანი ჰელიკობაქტერიის ორგანიზმიდან გამოძე-

ვება და მჟავას ოდენობის დაქვეითებაა. თორმეტგოჯას წყლულის შემთხვევაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ღამით მჟავას სეკრეციის დაქვეითება. შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ლორწოვანის დამცავი საშუალებები (სუკრალფატი) და მჟავას დამაქვეითებელი ქირურგიული მეთოდებიც.

მედიკამენტურ და ქირურგიულ მკურნალობასთან ერთად აუცილებელია ცხოვრების ჯანსაღი წესიც. იკრძალება მოწევა, ალკოჰოლის მიღება. არ არსებობს სპეციალური დიეტა, რომელიც გამოიწვევდა შეხორცების დაჩქარებას ან რეციდივის პრევენციას, თუმცა სპეციალისტთა უმრავლესობა რეკომენდაციას უწევს რაციონიდან ცხარე, ცხიმოვანი, სანელებლებიანი და კოფეინის შემცველი პროდუქტების ამოღებას.

ჩვენს მიერ გამოკვლეული იყო 94 სტუდენტი. 8 სტუდენტს ქონდა წყლულოვანი დაავადება. 3 სტუდენტს – ჰიპერაციდული გასტრიტი. 18 – ანუხებდა ყაბზიბა, 5 – ქილეცისტიტი, 60 სტუდენტი იყო პრაქტიკულად ჯანმრთელი.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. კანკია მ., „პილორულ ჰელიობაქტერიასთან (Hp) ასოცირებული ქრონიკული გასტრიტი და წყლულოვანი დაავადება“. „უნივერსალი“. თბილისი, 2012.
2. <https://elibrary.ru/item.asp?id=11516857>
3. <https://elibrary.ru/item.asp?id=20268956>
4. <https://cyberleninka.ru/article>
5. <http://www.ncdc.ge>

## კარდიოქირურგიული ოპერაციების შემდგომი ნევროლოგიური გართულებების პათოფიზიოლოგიური მექანიზმები

XXI საუკუნეს თავისუფლად შეიძლება ვუწოდოთ ტექნოლოგიური პროგრესის ეპოქა. აღნიშნულზე მეტყველებს მეცნიერების არაერთ სფეროში მსოფლიოს მასშტაბით არსებული მიღწევები და მზარდი ტექნოლოგიური შესაძლებლობები. ამ მხრივ არც მედიცინის დარგია გამონაკლისი, რომლის მიმართულებებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა ქირურგიის დისციპლინა. სწორედ აქ იგრძნობა ეპოქალური შესაძლებლობები მთელი თავისი სიცხადით. ამის ნათელი მაგალითია ოპერაციული მკურნალობის ისეთი ინოვაციური მეთოდები, როგორცაა, მაგალითად, აშშ-ში 2000 წელს დანერგილი ე.წ. და-ვინჩის რობოტული ქირურგია, ასევე, ლაპარასკოპიული მეთოდის გამოყენებით ოპერაციების წარმოება და სხვ.

ოპერაციული მკურნალობის დროს ინოვაციურ ე.წ. მინიინვაზიურ მეთოდებს აქტიურად მიმართავენ კარდიოქირურგებიც, თუმცა ტექნოლოგიური პროგრესის მიუხედავად პოსტოპერაციული გართულებები დღემდე აქტუალურ პრობლემად რჩება. ამ მხრივ საყურადღებოა კარდიოქირურგიული ოპერაციების შემდგომი ნევროლოგიური გართულებები, რაც მეცნიერებისთვის აქტიური კვლევის და შესწავლის საგანს წარმოადგენს.

ნევროლოგიური გართულებები სახეზეა როგორც ღია გულზე წარმოებული ოპერაციების დროს, ასევე მინი-ინვაზიური მეთოდების გამოყენების შემთხვევაშიც, თუმცა განსხვავებულია ამ ორი მიდგომის დროს გამოხატული გართულებების ხარისხი და ინტენსიურობა.

კარდიოქირურგიული ოპერაციების შემდგომი გართულებების დეტალურად განხილვისთვის აუცილებელია ოპერაციული მკურნალობის მეთოდების შესწავლა და ანალიზი, პაციენტის პრეოპერაციული შეფასება, პრე- და ინტრაოპერაციული რისკფაქტორების გაანალიზება.

როგორც ცნობილია, კარდიოქირურგია კომპლექსური დარგია, რომელიც აერთიანებს ორ ქვედარგს, გულის თანდაყოლილი მანკების ქირურგიას და მოზრდილთა გულის ქირურგიას. იგი ეფუძნება საბაზისო ცოდნას და აწარმოებს გულისა და გულმკერდის ღრუში არსებული ორგანოების დაავადებების დიაგნოსტიკას, შეფასებას და მკურნალობას. თუ გავიხსენებთ ისტორიულ ცნობებს, კერძოდ, 1896 წლის 7 სექტემბერს გერმანელი ქირურგის ლუდვიგ რენის მიერ პირველ წარმატებულ ჩარევას გულზე, დავინახავთ განვითარების იმ ხაზს, რომელიც განვლო კარდიოქირურგიის დისციპლინამ 1896 წლიდან დღემდე. იგი გულისხმობს ოპერაციების მრავალაფეროვან სპექტრს, იმის გათვალისწინებით თუ რა სახის დაზიანებაა გამოხატული. ასეთია, მაგალითად, კორონალური არტერიების შუნტირება, სარქველოვანი ოპერაციები, კომბინირებული ოპერაციები, აორტის ქირურგია, გულის თანდაყოლილი მანკების კორექცია მოზრდილებში; გულ-სისხლძარღვთა დაავადებების ერთდროული ოპერაციების სრული სპექტრი, როგორცაა ჩარევები საძილე არტერიებზე, პერიფერიულ არტერიებზე და სხვ.

გულის დაზიანების მასშტაბიდან და სირთულიდან გამომდინარე განსხვავებულია ოპერაციული მკურნალობის ტიპიც. როგორც წესი, ტარდება ორი ტიპის ოპერაცია: 1. ოპერაციები ღია გულზე, ხელოვნური სისხლის მიმოქცევის პირობებში; 2. ე.წ. მინიინვაზიური ოპერაციები.

თითოეულ მეთოდს აქვს თავისი ჩვენებები და/ან უკუჩვენებები, უპირატესობები და ნაკლოვანებები.

ღია გულზე წარმოებული ოპერაციები რამდენიმე ათეულ წელს ითვლის. შვიდი-რვა წელია, რაც საქართველოში ოპერაციები სისხლის ხელოვნური მიმოქცევის პირობებში ტარდება. ოპერაციის მიმდინარეობისას ხდება სტერნოტომია (მკერდის ძვლის გაკვეთა), ფილტვის მაგივრად გამოიყენება სისხლის ხელოვნური მიმოქცევის აპარატი, რომელიც ერთჯერადი მილებით, ე.წ. კანულებით, აღმავალ აორტასა და მარჯვენა წინაგულში პაციენტის სისხლის მიმოქცევის სისტემასთან არის დაკავშირებული. რაც შეეხება ოპერაციის მეორე ე.წ. მინინვაზიურ მეთოდს, იგი ტარდება მინიმალური ჩარევის ფარგლებში. მინითორაკოტომია გულისხმობს ნეკნთაშუა სივრცეში მინიმალური, 5-7 სმ ზომის განაკვეთის გაკეთებას, რაც, თავის მხრივ, ნაკლები სისხლდენის, ტკივილის, ინფექციის ბევრად დაბალი რისკის განვითარების წინაპირობაა, ასევე, მცირდება პოსტოპერაციული და რეაბილიტაციის პერიოდი. აღნიშნულიდან გამომდინარე, მინი-ინვაზიური მეთოდით წარმოებული ოპერაციების შემდგომი ნევროლოგიური გართულებები ნაკლები სიხშირით გვხვდება, ვიდრე ღია გულზე წარმოებული ოპერაციების დროს, თუმცა პრობლემა ორივე შემთხვევაში აქტუალურია. საკითხის აქტუალობას, თავის მხრივ, განაპირობებს კარდიოქირურგიულ პაციენტთა მზარდი რაოდენობა.

XXI საუკუნეში გულ-სისხლძარღვთა დაავადებები ადამიანების ავადობის და სიკვდილიანობის თვალსაზრისით მსოფლიოს მასშტაბით წამყვან ადგილს იკავებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, დღითიდღე იზრდება კარდიოქირურგიული ოპერაციების რიცხვი. ჩატარებული ოპერაციების კვალდაკვალ კი სახეზეა პოსტოპერაციული ნევროლოგიური გართულებების მზარდი სტატისტიკა.

ნევროლოგიურ გართულებებში მოიაზრება დაავადებათა მთელი სპექტრი იმის გათვალისწინებით, თუ თავის ტვინის ან/და ხერხემლის კონკრეტულად რომელი ნაწილია დაზიანებული. დაზიანების ტიპის გათვალისწინებით, გამოიყოფა ნევროლოგიური გართულებების ოთხი ძირითადი ჯგუფი, კერძოდ:

1. ინსულტები;
2. ენცეფალოპათიები (მაგალითად, დელირიუმი, კრუნჩხვები, პოსტოპერაციული კოგნიტური დისფუნქცია (PCOD – 15-66%; ფოკალური ნევროლოგიური დეფიციტი; კომატოზური მდგომარეობა);
3. პერიფერიული ნეიროპათიები (ზემო კიდურები, დიაფრაგმის ნერვი, ნეკნთაშუა ნერვი, სხვ.);
4. ნეიროფსიქიკური დარღვევები.

დროში განვითარების მიხედვით პოსტოპერაციული ნევროლოგიური გართულებები შეიძლება იყოს მწვავე, რომელიც ვითარდება ოპერაციიდან რამდენიმე დღეში, ქვემწვავე და მოგვიანებითი. ინსულტს წამყვანი ადგილი უკავია პოსტოპერაციულ ნევროლოგიურ გართულებებში; იგი გვხვდება როგორც ადრეული, ისე მოგვიანებითი გართულების სახით. ინსულტის განვითარების რისკ-ფაქტორად შეიძლება განვიხილოთ აღმავალი აორტის ათეროსკლეროზი, ოპერაციის ტიპი, ხანდაზმული ასაკი, ანამნეზში – ჰიპერტენზია, დიაბეტი, ცერებრო-ვასკულური დაავადებები და სხვ.

რაც შეეხება ენცეფალოპათიებს, მათი განვითარების ალბათობა 8.4%-32%-ია. გამომწვევ მიზეზებად მეცნიერები ასახელებენ სისხლის მიმოქცევის დარღვევას (ტვინის ქსოვილის იშემია; ჰიპოქსია (ე.წ. ჟანგბადოვანი შიმშილი)). ენცეფალოპათიები ვლინდება, როგორც წესი, ექსტუბაციის შემდეგ, როდესაც პაციენტი იწყებს საუბარს. სტაციონარში დაყოვნების ხან-

გრძლიობაა 8-დღე – გართულების არ მქონე პაციენტებისთვის; 14 დღე – ენცეფალოპათიის გართულებით.

პერიფერიული ნეიროპათიებიდან გამოხატულია როგორც მონო- ისე პოლინეიროპათიები. ამასთან, პაციენტთა დაახლოებით 30%-ში ვითარდება დიაფრაგმის პარეზი ე.წ. *nervus phrenicus*-ის დაზიანების შედეგად; 15% – ზემო კიდურების (უპირატესად მხრის პათოლოგიები) – პერიფერიული ნერვის დაზიანების შედეგად.

თავისთავად საინტერესოა ზემოთხსენებული ნევროლოგიური გართულებების განვითარების ფიზიოლოგიური მექანიზმები, რასაც მეცნიერთა უმეტესობა უკავშირებს სისტემურ ჰიპოპერფუზიას და გულ-სისხლძარღვთა სისტემაში მიმდინარე ემბოლიის პროცესებს (მაკრო- და მიკროემბოლია), ტვინის ჰიპერთერმიას; აორტის ათეროსკლეროზს; წინგულთა ფიბრლაციას; ჰიპერგლიკემიას და სხვ. არანაკლებ საყურადღებოა პრეოპერაციული რისკ-ფაქტორები, მათი დროული გამოვლენა და პოსტოპერაციული გართულებების განვითარების რისკის შეფასება. პრეოპერაციული რისკ-ფაქტორებიდან აღსანიშნავია:

- ❖ ასაკი ( $65 \pm 12$ );
- ❖ მდედრობითი სქესი;
- ❖ ქარბი წონა;
- ❖ ძირითადი და/ან თანმხლები დაავადებები, კერძოდ, ესენციური ჰიპერტენზია; არითმიები; დიაბეტი; თირკმლის ქრონიკული უკმარისობა; დისლიპიდემია; პერიფერიულ სისხლძარღვთა დაავადება;
- ❖ ცხოვრების არაჯანსაღი წესი (თამბაქოს აქტიური მოხმარება).

ამასთან, ჩატარებული კვლევები ცხადჰყოფენ, რომ კარდიოქირურგიული ოპერაციების შემდგომი ნევროლოგიური გართულებები ხშირ შემთხვევაში ასოცირდება ისეთ დაავადებებთან, როგორცაა ანემია, რეაქტიული თრომბოციტოზი, გამოხატული არითმიები, უპირატესად წინაგულთა ფიბრლაცია და სხვ.

რაც შეეხება ნეიროფსიქიკურ (ნეირობიჰევიორულ) დარღვევებს და მათი განვითარების ფიზიოლოგიურ მექანიზმებს, მეცნიერების და მათ მიერ ჩატარებული კვლევების მიხედვით, ისინი უკავშირდება კალციუმ-დამაკავშირებელი ნეიროსპეციფიკური ცილებს – S100 (ე.წ. ონკომარკერი), NSE (ნეიროსპეციფიკური ენოლაზა) და პოსტოპერაციულად მათი ქარბი რაოდენობით გამოთავისუფლებას.

ცნობილია, რომ ნეირონებსა და გლიაში სხვა ჩვეულებრივ ცილებთან ერთად გვხვდება ისეთი ცილებიც, რომლებიც მხოლოდ ნერვულ ქსოვილში ექსპრესირდება, მათ ნეიროსპეციფიკურ ცილებს უწოდებენ. ნეიროსპეციფიკური ცილების უმრავლესობა გლიკოპროტეინი ან ლიპოპროტეინი, ისინი მონაწილეობენ სინაფსური მექანიზმის მუშაობაში, რეცეპტორების სტრუქტურისა და ადჰეზიური ცილების ჩამოყალიბებაში, ონტოგენეზის პროცესში და მეხსიერების ფორმირებაში. დღეისათვის გამოვლენილია 200-ზე მეტი ნეიროსპეციფიკური ცილა.

კალციუმ-დამაკავშირებელი ნეიროსპეციფიკური ცილები სხვადასხვა გზებით ურთიერთქმედებს კალციუმის იონთან და არეგულირებს ამ იონის კონცენტრაციასა და ტრანსპორტს. S-100 ცილის 20-მდე სხვადასხვა ტიპი არსებობს, მათი მაკოდირებელია შემდეგი გენები – S-100A1, S-100A2, S-100A3. S-100 ცილების უმრავლესობა ჰომოდიმერულია ანუ შედგება ორი იდენტური პოლიპეპტიდისგან. სტრუქტურულად S-100 ცილები კალმოდულინის მსგავსია. ისინი მონაწილეობენ ცილების ფოსფორილირებაში, კალციუმის ჰომეოსტაზში, ტრანსკრიფციის ფაქტორებში, ფერმენტების აქტივობაში, ციტოჩონჩხის კომპონენტების მოძრაობაში, ფერმენტულ აქტივობებში, უჯრედის ზრდადდიფერენცირებასა და ანთებით პასუხის წარ-



მოქმნაში. რიგ შემთხვევებში, პოსტოპერაციულად ხდება ნეიროსპეციფიური ცილების დიდი რაოდენობით გამოთავისუფლება, რაც ბიჰევიორული და სხვა სახის ნეიროფსიქიკური დარღვევების განვითარების წინაპირობაა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ გულზე ოპერაციების შემდგომი ნევროლოგიური გართულებები სიღრმისეულ კვლევას საჭიროებს. პოსტოპერაციული გართულებების მაქსიმალურად შემცირება, მათი მართვა და თავიდან აცილება შესაძლებელია კომპლექსური პრევენციული ღონისძიებების გატარებით, კერძოდ, ცერებრული დაზიანების თავიდან აცილების და მაქსიმალურად შემცირების მიზნით აუცილებელია შემუშავდეს დიაგნოსტიკური და თერაპიული სტრატეგიები, მოხდეს პოსტოპერაციული გართულებების პროფილაქტიკა, პრეოპერაციული რისკ-ფაქტორების დროული გამოვლენა და შეფასება, ადრეულ ეტაპზე დაწყებულ უნდა იქნას მედიკამენტური მკურნალობა და რეაბილიტაციის კურსი, საჭიროა ნევროლოგიური გართულებების დროული დიაგნოსტიკა.

ამასთან, პოსტოპერაციულად სასურველი შედეგის მისაღწევად და შესანარჩუნებლად მნიშვნელოვანია პაციენტის მიერ თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობის მუდმივი ხელშეწყობა, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს ცხოვრების ჯანსაღი წესის დაცვას, ექიმის მიერ მიცემული სამკურნალო და შრომითი რეკომენდაციების გათვალისწინებას და, რა თქმა უნდა, პოსტოპერაციული პროფილაქტიკას 3-6 თვის შუალედით.

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. David McDonagh, Miles Berger, Joseph P Mathew, Carmelo Graffagnino, Carmelo A Milano, Mark F Newman, Neurological Complications of Cardiac Surgery, 2014. [https://www.researchgate.net/publication/261406004\\_Neurological\\_complications\\_of\\_cardiac\\_surgery](https://www.researchgate.net/publication/261406004_Neurological_complications_of_cardiac_surgery)
2. Dumbor L. Ngaage \*, Michael E. Cowen, Steven Griffin, Levant Guvendik, Alexander R. Cale., Early neurological complications after coronary artery bypass grafting and valve surgery in octogenarians, European Journal of Cardio-thoracic Surgery 33, 2008.
3. Ola A. Selnes, Ph.D., Rebecca F. Gottesman, M.D., Ph.D., Maura A. Grega, R.N., M.S.N., William A. Baumgartner, M.D., Scott L. Zeger, Ph.D., and Guy M. McKhann, M.D. Cognitive and Neurologic Outcomes after Coronary-Artery Bypass Surgery, 2012  
[http://www.suc.org.uy/emcc2015/ManejoPostopCC\\_archivos/CognitiveNeurologicOutcomesafterCABG%20urgery.pdf](http://www.suc.org.uy/emcc2015/ManejoPostopCC_archivos/CognitiveNeurologicOutcomesafterCABG%20urgery.pdf)
4. <https://www.uptodate.com/contents/neurologic-complications-of-cardiac-surgery>
5. <https://www.mayoclinic.org/>
6. <https://www.moh.gov.ge/>
7. <https://www.medscape.com/>

მარინე ბეგაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორანტურა  
ხელმძღვანელი: პროფესორი ნინო ოკრიბელაშვილი

## ფსიქოტრავმა და კოსტრავმული მდგომარეობა, როგორც ნამალთდამოკიდებულების განვითარების მიზეზი

უკანასკნელ წლებში თავისი სოციალური შეუქცევადი შედეგებით (ლეტალური გამოსავალი, სხვადასხვა სახის ფსიქიკური აშლილობანი...) განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა ჩვენს ქვეყანაში ნამალთდამოკიდებულება, როგორც ნოზოლოგია, როგორც სამედიცინო და სოციალური ზრუნვის საგანი, როგორც კვლევის საგანი. ეს თემა განსაკუთრებით ემოციური და სენსიტიური ხდება, რადგან პრობლემა უპირატესად ახალგაზრდა თაობას ეხება, და დიდ საშიშროებას ქმნის მათი ჯანსაღი ფსიქო-ფიზიკური ფორმირებისთვის „საჭიროა მუდამ ვიყოთ საქმის კურსში ახალგაზრდათა მიერ ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების შესახებ და ვასხვავებდეთ თუ მომხმარებლობიდან რა ფაქტორებით ყალიბდება მათზე ფსიქო-ფიზიკური დამოკიდებულება.“ (Reaper-Reynolds Sh., Keane R., Williams J; 2000)

რა არის ნარკოტიკული საშუალება? „ნარკოტიკული საშუალება არის ფართო გაგებით, ნებისმიერი ნივთიერება, რომელიც ცვლის ორგანიზმის მენტალურ, ფიზიკურ და ემოციონალურ ფუნქციონირებას.“ (Hussein Rassool G; 1998)

ეს განმარტება არ ასახავს განსხვავებას ნივთიერებათა ინდივიდუალური თვისებების და ზემოქმედებების მექანიზმების მიხედვით, და ფოკუსირებულია მხოლოდ ფიზიკურ, კოგნიტიურ, ქცევით და ემოციონალურ ცვლილებებზე, რაც ჩემი აზრით სავსებით ბუნებრივი და სამართლიანია საკითხის გლობალური გააზრებისთვის, ასევე განმარტება არ იძლევა განსხვავებას ფსიქოაქტიურ საშუალებათა სოციალურად მისაღებობის ან მათი ღირებულების მიხედვით. ამ ნივთიერებებს უწოდებენ ფსიქოაქტიურ ნივთიერებებს, რაც ნიშნავს, რომ ისინი მოქმედებენ ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე და ცვლიან განწყობას, აზროვნებას, აღქმას და ქმედებას.

რა არის ფსიქოაქტიურ საშუალებათა მომხმარებლობა? – ფსიქოაქტიური საშუალებების არადანიშნულებისამებრ, მავნედ მოხმარება. „მავნედ მოხმარების ქვეშ ვგულისხმობთ ფსიქოაქტიურ საშუალებათა დეზადაპტურ მოხმარებას, რომელსაც შედეგად დისტრესი და კლინიკური სურათის გაუარესება მოჰყვება“, შედეგად კი ხდება დამოკიდებულების (ფსიქიკური, ფიზიკური) ჩამოყალიბება მასზე.

ახალგაზრდათა მიერ ნარკოტიკული, ფსიქოაქტიური საშუალებების მოხმარების სხვადასხვა მოდელი არსებობს:

1. ცნობისმოყვარეობითი, ან ექსპერიმენტული მომხმარებლობა, – ყალიბდება კულტურის, მიკროკულტურის, ანდაც მეგობართა წრის გავლენით, საკმაოდ ხანმოკლეა და მასზე დიდ გავლენას ახდენს ფსიქოაქტიური საშუალებების ხელმისაწვდომობა და მოდა მათ მოხმა-

რებაზე. თუმცა აქვე ავლნიშნავ, რომ „რისკფაქტორები ყოველთვის როდი ატარებენ უარყოფით ხასიათს, განსაკუთრებით, ნარკოტიკული საშუალებების ექსპერიმენტული მომხმარებლობისას, ეს აჩვენა შედღერის და ბლოკის კვლევებმა (1990 წ), რომელთაც შეაგროვეს მონაცემები გარემოსთან ადაპტაციის ხარისხის შესახებ 5 წლიდან ზევით, მათ დაადგინეს, რომ ამერიკულ კულტურაში იმ დროის მოზარდები, როდესაც ეს კვლევა ჩატარდა, კანაბისის ექსპერიმენტული მოხმარების ფაზაში უკეთ იყვნენ გარემოსთან მიწყობილი, მათ ჰქონდათ შფოთვის შედარებით დაბალი ხარისხი. ვიდრე იმ ბავშვებს, რომელთაც არასოდეს ჰქონიათ ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება, ხოლო კანაბისის არაექსპერიმენტული, ხშირი მომხმარებლები უფრო რთულად ეგუებოდნენ გარემოს. მათ ჰქონდათ მაღალი შფოთვის ხარისხი.“ (American Psychiatric Association; 2000)

2. სოციალური მომხმარებლობა – ექსპერიმენტული მომხმარებლობის კვალდაკვალ რეკრეაციული ანუ სოციალური მომხმარებლობა ხასიათდება:
  - ა. ფსიქოაქტიური საშუალებების რეგულარული მოხმარებით,
  - ბ. ჯგუფური აქტივობით(ფსიქოაქტიური საშუალების მოძიება, შეძენა, მოხმარება)
  - გ. ხანგრძლივი დროის განმავლობაში მომხმარებლობით.სოციალური მოხმარების ძირითადი მოტივი – სოციალური აღიარებაა, მიზანი – იყოს ჯგუფის კუთვნილება და რელაქსაცია, განმამტკიცებელი – განწყობის სპეციფიკური შეცვლა.
3. ემოციონალური, ანდაც ინსტრუმენტალური მომხმარებლობა. გენერაციული, ანდაც გედონური მოხმარება – მთავარი მოტივი მხიარულებაა, მამოტივირებელი სურვილი – თავის უკეთ გრძნობა, მიზანი – სასიამოვნო გრძნობების, ანდაც ახლებური განცდების გამოწვევა.
4. დათრგუნვილობის, ანუ კომპენსატორული მომხმარებლობა – მამოტივირებელი ფაქტორია: სტრესთან და უსიამოვნო განცდებთან გამკლავება, მამოტივირებელი სურვილი დეპრესიისა და ნეგატიური ემოციების დათრგუნვაა, მიზანი – თავის უკეთ გრძნობა, განმხოლოებულობა და ამავდროულად თანატოლთა ჯგუფთან ერთიანობა.
5. ჩვეულებითი მომხმარებლობა ამ ფაზაში იზრდება ფსიქოაქტიური საშუალებების როლი მოზარდის ცხოვრებაში, სხვა და სხვა სასიცოცხლოდ აუცილებელი ინტერესების დათრგუნვის კვალდაკვალ, ჩვეულებითი მომხმარებლობისთვის დამახასიათებელია ის, რომ ფსიქოაქტიური საშუალებების მოხმარების სიხშირე აისახება მოზარდის ცხოვრების წესზე, აქვს სპეციფიკური ურთიერთობები, სამეგობრო წრე და ერთობლივი ქმედებები დაკავშირებულია ფსიქოაქტიურ საშუალებებთან, მოზარდს უუარესდება ძილი და უმცირდება ყურადღების კონცენტრაცია, ზოგჯერ ვლინდება აღკვეთის სიმპტომატიკა, ყალიბდება ლტოლვა ფსიქოაქტიური საშუალებებისადმი და ახალი მიზეზების მოძიება ხდება ისევე ახალი ნარკოტიკაციისთვის, იცვლება ქცევა და ჩნდება სასკოლო პრობლემები, ამ ფაქტორების გავლენით ითრგუნება მოზარდი და ნარკოტიკის საჭიროება ვლინდება როგორც ხასიათის მაფორმირებელი.
6. დამოკიდებულებითი მომხმარებლობა – იკარგება კონტროლი გამოყენებული ფსიქოაქტიური საშუალების დოზირებასა და მიღების ჯერადობაზე, სერიოზული ზიანი ადგება მოზარდის ფსიქო ფიზიკურ სიჯანსაღეს (Reaper-Reynolds Sh., Keane R., Williams J; 2000).

ნარკოტიკულ საშუალებათა მოხმარება თავისთავად არ გადადის მათდამი ფსიქო-ფიზიკურ დამოკიდებულებაში, არსებობს გარკვეული ფაქტორები, რომლებიც ხელისშემწყობია ამ პროცესის, და ეს ფაქტორები სათანადო შესწავლასა და დამუშავებას მოითხოვს. მათ წამალთ-დამოკიდებულების განვითარების ეგრეთ წოდებულ რისკ ფაქტორებსაც უწოდებენ (Frisher M., Crome I., Macleod J; Bloor R., Hickman M., 2007).

„მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა კვლევაში რისკ ფაქტორთა და დამცველობითი ფაქტორების სხვადასხვანაირი განსაზღვრაა მოცემული, ამ კვლევისთვის ჩვენ დავეყრდნობით იმ განსაზღვრებას, რომელიც მოცემულია კლეიტონის და ვერნერის მიერ, რომ „რისკფაქტორი ის ინდივიდუალური ატრიბუტია, ინდივიდუალური მახასიათებელი, სიტუაციური მდგომარეობა, ანდაც გარემო, რომელიც ზრდის ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებას, ან მავნედ მოხმარებას, ანდაც მოხმარებლობიდან დამოკიდებულებათა სინდრომის ფორმირებას“ (კლეიტონი, 1992). ხოლო „დამცველობითი ფაქტორი ის ინდივიდუალური მახასიათებელი, სიტუაციური მდგომარეობა, ანდაც გარემოა, რომელიც თრგუნავს, ამცირებს, ზღუდავს ნარკოტიკული საშუალების მოხმარებლობას, ანდაც ამცირებს ლტოლვას მისადმი“ (კლეიტონი, 1992). ხოლო ნარკოტიკული საშუალებებისადმი მდგრადობა ის პროცესია, „რომლის გავლენითაც ადამიანები ავლენენ პოზიტიურ ქცევას, რისკ ფაქტორთა მატარებლობის მიუხედავად“ (Werner, 1989).

კვლევის თანახმად, რომელიც დღეს დღეისობით არსებული კვლევების მონაცემთა შედარება შეჯერებას ისახავდა მიზნად, რისკ ფაქტორები, რომელნიც ხელს უწყობენ წამალთდამოკიდებულების განვითარებას შესაძლოა ასე დალაგდეს:

- ა. (27%) პერსონალური ფსიქო-ფიზიკური ფაქტორები დემოგრაფიულის ჩათვლით, (ანუ ის მახასიათებლები, რომელთა ცვლილებაც ნაკლებადაა მოსალოდნელი) გენეტიკური განპირობებულობა, სქესი, ასაკი, ეთნოსი, ცხოვრებისეული ფაქტორები, თვითშეფასება, ჰედონიზმი(შეგრძნებათა ძიება), ფსიქიკური აშლილობა, დეპრესია და ა.შ...
- ბ. (24%) პერსონალური ბიპვეიორული, (ანუ ფაქტორები, რომელნიც შესაძლოა ცხოვრებისეული ცვლილებების კვალდაკვალ შეიცვალოს): დამნაშავეობა, ანტისოციალური ქცევა, საგანმანათლებლო აქტივობების დარღვევა, ადრე დაწყებული მწველობა, ნარკოტიკებთან ურთიერთობა, გაუცხოვება, ახლობელთა წრისადმი ამხედრება, დაბალი რელიგიოზურობა, ნარკოტიკებთან დაკავშირებული საქმიანობა.
- გ. (33%) პიროვნული პიროვნებათშორისი ურთიერთობები, (მას მიეკუთვნება ყველანაირი ურთიერთობების სისტემა, ოჯახთან, ახლობლებთან, მეგობრებთან...) ოჯახური კონტაქტების შეწყვეტა, მშობელთა კონტროლი, ოჯახური შფოთვა, კონფლიქტი, თანატოლები, ნარკოტიკებთან პრობლემებით, სოციალური მხარდაჭერის სიმწირე.
- დ. (16%) სტრუქტურული – სოციალურ ეკონომიური სტატუსი, სასკოლო მენეჯმენტი, სამეზობლო აშლილობანი, კონკრეტულ არეალში საქმიანობა, მედიკამენტების, ფსიქოაქტიური საშუალებების ფლობა.

ფსიქოლოგიურ რისკ ფაქტორებს რომ დიდი წვლილი შეაქვთ წამალთდამოკიდებულების განვითარებაში კიდევ ერთხელ დგინდება ტერნერის და ლოიდის 2003 წ. კვლევის ანალიზით, ისინი ასკვნიან, რომ „საკმაოდ დიდი კავშირია მომვლელისგან, პასუხისმგებელი პირისგან, პარტნიორისგან, ან მეუღლისგან ფსიქო-ფიზიკური ძალადობის შემთხვევაში გადატანილ ფსიქოტრავმასა და განვითარებულ წამალთ დამოკიდებულებას შორის“ (Turner, R. and Lloyd, D; 2003)

რა არის ფსიქოტრავმა? – დეფინიციის განსაზღვრისთვის მოვიყვანთ მცირე ისტორიულ წინამძღვრებს, ეს თემა დამუშავდა ჯერ კიდევ ფროიდის და იუნგის ნაშრომებში, რომელთაც ტრავმული განცდა დაუკავშირეს პირველადი ტრავმული გამოცდილების ნიადაგზე წარმოშობილი შფოთვით „მე“-ს გახლეჩას. მომდევნო ეტაპზე სელიეს ნაშრომებში ფსიქოტრავმა განხილულ იქნა, როგორც ზოგადსტრესული რეაქციის განსაკუთრებული ფორმა. (Selye, H; 1956)

ამ კონცეფციის თანახმად სტრესი აფორმირებს ორგანიზმის რეაქციას სტრესულ ფაქტორებზე და ახდენს რესურსების მობილიზირებას ორგანიზმის გარემოსთან ადაპტირებისთვის.

„ჩვენ დროიდან დრომდე მუდმივად განვიცდით სტრესს, ზოგჯერ ეს გვიქმნის მოტივაციას რომ დავასრულოთ შესასრულებელი სამუშაო და დავასრულოთ ის კარგად, თუმცა ზოგჯერ სტრესი ხდება მავნებელი და ეს ხელს გვიშლის განვავარძოთ ცხოვრება ნორმალურ რეჟიმში. ... სტრესი გავლენას ახდენს ცნობიერებაზე, სხეულზე, და ქცევაზე, ვლინდება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსხვავებულად, საჭიროა ვისწავლოთ, ამოვიცნოთ, თუ როდის აღწევს სტრესი ჩვენი კონტროლის მიღმა, ან როდის ატარებს იგი არაკეთილსასურველ ეფექტს.“ (Soubhari T., Kumar Y., 2014)

მძიმე სტრესზე პიროვნების რეაქციის და ადაპტაციის დარღვევების დიაგნოსტიკა და მკურნალობა, კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაცია, (გაიდლაინი)-ის მიხედვით, რომელიც მიღებულია კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციების (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასებისა და დანერგვის ეროვნული საბჭოს 2008 წლის 5 ნოემბრის №1 სხდომაზე და დამტკიცებულია საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2008 წლის 18 დეკემბრის № 282/ო ბრძანებით, 1 თავში (დაავადებათა დეფინიცია, სინონიმები, ტერმინოლოგია და კლასიფიკაცია) მოცემულია, რომ „ICD-10-ის მიხედვით რეაქცია მძიმე სტრესზე და ადაპტაციის დარღვევები აერთიანებს 3 ძირითად დიაგნოსტიკურ ქვეკატეგორიას:

1. მწვავე სტრესული რეაქცია
2. პოსტტრავმული სტრესული აშლილობა (პტსა)
3. ადაპტაციის დარღვევები, და იქვე მინიშნებულია, რომ აშლილობების ეს კატეგორია ყოველთვის მძიმე და მწვავე სტრესზე აღმოცენდება ან ვლინდება პროლანგირებული, ძლიერი ფსიქომატრავმირებელი სიტუაციის შედეგად.

როგორც ზემოთ უკვე არაერთგზის ავლნიშნეთ ფსიქოტრავმა და შემდგომ უკვე პოსტტრავმული მდგომარეობა შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც წამალთდამოკიდებულების განვითარების რისკფაქტორი და არა მხოლოდ!

„ორი დაავადების თანაარსებობა ცნობილია, როგორც თანმხლები დაავადებები ანდაც ორმაგი დიაგნოზი. ფსიქიკური აშლილობისა და წამალთდამოკიდებულების ურთიერთდამოკიდებულება მეტად რთულია და როგორც მკვლევარები ამბობენ ფსიქოლოგია აფორმირებს წამალთდამოკიდებულების განვითარების საფუძველს“.

ამ ორი დაავადების კომორბიდული(ერთობლივი) არსებობა გვაფიქრებინებს, რომ ფსიქოტრავმა/პოსტტრავმული მდგომარეობა შესაძლოა წამალთდამოკიდებულების მაფორმირებელი ფაქტორიც იყოს. დაავადებათა კომორბიდულ თანაარსებობას მრავალი მიზნობრივი კვლევა მიეძღვნა, ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო: „პოსტტრავმული სტრესისა და სუბსტანციაზე დამოკიდებულების სინდრომის თანაარსებობა: შეფასება, მკურნალობა“ (McCauley Jenna L, Killeen T., 2012 ).

სტატიაში ნათლადაა გამოკვეთილი ამ ორი დაავადების თანაარსებობის სირთულე. „პოსტტრავმული მდგომარეობა და ფსიქოაქტიურ საშუალებათა ერთობლივი მოხმარება ფართოდაა გავრცელებული და დიდ სირთულეებს ქმნის, კლინიკურად ვიდრე თვითოეული დაავადება ცალკე-ცალკე. მეტი პრობლემა ფიზიკური ჯანმრთელობის მხრივ, სოციალური ფუნქციონირების გაუარესება, სუიციდალური ქცევის მაღალი დონე, მეტი იურიდიული პრობლემა, ძალადობრივი ქმედების მაღალი რისკი, მკურნალობის საჭიროების ნაკლებად გათვალისწინება და მკურნალობისას მკურნალობის დაბალი ეფექტი“. სტატია ობსერვაციულ ანალიტიკურია და ეყრდნობა მნიშვნელოვან კვლევებს. მასში თავმოყრილია ამ მიმართულებაში არსებული მრავალი ინფორმაცია. სტატიის დასკვნის თანახმად, პოსტტრავმული სტრესი და ნივთიერებებზე დამოკიდებულების სინდრომი უმეტესწილად თანაარსებობენ. ეს კი ახალი სიტყვაა, როგორც

პოსტტრავმული მდგომარეობის ასევე წამალთდამოკიდებულების არსში წვდომისა და ამ მიმართულებით ახალი კვლევების წარმოებისთვის. ასევე მიმოხილულია პოსტტრავმული მდგომარეობის და წამალთდამოკიდებულების თანაარსებობისას მკურნალობის სპეციფიკა, და წარმოდგენილია საინტერესო რეკომენდაცია სარეაბილიტაციო სტრატეგიის შესახებ.

სტატია ეყრდნობა 163 სხვადასხვა ნაშრომს, ძირითადი ნაწილი აგებულია აშშ-ს მედიცინის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული წყაროების მიხედვით. გამოყენებულია როგორც ბექდური მასალა, ასევე ინტერნეტ წყაროები. ამ ორი დაავადების თანაარსებობის მექანიზმის ასახსნელად ის განიხილავს რამდენიმე ჰიპოთეზას:

1. მალალი რისკის ჰიპოთეზა – ინდივიდი ცხოვრების წესით დასწავლილი ნარკომომხმარებლობის შემთხვევაში პოსტტრავმული სინდრომის განვითარებისას იზრდება დამოკიდებულებათა სინდრომის ფორმირების ალბათობა. (ჩილქოუთი და ბრესლაუ, 1998)
2. მგრძნობელობის ჰიპოთეზა – ინდივიდი დაბალი სტრესმედეგობის შემთხვევაში განვითარებული პოსტტრავმული მდგომარეობისას უარს ამბობს ცხოვრების ფიზიკურ რეჟიმზე და იწყებს ნარკომომხმარებლობას (იაკობსონი, სატვიკი, კოსტენი, 2001)
3. თვითმედიკაციის (თვითმკურნალობის) თეორია – პოსტტრავმული მდგომარეობისას დაავადების სიმპტომებს ამცირებს ნარკ. აგენტის მოხმარება, რაც ზრდის დამოკიდებულებათა სინდრომის ფორმირების რისკს. (კანსიანი, 1985) თვით მედიკაციის თეორიის თანახმად, სუბსტანციაზე დამოკიდებულების ჩამოყალიბებას ხელს უწყობს ნივთიერებათა გამოყენების პროცესში პოსტტრავმული სიმპტომების შემცირება. სწორედ ამიტომ ხშირ შემთხვევაში პოსტტრავმული მდგომარეობა ვითარდება არა დამოკიდებულებათა სინდრომის პარალელურად, არამედ წინ უსწრებს მას დროში, თუმცა მათ შორის მიზეზობრივი კავშირი მაინც საჭიროა თითოეულ შემთხვევაში ინდივიდუალურად იქნეს განხილული.

სტატის ავტორები ავითარებენ მოსაზრებას პირველი ჰიპოთეზის უპირატესობის სასარგებლოდ.

2010 წელს ვიმეტის და კოლეგების მიერ ჩატარდა კვლევა 35 ამბულატორიული შემთხვევის 26 კვირიანი კვლევა – ორივე დაავადების კლინიკური სურათის მონიტორინგი, რათა შემოწმებულიყო პოსტტრავმული და დამოკიდებულებათა სინდრომების დინამიური ურთიერთობა. კვლევის დასკვნის თანახმად ორივე დაავადების თანაარსებობისას თითოეული მათგანის გამოვლენის სიმპტომები მძაფრდება, რაც მიჩნეულ იქნა თვითმედიკაციის ჰიპოთეზის კიდევ ერთ დადასტურებად.

სტატის ავტორები მიაწინებენ იმაზეც, რომ სხვა ფაქტორებმაც შესაძლოა ითამაშონ წამყვანი როლი დამოკიდებულებათა სინდრომისა და პოსტტრავმული მდგომარეობის კომორბიდულობაში, და ეს ფაქტორებია ასე აქვთ დაჯგუფებული:

1. საერთო ნეიროფიზიოლოგიური განვითარების მექანიზმი
2. ტრავმული მოვლენების ადრეული ექსპოზიცია
3. გენეტიკური განწყობა

თუმცა აღნიშნავენ, რომ ეს ყველაფერი ჯერ კიდევ სათანადო შესწავლას საჭიროებს.

სტატიაში გაანალიზებულია ალკოჰოლსა და ნარკოტიკულ საშუალებებზე დამოკიდებულების მოტივაციის კვლევის: „კომორბიდულობის სპეციალური გარემოებები“-ს (Annis HM. Inventory of drinking situations. Toronto: Addiction Research Foundation of Ontario; 1982), შედეგები. მისი არსი მდგომარეობს შემდეგში: მომხმარებლის ქცევის მოტივაციის კლასიფიცირებისთვის, ცდისპირებს სთხოვეს მიეთითებინათ სიტუაციები და გარემოებები რომლის დროსაც ყველაზე ხშირად იყენებდნენ ალკოჰოლურ ნივთიერებებს. ეს კვლევა წარმოდგენილია, რო-

გორც დაავადებათა სიმპტომებს შორის ურთიერთობების შესახებ მეტი ინფორმაციის მოპოვების ერთ-ერთი საშუალება.

შედეგად გამოიყო სამი კატეგორია და რვა ქვეკატეგორია:

1. ნეგატიური სიტუაცია ემოციური ან ფიზიკური დისკომფორტი, კონფლიქტი,
2. პოზიტიური სიტუაცია სხვასთან ერთად დროის გატარება,
3. ცდუნების სიტუაცია სხვისგან სოციალური წნეხი.

თუმცა ეს მაჩვენებლები არ შეფასებულა პოსტტრავმული სტრესის სიმპტომატიკაში.

ამჟამად არსებობს შეფასების ინსტრუმენტების ფართო სპექტრი. რომელიც იძლევა სიმპტომების ეფექტური მონიტორინგის საშუალებას, თუმცა ამის შესახებ სტატიაში ინფორმაცია არ არის.

სტატიაში საინტერესო მოსაზრებაა წარმოდგენილი ამ ორი დაავადების თანაარსებობისას მკურნალობის სისტემის შესახებ, კერძოდ: კომორბიდული პოსტტრავმული მდგომარეობისა და წამალთდამოკიდებულების მკურნალობისთვის საჭიროა ერთობლივი ფარმაკოლოგიური და ფსიქო-სოციალური ინტერვენცია. თუმცა კლასიკური სამკურნალო მიდგომის თანახმად ხდება მხოლოდ წამალთდამოკიდებულების მკურნალობა.

არგუმენტზე დაყრდნობით სტატიის ავტორებმა ეს მიდგომა მიიჩნიეს არასწორად, რასაც მეც მოკრძალებით ვეთანხმები და ეს არგუმენტებია:

1. წამალთდამოკიდებულთა პოპულაციაში ემპირულად დამტკიცებულია ფსიქოტრავმის არსებობა. (1997 წ. ვასერმანი – კოკაინდამოკიდებულებაში შეისწავლა ფსიქოტრავმა და პოსტტრავმული სტრესი).
2. წამალთდამოკიდებულთა ნახევარზე მეტს აღენიშნება პოსტტრავმული სტრეს სინდრომი (1992 წ კოტლერი – პოსტტრავმული სტრეს სინდრომი წამალთდამოკიდებულებაში).
3. წამალთდამოკიდებულების სიმპტომები კონკურენტულად ვარიანებს პოსტტრავმულ სიმპრომებთან (2010 წ. ვილმეტი – პოსტტრავმულ სტრესსა და წამალთდამოკიდებულებას შორის კავშირების მოდელირება).
4. პაციენტებისთვის საგრძნობია ორივე დაავადების ერთობლივად არსებობის სიმპტომი. (2006 წ. ბეჩი და ბრეკლი – პილოტური კვლევა: კოკაინზე დამოკიდებულება და პოსტტრავმული სტრესი – მკურნალობის პროცესში სიმპტომების ურთიერთქმედების შესახებ).

არსებობს კვლევები, რომლის თანახმადაც ნივთიერებებზე დამოკიდებულების სინდრომის მკურნალობის პროცესში იზრდება პოსტტრავმული სტრესის სიმპტომები.

ამ მოდელის მომხრეები ეყრდნობიან ე.წ პანდორას ყუთის თეორიას რომლის მიხედვითაც წამალთდამოკიდებულებაზე მკურნალობის პროცესში პოსტტრავმული სტრესის სიმპტომები მწვავედება.

სტატიაში რეკომენდებულია პოსტტრავმული და დამოკიდებულების სიმპტომების ერთობლივი მართვა ეფექტური მკურნალობისთვის. კვლევებმა აჩვენა, რომ ინტეგრირებულმა მკურნალობამ შეამცირა პოსტტრავმული და დამოკიდებულებათა სინდრომების თანამდევნი სიმპტომები როგორცაა მაგალითად დეპრესია

მკურნალობის “Sequential” მოდელი გთავაზობს ტრავმაზე ფოკუსირებულ მიდგომას, პირველი 3-6 თვის განმავლობაში. ამ მოდელის მიმდევრები აცხადებენ, რომ მკურნალობის პროცესში ნივთიერების გამოყენება ხელს უშლის თერაპიულ ეფექტს და ამასთან ერთად შესაძლოა გამოიწვიოს რეციდივი. ამ მოსაზრების ამყარებს მკურნალობის ოქროს სტანდარტი. სუბსტანციაზე დამოკიდებულების სიმპტომის კოგნიტიურ ბიჰევიორალური მკურნალობა. სტატიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ შემდგომმა კვლევებმა უნდა სრულყოს კლინიკური მკურნალობის მეთოდოლოგიური მიდგომები აქტიური შედარების მეთოდების გამოყენებით.

კომორბიდული პოსტტრავმული მდგომარეობისა და წამალთდამოკიდებულების მკურნალობისთვის საჭიროა ერთობლივი ფარმაკოლოგიური და ფსიქო-სოციალური ინტერვენცია. თუმცა კლასიკური სამკურნალო მიდგომის თანახმად ხდება მხოლოდ წამალთდამოკიდებულების მკურნალობა.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით და ემპირული გამოცდილების გათვალისწინებით გაჩნდა მნიშვნელოვანი საფუძველი ვარაუდისა, რომ ფსიქოტრავმის საფუძველზე განვითარებული პოსტტრავმული მდგომარეობა ერთ ერთი მაფორმირებელი ფაქტორია წამალთდამოკიდებულებისა და დაავადების გენეზისში ჩართვისას ამცირებს ვადას ნარკოტიკულ აგენტზე ფსიქიკური დამოკიდებულების ჩამოყალიბებიდან ფიზიკური დამოკიდებულების ჩამოყალიბებამდე. და ეს გახლავთ სწორედ ჩვენი კვლევის ჰიპოთეზა.

ამ მიმართულებით კვლევის დაგეგმვა და განხორციელება ძალიან მნიშვნელოვანი იქნება სხადასხვა მიმართულებით:

1. მრავალი ფსიქომარტავმირებელი ფაქტორის არსებობა და მისი დამოკიდებულება წამალთდამოკიდებულების განვითარებაზე საკითხისადმი გლობალურ ხედვას ჩამოაყალიბებს.
2. გამოიკვეთება, რა კავშირშია წამალთდამოკიდებულთა რიცხვის ზრდა პოსტტრავმული მდგომარეობათა განვითარების მატებაზე
3. დაავადების გენეზისში ფსიქოტრავმის ჩართულობა შეცვლის დაავადებისადმი საზოგადოების დამოკიდებულებას, სამკურნალო მიდგომებს.
4. გააჩენს პროფლიაქტიკურ ხაზს.

ყოველივე ეს საშუალებას მოგვცემს მკურნალობის მეთოდში ინტერვენციასა და პრევენციასში დავნერგოთ ახალი მიდგომები ასევე:

1. დაავადების გენეზისს კიდევ უფრო დააზუსტებს.
2. დაავადების ახლებურად გააზრების საშუალებას მოგვცემს.
3. მკურნალობისადმი ახალ მოთხოვნებს წარმოშობს.
4. ახლებური პროგრამების საჭიროებას გამოაჩენს.
5. ახალი რეკომენდირებული მიდგომის შემოთავაზების საშუალებას გვაძლევს.

კვლევა მიზნად ისახავს წარმოაჩინოს საკითხი ამ კუთხით. ვიმედოვნებთ, რომ კვლევის პროცესში ვიგრძნობთ ქართული სამეცნიერო საზოგადოების მხარდაჭერას და თანადგომას.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. Soubhari T., Kumar Y.: PROMOTING STRESS PREVENTION AND PSYCHOLOGICAL WELL-BEING AMONG AUTONOMOUS COLLEGE TEACHERS – AN ANALYTICAL STUDY, International Journal of Advanced Research in ISSN: 2278-6236 Management and Social Sciences, Impact Factor: 4.400, Vol. 3 | No. 11 | November 2014.
2. McCauley Jenna L, Killeen T., A.P.R.N.,1 Daniel F. Gros, Kathleen T. Brady, and Sudie E. Back: Posttraumatic Stress Disorder and Co-Occurring Substance Use Disorders: Advances in Assessment and Treatment Clin Psychol (New York). Published in final edited form as: Clin Psychol (New York). 2012 Sep 1; 19(3): 11/cpsp.12006. Published online 2012 Oct 29. doi: 10.1111/cpsp.12006, PMID: PMC3811127, NIHMSID: NIHMS468120, PMID: 24179316 Selye, H. The Stress of Life. New York: McGraw-Hill. 1956.
3. Turner, R. and Lloyd, D.: Cumulative adversity and drug dependence in young adults: Racial/ethnic contrasts. Addiction, 2003.
4. Frisher M., Crome I., Macleod J., Bloor R., Hickman M.: Predictive factors for illicit drug use among young people, 2007.



5. Reaper-Reynolds Sh., Keane R., Williams J., Wolfe E.: A HANDBOOK FOR TEACHERS – Understanding Substances and Substance Use, Dublin, 2000.
6. Morgan M., Drug Use Prevention – Overview of Research, NACD, Dublin, 2001.
7. American Psychiatric Association – Diagnostic and Statistical Manual of Mental Disorders, 4th Ed., Text Revision (DSM-IV-TR), Washington, 2000.
8. Reaper-Reynolds Sh., Keane R., Williams J., Wolfe E.: A HANDBOOK FOR TEACHERS – Understanding Substances and Substance Use, Dublin, 2000.
9. Hussein Rassool G. – Substance Use and Misuse: Nature, Context and Clinical Interventions Blackwell Sciences, Oxford, 1998.
10. Corrigan D.: Facts About Drug Misuse in Ireland 4th ed. Health Promotion Unit, Dublin, 2003.
11. The National Health and Lifestyles Surveys Health Promotion Unit, Department of Health & Children, Dublin, 2003.
12. Davis, M., Robbins Eschelmann, E., & McKay, M.: The Relaxation & Stress, Reduction Workbook. 4th ed. New Harbinger Publications. Oakland, CA, 1995.
13. Papastavrou E, Farmakas A, Karayiannis G, Kotrotsiou E,: Co morbidity of Post-Traumatic-Stress Disorders and Substance Use Disorder, HEALTH SCIENCE JOURNAL, 2011, E-ISSN:1791-809X
14. მძიმე სტრესზე პიროვნების რეაქციის და ადაპტაციის დარღვევების დიაგნოსტიკა და მკურნალობა, კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაცია, (გაიდლაინი), თბილისი, 2008.

ნიკოლოზ სახვაძე

ივანე ჯავახიშვილის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი  
ხელმძღვანელი: პროფესორი ბაჩუკ მესაბლიშვილი

გეომეტრიული აგებები ფარგლისა და სახაზავის საშუალებით

განვიხილავთ აგების გეომეტრიული ამოცანებში აბსტრაქტული ალგებრის მეთოდების გამოყენებას, აგების ისეთ ამოცანებს, რომლებშიც ფარგლისა და სახაზავის გამოყენების შემდეგი წესებია დაცული:

სიბრტყეზე თავდაპირველად მოცემულია მხოლოდ ორი  $O$  და  $A$  საწყისი წერტილი, რომლებსაც **საბაზისო** წერტილები ეწოდება. ამ წერტილების საშუალებით ახალი წერტილის აგება ხდება მხოლოდ და მხოლოდ შემდეგი ორი წესის გამოყენებით:

წესები:

1. სახაზავით (რომელსაც დანაყოფები არ გააჩნია) შესაძლებელია მხოლოდ საბაზისო და მათი საშუალებით ამ წესების გამოყენებით უკვე აგებულ ორ წერტილზე წრფის გავლება. ასეთ წრფეს **აგებადი წრფე** ეწოდება.
2. ფარგლით შესაძლებელია მხოლოდ ისეთი წრეწირის აგება, რომლის ცენტრიც საბაზისო ან უკვე აგებული რაიმე წერტილია და რომელიც გადის ასევე საბაზისო ან უკვე მოცემულ სხვა წერტილზე. ასეთ წრეწირს **აგებადი წრეწირი** ეწოდება.

ამბობენ, რომ წერტილი არის **აგებადი**, თუ იგი წარმოადგენს

- ორი აგებადი წრფის,
- აგებადი წრფისა და აგებადი წრეწირის, ან
- ორი აგებადი წრეწირის

გადაკვეთის წერტილს. სხვა სიტყვებით, ეს შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს:

**განსაზღვრება :** სიბრტყეზე მდებარე  $P$  წერტილს ეწოდება **აგებადი**, თუ არსებობს წერტილების ისეთი მიმდევრობა

$$P_0 = A, P_1 = B, P_2, \dots, P_n = P,$$

რომ ყოველი  $P_i$  ( $2 \leq i \leq n$ ) წარმოადგენს ან ორი წრფის, ან ორი წრეწირის, ან წრფისა და წრეწირის გადაკვეთის წერტილს, რომელთაგან თითოეული აგებულია მხოლოდ  $P_0, P_1, \dots, P_{i-1}$  წერტილებზე ზემოთ მოყვანილი ორი წესის გამოყენებით.

ვიგულისხმობთ, რომ ელემენტი (წერტილი, წრფე, წრეწირი) ცნობილია თუ ის წინასწარ იყო მოცემული ან ზემოხსენებული მოქმედებების საშუალებით ავაგეთ.

ამოცანის თეორიული ანალიზის ჩატარებისთვის შეგვიძლია განსახილველი ფიგურა ავაგოთ რაიმე  $x, y$  საკოორდინატო სისტემაში. მაშინ მოცემული ელემენტები გამოისახება წერტილების ან მონაკვეთების სახით  $x, y$  სიბრტყეში. თუ რაიმე მონაკვეთი წინასწარაა მოცემული,

ჩვენ ის შეგვიძლია განვიხილოთ ერთეულოვანი სიგრძის მონაკვეთად, რითაც ფიქსირდება  $x = 1, y = 0$  წერტილი.

დავუშვათ, რომ წინასწარ დაფიქსირებული გვაქვს ეს მონაკვეთი. მაშინ სახაზავისა და ფარგლის გამოყენებით, ჩვენ შეგვიძლია ავაგოთ ყველა რიცხვი, რომელიც მიიღება ერთეულოვანი სიგრძის მონაკვეთზე რაციონალური მოქმედებებით (დამატება, გამოკლება, გამრავლება, გაყოფა).

**განსაზღვრება:** ნებისმიერ რიცხვთა სიმრავლეს (ანუ ნამდვილ რიცხვთა სიმრავლის ნებისმიერ ქვესიმრავლეს), რომელიც ჩაკეტილია ოთხი ალგებრული ოპერაციის (მიმატება, გამოკლება, გამრავლება და რარნულოვან რიცხვზე გაყოფა) მიმართ რიცხვითი ველი ეწოდება.

როგორც ვნახეთ, ნებისმიერი რიცხვითი ველი მოიცავს რაციონალურ რიცხვთა სიმრავლეს, ანუ არ არსებობს ისეთი რიცხვითი ველი, რომლის ქვესიმრავლეს არ არის რაციონალურ რიცხვთა სიმრავლე

ერთეულოვანი სიგრძიდან ჩვენ შეგვიძლია ავაგოთ რაციონალურ რიცხვთა ველის ყველა ელემენტი, თუმცა ფარგლის გამოყენებით ჩვენ შეგვიძლია გავცდეთ რაციონალურ რიცხვთა ველს და ავაგოთ ირაციონალური რიცხვები, მაგალითად  $\sqrt{2}$ .  $\sqrt{2}$ -ით და რაციონალური ოპერაციებით კი მივიღებთ ყველა  $a + b\sqrt{2}$  სახის რიცხვს, სადაც  $a$  და  $b$  რაციონალური რიცხვებია.

მარტივი შესამოწმებელია, რომ  $a + b\sqrt{2}$  სახის რიცხვების სიმრავლე რიცხვითი ველია, ანუ: ორი  $a + b\sqrt{2}$  სახის რიცხვის ჯამი ისევ ასეთი სახისაა, ასევეა გამოკლების, გამრავლების და გაყოფის შემთხვევაში, რაც იმას ნიშნავს რომ ჩვენ მივიღეთ ახალი რიცხვთა ველი, რომელიც მოიცავს რაციონალურ რიცხვებს და ნამდვილ რიცხვთა სიმრავლის ქვესიმრავლეს.

რაციონალურ რიცხვთა სიმრავლე აღვნიშნოთ  $F_0$  – ით, ხოლო  $a + b\sqrt{2}$  სახის რიცხვებით მისი გაფართოება კი  $F_1$ -ით.

ამის შემდეგ ჩვენ კიდევ შეგვიძლია გავაფართოვოთ ჩვენი კონსტრუქცია მაგალითად  $F_1$ -ის რომელიმე ელემენტიდან ფესვის ამოღებით.

მაგალითად, ავიღოთ რიცხვი  $k = 1 + \sqrt{2}$  და ამოვიღოთ ამ რიცხვიდან კვადრატული ფესვი. მივიღებთ ახალ რიცხვს  $\sqrt{1 + \sqrt{2}} = \sqrt{k}$ , რომლის აგებაც შესაძლებელია. ეს რიცხვი კი თავის მხრივ წარმოქმნის  $p + q\sqrt{k}$  სახის რიცხვებისგან შემდგარ ველს, სადაც  $p, q$  და  $k$  რიცხვები  $F_1$  ველის ელემენტებია.

ახლა დავუშვათ, რომ ვიცით რაიმე რიცხვითი ველის ყოველი რიცხვის აგება (ანუ ამ რიცხვის ტოლი სიგრძის მონაკვეთის აგება). *დავრწმუნდეთ, რომ მხოლოდ სახაზავის გამოყენებით  $F$  რიცხვითი ველიდან ვერ გავალთ.* მართლაც, წრფე რომელიც გადის ორ წერტილზე კოორდინატებით  $(a_1, b_1)$  და  $(a_2, b_2)$ , სადაც  $a_1, b_1, a_2$  და  $b_2$  რიცხვები  $F$  ველის ელემენტებია, ჩაინერება ტოლობით:  $(b_2 - b_1)x + (a_2 - a_1)y + (a_1 b_2 - a_2 b_1) = 0$ .

ამ განტოლების კოეფიციენტები რაციონალურადაა დაკავშირებული  $F$  ველის რიცხვებთან და, მაშასადამე, თავადაც  $F$  ველს მიეკუთვნებიან. თუ გვაქვს ორი წრფე  $ax + by - c = 0$  და  $a'x + b'y - c' = 0$  რომელთა კოეფიციენტები  $F$  ველის ელემენტებია, მაშინ მათი გადაკვეთის წერტილიც, რომლის კოორდინატებია

$$x = \frac{cb' - bc'}{ab' - ba'}, \quad y = \frac{ac' - ca'}{ab' - ba'}$$

ასევე იქნებიან  $F$ -ის ელემენტები. დასკვნა: მხოლოდ სახაზავის გამოყენებით ახალი წერტილების აგებით  $F$  ველიდან ვერ გავალთ.

რაც შეეხება, ფარგალს, მისი გამოყენებით ჩვენ შეგვიძლია გავცდეთ  $F$ -ის საზღვრებს (ანუ გამოვიდეთ  $F$  სიმრავლიდან). ამისთვის უნდა ავირჩიოთ რაიმე  $k$  რიცხვი  $F$ -დან ისეთი, რომ  $\sqrt{k} \notin F$ . რიცხვი  $\sqrt{k}$  შეგვიძლია ავაგოთ ფარგლის საშუალებით, ისევე როგორც

$$a + b\sqrt{k}$$

სახის ყველა რიცხვი, სადაც  $a$  და  $b$  კოეფიციენტები  $F$ -ის ელემენტებია. ორი ასეთი  $a + b\sqrt{k}$  და  $c + d\sqrt{k}$  რიცხვის ჯამი  $(a + c) + (b + d)\sqrt{k}$ , სხვაობა  $(a - c) + (b - d)\sqrt{k}$ , ნამრავლი  $(a + b\sqrt{k})(c + d\sqrt{k}) = (ac + kbd) + (ad + bc)\sqrt{k}$  და შეფარდება  $\frac{a+b\sqrt{k}}{c+d\sqrt{k}} = \frac{(a+b\sqrt{k})(c-d\sqrt{k})}{c^2-kd^2} = \frac{ac-kbd}{c^2-kd^2} + \frac{(bc-ad)\sqrt{k}}{c^2-kd^2}$  აგრეთვე არიან  $p + q\sqrt{k}$  სახის რიცხვი, სადაც  $p$  და  $q$  ეკუთვნის  $F$  ველს.  $c^2 - kd^2$  მნიშვნელი ნული არ გახდება, რადგანაც  $c$  და  $d$  ერთდროულად ნულის ტოლი არ არის ( $c$  და  $d$  ერთდროულად ნულის ტოლია, მაშინ  $c + d\sqrt{k} = 0$ ), ხოლო  $\sqrt{k} \neq \frac{c}{d}$ , წინააღმდეგ შემთხვევაში  $\sqrt{k}$  იქნებოდა  $F$ -ის ელემენტი. ამრიგად  $a + b\sqrt{k}$  სახის რიცხვთა სიმრავლე ქმნის ახალ  $F'$  რიცხვით ველს.  $F'$  ველი მოიცავს  $F$  ველის ყველა ელემენტს: თუ  $b$ -ს ავიღებთ ნულს მივიღებთ  $F$ -ის ელემენტებს.

ჩვენ დავრწმუნდით, რომ თუ რაიმე  $F$  რიცხვითი ველიდან ყველა რიცხვის აგება შესაძლებელია, ავარჩევთ ამ ველის ნებისმიერ  $k$  რიცხვს და ფარგლისა და სახაზავის გამოყენებით ავაგებთ  $\sqrt{k}$  რიცხვს, მაშასადამე ავაგებთ  $a + b\sqrt{k}$  სახის ყველა რიცხვს სადაც  $(a, b) \in F$ .

ახლა ვაჩვენოთ პირიქით, თუ ფარგლით მხოლოდ ერთ ოპერაციას შევასრულებთ რაიმე  $F$  რიცხვით ველში, მაშინ მხოლოდ იგივე სახის რიცხვები მიიღება. მართლაც, ფარგლის ერთხელ გამოყენებით ჩვენ შეგვიძლია ვიპოვოთ ერთ-ერთი: ან წრენირის წრფესთან გადაკვეთის წერტილი, ან ორი წრენირის გადაკვეთის წერტილი (ერთიც და მეორეც გადაკვეთის წერტილის კოორდინატების აგების ტოლფასია).

$r$  რადიუსიანი წრენირი, ცენტრით  $(p, q)$  წერტილში, ჩაინერება განტოლებით  $(x-p)^2 + (y-q)^2 = r^2$ , თუ  $m, n$  და  $r$  ეკუთვნიან  $F$  ველს, მაშინ  $x^2 + y^2 + 2mx + 2ny + l = 0$  წრენირის განტოლების კოეფიციენტები აგრეთვე  $F$  ველს ეკუთვნიან.

$F$  ველიდან აღებულ ორ წერტილზე გამავალი წრფის  $ax + by + c = 0$  განტოლების კოეფიციენტებიც ამავე ველში ექნება. ამ ორი განტოლებიდან  $y$  უცნობის გამორიცხვით წრენირის წრფესთან გადაკვეთის წერტილის  $x$  კოორდინატისთვის ვღებულობთ

$$Ax^2 + Bx + C = 0$$

კვადრატულ განტოლებას, სადაც  $A, B$  და  $C$  კოეფიციენტები აღებულია  $F$  ველიდან

$$A = a^2 + b^2, B = 2(ac + b^2m - abn) \text{ და } C = c^2 - 2bcn + b^2l.$$

განტოლების ამონახსნია

$$x = \frac{-B \pm \sqrt{B^2 - 4AC}}{2A}$$

რომელსაც  $p + q\sqrt{k}$  სახე აქვს, სადაც  $p, q$  და  $k$  ეკუთვნის  $F$  ველს. ასეთივე გამოსახულებას მივიღებთ  $y$  კოორდინატისთვის.

როდესაც ლაპარაკია ორ წრენირზე, მაშინ

$$\begin{aligned} x^2 + y^2 + 2mx + 2ny + l &= 0 \\ x^2 + y^2 + 2m'x + 2n'y + l' &= 0. \end{aligned}$$

განტოლებების ერთმანეთისგან გამოკლებით ვღებულობთ

$$2(m - m')x + 2(n - n')y + (l - l') = 0$$

განტოლებას, რომელიც შეიძლება ამოიხსნას ერთ-ერთი წრენირის განტოლებასთან ერთად.

ორივე შემთხვევაში აგება გვაძლევს ერთი ან ორი ახალი წერტილის კოორდინატებს და ამ ახალ სიდიდეებს აქვთ  $p + q\sqrt{k}$  სახე, სადაც  $p, q$  და  $k$  ეკუთვნის  $F$  ველს.

ერთხელ კიდევ მოვახდინოთ შეჯამება: რაიმე ალბულის სიდიდეებიდან (მონაკვეთებიდან ან რიცხვებიდან) მხოლოდ ფარგლითა და სახაზავით ჩვენ შეგვიძლია ავაგოთ  $F$  ველის ყველა სიდიდე, რომლებიც მოცემული სიდიდეებიდან მიიღებინ რაციონალური ოპერაციების საშუალებით ისე, რომ  $F$  რიცხვითი ველის საზღვრებიდან არ გამოვიდეთ. ფარგლის გამოყენებით ჩვენ ვაფართოვებთ იმ სიდიდეთა ველს, რომელთა აგება შესაძლებელია და ვღებულობთ ახალ  $F'$  ველს. ეს ახალი ველი შედგება  $a + b\sqrt{k}$  სახის რიცხვებისგან, სადაც  $a, b, k$  ეკუთვნიან  $F$  ველს.  $F$  ველი არის  $F'$  ველის ქვეველი. დავრწმუნდით, რომ გეომეტრიული აგების ყოველი ეტაპის შემდეგ (ზემოთხსენებული მოქმედებების) ან ისეთ სიდიდეებს მივიღებთ რომლებიც თავდაპირველად ალბულის ველს ეკუთვნიან, ანდა კვადრატული ფესვის აგებით მივიღებთ ახალ ველს.

ახლა უკვე შესაძლებლობა გვაქვს ზუსტად დავახასიათოთ ყველა იმ სიდიდეთა ერთობლიობა, რომლებიც მხოლოდ ფარგლისა და სახაზავის საშუალებით აიგება. ვინცებთ წინასწარ მოცემული რაიმე  $F_0$  ველიდან, შემდეგ ვაგებთ ახალ  $F_1$  რიცხვით ველს  $F_0$ -თვის  $\sqrt{k_0}$ -ის მიერთებით (ანუ  $a_0 + b_0\sqrt{k_0}$  სახის რიცხვების განხილვით, სადაც  $k_0, a_0, b_0$  ეკუთვნის  $F_0$  ველს, ხოლო  $\sqrt{k_0} \notin F_0$ ). შემდეგ  $\sqrt{k_1}$ -ის მიერთებით (სადაც  $k_1$  ეკუთვნის  $F_1$  ველს, ხოლო  $\sqrt{k_1} \notin F_1$ ) მიიღება  $a_1 + b_1\sqrt{k_1}$  სახის რიცხვების ახალი  $F_2$  რიცხვითი ველი, სადაც  $a_1, b_1$  ეკუთვნის  $F_1$  ველს. ამ პროცედურის გამეორებით  $n$  ნაბიჯის შემდეგ მივალთ გარკვეულ  $F_n$  რიცხვით ველთან.

ფარგლისა და სახაზავის საშუალებით ის და მხოლოდ ის რიცხვები აიგება, რომლებიც რაციონალური რიცხვების ველის სასრული რაოდენობის ზემოთ აღწერილი გაფართოების შედეგად მიღებულ  $F_n$  რიცხვით ველში შედის.

სამი კლასიკური პრობლემის ამოუხსნადობა – კუბის გაორკეცება.

ზემოთ მიღებული შედეგის გამოყენებით მტკიცდება ძალიან ცნობილი სამი კლასიკური ამოცანის – მხოლოდ სახაზავისა და ფარგლის გამოყენებით კუბის გაორკეცება, კუთხის სამ ტოლ ნაწილად გაყოფა და წრის ტოლდიდი კვადრატის აგება – ამოუხსნადობა. ჩვენ აქ განვიხილავთ მხოლოდ პირველ მათგანს.

**კუბის გაორკეცება** ეს ამოცანა მდგომარეობს მხოლოდ სახაზავისა და ფარგლის გამოყენებით მოცემულ კუბზე ორჯერ მეტი მოცულობის კუბის აგებაში. ზოგადობის შეუღუდავად შეგვიძლია ვიგულისხმოთ, რომ მოცემულ კუბს ერთის ტოლი სიგრძის ნიბო აქვს. მაშინ იმ კუბის ასაგებად, რომლის მოცულობა ორჯერ უნდა აღემატებოდეს მოცემულისას, საჭიროა ავაგოთ ისეთი  $x$  სიგრძის მონაკვეთი (საძიებელი კუბის ნიბო), რომელიც აკმაყოფილებს

$$x^3 - 2 = 0$$

კუბურ განტოლებას. ახლა დავამტკიცოთ, რომ მარტო ფარგლისა და სახაზავის საშუალებით ასეთი  $x$  რიცხვის აგება შეუძლებელია.

### დამტკიცება.

დავუშვათ, რომ ასეთი  $x$  რიცხვის აგება შესაძლებელია. მაშინ ზემოთ მიღებული შედეგების თანახმად, ეს რიცხვი უნდა ეკუთვნოდეს რაიმე  $F_k$  ველს ( $k$  რაღაც ნატურალური რიცხვია). ახლა დავრწმუნდეთ რომ ასეთი დაშვება წინააღმდეგობამდე მიგვიყვანს.

უკვე ვიცით რომ  $x$  რიცხვი არ შეიძლება ეკუთვნოდეს რაციონალურ რიცხვთა  $F_0$  ველს, რადგანაც  $\sqrt[3]{2}$  არის ირაციონალური რიცხვი. ამიტომ  $x$  ეკუთვნის ერთ-ერთ გაფართოებულ  $F_k$

ველს, სადაც  $k$  მთელი დადებითი რიცხვია. ცხადია, შეგვიძლია დავუშვათ რომ  $k$  არის ასეთ რიცხვებს შორის უმცირესი, ე.ი  $x \in F_k$  ველს და არ ეკუთვნის  $F_{k-1}$  ველს. ეს ნიშნავს რომ  $x$ -ს აქვს სახე

$$x = p + q\sqrt{w},$$

სადაც  $p, q$  და  $w$  ეკუთვნიან  $F_{k-1}$  ველს, მაგრამ  $\sqrt{w}$  არ ეკუთვნის ამ ველს. ამის შემდეგ საკმაოდ მარტივ ალგებრულ მსჯელობაზე დაყრდნობით დავრწმუნდებით, რომ თუ  $p + q\sqrt{w}$  არის  $x^3 - 2 = 0$  განტოლების ამონახსნი, მაშინ  $p - q\sqrt{w}$  რიცხვიც აგრეთვე მისი ამონახსნი იქნება. რადგანაც  $x \in F_k$  ველს, ამიტომ  $x^3$  და  $x^3 - 2$  აგრეთვე ეკუთვნის  $F_k$  ველს, ანუ

$$x^3 - 2 = a + b\sqrt{w}$$

სადაც  $a$  და  $b$  ალბულები არიან  $F_{k-1}$  ველიდან. მოცემული ორი განტოლებიდან ვიღებთ  $a = p^3 + 3pq^2w - 2$ ,  $b = 3p^2q + q^3w$ .

თუ დავუშვებთ, რომ

$$y = p - q\sqrt{w},$$

მაშინ დავინახვთ, რომ

$$y^3 - 2 = a - b\sqrt{w}$$

რადგან  $x$  არის  $x^3 - 2 = 0$  განტოლების ფესვი. ამიტომ

$$a + b\sqrt{w} = 0.$$

მაგრამ უკანასკნელი ტოლობიდან ჩანს რომ  $a$ -ც და  $b$ -ც ორივე ნულის ტოლია. მართლაც თუ  $b$  განსხვავებული იქნებდა ნულისგან, მაშინ მივიღებდით ტოლობას  $\sqrt{w} = -\frac{a}{b}$ . ეს კი ეწინააღმდეგება დაშვებას რომ  $\sqrt{w}$  არ ეკუთვნის  $F_{k-1}$  ველს. ამრიგად  $b = 0$ , მაშინ  $a = 0$ .

რადგანაც დავადგინეთ რომ  $a = b = 0$ , მაშინ  $y^3 - 2 = a - b\sqrt{w}$  ტოლობიდან უშუალოდ გამომდინარეობს რომ  $y = p - q\sqrt{w}$  არის  $x^3 - 2 = 0$  განტოლების ამონახსნი. ვაჩვენოთ რომ  $y \neq x$ , ე.ი  $x - y \neq 0$ , რადგანაც  $x - y = 2q\sqrt{w}$  რიცხვი ნულის ტოლი მხოლოდ მაშინ იქნებოდა, როცა  $q = 0$ , ხოლო ამ შემთხვევაში  $x = p$  მიეკუთვნება  $F_{k-1}$  ველს, რაც ჩვენი დაშვების ეწინააღმდეგება.

ამრიგად ჩვენ დავადგინეთ, რომ თუ  $x = p + q\sqrt{w}$  არის  $x^3 - 2 = 0$  კუბური განტოლების ფესვი, მაშინ  $y = p - q\sqrt{w}$  არის იმავე განტოლების  $x$ -გან განსხვავებული მეორე ფესვი, რასაც მივყავართ წინააღმდეგობამდე: ცხადია  $y = p - q\sqrt{w}$  ნამდვილი რიცხვია, მაგრამ  $x^3 - 2 = 0$  განტოლებას კი მხოლოდ ერთი ნამდვილი და ორი კომპლექსური ფესვი აქვს.

ჩვენმა დაშვებამ მიგვიყვანა წინააღმდეგობადაც და, მაშასადამე,  $x^3 - 2 = 0$  განტოლების ფესვი არ შეიძლება ეკუთვნოდეს რომელიმე  $F_k$  ველს. ამრიგად, კუბის გაორმაგება მხოლოდ ფარგლისა და სახაზავის მეშვეობით შეუძლებელია.

|                    |                            |
|--------------------|----------------------------|
| გარეკანის დიზაინი  | <b>მარიამი ებრალიძე</b>    |
| დაკაბადონება       | <b>ლალი კურდღელაშვილი</b>  |
| გამოცემის მენეჯერი | <b>მარიკა ერქომაიშვილი</b> |

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14  
14, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0179  
Tel: +995 (32) 2250484, 6284; 6278  
[www.press.tsu.edu.ge](http://www.press.tsu.edu.ge)